K 21. 973
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკო ბარათაშვილი

ტომი II.

გამოცემა № 2
ქართული ბეჭდითი ამხანაგობისა.
1920.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბეჭდი

ტომი II.

K21.973
3

გამოცემა № 2
ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა.
1920.

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკო ლომოური

უკანასკნელი სურათი

(ნახატი კ. ქავთარაძისა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევროპაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

	გვერდი
ნოე ჟორდანიას ფსევდონიმები .	III

ევროპაში

მოგზაურობა შვეიცარიაში (1893—1894 წ.)	1—89
პარიჟი (1895 წ.) . . .	90—123
ორიენტალისტთა მე X საერთაშორისო კონგრესი (1894 წ.) . .	124—157

მესამოცე წლების მოღვაწننი და დღევანდელი ცხოვრება (1895 წ.) .	158—230

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე ჟორდანიას ფსევდონიმები:

ან

გ. მარმალაძე

ნარი

ნარიძე

ნ. ჟ.

ნ. ჟ—ია

3. პეტრიძე

საზღვარ-გარეთელი*)

ე—ა-

---

*) საზღვარ-გარეთელის ფსევდონიმით ნოე წერდა თავის წერილებს საზღვარ-გარეთიდან 1893—1897 წლებში. შემდეგ ამ ფსევდონიმით სხვებმა დაიწყეს წერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნოე ჟორდანია

მისი უფროსი ქალი—**ასმათი** და უმცროსი—**ნათელა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგზაურობა შვეიცარიაში

(1893-1894 წ. *)

I

გაგიგონია, მკითხველო, შვეიცარია? ღეჭველია გეცოდინება, რომ ევროპაში არის ერთი პატარა ქვეყანა, რომელიც თავის მდებარეობით და ბუნების თვისებით ძალიანა ჰგავს ჩვენს სამშობლოს, საქართველოს.

შვეიცარია თავის დიადი მთა-გორებით, მცენარეულობის და ნიადაგის სხვა-და-სხვაობით, ტბათა სიმრავლით და ჰაერის დაუდგრომლობით,—განმარტოებული, განკერძოებული სდგას მთელ ევროპაში. ასე ჰგონია კაცს, ამ გვარი შეზავებული მხარე აქაურის ბუნების შვილი არ არისო, საიდგანლაც მოუტანიათ და ევროპის შუაგულ ალაგას დაუბინავებიათო. აქ გაშლილი მინდორ-ველი და მიდამო იშვიათი სანახავია; მხოლოდ მდინარე რონის ხეობა, რომელიც გადაჭიმულია ორ ტბას შორის, მოგაგონებს რიონის ჭალებს. მაგრამ ეს ხეობა ისეთი პატარაა, რომ შვეიცარიის ერთი მესამედიც ძლივს იქნება. დანარჩენი სივრცე კი დაფარულია თვალთუწვდენელი მთებით. საკმაოა რამდენისამე საათის

*) „მოგზაურობა შვეიცარიაში“ დაბეჭდილი იყო: პირველი თავი, სათაურით „წერილები შვეიცარიიდან“ —გაზეთ ივერიაში 1893 წელს (№ 254); დანარჩენი თავები, სათაურით „მოგზაურობა შვეიცარიაში“—კვალში 1894 წელს (№№ 8, 9, 10, 14, 15, 21, 22, 31, 40, 41 და 42).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაურობა, რომ სრულად გაიცნოთ აქაური ბუნება. აი, მაგალითად, სდგეხართ ალპის მთის ძირში. თქვენ წინ გადაშლილია უხვი, მდიდარი ბუნება; ჰხედავთ ვენახებს, ყურძნით სავსეს, ლიმონებს გაფურჩქნილ-აყვავებულს, ათასნაირ ხეხილს ნაყოფ-გამოღებულს, ამწვანებულ მიდამოს ყვავილებით გაელვარებულს და სხ. აქ ზამთარიც-კი ზაფხულსა ჰგავს. ადიხართ ცოტა ზევით, მთის კალთებზედ, და სანახაობა თანდათან იცვლება; ის, რასაც ძირს ჰხედავდით, აქ სრულებით ჰქრება: სხვა მცენარეულობა, სხვა ნიადაგი და ჰავა! ყოველ ფეხის გადადგმაზე ჰგრძნობთ, რომ ბუნება დაუდგრომელ რყევაშია, მუდმივ ცვლილებაშია; დაბოლოს იმისთანა ალაგას ადიხართ, სადაც ადამიანის მარჯვენას ვერაფერი გაუწყვია და სადაც ყოველივე კულტურულ ზედგავლენას მოკლებულია: ეს არის მთის მწვერვალი. ამ მოგზაურობის დროს შეხვდებით ყველა იმ მცენარეულობას, რომელიც კი მოიპოვება ევროპის სხვა-და-სხვა კუთხეში. ჩამოდიხართ მთიდან და გსურთ ჭალების დათვალიერება. არ იფიქროთ, ერთნაირი ნიადაგი იყოს ყველგან. ერთ ალაგას ჰხედავთ შავს, ნაყოფიერ მიწას, იქავე გვერდით ქვიშნარს, ცოტა მოშორებით შავი და წითელი მიწა ერთად შეზავებულა. როგორ მოთავსდა ასეთი სხვა-და-სხვაობა ამ პატარა ქვეყანაში? აი რა ფიქრი ებადება აქ კაცს. მერე იცით რამოდენაა შვეიცარია? ძლიერ პატარაა, ისეთი პატარა, რომ საქართველოს ოდენაც არ არის. სიგრძით 380 ვერსია, სიგანით-კი 200. ამ სივრცეზე სცხოვრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი მილიონი ხალხი, და მერე რა ნაირი ხალხი! საშინლათ დანაწილებულია გვარ-ტომობით, სარწმუნოებით, ზნე-ჩვეულებით და სხვ. გერმანულ ენაზე საუბრობს 2 მილიონი. ფრანგულზე—638 ათასი, დანარჩენი—იტალიურზე.

ამათში ერთ მილიონ ნახევარი პროტესტანტობას აღიარებს, ერთი მილიონი—კათოლიკობას, ათი-ათასი--ებრაულს სარწმუნოებას, დანარჩენნი სხვა და-სხვა სარწმუნოებას ეკუთვნიან. ამას მიუმატეთ ის, რომ აქ ცხოვრობს 200 ათასი უცხოელი ყოველ ნაირის ეროვნებისა და სარწმუნოებისა, დაწყებული ფრანგ-გერმანელით და გათავებული მექსიკელ-კანადელით. რა აკავშირებს ამათ? როგორ ცხოვრობენ ესენი ერთად? ნუ თუ საინტერესო არ არის ყოველივე ამის გაგება?

ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა სახელმწიფოში ერთი ოომელიმე ერი ბატონობს, სხვა ერნი კი დამორჩილებულ—დამონავებულნი არიან; მცირე-რიცხოვანი ერი ვრცელს ქვეყანაში შევიწროებულია, მისი დედა—ენა დევნილია, მწერლობა ფრთა-შეკვეცილი, ერთის სიტყვით გაბატონებულ ერს თავის—თავის მეტი არავინა სწამს,—ჩემი ძლიერება სხვისი დაჩაგვრით აიდგამს ფეხსაო—აი რა ამოქმედებს გაბატონებულს ერს. მაგ., შეჰხედეთ ავსტრია-უნგრეთს, როგორ ავიწროებს პაწია ერთ, გერმანია—პოლონელთ, ინგლისი—ირლანდიას და სხვ. შვეიცარიაში—კი ყველა ერი ბატონია, ყველა ენას თავისუფლება აქვს, ყველა ხალხს თანასწორი ხმა მიჰნიჭებია. აქ ერის უმცროს—უფროსობა, ბატონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმობა, მონა—მორჩილობა სრულებით არ არსებობს. ერთა თავისუფლება—აი რით ხელმძღვანელობს შვეიცარიელი. ეს ქვეყანა ნათლად უმტკიცებს კაცობრიობას, რომ შესაძლებელია სხვა-და-სხვა ერის ერთად, ძმურად ცხოვრება. ნუ თუ საყურადღებო არ არის ამ ცხოვრების ვითარება?

შვეიცარიას საზღვრავს ოთხი სახელმწიფო: ალმოსავლეთით—ავსტრია, დასავლეთით—საფრანგეთი, ჩრდილოეთით—გერმანია და სამხრეთით—იტალია. ამგვარად ეს პაწია თავისუფალი ქვეყანა მომწყვდეულია ოთხ ვეშაპთა შორის, რომელნიც მუდამ მზად არიან ერთმანეთს დაეცნენ და წაჰგლიჯონ რამე. შვეიცარიას—კი ამ დროს მუდმივი ჯარიც არა ჰყავს. არხეინათ შესცქერის მეზობელთა თოფ-ზარბაზანთ და მისთვის აუარებელ ფულის ფლანგვას. აქაური ჯარის-კაცი მხოლოთ 45 დღეა ჯარში (პირველ სამწელიწადს), დანარჩენ დროს-კი სახლში ატარებს, ყოველივე სამხედრო წყობილება, თოფი და მისი ბარგ-ბარხანა, თან აქვს, სახლში უწყვია. მიუხედავად ამისა, აქ ყველა გლეხი მეომარია, ყველა სალდათია, დაძახებისთანავე მზად არიან ქუდზე კაცი გამოვიდეს საშშობლოს დასაცველად. დიაღ, შვეიცარიას ჯარი არა ჰყავს, მაგრამ მთელი ხალხი ჯარი არ არის? ნუ თუ ამათი ურთი-ერთობა ღირს-საცნობი არ არის? მეტადრე ჩვენთვის, კავკასიელთათვის, სადაც ასეთივე სხვა-და-სხვაობაა გვარ-ტომობისა, ენისა და სარწმუნოებისა. შეიძლება ჩვენც ვისწავლოთ რამე შვეიცარიიდან. მაშ ნება მიბოძეთ თქვენი ყურად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება მივაპყრო ამ ქვეყნის საზოგადოებრივ და საპოლიტიკო ცხოვრებასა და წეს-წყობილებას.

——

შვეიცარიის შესახებ ბაასის დაწყება შეუძლებელია, თუ პირველად მისი დაარსების ამბავი არ მოვიხსენიეთ. უამისოდ ბევრ—დღევანდელ გარემოებას ნათლათ ვერ გავირკვევთ და ვერ გაგითვალისწინებთ. როდის და როგორ შეუკავშირდა ეს სხვა-და-სხვა ერი ერთმანეთს? რამ გამოიწვია ასეთი შეკავშირება? რამ გაამაგრა ეს კავშირი და რამ განამტკიცა ერთობა? რა დაედვა საფუძვლად ამ ერთობას? ამის პასუხს ჩვენ გვაძლევს შვეიცარიის ისტორია, რომელსაც მოკლედ მოგითხრობთ.

ამბობენ, ერის განვითარებაზე დიდი გავლენა აქვს ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასაო. თუ ეს მართალია საზოგადოდ, მართალი უნდა იყოს განსაკუთრებით შვეიცარიის შესახებ. შვეიცარიის რუქას რომ დახედოთ, მაშინვე შეამჩნევთ ერთ გარემოებას: თითქმის ყოველ-მხრივ შემოფარგლულ-შემოზღუდულია მთებითა და ხეობებით. პირველათ თქვენს ყურადღებას მიიქცევს ალპის მთები, რომელიც იყოფა ორ ნაწილათ: სენ-გოტარი (Le S.—Gothard სიმაღლით 11.300 ფუტი) და ფურკა (La Furca, 13.000 ფუტი). ამ ორ მთას აქვს ხუთი ტოტი, რომელიც ირგვლივ შემოჰხვევია შვეიცარიას. აქვე ჰნახავთ მეორე მთას, პეურა, რომელიც ამართულია საფრანგეთის საზღვართან. ამ სახით ამ მთებს ეს პაწია ქვეყანა შუაში მოუმწყვდევიათ. ამით საფრან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთს, გერმანიას და იტალიას თითო ნაწილი ჩამოსცილებია და ამ მთებში ერთად შეხიზნულა. რასაკვირველია, მარტო ბუნება იქ ვერას გააწყობს, საცა მკვიდრნი მოკლებულნი არიან მხნეობას და უნარს. შვეიცარიელთ შესახებ-კი ამას ვერ ვიტყვით. ისინი მე-XIII საუკუნიდან სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე ერთად შეკავშირებულიყვნენ ერთი პოლიტიკური სახე მიეღოთ. ისტორიულ წარსულში შვეიცარიის ზოგი ნაწილი (კანტონი) ცალკე, თავისთვის სცოვრობდა, ზოგი ეკუთვნოდა გერმანიას და საფრანგეთს. მე-XIII საუკ. გერმანიაში აჯანყდა აზნაურთა გვარი ჰაბსბურგელნი, და ერთი მათგანი, რუდოლფი, მოულოდნელად აყვანილ იქნა სამეფო ტახტზედ (1273 წ.). ამის გამო გაძლიერდა უკმაყოფილება და რუდოლფის სიკვდილის შემდეგ (1291 წ.) ჩამოვარდა არეულობა. ეს გარემოება გამოიყენა დღევანდელმა შვეიცარიის სამმა კანტონმა: შვიცმა, ურიმ და უნტერვალდენმა და ურთიერთ შორის პირობა შეჰკრეს, ერთად ემოქმედნათ მტერთა წინააღმდეგ. ამ პირობას უწოდეს საიკუნო კავშირი (1291 წ.). ეს კავშირი იყო მიმართული არა იმპერატორის წინააღმდეგ, არამედ ზოგიერთა მებატონეთა და თვითნება აგენტების წინააღმდეგ. ეს მებატონენი და აგენტები თავისუფლად ფარფაშობდენ და ყოველგვარ უსამართლობას აყენებდენ გლეხებს. ამათ შეჰფიცეს ერთმანეთის საერთო ძალ-ღონით დაეცვათ თავიანთი ადამიანური უფლება და სარჩო-საბადებელი ამ მცარცველებისაგან. „ერთი ყველასათვის და ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთისათვისა"-ო,აი რა დააწერეს თავიანთ დროშას*). ამით ჩაიყარა საძირკველი, თომელზედაც აშენდა დღევანდელი შვეიცარია. 1315 წ. ავსტრიის მეფე ლეოპოლდი შემოვიდა ჯარით შვეიცარიაში ურჩთა დასამორჩილებლად. მოკავშირენი დახვდენ ამათ ერთ ვიწროებში და დაუწყეს ბრძოლა. ლეოპოლდი ძლეულ იქნა და დაბრუნდა უკან. იმავე კვირაში ლიუცერნის ტბის ნაპირას შეიკრიბენ წარმომადგენელნი შვიცისა, ურისა და უნტერვალდენისა და ხელ-ახლად შეჰკრეს პირობა საუკუნო კავშირისთვის. ამ პირობის უმთავრესი მუხლი იყო: ყველა, ვისაც კი ბატონი ყავს, დაემორჩილოს სამართლიან საქმეში, მაგრამ მოკავშირეთა წინააღმდეგ არას შემთხვევაში არ იმოქმედოს; ყოველივე მოლაპარაკება გარეშეებთან უნდა იქნას მოკავშირეთა თანხმობით; დავა მოკავშირეთა შორის გათავებულ იქნას მშვიდობიანად; როგორც გარეგან, ისე შინაგან საქმეებში ერთმანეთს უნდა დაეხმარონ და ერთად აკეთონ გასაკეთებელი. უმაღლესი მფარველობა გერმანიისა მაინც აღიარებულ იქმნა.

1332 წ. სამთა-კავშირს მიემხრო ლიუცერნი; ამით გაძლიერდა ლიგა. ამ დროს ბერნსა და ციურიხში გაჩაღდა ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. საჭირო შეიქნა ბაზარი და მშვიდობიანობა; ფეოდალები ხშირად თავს ესხმოდენ ვაჭართ და სძარცვავდენ. მაგ.

*) ამის სახსოვრად ჟენევაში არის ამართული ძეგლი, რომელზედაც გამოქანდაკებული არის ორი ქალი ხელი-ხელ ჩაკიდებული, ზედ-წარწერით, Un pour tous, tous pour un (ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის).

1339 წელს ბერნს მიუახლოვდა ფეოდალთა ჯარი ქალაქის ასაკლებად, მაგრამ ბერნელებმა დაამარცხეს. ამისთვის 1351 წ. ციურიხი შეუერთდა გაძლიერებულ ოთხთა-კავშირს. ამ გარემოებით მოკავშირეთ შეიძინეს საჭირო პოლიტიკური ცენტრი და ბაზარი, სადაც შეეძლოთ თავიანთი ნაწარმოების გაყიდვა და მაგიერის მოპოება. გაიმართა მისვლა-მოსვლა ციურიხსა და მოკავშირეთა შორის. გაფართოვდა ხალხის მოთხოვნილება და ქალაქიც აუცილებელ საჭიროებად შეიქნა. 1352 წ. ორმა კანტონმა, გლარუსმა და ცუგმა უარ-ყვეს ავსტრიის ბატონობა და შეუამხანაგდენ მოკავშირეებს. 1353 წ. მიემხრო ქ. ბერნი. ამ გვარად კავშირი შესდგა რვა კანტონისაგან. ახლა ხელ-მეორედ დაიდვა პირობა და ნათლად გაარკვიეს თითოეულის კანტონის უფლება-მოვალეობა. ეს დოკუმენტი იმით არის შესანიშნავი, რომ პირველად აღიარებულ იქმნა კანონად. ხმის უმრავლესობით საქმეთა გადაწყვეტა, რასაკვირველია, არ ეჭაშნიკათ მოსაზღვრე მეფეთ და 1386 წ. ლეოპოლდი ავსტრიელი დაეცა შვეიცარიელებს. უკანასკნელებმა სძლიეს მტერთ და მოკლეს თვით ლეოპოლდი. 1388 წელს ავსტრიელნი ხელახლა იქმნენ დამარცხებულნი მოკავშირეთა მიერ. 1393 წ. ციურიხში შეიკრიბენ კანტონების წარმომადგენელნი (დეპუტატნი) და შეადგინეს ახალი ხელშეკრულება. ამ პირობის ძალით მცირე მიზეზის გამო ომის დაწყება გარეშე მტრებთან აღკრძალული იყო; აღიარებულ იქმნა ტაძართა ხელ-შეუხლებლობა და სხ. „კავშირი“ ისე გაძლიერდა, რომ გერმანიას წაართვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ქალაქი, ფრიბურგი და ზოლოტურნი, და თვითონ შემოიერთა. ამ დროს „კავშირს“ მიემხრო ტურგაუ. 1501 წ. კავშირსვე მოემხრენ ბაზელი და შაფჰაუზენი და 1513 წ. აპენცელი. ამ გვარად 14 კანტონისგან შემდგარი კავშირი შეუცვლელად დარჩა 1798 წლამდე, მიუხედავათ იმისა, რომ შიგ ქვეყანაში სარწმუნოებისთვის ომი, გლეხთა არეულობა და სხვა ამისთანაები ხშირი იყო. ამ ხნის განმავლობაში ბერნსა და ციურიხში განვითარდა წარმოება. ამით კავშირიც გაძლიერდა და 1777 წ. ლიუდოვიკ XVI-ემ იკისრა მისი მეგობრობა.

მეორის მხრით, შვეიცარიაში თან-და-თან გაძლიერდა უსწორ-მასწორობა, ბევრ ალაგას მოქალაქეებმა ჩაიგდეს ხელში მართვა-გამგეობის საქმე. ამან უკმაყოფილება დაჰბადა გლეხკაცობაში. საჭირო იყო მცირე მიზეზი ამ უკმაყოფილების გამოსაცხადებლად. ამ ნაირ მიზეზად შეიქმნა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია (1789 წ.). აჯანყებამ იფეთქა ყოველ კუთხეში. ამ საქმეში ჩაერია საფრანგეთი და ასტყდა ომი. ფრანგებმა დაამარცხეს მოკავშირენი და აიღეს ბერნი. ამით მოისპო შვეიცარიის კავშირი. თავისუფალი კანტონი ყენევა ფრანგებმა შეიერთეს, მხოლოდ მოკავშირენი-კი თავისუფლად დარჩენ. დაიწყეს ხელ-ახლა ფიქრი კავშირის დაარსების შესახებ. ამ დროს სარბიელზე გამოვიდა ორი დასი: ერთს სურდა კანტონთა სრული გაერთიანება და მათ განსაკუთრებულ წყობილებათა მოსპობა (ცენტრალისტები); მეორეც ერთობას ეტანებოდა, მაგრამ იმ პირობით, რომ კანტონებს შერჩენოდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმართველობა და თავის საკუთარ საქმეებში ხელ-შეუხლებლობა (ფედერალისტები). უკანასკნელი დასი შეადგენდა უმრავლესობას. 1803 წ. ნაპოლეონმა მიიწვია პარიჟს ორისავე დასის დეპუტატნი მოსალაპარაკებლად. იმპერატორმა თავის მართლმსაჯულების სასწორი გადახარა ფედერალისტებისკენ და მისცა ახალი კონსტიტუცია. აღდგენილ იქნა ძველი „შვეიცარიის კავშირი“ და ამას მიემატა კიდევ ექვსი სხვა კანტონი. ამათი უმთავრესი დაწესებულება გახდა სეიმი, ანუ კრება კანტონთა წარმომადგენლებისა. თვითმმართველობა კანტონებისა დაკანონდა. ქ. ჟენევამ ისარგებლა ნაპოლეონის ტახტიდან გადაყენებით და შეუერთდა „კავშირს“. ამის მაგალითს მიჰყვა ნეშატელი, რომელიც ნაპოლეონმა აჩუქა მარშალ აბრეტიეს. ამ დროს „შვეიცარიის კავშირმა“ გამოაცხადა: ჩვენ არავისთან ომი არ გვსურს და ჩვენც თავი დაგვანებეთო. ეს ღალადება შეისმინეს დიდმა სახელმწიფოებმა და 1815 წ. 20 ნოემბერს პარიჟის ხელ-შეკრულობით აღიარებულ იქნა შვეიცარია საუკუნოდ ნეიტრალიტეტის ქვეყანად. აქედან იწყება შვეიცარიაში არეულობა. ზოგიერთმა კანტონებმა მოინდომეს განდგომოდენ კავშირს. ამ გზას დაადგა პირველად ლიუცერნი. აქ საარწმუნოების გამო მოხდა უსიამოვნობა პროტესტანტებსა და კათოლიკეთა შორის. კათოლიკენი დამარცხდენ და მათი ეკლესიები გაუქმდა. ეს-კი აშკარა დარღვევა იყო კანონისა, რომლის 12 მუხლი აღიარებდა ტაძრების ხელ-შეუხებლობას. ამისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების თანაგრძნობა კათოლიკეთა მხარეზე იყო, რის გამოც ლიბერალური მთავრობა დაეცა ლიუცერნში და მისი ალაგი დაიჭირა ულტრა-მონტანებმა (კონსერვატორ-კათოლიკენი). ახალ მთავრობამ მოიწვია დელეგატები სამ კათოლიკეთა კანტონიდან და საიდუმლოდ დააარსეს ლიგა, რომელიც უნდა განსდგომოდა საერთო „კავშირს". ეს ამბავი გაიგო სეიმმა და გადასწყვიტა ძალით დამორჩილება მეამბოხეთა. 1847 წელს ძალით აიღეს ლიუცერნი დ მისი მომხრე კანტონები დ დაუმორჩილეს „კავშირს". ამას შემდეგ შვეიცარიას აღარ გამოუჩენია სურვილი დანაწილებისა.

ამ გვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ შვეიცარია ერთ დროს არ დაარსებულა, ის იკრიბებოდა საუკუნოების განმავლობაში. საერთო მტერმა გარეთ, ვაჭრობამ და ალებ-მიცემობამ შინ, მოითხოვა გაბნეულ და უძლურ კანტონების შეერთება და ერთად ცხოვრება. ეს კარგად შეიგნო ხალხმა და კიდეც ალასრულა საწადელი. ამ ჟამად შვეიცარიას ორი სანატრელი უპირატესობა აქვს: 1) ხელ-შეუხებლობა გარეშე სახელმწიფოებისაგან, 2) შინ—კანტონთა თვითმმართველობა და მკვიდრთა სრული თავისუფლება და თანასწორობა.

II

სოფელში*)

შვეიცარია, როგორც პირველ წერილში მოვიხსენეთ, მთა-გორიანია. ამისათვის სოფლებიც გორებზე არის გაშენებული. ველ-მინდორ მიწას

*) როცა ჩვენ სოფლების შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ დასავლეთი შვეიცარია, სადაც ფრანგულად ლაპარაკობენ და არა აღმოსავლეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვეიცარიელი არასოდეს არ გამოიმეტებს სამოსახ-ხლოთ. ის ძლიერ აფასებს იმისთანა ნიადაგს, სადაც პური მოყვანა შესაძლებელია, და იქ ხომ ამ გვარი ადგილები იშვიათია. შვეიცარიას თავისი პური რამდენსამე თვესაც არ ყოფნის; იმას გამოაქვს იგი სხვა-და-სხვა ქვეყნიდან და სამაგიეროდ უგზავნის, რაც თვითონ მოსდის. აქ რომ ერთი-ორი თვის განმავლობაში უცხოეთის ხორბალი არ შემოვიდეს, ყველა შიმშილით გაწყდება. მდინარეთა და ტბების ჭალები—აი, ეს არის ერთად-ერთი სათესი ადგილები. აქა-იქ დაბლობზე მხოლოდ ქალაქები შეგხვდებათ. ამ გვარად ქალაქთა სანახავად დაბლობში უნდა ჩახვიდეთ, სოფლებისათვის კი მაღალზე უნდა ახვიდეთ.

როცა სოფელში შედიხართ, პირველად თქვენს ყურადღებას გარეგანი შეხედულობა იტაცებს. ეგ იგივე ქალაქია, მხოლოდ ქალაქურ სიცოცხლეს მოკლებული. სახლები ყველა ორ-ორ სართულიანია, აშენებულია რიგ-რიგად და შუაში მოკენჭილ-მოლამაზებული ქუჩა ჩაიარს. ქუჩები საკმაო ვიწროა, ასე რომ ორი ეტლი გაჭირვებით შეუარს ერთმანეთს, ალაგ-ალაგ ესეც მოუხერხებელია. ეტყობა მიწას ძლიერ აფასებს შვეიცარიელი, რომ ასე ცოტა თავისუფალ ადგილს უშვებს. შენობები ერთმანეთზეა მიდგმული და წყდება, იშვიათად, ბოსტნით. ქუჩის პირიდან აივნები არა აქვთ, ხშირად კიბეც უკან უნდა ეძიოთ. ყველა სახლის წინ, ან გვერდზე დაგროვილია რამდენიმე საჟნის სიგრძე სიგანეზე ნაკელი, რისთვისაც ერთობ საშინელი სუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიალებს. შეხედავთ მშვენიერი სახლი სასტუმროს ჰგავს, მისს სიახლოვეს კი ცხვირზე ხელ-მოუჭერელად ვერ გაივლით. როცა ერთ გლეხს ვკითხე: რატომ აფუჭებთ სოფელს ამ ნაკელით-მეთქი, მან მიპასუხა:— უკაცრავად, მაგრამ თქვენ აქ ხამი უნდა იყვეთ, ამისათვის ამ ნაირ კითხვას არ გაუკვირვებივარ. განა გაფუჭებას უწოდებთ იმ ნივთის ქონებას, ურომლისოდაც ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია? ნაკელი რომ არ გვქონდეს, უნდა გამოვემშვიდობოთ ჩვენს პატარ-პატარა ბოსტნებს, რითაც სულს იბრუნებს არა ერთი და ორი მოსახლე.

— ყველას ხომ ბოსტანი არა აქვს? შევეკითხე მე.

— არა, ყველას სად ექნება, მაგრამ სასუქს ამზადებს და ყიდის იქვე მის მეზობელზე, რომელსაც თავისი არ ყოფნის. იცით რამდენს იღებს? ორ გოდორზე 3—4 ფრანკს (ფრანკის ნამდვილი ღირებულება 25 კ., კურსით კი 37 კ.) და ეს კარგი ფულია, ხელ-მოკლე კაცისათვის. ან კიდევ სხვა ნაირადაც ჰყიდის. ნაკელს გაქნის წყალში, ჩაასხამს პატარა „კრანტიან“ ბოჭკაში, წამოიკიდებს ზურგზე და დადის კარის-კარ. ვისაც ჰსურს, ჩაიყვანს თავის ბოსტანში და მოარწყვევინებს ამ გვარად შეზავებულ სასუქით.

— ეს კარგი, მხოლოდ რატომ სხვაგან, სახლის მოშორებით არ გადაიტანთ?

— სად უნდა წავიღოთ, ამისთვის ვინ მოაცლის სხვა ადგილს, აქ კუთხეში ჩრდილია და მაინც არაფერი მოვა ზედ. გარდა ამისა არც ძაგის სუნი სწყენს ადამიანს..,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლები ქვისაა და დახურულია კრამიტით, ან თუნუქით. ქუჩებზე ხედავთ შადრევანებს, საიდანაც მოქუხს წმინდა ანკარა წყალი. ყოველ სოფელში, თუნდაც ღელე და წყარო იქავე ჩაუდიოდეს, მილის წყალია გამოყვანილი და იმით სარგებლობენ. წყალი წამოყვანილია სოფლის ზევიდან, რომელიმე მთის ძირიდან, და უმრავლესს შემთხვევაში წყაროსი არის და არა მდინარისა; თუმცა აქაური მდინარე არაფრით ჩამოუვარდება წყაროს. შადრევანი ქვით-კირისაა, სიმაღლით ერთი საჟენი და ოთხ-კუთხი. მაღლა რკინის მილი აქვს გაკეთებული, საიდანაც წყალი შეუჩერებლივ გადმოდის, ძირთან აქვს ქვის ორმო, რომელსაც კუთხეში პატარა გასავალი აქვს დატოვებული, წყალი იქიდან ჩადის მიწაში და სხვა მილით უერთდება მდინარეს. ამ ორმოში, რომლის სიგრძე საჟენზე მეტია, დედაკაცები რეცხენ სარეცხს. ზოგ შეძლებულ მოსახლეს წყალი მილით თავის სახლში აქვს გაყვანილი. ამ გვარი შადრევანები გზებზედაც არის გაკეთებული გამვლელ-გამომვლელთათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც მდინარე არ ჩაივლის. სოფელს ჰყავს არჩეული ერთი კაცი, „შადრევანთა ზედამხედველი, „დირექტორი“, როგორც აქ უწოდებენ, და მას უჭირავს თვალ-ყური მილის წყლის ვითარებაზე. თუ რამე წაუხდა შადრევანს, ან წყალი არ გამოდის რიგიანად, მაშინვე ზედამხედველმა უნდა გააგებინოს სოფლის, ანუ კომუნის (კომუნას უწოდებენ რამდენიმე სოფელს ერთად, როგორც ჩვენში თემია, ანუ სამამასახლისო) სამმართველოს. იქიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგზავნიან მცოდნე კაცს შადრევანის შესაკეთებლად. ამ ნაირად სოფელს ერთ საათსაც არ დაეკლდება წყალი. შადრევანთა „დირექტორი“ მუქთად ასრულებს თავის თანამდებობას.

გარდა მილის წყლისა, სოფელში გამოყვანილია პატარა ღელე, წისქვილის, თუ სხვა რაიმე საჭიროებისათვის. ამ წყლის საშუალებით მუშაობს ხერხის მაშინა და დურგლის სახელოსნო, რასაც ხშირად შეხვდებით სოფლად. ამათი შენობა არ არის რთული. ამოთხრილია დიდი ორმო და შიგ გაკეთებულია ხის ღერძი დიდი ბორბალით. ბორბლის შუაგულ ადგილას მილურსმულია რგვალი ხე (ლილვი), იმის პირდაპირ გამოჭრილია კედელი და იქიდან ლილვის ბოლო სახელოსნოშია გაყვანილი; აქ თავზე წამოცმული აქვს ფართო რგვალი ფიცარი, რომლის გარშემო ორი ღვედი (ხარის, ან კამეჩის ტყავის ჩამონაჭერი) არის მოყოლებული. ღვედი ატანილია ცოტა მაღლა და ორ ბოძზე გამაგრებულ ჯოხზე ორმაგად არის შემოხვეული. როცა ბორბალი ტრიალებს, ეს ჯოხიც ტრიალებს. იქიდან იგივე ღვედი წაღებულია სხვა-და-სხვა სამუშაო დაზგისკენ, სადაც ხერხი, ეჩო და სხვა სახელოსნო იარაღები მოძრაობაში მოჰყავს. დურგალს ისე გაადვილებული აქვს მუშაობა, რომ დღეში ერთი თუმნის საქონელს აკეთებს. ამ გეგმით არის გაკეთებული ხერხის მაშინაც. ძლიერ პატარა წყალი ერთ და იმავე დროს აბრუნებს წისქვილს (წისქვილის შენობა ისეთია, როგორც ჩვენში), იქავე ორი-სამი საჟენის მოშორებით სადურგლოს იარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს, და იქავე ახლოს კიდევ ხერხის მაშინას; არც ერთის მუშაობა ერთმანეთს არ უშლის. ხერხის მაშინის პატრონმა მითხრა: ორთა-შუა რიცხვით ჩემის შრომით 15—20 ფრანკი მაქვს დღეში შემოსავალი. მისი გამოთვლით სახლი, მიწა, ხერხის გამართვა და სხვა წვრილი იარაღები დაჯდომია ორიათას ხუთას ფრანკად. ერთხელ ხერხის უბრალო შეკეთებისათვის 50 ფრანკი გამომართვესო.

— რას იხდი წელიწადში ხაზინის სასარგებლოდ? ვკითხე იმასვე.

— ეს „ხაზინა“ ვერ გავიგე კარგად, ჩვენში მაგ სიტყვას არ ხმარობენ; ჩემის აზრით თქვენ მეკითხებით: რას ვაძლევთ საზოგადოებას ჩემის ხერხის შემოსავლიდან? კომუნის (თემის) სასარგებლოდ წელიწადში 5 ფრანკი მიაქვთ, კანტონის მაზრის (პროვინცია, გუბერნია) 4 ფრ. სულ 9 ფრ. რასაკვირველია ეს შეეხება მარტო ხერხს, თორემ კიდევ ვიხდი ბეგარას, ეს სხვაა...

აქა-იქ კედელზე მიკრულია ფოსტის „იაშჩიკი“ ზედწარწერით: ამა-და-ამ საათზე ამოიღებს ფოსტის მოხელე წერილებს. ყველა სოფელში, რომელიც ქალაქიდან დაშორებულია, დღეში ორჯერ მიდის წერილების დამტარებელი, გლეხებს ურიგებს თავთავის კორრესპონდენციას და გასაგზავნი მიაქვს. ზოგიერთ მოზრდილ სოფელში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაც არის. ტელეფონი ხომ ყოველ სოფელშია. მაგ. ს. ბრენტი, სადაც მე ვცხოვრობდი, 3—4 ვერსით დაშორებულია ქ. კლარანზე; ბრენტს ზემოდ, მთის წვეროზე, რამოდენიმე მოსახ-

ლე დგას. ფოსტალიონი დღეში ორჯერ, დილას
და საღამოს, უნდა წამოვიდეს ქ. კლარანიდან, შე-
მოიაროს ყველა ესენი, აქედან რამოდენიმე ვერ-
სის მანძილზე მიდის ახლო-მახლო სოფლებში და
შემდეგ ბრუნდება უკან. ამოდენა გზას ფეხით
აკეთებს, რასაკვირველია, და არა ცხენით. ცხენი
აქ არ გამოდგება. ერთი რომ ამოდენა ალმართ-და-
ლმართზე ცხენი ვერ იარს, მეორედ აქ ერთი კარ-
გი ცხენი 700-900 ფრანკი ღირს, ახლა ამის შენა-
ხვა წელიწადში დაჯდება არა ნაკლებ 150 ფრანკი-
სა. აბა, ამ ხარჯს ვინ გასწევს! სამაგიეროდ წერი-
ლების დამტარებელი უფრო მეტ ჯამაგირს იღებს,
ვინემ ფოსტაში მჯდომარე მოხელე. პირველს ეძ-
ლევა თვეში 150 ფრანკი (60 მანეთი), მეორეს ნაკ-
ლები. აგრეთვე ტელეგრამა ყოველ სოფელში დაუ-
ყონებლივ სადგურიდან იგზავნება. გლეხს შეუძ-
ლია ტელეფონის საშუალებით, რომელიც მისვე
სოფელშია გამართული, გამოელაპარაკოს, ვისთანაც
კი ჰსურს, მთელ შვეიცარიაში.

К Ш. 973

მიუბრუნდეთ შენობებს. სახლები, როგორც
ზევით ვთქვით, ორ სართულიანი და ქვისაა. უმ-
რავლეს შემთხვევაში ქვემო სართულში კაცი არ სცხოვ-
რობს; აქ არის გამართული საქონლის (პიროუტყვის) ბი-
ნა, აქვე ინახვენ სამუშაო იარაღებს, კართოფილს, ხი-
ლეულობას, ლობიოს და სხ. ყველა ამაებისთვის
ცალ-ცალკე ოთახია მიჩენილი. ამ სართულში თუ
ვინმე სცხოვრობს, ეს უთუოდ უსახლ-კარო გლე-
ხია; ის იაფად ქირაობს ამ გვარ ბინას და დგება
შიგ; სახლის პატრონი ზემო სართულშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლებს, საზოგადოდ, ეზო არა აქვს. პირ-და-პირ ქუჩიდან ადიხართ კიბით და ეს არის. ბოსტანი ან მოშორებულია სადგომიდან და ან გვერდზე (ან უკან) არის. საბოსტნე მიწა ძლიერ პატარაა და შიგ ყოველ გვარი მწვანილია დათესილი.

ალაგ-ალაგ დაინახავთ რკინის ღობით შემოფარგლულ ფართო ეზოს, შიგ რამოდენიმე სახლია მდიდრულად აშენებული და გალამაზებული. ვინ დგას აქ? ვკითხე ერთ სოფლელს, როცა ამგვარი მოსახლობა დავინახე.

— აქ ბურჟუა (მოქალაქე) ცხოვრობს—-მომიგო მან.

ბურჟუა ისევ გლეხია, მხოლოდ ვაჭრობით და ალებ-მიცემობით გამდიდრებული. ამ გვარად ბურჟუა არის გლეხი—ვაჭარი. მაგრამ იმას გლეხს არ უწოდებენ, ის ბურჟუაა. სცხოვრობს სადმე ქალაქში; და ზოგს არც თავისი სოფელი მიუტოვებია. იმას გლეხებთან არავითარი დამოკიდებულობა არა აქვს, ბევრი გლეხი ვერც კი იცნობს თავის სოფელში მოსახლე ბურჟუას, რადგანაც ის სოფელში იშვიათად ამოდის.

ყოველ სოფელში მოიპოება 3—4 დუქანი; ამათში ერთი-ორი საწვრილმანოა, ერთი საფართლო და ერთიც ყავა-ხანა. ესენი მიუცილებელი საჭიროებაა სოფლისა. ყავა-ხანას ისეთი ალაგი უჭირავს, როგორც ჩვენში სამიკიტნოს, იმ განსხვავებით, რომ ეს (ყავა-ხანა) უფრო წმინდა, პატიოსნური და ლაზათიანია. აქ უფრო სასმელებს ვაჭრობენ, სახელდობრ ლუდს და ღვინოს. ყავა-ხანაში არის წმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საწოლი ოთახები გამვლელ-გამომვლელ მგზავრთათვის. რომელ სოფელშიაც უნდა შევიდეს უცხოელი, უთუოდ ყავა-ხანა უნდა მონახოს, სხვაგან ვერ გაათევს ღამეს. მართალია აქა-იქ არი გამართული მუქთი თავშესაფარი ღარიბ მგზავრთათვის, მაგრამ იქ ხომ ყველა არ გაჩერდება. დიდრონ—სოფლებში აფთიაქი და ფერშალია.

მე არაფერი მითქვამს ჯერ ეკლესიის და სკოლის შესახებ; ეს იმისთვის რომ ეკლესიას განგებ თუ დაუწყებ ძებნას, თორემ ისე ვერ შეამჩნევ; არავითარი გარეგანი ნიშანი ეკლესიისა არა აქვს. ერთ კვირას ვეძებდი ეკლესიას, არც არავის ვკითხე და ვერც ვიპოვე, მხოლოდ როცა დარეკეს, მაშინ გავიგე, რომ იქავე ჩემის ბინის გვერდით ყოფილიყო. ეკლესია უბრალო სახლს წარმოადგენს, არც გუმბათი, არც ჯვარი, რადგანაც აქ პროტესტანტულ-კალვინიურ სარწმუნოებას აღიარებენ და უწოდებენ „ეროვნულ ეკლესიას“ (L'èglise nationale).

სკოლა კი შიგ სოფელში ე. ი. მოსახლეთა შორის არა სდგას. ის ცოტა მოშორებულია სოფელზე; სადაც საუკეთესო ადგილია ჰაერით, წყლით, მყუდროებით და სიწყნარით, იქ არის სკოლაც. სკოლის შენობას სწორედ განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. ორ-სამ სართულიან საუკეთესო გეგმით აშენებულ სახლში მოთავსებულია პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. გარეგნობით ისეთი ლამაზია, რომ გსურთ დიდხანს უცქიროთ. შვეიცარიელი ერთობ ამაყობს თავისი სკოლით. სკოლისთვის იხ ეძებს იმისთანა ადგილს, რომელიც შუაგული და ყველაფრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხერხებული იყოს. რაც უნდა ძვირად ღირდეს ამ-
გვარი მიწა, ის უკან არ დადგება. უთუოდ შე-
ისყიდის. ამისთვის სკოლა და მისი არე-მარე იზი-
დავს მგზავრის ყურადღებას. სკოლას აქვს ფართო
ეზო ქვით-კირით შემოზღუდული და ხეხილებით გა-
შენებული. რასაკვირველია, თითოეულ სოფელს თა-
ვისი საკუთარი სკოლა არა აქვს.

რამოდენაა სოფელი? საზოგადოდ შვეიცარიის
სოფელი პატარა არის, ის შესდგება არა უმეტესს
40—50 სახლისა. მე ვამბობ სახლს და არა კომლს,
რადგანაც ერთ სახლში შეიძლება ორი კომლი, ანუ
ოჯახი იდგეს, მაგ. უსახლ-კარო ბოგანო და თვი-
თონ სახლის პატრონი. არის იმისთანა სოფელიც,
სადაც 10—15 სახლია, არის იმისთანაც, სადაც 100
იქნება; მაგრამ ეს უკანასკნელი ძლიერ იშვიათად,
პირველი კი ხშირად. მხოლოდ ვოს კანტონში არის
ერთი სოფელი 25 ათასი მცხოვრებით. ამოდენა სო-
ფელი მთელ ქვეყანაზედ არ არის. ეს სოფელი კი
არა, ქალაქი უნდა იყოს, და სოფლად თუ ითვლება
იმიტომ, რომ მცხოვრებლები არ თანხმდებიან ქა-
ლაქად შერაცხვას, გადასახადი მოგვემატებაო. ერთ
აქაურ გლეხს ვკითხე:—უკეთესი არ არის, ეგ სო-
ფელი ქალაქად აქციოთ? აბა, ახლა ვინ იცის, სად
რა სოფელია, ქალაქი კი ყველგან ჩაწერილი და
მოხსენებულია, ხალხი მოვა, წავა და სხ. ამაზე მან
მიპასუხა:—ჩვენ სახელს კი არ დავეძებთ, არამედ
სახრავს. რა მომემატება მე, ყველამ რომ იცოდეს
ჩემი სოფლის სახელი? მოკლებით კი მომაკლდება.
აი, მაგალითად, სახლის ბაჟი აიწევს, პირუტყვს თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლად არ შემანახვინებენ და სხ. ქალაქი ჩვენ არ გვენატრება. თითოეული სოფელი ქალაქს წარმოადგენს თავის ცხოვრებით და მოწყობილებით. განა ჩვენი სოფელი ქალაქურად არ არის მომართული?...

ახლა მივუახლოვდეთ თვითონ ხალხს და გავიგოთ მისი ცხოვრება.

შვეიცარიაში წოდებრივი წყობილება არ არის. აქ არც აზნაურია, არც თავადი. ამათთვის დიდი ხანია ჩამოურთმევიათ განსაკუთრებითი უფლებები და უბრალო მოქალაქედ გაუხდიათ. იმ ნეტარ-ხსენებულ დროს ერთად-ერთი კოშკი (château) მოგაგონებს. ეს ძველი დროის ნაშთი ამართულა სადმე უალაგო-ალაგას, მთაში, ან წყლის პირას და სოფლიდან კარგა დაშორებულია. კოშკს გეგმა ისევ ძველი შერჩენია, მხოლოდ შიგნით და სახურავი გადაკეთებულ-განახლებულია ევროპულ თანამედროვე გემოვნებით. გარეგანის შეხედულებით ეტყობა, რომ იქ უნდა სცხოვრობდეს ვინმე ძლიერი ამა სოფლისა. მართლაც აქ არის რომელიმე ძველი ყოვლად-შემძლებელის მარკიზის, ან ბარონის შთამომავლობა; მაგრამ დახე ბედის წერას! გუშინდელი მარკიზი დღეს გლეხია; იმას არავითარი უპირესობა არ აქვს, მისი ყოველივე უფლება-უპირატესობა ისტორიის ტალღებს ჩაუნთქავს. თუ დღეს ის თითით საჩვენებელია, იმიტომ, რომ სიმდიდრე შერჩენია, ესეც არა ყველას, არამედ უმცირესობას. დიდი უმრავლესობა ბრწყინვალე წოდებისა დახურდავებულა: ზოგი სრულიად გაღარიბებულა და უბრალო სოფლელიდან არ განირჩევა, ზოგს ვაჭრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწყია და ბურჟუად გამხდარა. ერთ სოფელში ერთ ღარიბ გლეხის შესახებ მითხრეს, რომ ის ვიღაც ბარონის შთამომავალი არისო.

ამ გვარად სოფელში გარდა გლეხისა ვერავის ნახავთ. საქმის დღეს ყველა სამუშაოდ არის გასული: ზოგი შორს, ზოგი ახლოს; ვისაც კი მოძრაობა შეუძლია, თავის საქმე აქვს აჩენილი და იმას აკეთებს. სოფელი მხოლოდ საღამოს გაცოცხლდება, როცა მუშა-გლეხები სამუშაოდან დაბრუნდებიან. ამ დროს უნდა ქუჩაში იყოთ და მომავალ ხალხს უცქიროთ: რა და რა ნაირ მუშას არ ნახავ! ყველა სამუშაო ტანისამოსით არის გამოწყობილი: ფეხზე აცვია მოკლე ყელიანი ჩექმები; ეს ფეხ-საცმელი ისე გაკეთებულია, რომ 2—3 წელიწადს აო დაცვდება, ძირი ძალიან სქელი აქვს და ზედ ფართო თავიანი პატარა ლურსმებია დაკრული, მიწას ეს ლურსმები ედება და არა ტყავი. ამასთანავე იაფი და მსუბუქია. შარვალი უბრალო საქონლის და გაუცვეთელი, სიცხეში მარტო პერანგს და ჟილეტკებს ატარებენ. პერანგი თეთრი და საყელ-სახელო გაკრახმალებულია; ეს საკრახმალო ნაწილები წმინდა საქონლისაა, დანარჩენი ტანი კი მსხვილი ძაფით მოქსოვილი ტილოა და ძალიან ჰგავს იმას, რასაც ჩვენში წინად „ხამს“ უწოდებდენ; გარჩევა იმაშია, რომ „ხამი“ ოჯახში იქსოვებოდა, ეს აქაური საპერანგე კი ფაბრიკის ნაწარმოებია. ჟილეტკა სახელოებიანია და ზედ ჰკიდია საათი ძეწკვით. უსაათო გლეხს ვერც კი ნახავთ. ის საათობით დგება, საათობით მუშაობს, სადილობს და სხ. აქაური გლეხი ისე მისჩვევია საათს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მზის მოძრაობის საშუალებით დროს გაგება სრულებით არ შეუძლია. თითქმის ყველას ერთნაირი საათი აქვს: თუჯის, ან თითბრის, მაგრამ შეუჩერებელი მუშა. აქ ეს ღირს არა უმეტესს 10—12 ფრანკისა. ავდარში ჟილეტს ზევით ბლუზა აცვია (ზაფხულში) და ხელში ქოლგა უჭირავს. თავზე წმინდა ჩალის ქუდი ახურავს. ქოლგა დიდ სიცხეშიაც დააქვთ. ხშირად შეხვდებით გოდორ-მოკიდულ კაცს, რომელსაც ქოლგა გაუშლია და მზის სხივებიდან კისერს იფარავს; ბოსტანში ქალები ქოლგას ქვეშ მუშაობენ. ამ გვარი საბოსტნო ქოლგა ძალიან ფართო და გრძელ ღეროზედ არის წაშოგებული; სადაც ჰსურთ მუშაობა, იქ დაასობენ და გაშლილ ქოლგას ქვეშ თავის საქმეს აკეთებენ. მუშათა შორის ადვილად შეამჩნევთ იმისთანას, რომელიც სიბერის გამო ოთხათ არის მოკეცილი და იმისთანასაც, რომელიც სიყმაწვილის გამო, მუხლებსაც ვერ იმაგრებს. აქ დედა-კაციც ისეთივე შრომის უღელშია გაბმული, როგორათაც მამა-კაცი. ხშირად მინახავს მოხუცი ქალი კართოფილით სავსე გოდორ მოკიდებული, ორი ჯოხით ძლივს მიადგამდა ფეხებს.

— ღმერთი არ სწამთ, მაგას რომ ამუშავებენ? ვკითხე ერთ გლეხს.

— განა ჩვენ არ ვიცით, რომ მაგის მუშაობა საცოდაობაა, მაგრამ რა ჰქნას: თავს რჩენა უნდა. მისი ვაჟიშვილი ისეთი ამპარტავანია, რომ კომუნიდან არაფერ დახმარების მიღებას არ კადრულობს, ისე კი უჭირს ცხოვრება, წვრილი შვილის პატრონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხობა საზოგადოდ კარგი შეხედულობის არის: მოსრული, ახოვანი ტანის, სხვილ-სხვილი მაჯები, ჩინებული ფერ-ხორცი; გაყვითლებულ სახისას ვერც კი ნახავთ, თეთრ-ყირმიზი, თვალები პატარ-პატარა და ჭრელ-კაკლიანი, წვერი მოპარსული აქვთ და თმა შემოკრეჭილი. დადის დინჯად და თავჩაღუნულად: კაცს ჰგონია, მუდამ ღრმა ფიქრებშია გართულიო. ეტყობა გულადობა და სიმამაცე. მუშაობს ძლიერ ნელა, აუჩქარებლივ, მაგრამ მთელ დღეს განუწყვეტლივ. დედაკაცობა უფრო დაბალი აგებულობის არის, პატარა პირით და ხელებით, ლოყა მოწითლო აქვთ, ცხვირი მოკლე, მხიარულ-მომცინარე სახეს მოკლებულია, ჯან-მთელი და მარჯვეა.

კვირა-უქმე დღეს რომ ნახოთ ეს მუშა-ხალხი, სრულებით ვერ იცნობთ; ისე გამოწყობილ-გამოკოხტავებულია, რომ იფიქრებთ ეს გლეხობა კი არა ქალაქის ბურჟუა არისო. ფეხებზე მოდის წაღები აცვია, ტანზე მაუდის, ან მინაგვარის შარვალი და სერთუკი (ან პიჯაკი), პერანგი არისტოკრატიული წმიდა საქონლის, რასაკვირველია გაკრახმალებული, თავზე ცილინდრი და ხელში ჯოხი (ავდარში ქოლგა)—ერთი სიტყვით ინგლისის ჯენტლმენს ჰგავს. ქალებიც მოდის ტანსაცმელშია გამოწყობილი. არ შეიძლება ქალმა ხელოვნურად გაილამაზოს პირისახე, წყლით და საპნით დაიბანს და ეს არის (უნდა შევნიშნოთ, რომ ქალაქის ქალებიც ამ წესს მისდევენ). ერთმანეთს ზრდილად და მოწიწებით ეპყრობიან, ლაპარაკში ხმაობენ „თქვენ“ და არა „შენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხს რომ უთხრა „შენ“, შეურაცხყოფად მიიღებს. „შენ“-ს გაიგონებ ცოლ-ქმართა და ბავშვთა შორის. ბავშვებს ფეხ-ტიტველთ და მიფლეთილ-მოფლეთილ ტანისამოსით ვერსად ვერ შეხვდებით. ყველა „პოლ-საპოტკებით“ და რიგიანი ბლუზა-შარვალით დადის. ბავშვები ცქვიტი და ზრდილია, თუმცა ულამაზო სახისაა.

ასეთია სოფელი და მისი მცხოვრებლები გარეგანის შეხედულებით. მიუახლოვდეთ კიდევ უფრო, შევიდეთ გლეხის სახლში.

სიმდიდრე-სილარიბის მხრით გლეხობა შეიძლება გაიყოს სამ რიგად. პირველი წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ გლეხის ბურჟუას. ეს გვარიან შეძლებულად ითვლება. მის ცხოვრების წყაროს შეიძლება შეადგენდეს ხერხის მაშინა, სადურგლო, ტყე, ან ველი, მიწა ბლომად, ათი-თორმეტი ძროხა, და ან სოფელში დუქანი. ყველა ეს ცალ-ცალკე აღებული იმდენ შემოსავალს იძლევა, რომ მისი პატრონი პირველი რიგის მქონებლად ჩაითვლება. მესამე რიგის არიან ის გლეხები, რომელნიც ყოველივე საკუთრებას მოკლებულნი არიან, არა აქვთ საკუთარი თავშესაფარი და სხვის, ნაქირავებ სახლში სცხოვრობენ, არა აქვთ საკუთარი მიწა-ადგილი და სხვის მიწაზე მუშაობენ. ამათ ისე უჭირთ ცხოვრება, რომ კომუნა აძლევს შემწეობას: სამუშაოს შოვნით, ფულით, შვილების გაზრდით, ტანისამოსით და სხ., ასე რომ ამით ესენიც ოლად იტანენ გაჭირვებას. დანარჩენი გლეხობა მეორე რიგისაში შეჰყვება. ესენი შუათანა შეძლებისაა. ამათ სა-

კუთარი სახლი და მიწა ცოტა აქვთ. ესენი შეადგენენ სოფლის დიდ უმრავლესობას. გლეხი—ბურჟუა და გლეხი—ბოგანო ძლიერ ცოტაა. მაგალითად, ს. ბრენტში, სადაც 45 მოსახლეა, 3—4 შეძლებული გლეხი სცხოვრობს და იმდენივე უსახლკარო. ამ უკანასკნელს ჩაცმა-დახურვით, რასაკვირველია, ვერ შეატყობთ სილატაკეს. საზოგადოდ შვეიცარიელი ¦ცდილობს თავისი ნაკლულევანება მიმალოს და საზოგადოებაში რიგიანად გამოვიდეს. ამ მხრით შვეიცარიელი ძალიან ჰგავს გურულს. პირველის და შუათანა შეძლების გლეხი დიდად არ განირჩევა შინაურ მორთვა-მოწყობილობაში. მხოლოდ პირველს უკეთესი სასმელ-საჭმელი აქვს, ვინემ მეორეს. არც მუშაობის მხრით არის ამათ შორის გარჩევა. ორივე გაბმულია მუშაობის უღელში (გარდა ვაჭრისა). რასაკვირველია, პირველის შრომა უფრო ნაყოფიერია, რადგანაც სამუშაო იარაღები კარგი აქვს. ერთ ჩემ ნაცნობს ხერხის მაშინა ჰქონდა და მუდამ თითონ მუშაობდა ზედ. ერთხელ ვკითხე:—თუ 16—20 ფრანკი შემოგდით დღეში, თქვენ რატომ მუშაობთ, იქირავეთ ვინმე და ის იქნება თქვენ მაგიერ.

— პირველად ამას მცოდნე კაცი უნდა, ყველა ვერ გააკეთებს ამ გვარ საქმეს, ამისთანა მუშაკი დღეში 5—6 ფრანკს მომთხოვს; მეორედ ვთქვათ, სხვა დავიჭირე, მე რაღა უნდა გავაკეთო? მუქთად ვიჯდე? ეს ხომ სიგიჟე იქნება!—მიპასუხა მან.

აი, ამ შეძლების გლეხი დილიდან საღამომდი ხერხზე მუშაობს, მისი ვაჟი ყანაშია, მისი ცოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვს მწყესავს საბალახოზე და რძეს ჰყიდის. ოჯახის არც ერთი წევრი მუქთად არ ზის, ყველას თავ-თავისი საქმე აქვს. შრომა—და გარჯა—ეს ყველასთვის ხელ-შეუხებელი მცნებაა.

სახლის ზემო სართული შედგება არა ნაკლებ 4-5 ოთახისა. თითოეულ წევრს ოჯახისას, გარდა ცოლ-ქმრისა და ბავშვებისა, მიჩენილი აქვს საკუთარი საწოლი ოთახი. აქ იშვიათია, ერთ ოთახში ორი კაცი იწვეს. საზოგადოდ ევროპაში ამნაირი წესია და გლეხობასაც, უეჭველია, ქალაქებიდან გადაულია. რაც უნდა დაბალი შეძლების გლეხი იყოს, თავის უმთავრეს მოვალეობად მიაჩნია ცხოვრების ქალაქურად მოწყობა. გლეხის ოთახში რომ შეხვიდეთ, ცოტა კიდევაც გაგიკვირდებათ. გეგონებათ, ვილაც ბურჟუას სახლში ხართ და არა უბრალო სოფლელისა. პირველად თქვენს ყურადღებას მიიპყრობს გადაჭარბებული სიწმინდე. არსად მტვერი და ნაგავი, აბა ერთი „ფინჩხაც“ აბ აგდია, სულ ყველაფერი დასუფთავებულ-დალაგებულია. ოთახი გვარიანი მოზდილია. იატაკი ხის აქვს, ჭერები თუმცა ხისაა, მაგრამ კირ-წყლით გალესილია ორი ვერშოკის სისქეზე და შემდეგ თეთრად არის შეღებილი. კედლები ქვისაა, რასაკვირველია, და „შპალერით“ მოქალალდებულია. ფანჯარა ორი, ან ერთი და დიდი, შიგ ბუხარს ვერ ხედავთ. აქ მოძრავი ბუხარი იციან, პატარა, ოთხ-კუთხი, თეთრი ქვით აშენებული, ლულა თუნუქისა აქვს, და თვითონ ბუხარი ოთხ პაწაწკინტელა გოგორაზე არის შემდგარი. ზაფხულში შეინახვენ, ზამთარში დადგამენ, სადაც საჭიროა. ზოგ,

ოთახში თუჯის „ფეჩი“ დგას. ათბობენ შეშით და ქვა-ნახშირით. ზოგ ალაგას მითხრეს, რომ ნახშირით გათბობა უფრო იაფად უჯდებათ, ვინემ შეშით. თუმცა შეშა ახლო აქვთ, თითქმის ტყეში ცხოვრობენ. მხოლოდ შეძლებულნი, ვისაც საკუთარი საშეშე აქვს შეშას ხმარობს, ბევრნი შეშას ქალაქში ყიდიან და ნახშირს ყიდულობენ. ოთახის ავეჯეულობას შეადგენენ: ორი-სამი უმცროს-უფროსი, გალაქულ გადაფარებული სტოლი, რამდენიმე ჩალის (ვენის) სკამი და ერთი-ორი სავარძელი, კუთხეში მიდგმული მალალი შკაფი ტანისამოსისთვის, იქვე 3-4 უჯრიანი „კამოდი“, ტახტი რკინის და წინ ხალიჩა დაგებული, გვერდზე, კედელზე, წმინდა ხალიჩა მიკრული, ხავერდით გაწყობილი დივანი, რომელზედაც პატარ-პატარა ბალიშები აწყვია. ტახტზე, საზოგადოდ, ქვეშაგები გაშლილია და ლამაზად მიწყობილი: ზევით არის შალის საბანი (ქარხანაში დამზადებული); ქვეშ აქვს ამოფარებული თეთრი ტილოს ზეწარი, შემდეგ კიდევ ზეწარი, სქელი მატყლის ლეიბი (ნალი) და სასთუმალთან ბალიშები თეთრი პირით გადაკრული. კედლებზე შეამჩნევთ ლურსმით მიმაგრებულ ფართო სარკეს და იქვე დაკიდულს კედლის საათს. ამგვარად აქვს გლეხს გაწყობილი ოთახი. ეს იმისთვის ჩვეულებრივი და მიუცილებელია. ის ყველაფერს მოიკლებს, მაგრამ სუფთა და რიგიან ბინას არასოდეს.

ერთი სტოლი დგას შუა ოთახში. გარეშემო სკამებია შემოწყობილი, ზედ დევს დიდი ლამპა და სათუთუნე კოლოფი ჩიბუხით (ყალიონია). შვეიცარიელი გლეხი პაპიროზის ქაღალდს ვერ ეწყობა, იმას პირში მუდამ ჩიბუხი აქვს. ჩიბუხი ლითონის, ან ხისგან არის გაკეთებული, ტარი მოკლე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილუნული-მოლუნული. თუთუნი კი ვერ არის კარგი. აქ ვერ მოდის რიგიანი თუთუნი, ისეთი რბილი გამოდის, რომ ასე გგონია, ხის გამხმარ ფოთოლს ვეწევიო. უცხოეთის თამბაქოს დიდი ბაჟი აქვს და გლეხისთვის ხელ-მიუწვდომელია. კედელთან მიდგმულია მეორე სტოლი, ზედ აწყვია საწერ-კალამი, ქაღალდი და წიგნები; წიგნები ყოველგვარია. გლეხს მიუცილებელ საჭიროდ მიაჩნია კანონის წიგნი. კანონები შესახებ გლეხის და მისი მოქმედებისა ერთად არის შეგროვილი და ცალკე წიგნაკად დასტამბული. ყველა მუხლი ახსნილი და განმარტებულია საყოველთაოდ გასაგებად. გლეხის წიგნთ-საცავის უპირველეს წიგნს ეს შეადგენს. იშვიათად იპოვით იმისთანა გლეხს, რომელმაც არ იცოდეს ყოველივე წვლილი სასოფლო და საკანტონო დაწესებულებებისა, როგორც საადმინისტრაციო, ისე სამოქალაქო. სად რა საქმეები კეთდება, რომელი მოხელე რა უფლებით არის აღჭურვილი, თითონ გლეხს რა ალაგი უჭირავს საზოგადოებაში, რა შეუძლიათ მოსთხოვონ მას და რა არა, რა წესს ექვემდებარება კომუნის სამმართველო და სხვა ამისთანა კითხვები გლეხისთვის ნათელით მოცული და გარკვეულია. ჩემს სახლის პატრონს ვკითხე—რამდენს იხდის გლეხი წელიწადში ბეგარას?

—ამის გამოთვლა ცოტა ძნელია, რადგანაც ყველას თანასწორად არ ახდევინებენ; მე გათხოვებ ერთ წიგნს და თქვენ თვითონ გამოიანგარიშებთ საშუალო რიცხვს—მიპასუხა მოსაუბრემ. შემდეგ შევიდა თავის ოთახში და ერთი მოსქო წიგნი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია, რომელშიაც, სხვათა შორის, აღნუსხული იყო ყოველივე შემოსავალ-გასავალი კომუნის და კანტონისა; მოყვანილი იყო ქალაქთა და სოფელთა მცხოვრებთა რიცხვი და დაყოფილი რიგ-რიგად თანახმად შეძლებისა და საზოგადო მოთხოვნილებებისა. —აი, ეს არის ჩვენი კანონ-მდებლობის წიგნი, განაგრძო მან, კიდევ მაქვს ამაზედ უფრო შემოკლებულად დაბეჭდილი წიგნაკი, რომელსაც სოფლის შკოლებშიაც ასწავლიან ბავშვებს.

გარდა ამ საჭირო წიგნისა გლეხის ოთახში ნახავთ შვეიცარიის მოკლე ისტორიას. ძნელი წარმოსადგენია ის, თუ რანაირად უყვარს შვეიცარიელს თავის ქვეყნის ისტორია. ერთ თვეს რომ გესაუბროს, ისტორიული ამბები არ დაელევა. ის კიდევაც ამაყობს თავის ისტორიით.—როგორ არ არის გასაკვირალი, რომ ასე პატარა ქვეყანამ ვეშაპ სახელმწიფოთა შორის თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეინახა?—მითხრა ერთმა შვეიცარიელმა. ამისთვის იშვიათად იპოვით იმისთანა გლეხს, რომელმაც არ იცოდეს შვეიცარიის დაარსების ამბავი. ერთმა მიჩვენა სურათი, რომელიც წარმოადგენდა ტყეს და სამ კაცს: ორ თეთო წვერას ერთმანეთისთვის მიუცია ხელი და მესამე ახალგაზდა შუაში ჩაუყენებიათ.

—რა არის ეს? ვკითხე.—ეს სამი კაცი არის-სამი კანტონი: შვიც, ური და უნტერვალდენი, რომელნიც პირველად (1291 წ.) შეერთდენ და ჩაჰყარეს საფუძველი დღევანდელი შვეიცარიისა.—ამიხსნა მანვე. ისიც უნდა ითქვას, რომ ვერსად ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც პროვინციალური პატრიოტიზმი ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს განვითარებული, როგორც აქ. ყველას თავისი კანტონი მოსწონს და სხვა კანტონზე მაღლა აყენებს. კანტონთა შორის საშინელი ჯიბრი და ბაძვაა გამართული; თითოეული მათგანი ცდილობს რაიმე იმისთანა შემოიღოს, რომ სხვებისთვის სამაგალითოდ დარჩეს. მაგრამ ამავე დროს უცხოელის წინაშე შვეიცარია აკერიათ პირზე და არა კანტონი. არას დროს გლეხი არ გეტყვის ამა და ამ კანტონის ვარ, თუ პირდაპირ არ ჰკითხეთ კანტონი. ის ყოველთვის ამპარტავნულად იტყვის: „მე შვეიცარიელი ვარო“. მისი აზრით შვეიცარიისთანა ქვეყანა მთელ ხმელეთზე არ არის.

გლეხს უყვარს აგრეთვე გეოგრაფია, სხვა-და-სხვა ქვეყნის აწერა. ამის მიზეზი ერთმა ასე ამიხსნა —ჩვენთვის ყველაზე უფრო ეს არის საჭირო: მივდივართ-მოვდივართ, სამუშაოს დავეძებთ; ბერლინი და პარიჟი სად არის თუ აღარ ვიცი, აბა, რაღა კაცი უნდა ვიყო.—მართლაც შვეიცარიელი ბევრს მოგზაურობს სხვა-და-სხვა ქვეყნებში ფულის საშოვრად. ამისთვის ხშირად შეხვდებით გლეხს ორ-სამ ენაზე მოლაპარაკეს.

გარდა ამაებისა გლეხის წიგნთ-საცავშია: ანგარიშის წიგნი, სახარება, გაზეთების ახალი ნომრები და სხ. საკვირველია, რომ ლექსთა კრებულს და მოთხრობა-რომანებს გლეხი არ ეტანება. ლექსის მას არაფერი გაეგება. პოეტებიც კი იშვიათია. ქ. ჟენევაში მხოლოდ ერთი კაცი სწერს ლექსებს. გლეხი მელექსე სანთლით საძებარია. გლეხის აზრით ლექსის მწერალი განათლებული, ქალაქის კაცი უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის სიმღერებშიაც ნაკლებად ვაიგონებთ ხალხურ მოტივებს. სოფლელის სიმღერას რომ უყუროთ, გეგონებათ თეატრში ვარ და ოპერას ვუსმენო. ერთი სიტყვით სოფელი თანდათან უახლოვდება ქალაქს...

III

შვეიცარიელ გლეხს თავის ცხოვრება სასწორივით აქვს აწყობილი. მას წინდაწინ გამოანგარიშებული აქვს მთელის წლის შემოსავალ-გასავალი. თანახმად ამისა ცხოვრების ყოველივე წვლილი სისტემატიური წეს-რიგით მოცულია. შემთხვევებს, ნახტომებს აქ ადგილი არა აქვს. გლეხმა იცის წლის განმავლობაში რამდენ გირვანქა პურს შეჭამს, რამდენ კართოფილს, ხორცს, რძეს და სხ. ეს იმას კარგად აქვს გამოკვლეულ-გამოანგარიშებული. ხელში უჭირავს შემოსავლის ჯამი და შემდეგ ამისდა გვარად ზომავს ოჯახის მოთხოვნილებას. ამისათვის არ შეიძლება ერთ დღეს იმდენი დახარჯოს, რამდენიც ორი დღისათვის აქვს გადადებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე დღეს ნახევრად მშიერი უნდა დარჩეს. მეჯლიშები, მიპატიჟ-მოპატიჟება, რასკვირველია, იშვიათია. ყველა თავისთვის ცხოვრობს, თავის ოჯიხში შეექცევა ლუკმა-პურს. ჩვენებურ მეზობლურ დამოკიდებულებას აქ ვერც კი წარმოიდგენენ. სადილობის დროს რომ ესტუმროთ გლეხს, უსადილოთ დარჩებით, რადგან სწორედ იმდენი ექნება დამზადებული, რამდენიც ოჯახის წევრისათვის არის საკმარ, მეტი საჭმელი იშვიათად დარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩება. არა ჩვეულებრივის ხარჯის გაწევა იციან მხოლოდ ქორწილზე და ნათვლაზე. ამ დროს წვეულთა რიცხვი 10—15-ს არ ასცილდება. თითქმის ყველა ნათესავ-მოყვარეა. ხშირად მინახავს ამგვარი წვეულება და არც ერთზე კარის მეზობელი არ იყო მიპატიჟებული. ეს ზედ-მეჯი ხარჯი მძიმე ულლად აწევს ოჯახს. აქ ფულის შოვნა შემთხვევით, ან რაიმე ხერხით შეუძლებელია. უთუოდ თავის შრომით უნდა შეიძინოთ, სხვა სახსარი არა არის რა. ამისათვის არა ჩვეულებრივი წვეულების გასამართავად გლეხი დიდი ხნით ემზადება: ან შრომას და ჯაფას აორკეცებს, ან ჩვეულებრივ გასავალს ცოტ-ცოტას აკლებს. როცა დაინახავს, რომ საკმაო ჯამი შედგა, მაშინ მოიხმარს დანიშნულებისამებრ. ვალის აღება გლეხს არ უყვარს, ყოველივე ღონისძიებას ხმარობს, ამას გზა აუქციოს, რადგანაც კარგად იცის, რომ გადახდა გაუძნელდება (თუმცა ფულის სარგებელი 4—5% არ აღემატება). თუ მეზობელს მეზობელი გაუმასპინძლდა, სამაგიერო უნდა იქნას გადახდილი. თავის შრომით ცხოვრება ისე აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ვერც კი წარმოიდგენენ, თუ რატომ მუქთად აჭამონ ერთმანეთს. თითოეული თავისთვის შრომობს და თავისთვის სცხოვრობს.

შვეიცარიაში, საზოგადოდ, დღეში სამჯერ იკვებებიან: დილას საუზმე, შუადღეზე სადილი და სალამოს, 7 საათზე ვახშამი. ამ წესს მტკიცედ ასრულებს როგორც ქალაქი, ისე სოფელი. გლეხის სამზარეულოს წარმოადგენს ერთი მოზრდილი ოთახი, აგურით მოფენილი, იმავე სართულზე, სადაც თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან სცხოვრობს. სამზარეულოში სდგას საჭმლის საკეთებელი გრძელი აგურის ბუხარი, ანუ, როგორც ჩვენში უწოდებენ, „ბლიტა“. ქვაბები სპილენძის და თუჯისაა და შენახულია განსაკუთრებითი უჯრებში, ასე რომ ნასადილევს სამზარეულოში ვერავითარ ჭურჭლებს ვერ ხედავთ. შუაზე არის სტოლი სკამებით შემოწყობილი, სტოლის უჯრებში დანა-ჩანგლები აწყვია. საზოგადოდ სამზარეულოში ყურადღებას იქცევს მეტის-მეტი სისუფთავე, ასე გგონია სასტუმრო ოთახია. ვერსად ჭუჭყიან რასმეს ვერ დაინახავ, ყველაფერი მიწმენდილ-მილაგებულია. აქავე არის წყალი, მილით გამოყვანილი (არა ყოველ ოჯახში), ამასთანავე მოწყობილია წყლის გადასაღვრელი ალაგი. ფანჯარასთან ქვის დაზგაა მიკრული, ცოტა ამოლრმავებულია, დაზგიდან წაყვანილია მილი მიწაში ბ ერთვის საზოგადო სასოფლო მილს. ქუჩაში აკრძალულია წყლის გადაღვრა და ნაგვის გატანა. ნაგავს აგროვებენ და შემდეგ სოფელს გარეთ გაატანთ, თუ ნაგავში საჭმლის ნარჩენები ურევია, ბოსტანში ან ვენახში—ყრიან. სადილის დროს ოთ შეხვიდეთ სამზარეულოში. აი, რას დაინახავთ: სტოლი გადაფარებულია თეთრი ტილოთი, გარშემო შემომსხდარია ოჯახის ყველა წევრი და თითოეულს უდევს წინ დანა-ჩანგალი, კოვზი, ჭიქა, საინი და ხელსახოცი. პატარა ბავშვები წამოსკუპულია მაღალ, მათთვის საგანგებოთ გაკეთებულ სკამებზე. ყოველნაირი საჭმელია, გარდა ხორცისა: კარტოფილი, რასაც ისე სხვა-და-სხვა გვარად ამზადებენ, რომ გამოცნობაც გაგიჭირდებათ, ლობიო, ფხალეულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვენი, რძით შეზავებული ვერმიშელი, ღვინო, პურ-
რი და სხ. ხორცს მხოლოდ კვირაობით სჭამენ. ქა-
თამი თითქმის სრულებით არ არის ხმარებაში. ამის
მიზეზი, რასაკირველია, სიძვირეა (მაგ. ერთი ქათა-
მი $2^1/_2$ ფრ. ანუ ერთი მანეთი ღირს). ყველა ოჯახი ვერ
გაიჩენს შინაურ ფრინველებს, შენახვა ბევრ ხარჯს
მოითხოვს. როგორც ქვევით დავინახავთ ოჯახთა შო-
რის ისეა განაწილებული შრომა, რომ თითოეული
ერთ რასმე საქმეს აკეთებს და ამით ირჩენს თავს. გი-
რვანქა ხორცი სამ აბაზად იყიდება. შაბათობით
იკვლება საკლავი და კვირისათვის გლეხებს მიაქვთ
თითო გირვანქა ან ცოტა მეტი. ღვინოს დაბალ-
ხარისხისას წყალ-ნარევს ხმაროობენ. პურს სახლში
არ აცხობენ, დუქანში ყიდულობენ. ჩაის სრულე-
ბით არა სმენ, სამაგიეროთ ყავა რძით დიდ ხმარე-
ბაშია. საზოგადოდ ევროპაში ჩაის იშვიათად ნა-
ხავთ, სამოვარს ხომ სრულებით ვერსად. არსად იმ-
დენი რძე არ იხარჯვის, რამდენიც შვეიცარიაში. რძე
აქ ძლიერ იაფია (ვერმუდის ბოთლი 20 სანტიმი).
გლეხის ოჯახი საშუალო რიცხვით დღეში ორ ბოთლს
რძეს ხარჯავს, ყველს ნაკლებად სჭამენ, მარტო ყვე-
ლით არასოდეს არ დაკმაყოფილდებიან სადილზე.
ამასთანავე ძლიერ ეტანებიან ერბოს, როგორც
საჭმლის შემზადებისათვის, ისე პურთან შესატანებ-
ლად (მეტადრე ყავასთან). კვერცხი იშვიათია, თორ-
მეტი ორი აბაზი ღირს. ხილეულობა აქ ერთობ
ბევრია. ამისთვის ნაირ-ნაირ მურაბებს და სხვა ტკბილ
საჭმელებს ხშირად შეხვდებით გლეხის ოჯახში. ხან-
დახან ღვინის მაგიერ ლუდს და არაყს სმენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ჩამოთვლილ სასმელ-საჭმელიდან შეიძლება ერთი მესამედი ოჯახის მიერ იყოს მომუშავებული, დანარჩენი ორი წილი უთუოდ ნაყიდია. ამას მიუმატეთ კიდევ სხვა მრავალგვარი მოთხოვნილება და ნათლად წარმოგიდგებათ, რამოდენა ფული უნდა ტრიალებდეს გლეხობაში. უფულოდ ერთ დღესაც ვერ დააღამებს გლეხი, ყოველთვის და ყოველგან ფული უნდა ხარჯოს, უამისოდ ერთ სადილსაც ვერ შესჭამს. საიდან უნდა აიღოს ამდენი ფული? ცხადია თავის შრომიდან, ე. ი. მისი ნამუშევარი ბაზარზე უნდა იქნას გამოტანილი და გაყიდული. ამისთვის ის აკეთებს იმისთანა საქონელს, რაც სხვისთვის არის საჭირო, რისთვისაც ფასს გამოიღებენ. ამ გვარად, გლეხის მიზანია ფულის შეძენა, ე. ი. მისს პირდაპირ მოთხოვნილებას ფული შეადგენს;— ამ მიზნის მისაღწევად ის აწარმოებს იმისთანა რამეს, რაც სხვის პირდაპირ მოთხოვნილებას შეადგენს და არა მისას. თავის ნამუშევარიდან ის სტოვებს ოჯახის საჭიროებისათვის ძლიერ ცოტას, ან სულ არაფერს, დანარჩენს ჰყიდის. რადგანაც ყველა გასასყიდ საქონელს ამზადებს, აშკარაა ვინმე უნდა ყიდულობდეს. ვინ არის მყიდველი? პირველად თვითვე მაწარმოებელნი, მეორედ ქალაქში მცხოვრებნი. ამნაირად გლეხის ნაწარმოებს ბაზარი აქვს სოფელში და ქალაქში. რა ნაირად არის ეს მოწყობილი? აი ამაზედ მოვილაპარაკებთ.

გლეხის უმთავრესს საზრუნავს ბოსტნის მოშენება შეადგენს. ხშირია იმისთანა ოჯახი, რომელიც ნახევარი ქცევა მიწით გვარიანად ირჩენს თავს. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სივრცეზე ის ბოსტანს აკეთებს, და ეს საქმე ისე მიჰყავს, რომ მთელის წლის განმავლობაში მიწა ცალიერი არ რჩება; თანახმად ჰავის ცვლილებისა იცვლება თვით მოსავალიც. რაც ზაფხულობით მოდის, ზამთარში არ ხეირობს. ამისთვის იმავე ალაგს სხვას რასმე სთესს და ასე წლის გასვლამდე ერთ და იმავე ნაჭერ მიწაზე სამი-ოთხი მოსავალი მოდის. საბოსტნო ადგილი უმთავრეს შემთხვევაში, სოფელში, ან სოფლის განაპირას არის; აქ თქვენ ყურადღებას მიიქცევს სივრცის ვიწროობა, ნახევარ ქცევას არც ერთი არ წასცილდება. ეს პატარა სივრცე დაჭრილია რამდენიმე ნაჭრებად, ნაჭრებს შორის ნიაღვრისთვის კვალია გაყვანილი. უამისოდ ცოტა წვიმაც საკმარისია, რომ ყველაფერი ჩარეცხოს (ნუ დაივიწყებთ წინეთ ნათქვამს: სოფელი მთაგორაზეა გაშლილი). თითოეულ ნაჭერს სხვადა-სხვა ნაირად ამზადებენ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სად რა უნდა დაითესოს. განსაკუთრებით ყურადღება მიქცეულია მიწის გასუქებაზე. მიწას ისე გამოცლილი აქვს ნოყიერება, რომ უსასუქოთ აღარაფერს იძლევა. გაზაფხულზე რომ ბოსტანში ჩახვიდეთ, მიწიდან ფეხებს ველარ ამოიღებთ, იმდენი ნაკელი ყრია. ბარის შემწეობით მიწა და სასუქი ერთმანეთშია არეული. საბოსტნო ბარი ჩვენებურს არ გავს. რკინის ორ-თითი წამოგებულია ხის ტარზე და თოხივით სცემენ მიწას. აქაური რბილი ნიადაგის დასაბარავათ ეს საკმარისია. როცა მიწა და სასუქი კარგად შეზავდება, ცოტას დააცდიან, რომ მოშრეს და შემდეგ დაიწყებენ თეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვას. ყველაზე უფრო ფართო ნაჭერი მიწისა კარ-
თოფილისათვის არის გადადებული, შემდეგ მოდის
ლობიო, ფხალეულობა, კიტრი და მწვანილეულობა:
სტაფილო, ხახვი, წიწმატი, ბოლოკი და სხ. ამათი
მოვლა და ხელის შეწყობა დაუსრულებელი შრო-
მაა. დედა-კაცი ჩავა თავის ბაღჩაში, გაშლის გრძელ
ტარიანს და ფართო ქოლგას (მზეში ან წვიმაში),
შეძვრება ქვეშ და მთელ დღეს ფეხს არ იცვლის.
კაცს უკვირს ამდენხანს ამ ერთ ალაგას რას აკეთებ-
სო. მიდიხართ და უცქერით: ყოველ მცენარის
ძირს ხელს ახებს, გაასწორ-მიასწორებს, ცუდ ავად-
მყოფ ფურცელს ართმევს, ბალახ-ბულახს გლეჯს
და სხ. ისეთ წვრილმან რამეზე შრომობს, რომ
შემჩნევაც ძნელია. მუდმივი ცდის და გარჯის შე-
დეგი ის არის, რომ ძალიან ბევრი ნაყოფი მოდის.
ერთ ბეწო ადგილზე რამოდენსამე გოდორს კიტრს
დაკრეფენ, მწვანილეულობას მუდამ ეზიდებიან და მუ-
დამ გამოულეველია, ამას ბოლო აღარ აქვს. მოკ-
რეფაც ერთ ხელობას შეადგენს. ვინც ბევრს დაკ-
რეფს და ბოსტანს არ დაჩნდება—აი ის არის ოსტა-
ტი. ამაში ისე არიან განვითარებულნი, რომ შო-
რიდანვე ცნობილობენ რომელი ძირი უნდა მოიგლი-
ჯოს და რომელი არა. აქა-იქ ბოსტანში შეხვდე-
ბით შუშა-ბანდს და შიგ სხვა-და-სხვა ნაირი მცე-
ნარეებია. განსაკუთრებით შუშაბანდში მოჰყავთ ის,
რაც ბუნებრივ სითბო-სიცხეში არ მოდის, მაგა-
ლითად ზამთარში კიტრი და ყვავილები, რომელიც
ზაფხულში მეტი სიცხე-მტვრისაგან ფუჭდება. ამას
გარდა შეიძლება ბოსტანში იყოს ცოტა ხილეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა: მსხალი, ვაშლი და ან ერთი-ორი ვაზი. ხშირად მინახავს ყურძნის მტევანი რკინის ბადეში გახვეული, სეტყვა ვერას დააკლებსო.

სხვის მიწაზე რამე ნაყოფის მოგლეჯა სასტიკად აკრძალულია; კანონით დამნაშავე სამართალში მიეცემა და ჯარიმა გადახდება. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ყოველი ნაყოფი ფულს წარმოადგენს; გინდ ერთი ვაშლი მოგიპარავს და გინდ თანაბარი ფული, ყველაფერი ფულით იზომება. დღევანდელი ბოლოკი, ხვალ ფულად ქცეული, უბრუნდება პატრონს. როგორ ხდება ეს?

როგორც ვთქვით, ყველა ერთ და იმავე საქმეს არ მისდევს, ერთი ერთს მუშაობს, მეორე მეორეს. მებოსტნეს შეიძლება ვენახი არ ჰქონდეს, მევენახეს ყანა, მეყანეს ძროხა არ ყავდეს და სხ. ერთი სიტყვით, თითოეული ხელს ჰკიდებს იმას, რაც მას ემარჯვება და ეხერხება. ერთ საქმეში უფრო დახელოვნდება კაცი, ვინემ მრავალში. გლეხობას ეს კარგად აქვს შეგნებული. შრომის განაწილება იქამდის არის მისული, რომ ზოგს მარტო კართოფილი მოჰყავს და ამით ირჩენს თავს. გლეხს თავისი ნაწარმოები გამოაქვს გასასყიდათ თავისავე სოფელში, ან მახლობელ ქალაქში. სოფელში ისე კი არ არის, რომ მეზობელი მეზობლიდან ჰყიდულობდეს, არამედ გამართულია საწყობი ალაგი, და გამყიდველი იქ აწყობს, მყიდველიც იქ ყიდულობს. ქალაქში კი თითონ გლეხს მიაქვს გასასყიდათ. ფასი სოფელში, ე. ი. ადგილობრივად, და ქალაქში ერთი და იგივეა. ერთ მიუვალ ალაგს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაზე, გლეხი ალუბალს ჭკრეფდა. ყიდვა მსურდა და ფასს შევეკითხე; სწორედ ისე დამიფასა, როგორც ქალაქებში იყიდება. როცა ამის მიზეზი ვკითხე, ასე მიპასუხა:—ქალაქში ჩატანა არაფრად გვიჯდება, რამოდენიმე ფუთს ერთად წავიღებ, ამავე დღეს გავყიდი და შინ დავბრუნდებიო. მართლაც ქალაქები ისე ახლო-ახლოა გაშენებული, რომ სოფელი ადვილად სწვდება. ყველაზე უფრო მივარდნილი სოფელი ქალაქიდან 4—5 ვერსის დაშორებით იქნება. მიმოსვლა გაადვილებულია შვენიერი ფართო შარა-გზებით და მატარებლებით. თუ სოფელი დაბალზედ არის დაფენილი (როგორც მაგ. ჟენევის ახლო-მახლოს) უთუოდ ქალაქთან რკინის გზით არის შეერთებული. ქალაქებს შორის, რაც უნდა პატარა იყვენ, რკინის გზა და „ელექტრიკა“ (ე. ი. როგორც ჩვენში ცხენის რკინის გზაა, იმ გარჩევით, რომ ვაგონები ელექტრონის ძალას მიჰყავს და არა ცხენს) დადის. მოგზაურობა მეტად იაფად (გზების შესახებ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ შემდეგ). გლეხს თუ ერთ ალაგს არ დაუჯდა ბაზარი, მეორე ქალაქში მიდის და იქ ასალებს თავის ნაწარმოებს. ისიც შეიძლება, რომ უცებ მუშტარი ვერ იშოვა, ფული კი სჭირია: ამ შემთხვევაში საქონელს უტოვებს ნაცნობ მედუქნეს და ცოტა ფულს ართმევს, რამდენსამე დღეს შემდეგ ბრუნდება და დანარჩენი ფულიც მიაქვს, რადგანაც ამ ხანში გაიყიდებოდა. რასაკვირველია აქაური მედუქნე ჩვენებურს არ ჰგავს. ფასის მოკლებ-მომატება, მოტყუება და წაგლეჯა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება. რა ფასიც ბაზარზე არის, იმას არც მედუქნე გადააცილებს, მისი ერთი სიტყვა ბეჭედია. საქონელი თუმნად რომ დაგიფასოს, შეიძლება ერთი აბაზი დაგიკლოს, მეტს არასოდეს. ამისათვის არც გლეხი რჩება მოტყუებული. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ გლეხის მოტყუება ერთობ ძნელია; ანგარიში, ბაზრის ვითარება, ფასის აწევ-დაწევა მას ისე გაეგება, როგორც მედუქნეს. გლეხს მუდამ ქალაქთან აქვს საქმე, მუდამ რასმე ყიდის, ყიდულობს. უქალაქოდ მისი ცხოვრება წარმოუდგენელია. ამას გარდა ქალაქებში არის იმისთანა დაწესებულება, სადაც მეურნე პოულობს თავშესაფარს. აქ ყოველნაირი საზოგადოებებია. მაგ. საზოგადოება ღვინის მწარმოებელთა, მებაღეთა, პირუტყვის მომშენებელთა და სხ. თითოეულ ამათგანს საკუთარი საწყობი აქვს გამართული, მეურნე იქ სტოვებს გასასყიდ საქონელს, საიდანაც ღებულობს ბეს და დანარჩენში ბარათს აღნიშვნით: დატოვებულია თქვენი ამდენი-და-ამდენი საქონელი, ამა-და-ამ მაზანდაზე გასასყიდათ და სხ. ამით სარგებლობს საზოგადოების არა წევრიც. მესამედ, გლეხი ასალებს თავის ნაწარმოებს კიდევ სხვა გზით. ყოველ ქალაქში კვირაში ორჯელ (შაბათობით და ოთხშაბათობით) იმართება ბაზრობა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობისთვის. თითქმის მთელი ბაზარი გავსებულია სოფლიდან ჩამოტანილი ნამუშევრით. მყიდველიც ამ დღეს უცდის.

ამ გვარად მეურნეს ბაზარი ყოველთვის აქვს; სყიდვა-გასყიდვა ძალიან გაადვილებულია. მან კარგად იცის გაუყიდველი არაფერი დარჩება, ოღონდ კი ჰქონდეს რამე. გლეხი მთელი წლის განმავლობაში ბოსტნეულობას ზიდავს ქალაქში; ამას დასასრული აღარ აქვს. ძნელი წარმოსადგენია, რამდენიფული უნდა აიღოს პაწია ნაჭერი ადგილით.

რის მოშენებას მისდევენ კიდევ თვით სოფელში?

რამდენიც უნდა იმოგზაუროთ სოფელში, ვერსად ვერ დაინახავთ შინაურ ფრინველებს, ღორს, ძროხას და სხ. თავის თავს ეკითხებით, ნუ თუ ამოდენა ხალხს ერთი წიწილაც არ მოეძებნებაო. მაგრამ თუ იკითხავთ, გაიგებთ, რომ ყველაფერი მოიპოვება, მხოლოდ ქუჩებში არ უშვებენ, რადგანაც ეს აკრძალულია, და ამასთანავე არც პატრონისთვის არის სასარგებლო. აქაც, როგორც ყველგან, შრომის განაწილება არსებობს. მაგალითად, მთელს სოფელში ქათმის მოშენებას შეიძლება ერთი, ან ორი ოჯახი მისდევდეს, დანარჩენთ ერთი ბუდეც არ უდგიათ. მექათმე თავის საქმის მეტს არას აკეთებს, ამაზედ არის ის გადამკვდარი. ყოველივე მანქანა, რაც კი საჭიროა მისთვის, ნაყიდი აქვს, ტეხნიკის უკანასკნელი გამოგონებით მუშაობს. ზამთარ-ზაფხულ ქათმები დამწყვდეულია საგანგებოდ აშენებულ სახლში; აქ არის აგრეთვე ინდაური, ბატი, იხვი და სხ. თითოეულ ჯიშს საკუთარი ბინა აქვს მიჩენილი და თითოეული ბინა სხვა და სხვანაირად არის მოწყობილი. უმთავრესი ყურადღება მიქცეულია იმაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ რაც შეიძლება პატრონმა ბევრი კვერცხი მიიღოს. გამოსაჩეკად ქათამს არავინ მოაცლის; ამ შემთხვევაში ქათმის მაგიერობას გამოსაჩეკი მაშინა ასრულებს. ამ ხელ-საწყოს წყალობით წიწილები ხელოვნურად, უდედლოდ, იჩეკება. გასასყიდ ქათამს ერთობ ასუქებენ, ამისთვის მუდამ ერთ ალაგს ამწყვდევია. შინაურ ფრინველებს სოფელში არა აქვს ბაზარი, ის გლეხისთვის ხელ-მიუწდომელია. ქალაქის ბაზრობაზე ჯოგივით მორეკენ ინდოურს, ბატს და სხ. ქათამს დაკლულს ყიდიან. ამას მიუმატეთ კვერცხი და ბუმბულები, და მართლაც კარგი ჯამი შესდგება. ფრინველების კვება ძალიან ძვირად უჯდებათ. ამისთვის რომ სიმინდი იტალიიდან მიაქვთ. აქ სიმინდს არ სთესენ. ერთ გლეხს ვკითხე, რატომ ქათამი არ გაგიჩენიათ? ჩვენში უქათმო ოჯახს ვერც კი ნახავთ-მეთქი. ამაზე იმან მიპასუხა: ვის შეუძლია ქათმის მოვლა და რჩენა? ყიდვა უფრო იაფად მიჯდება, ვინემ სახლში დაჭერა. თქვენში შეიძლება საკვები ბევრი იყოსო...

ამას გარდა, სოფელში ღორის და ძროხის მოშენებასაც ეტანებიან. აქაური ღორი ინგლისურის ჯიშისაა: თხელი კანი, თეთრი ბეწვებით შემოსილი და მოკლე ფეხებიანი. საღორე ისეთნაირად არის აშენებული, რომ ადამიანთა სადგომი გეგონებათ. ერთ ოჯახს ვიცნობდი, რომელსაც ღორები ჰყავდა და ამით თავს ირჩენდა. როცა მითხრა, რომ სულ ოთხი ღორი მყავსო, ძლიერ გამიკვირდა და ვკითხე, —განა ამაში ჰკარგავთ დროს? მე მეგონა ღორის ჯოგი გყავდათ. ამაზე მან მიპასუხა, რომ ღორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოგი არავის ჰყავს და არც კი გაუგონიათ. ... ვისმე 8—10 სული მოეძებნება, ის მდიდართა რიცხვში ითვლება. მაგრამ ეს იშვიათია. ჩვეულებრივათ ორი, სამი, ოთხი, მეტი არა. როგორც მან მიამბო, თითო ღორი 11—13 გოჭს იძლევა, ათს იშვიათად. როგორც კი დაიბადება გოჭი, მაშინვე მყიდველი მოდის, თითოში აძლევს 10—15 ფრანკს (4—6 მან.) და მიჰყავს. ხშირად წინდაწინ აძლევდენ ბეს, ამა-და-ამ ღორის გოჭი მე მომყიდეო. ზოგ გოჭს ზრდიდა და შემდეგ ყიდდა, გაზრდა ბევრს ხარჯს თხოულობს. მუდამ საჭმელს აძლევენ, წლის გასვლამდი ისე სუქდება, რომ სიარული ალარ შეუძლია, თვალის ქუთუთოებზე ქონი ედება და თვალს ეფარება, საჭმელს სანამ ცხვირთან არ მიუტანენ, ვერ დაინახავს. როცა ღორი ჭამას თავს დაანებებს, მაშინ ცდილობენ გაყიდვას, თორემ სისუქნე დაიკლებს. ყიდიან წონით; საღორის ერთი განყოფილების იატაკი სასწორსაც წარმოადგენს, შერეკენ, ასწონიან ცოცხლათ და მუშტარიც ამისდაგვარად ყიდულობს. ამნაირი ღორი იწონის არა ნაკლებ 7—9 ფუთისა და იყიდება 70—90 ფრანკათ. ძალიან გავკვირდი, როცა პატრონმა მითხრა: ამდენი ხანია ღორს ვაშენებ და ვყიდი, მე კი ორჯერ მეტად არ მიჭამია ღორის ხორცი...

შვეიცარიის ადგილ-მდებარეობა ხელს უწყობს მსხვილ ფეხა პირუტყვის გამრავლებას. აქაური მიწა-ადგილი შეიძლება სამად დაიყოს: მაღალზე საბალახოა და საქონელი იკვებება, იმას ქვევით, გორების კალთებზე, ვენახია გაშენებული. სულ დაბლა პურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთესავენ. პირველი რიგის ადგილი ორ წილს შეადგენს, ამისთვის პირუტყვის მოშენების საქმეს ულმთავრესი ალაგი უჭირავს ერის მეურნეობაში. განსაკუთრებით ძროხის გამრავლებას მისდევენ, ხარი იშვიათი სანახავია. ძროხას თუ სახარე ხბო (მოზვერი) ეყოლა, აღარ შეარჩენენ, რამდენსამე დღეს შემდეგ დაკლავენ და ჰყიდიან. საკლავი საქონელი იტალიიდან მიჰყავთ, ეს უფრო იაფად ჯდება. სახნავ-სათესში, რამე-რუმეების გადასატანად ხმაროგენ ცხენს და არა ხარს. სამაგიეროდ შვეიცარიელი ძროხა და ყველი მთელ ხმელეთზე განთქმულია. აქაური ძროხის სიტანადე, სილამაზე, ჯიქნის სიდიდე უნებურად იქცევს ადამიანის ყურადღებას; გსურთ, მუდამ უცქიროთ და დასტკბეთ ამ საუცხრვო ცხოველით. ასე გგონიათ, კაცის ხელით არის ჩამოსხმულიო: რომ იტყვიან დახატულიაო, სწორედ ეს არის. ჯიქანი დიდი ქვაბისოდენა აქვს, ერთ მოწველაზე 8—10 ბოთლ რძეს იძლევა. ჯოგად ყოლა აქ არ იციან, თუ ვისმე ათი სული ძროხა ჰყავს, ის თითით საჩვენებელია, ჩვეულებრივად ჰყავთ ერთი ან ორი. შეიძლება ყველის ქარხანას ჰყავდეს 5—10 სული, კერძო კაცს და მით უფრო გლეხს არასოდეს. ზაფხულში, როცა ძროხა საბალახოზე არის, რძე და ყველი დაძვირდება, ეს გრძელდება ორი თვე; შემდეგ ჩამორეკენ სოფლად და დანარჩენ ათ თვეს კარ-ჩაკეტილში ინახავენ. წველენ უხბოდ. არც ერთს სახელმწიფოში იმდენი რძე არ იხარჯვის, რამდენიც შვეიცარიაში. სოფელში და ქალაქში რძეს ისე ხმაროობენ, როგორც მაგ. ჩაის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში. რაკი ამოდენა მოთხოვნილებაა, რძის ალებ-მიმცემობაც რიგიანად არის მომართული. ყოველ სოფელშია საწყობი (სარძევე), სადაც მთელი სოფლის რძეს აგროვებენ. ზოგი ნაწილი იქავე იყიდება (გლეხს ხომ ყველას არ ჰყავს ძროხა), და ზოგსაც განსაკუთრებითი ჭურჭლებით და ეტლით ეზიდებიან ქალაქში. ყალბი რძის გაყიდვა სასტიკად აკრძალულია; დამნაშავეს პირველად დააჯარიმებენ; მეორედ კი სრულიად აუკრძალავენ ვაჭრობას. ძროხის პატრონი, გლეხი, ყველს არ აკეთებს; ის მხოლოდ რძეს ჰყიდის. ყველის გასაკეთებლად განსაკუთრებითი ქარხნებია. მექარხნე ყიდულობს რძეს, ერბოს ართმევს და ცალკე ამზადებს, დანარჩენს ადუღებს ორას გრადუსამდე ორჯელ და ყველი გამოჰყავს. ამგვარად გლეხი ჰყიდის რძეს, შემდეგ თვითონვე ყიდულობს ერბოს და ყველს.

ცხენებს სოფლებში არ აშენებენ. ამისათვის განსაკუთრებითი საშენებელია. აგრეთვე იშვიათია ცხვარი, ხოლო აქა-იქ მეწველი თხები ჰყავთ. ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩვენ შეგვიძლია დავსკვნათ შემდეგი:

1, ყოველივე ძველებური (პატრიარქალურ-იდილიური) წყობილება გლეხთა შორის დარღვეულია; მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულება დამყარებულია ნივთიერ ინტერესებზე, ანუ ანგარიშზე.

2, ადამინთა შორის ისეა დაყოფილი შრომა, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება ერთ დღესაც არ შეუძლიათ, ამის გამო სოფელი და ქალაქი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3, თითოეული თუ რასმე აკეთებს, მხოლოდ გასაყიდათ, ამით ის ჩათრეულია აღებ-მიცემობის საქმეში,

აი, ამ სამ უმთავრეს დედა ბოძზე არის აღორძინებული დღევანდელი შვეიცარიის სოფლის ცხოვრება. გლეხი ერთსა და იმავე დროს გამყიდველიც არის და მყიდველიც, ვაჭარიც და მეურნეც. შემდეგი ჩვენი წერილებით ეს აზრი უფრო ნათლად გაირკვევა.

IV

ახლა გავიდეთ სოფელს გარედ, დავათვალიეროთ იქაურობა და გავიგოთ, რას აკეთებს გლეხი —მეურნე.

შვეიცარიის ბუნებას რომ შეხედოთ, სწორედ შეგებრალებათ. შეგებრალებათ იმიტომ კი არა, რომ ის ღარიბია, მცენარეულობა ნაკლებია; არა, პირიქით, ბუნების ნაწარმოები ყველაფერი უხვად არის; მთა, ველი, ტყე, მდინარე-ღელეები და სხ. ისეა შეზავებულ-შეხამებული, რომ კიხტად გამოწყობილ პატარძალს მოგაგონებს. მაგრამ რა გამოვიდა, ტყეში შედიხართ, ფიქრობთ, ეს ადამიანის გაშენებულია, საბალახო ადგილებს უცქერით, გგონიათ, ეს თვალთგადაუწვდენელი მინდორი დაუხნავთ და ბალახი დაუთესიათო; მდინარეებს ათვალიერებთ და ალტაცებაში მოდიხართ, ამოდენა წყალი რა კარგ არხში გადმოუშვიათ, ვერც ერთ ნაპირს მიწას ვერ გამოგლეჯსო; ერთი სიტყვით ყველაფერი ყურში ჩაგძახის: ეს ბალია, ხელით გაკეთებული ბალი, და არა ბრმა ბუნების ხელთ-უქმნელი ნაყოფი. ყველგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი გზები, სახლები, სასტუმროები, ხალხის ფუსფუსი და შეუწყვეტელი მისვლა-მოსვლა, ხმაურობა და ყიჟინი. გაიხედავთ და სადღაც შორს მთის წვერში დაუსრულებლივ ამოდის კვამლი და ცის სივრცეს შავი ღრუბელივით ეფინება. რა არის? რა და მატარებელი მოგიახლოვდა, დაისტვინა და გაჰქრა სადღაც ხვრელში, დაიკარგა, ველარ ხედავთ. მიიხედეთ მეორე მხარეს, რკინის ბოძები ტელეგრაფ-ტელეფონის სიმებით მიიმართება მაღლა, მთაში. სად? ვისთან? რისთვის? ხალხი გამოქცევია ზაფხულის სიცხე-პაპანაქებას და ამ მთებში მიურბავს თავი. მას თან მოსდევს ნაყოფი მეცნიერებისა და ცივილიზაციისა. საბრალო ბუნება! რა ნაირი მოწყენილი სახე მიულია, თითქოს ადამიანს ეუბნებაო: აი, დედასა, სად არის ის ძველი კაი დრო, როცა ამაყობით სავსე ამ არე-მარეს ვბატონობდი? როცა ჩემი მოსისხლე მტერი, ადამიანი, ყურ-მოჭრილ მონად მყავდა გადაქცეული? ახლა? ახლა კი გადაბრუნდა ქვეყანა, გაიმარჯვა მტერმა და სასტიკად დამამახინჯა, მის კლანჭებს ქვეშ სულს ძლივს ვიბრუნებო. დიალ, ოხრავს, დრტვინავს, მაგრამ ვინ უჯერის, მაინც და მაინც უნდა გაგანათლოო, ძალად უნდა გაცხონოვო. მართალია, ნათლებით კი ნათლდება, ცივილიზაციის ქარ-ცეცხლ ქვეშ გატარებული, მხოლოდ ცხონების კი რა მოგახსენო. ნათქვამია, ძალად ცხონებას ნებით წაწყმენდა მირჩევნიაო. აბა დააკვირდით ამ განათლებულ ბუნებას, რა ნაირად მოხრილა წელში! ოთხად არის მოკეცილი. საწყალი! ჰსურს, თავი მაღლა წამოსწიოს, მაგრამ ვინ აუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვებს, იქვე მრისხანე ადამიანი კრიჭაში უდგასიტანჯება ამ ნაირად, მისი ბატონი კი სიხარულშია, ვითომ აქ არაფერიაო. ბრძოლა ბუნებასთან? არა, აბა რა სივაჟკაცეა ხელ-ფეხ შებოჭილ არსებასთან ჭიდილი? ის ხომ უკვე დამორჩილებული და გაშინაურებულია, ახლა საჭიროა მისი მოხმარება, ცხოვრებაში ასე თუ ისე გამოყენება.

როგორც უნდა იყოს, ჩვენებური კაცი, მკითხველო, ამაებს ადვილად ვერ შეურიგდება; მედიდურ და გაუტეხელ ბუნებაში აღზრდილი ამას გვიანამდი ვერ ეჩვევა. ის ხედავს თავჩაქინდრულ მიდამოს, მთას, ტყეს, ველს და სხ., თითქოს მდინარეც კი დაუშინებიათო, ისე ჩუმად მიიპარება თავის გზისკენ. მოდი და ნუ შეიბრალებ ამ სუსტ არსებას, იმ არსებას, რომელიც ჩვენ ტურფა ქვეყანაში ასე გაბატონებულია და გაშმაგებულია. შეიცოდეთ ეს უძლური გმირი!..

შეიძლება გსურთ სოფელს გაექცეთ, ხალხს დაემალოთ, ადამიანის მუდამ დაღვრემილ სახეს პირი მოარიდოთ და მიუვალ ალაგს აღფრთოვანებულ ოცნების მორევში თავისუფლად შეცურდეთ. აქ არა არის რა საკვირველი, ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ამ გვარი ჩვეულება ძლიერ არის აქეთ გავრცელებული. მაგ. ყოველ კვირა-უკმე დღეებს მოქალაქენი ქალაქს გარედ გადიან სასეირნოდ. რა ნაირად მიეჩქარებიან! ასე გგონია, ვინმე უკან მოსდევსო; მიდიან, მიდიან ლ მიდიან ხვნეშა ამოვარდნილი და გაოფლიანებული ერთ ალაგას დაცვივიან. აბა ჰკითხეთ, რა დაემართათ, რა აჩქარებთ, სად მიეშუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებიან? ამაზე სწორედ ვერც ერთი ვერ მოგიგებს. სად მიდიან? განა იციან კი? იმათ სურთ ქალაქურ ხმაურობას, აქაფებულ ცხოვრებას ცოტა ხნით მაინც გაექცენ, მარტობა იგრძნონ, თავისუფლად ამოისუნთქონ. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ უბრალო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც ასე ადვილი არ არის, სად წახვალთ იმისთანა ადგილს, რომ ხალხი ჭიანჭველასავით არ ირეოდეს, დროს გასატარებელი სახლები, ყავა-ხანები ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ გიხვდებოდენ? შეიძლება ჩრდილოში, ხის ძირში, მოსვენება მოინდომოთ? ესეც გასაჭირია არა იმიტომ, რომ გაშლილი ალაგი ცოტა იყოს, არა, მხოლოდ თუნუქზე ამოჭრილი განცხადება გაფრთხილებს: აკრძალულია მინდორზე სიარული და ბალახის თელვა. საკმარისია ეს, რომ ყველანი დაემორჩილონ. ბალახის თელვა! სად? ქალაქში? ყველგან, სადაც კი მცენარეობა მოიპოვება. აბა, ქართველი როგორ მოითმენს მტვერიან გზას არ გადაუხვიოს და მწვანეზე არ გაიშოთოს.—ვინ არის მანდ? მომესმა ხმა. —მე ვარ, ვუპასუხე.—აბრძანდით და ხუთი ფრანკი მოამზადეთ, განმიმეორა მანვე.—ხუთი ფრანკი? რის თვის? გაკვირვებით შევეკითხე.—განა არ იცით? ბალახზე წამოწოლა ვის გაუგონია, ჯარიმას გახდევინებთ კანონის ძალით,—გადამიწყვიტა მოსაუბრემ, რომელიც ეგრედწოდებული „Garde Ghampètre"-ი (სოფლის დარაჯი, მეველე) აღმოჩნდა. ერთი ბეწო ბალახი და ხუთი ფრანკი! მოდი და ნუ გაგიკვირდება! მაგრამ არა, იქ, სადაც ყველაფრის ფულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაქცევა შეიძლება, სადაც ყოველივე ნაყოფს ბაზარი აქვს, ამ გვარი სისასტიკე არ არის გასაკვირალი.

ხშირად შეხვდებით გაშლილ მინდორზე ხილნარს; რა და რა ხილი არ მოიპოვება? როცა დამწიფდება, მისით ჩამოცვივა და ხეს ქვეშ ყრია, თუ პატრონმა არ წაილო, ისე დალპება, რომ ხელს არავინ ახლებს. ერთხელ სკოლიდან ბავშვები მოდიოდენ. გზას გადმოიცქირებოდა წითელ-წითელი მომწიფებული ვაშლით დაფარული ხე. ერთმა შეგირდმა ველარ გაუძლო ამ შემაცდენელ მიმზიდველობას და მინდომა მოგლეჯა. მაშინვე მისცვინდენ სხვები და არ დაანებეს: ბიჭო, შენი ხომ არ არის? სხვისია, ხომ ხედავ?—ეუბნებოდენ ამხანაგები. ბავშვიც დარცხვენილი დაბრუნდა უკან, ეტყობოდა ძალიან წყენოდა, რატომ ამათ მაჯობეს ჭკუაშიო. მთელ დღეს ტყე-ტყე რომ იაროთ, ერთ ჯოხსაც ვერ გამოსჭრით, ერთ შოლტსაც ვერ მოგლეჯთ. ხეებზე მიჭედილი განცხადებები გატყობინებენ—ეს სასტიკად აკრძალულიაო. დამნაშავეს არა თუ ჯარიმას მოსთხოვენ, კანონით სამართალშიაც კი მისცემენ. ერთი სიტყვით ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობთ, რომ აქ ყველაფერი ფულით იზომება, არაფერი მუქთად არ იკარგვის.

ერთხელ ერთი მთის (Rocher-de-Ner) დასათვალიერებლად გავემგზავრე. ეს ადგილი მთელ ევროპაში მით არის შესანიშნავი, რომ ამ სიმაღლე მთაზე დაბლიდან წვერამდი რკინის გზაა გაყვანილი და ზევით სასტუმროა გამართული. აქ მიდის საზაფხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ შეძლებული ხალხი სხვა-და-სხვა კუთხიდან. მთა ერთობ წარმოადგენს საძოვარს, თუმცა ხე-ტყეც საკმარისად არის. გზაზე აქა-იქ დუქნებია ჩადგმული, სადაც განსაკუთრებით რძის ვაჭრობაა გამართული. საკვირველი ის არის, რომ აქ რძე გაცილებით უფრო ძვირია, ვინემ ქალაქში. ამის მიზეზი ასე ამიხსნეს: დუქანი მხოლოდ ზაფხულობით მუშაობს, დანარჩენ დროს დაკეტილია, ამისთვის იმდენი უნდა აიღონ, რომ მთელი წლის ხარჯი ამ სამი-ოთხი თვის შემოსავლიდან დაიფაროსო. ამასთანავე, სადმე უალაგო-ალაგას, შუაგულ ტყეში შეხვდებით ორ-სამ სართულიან, მდიდრულად მორთულ შენობებს. ალაყაფის კარებზე აწერია „Pension". აქ მოდიან ზაფხულის გასატარებლად; ფულს იხდიან თვიურად (პირობაზეა დამოკიდებული) და ისე ცხოვრებენ „პანსონში", როგორც თავის ოჯახში. ამ გვარი სახლები ერთმანეთისაგან დაშორებულია, წინ გზა ჩაუვლის და დანარჩენ სოფელ-ქალაქებთან ტელეფონით არიან შეერთებული. გზის შესამოკლებლად ერთ საცალფეხო ბილიკისაკენ გადაუხვიე. სივიწროვის გამო იძულებული ვიყავი ბალახზედაც დამედგა ფეხი. ამ დროს ერთმა გლეხმა ამაყად დაიძახა: ხომ ხედავთ, მანდ გზა აღარ არის, ნუ თუ ვერ ისწავლეთ, რომ ბალახის თელვა არ შეიძლება, გადაუხვიეთ იქით (თითით მიჩვენა შარა გზა). მეც დავემორჩილე. ჩემს უკან შვეიცარიელი მოდიოდა. ეს მივიდა გლეხთან და, როგორც შემდეგ გავიგე, ეთქვა: ის კაცი (მე) უცხოელი მგზავრი უნდა იყოს და რა გასაკვირველია ჩვენი წესები არ იცოდეს, როცა თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანაში დაბრუნდება, იტყვის, შვეიცარიის გლეხი ამაყი და მხეციო. ცოტა ხანს შემდეგ შემომხვდა იგივე გლეხი და ბოდიში მოიხადა, მგონი უზრდელად მოვიქეცი. ფეხზე ეცვა მოკლე ყელიანი ჩექმა, ტანზე შარვალი უბრალო, მაგრამ წმინდა, მოკლე შავი პალტო, ჩითის პერანგი, საათი, თავპირი სქელი შავი თმით და წვერით ჰქონდა დაფარული, (ქუდი არ ეხურა). სახის გამომეტყველება მართლაც ამაყური და შესაშინებელი ჰქონდა. ლაპარაკობდა წმინდა ფრანგულს. გამოვემშვიდობე, მაგრამ აღარ მომეშვა, გზა არ გეცოდინება, უნდა გაგაცილოო. გავწიეთ ერთად. საუბრობდა მეტად ზრდილად და გონიერად. ამ პატარა გზაზე ერთობ დავმეგობრდით. თავის ქვეყნის და ევროპის შესახებ ისეთი ბაასი გამიმართა, რომ მე მეგონა დიდ განათლებულ კაცთან მაქვს საქმე-მეთქი. მერე გამოვკითხე მისი ვიანობა და ხელობა. ის იყო მწყემსი, ოცამდი მეწველე თხას აძოვებდა. დღეში ხუთი ბოთლი რძე მოჰქონდა თითოს (სამხელ მოწველით), ბოთლს ყიდდა 30 სანტიმად (ქალაქში 20 სანტ.) ამ გვარად დღეში შემოსდიოდა 30 ფრანკი. ამაზე მე ვუთხარი: ამოდენა შემოსავალი ჩვენში თავადიშვილს არა აქვს მეთქი. ეს მან ხუმრობად მიიღო,—თავადს როგორ წავეტოლები, მხოლოდ საძოვარი რომ ჩემი იყოს, მაშინ არა უშავდა რაო. დამანახვა ერთი ფართო ადგილი, ასე ორ ქცევაზე ცოტა მეტი იქნებოდა და მკითხა: როგორ გგონიათ, რას უნდა ვიხდიდე ამ საბალახოსათვის? არა უმეტეს 50—60 ფრანკისა, მივუგე. ამაზე სიცილი აიტეხა. თურმე 120 ფრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევდა მიწის პატრონს ჭწელიწადში. როცა მე ვუთხარი ჩვენში მიწა ძლიერ იაფია მეთქი, მან დაამატა: ნეტავი იქ ვიყო, როგორ გავმდიდრდებოდი... სწორედ ისე როგორც ჩვენი მწყემსები, დაუმატე მე. ამ ბაასით მივედით წყაროსთან, რომელიც ქვითკირით იყო ამოყვანილი. აქაურ წყალს, საზოგადოდ, კირის გემო აქვს და არც ცივია (ზაფხულობით). ჩვენებურს ძლიერ გაუჭირდება მისი დალევა. ჩემმა თანამგზავრმა თავის კარავში შემიწვია. მეც შევედი და გაკვირვებით დაუწყე თვალიერება. ეს კარავი კი არა, ჩინებული ოთახია: ჭერები და იატაკი ფიცრის, ერთი ფართო ფანჯარა, პატარა „პლიტა“ საჭმლის გასაკეთებელი, კუთხეში მიდგმული სტოლი, სკამები, წმინდა საწოლი და სხ. მეორე სტოლზე წიგნები ელაგა, წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა წინადლის გაზეთის ნომერიც ვიპოვე. განა გაზეთიც მოგდით ამ მთაზე?—დიაღ, ყოველ დღე ვყიდულობ, დაბლა რედაქციას ჰყავს აგენტი, ის ყოველ დილას ღებულობს ნომრებს, დადის სოფელში და ყიდის, საღამოს აქეთაც ამოიარს.—განა ერთი ნომრისთვის ლირს აქ ამოსვლა? შევეკითხე. —რატომ ერთისთვის? ამ მთაზე რამდენი მწყემსები და კარვებია, ორში ერთი ხომ მაინც ყიდულობს, და ესეც კაი ფულია. სამწუხაროდ სხვა გაზეთი არ დააქვს, ამ ერთით უნდა დავკმაყოფილდეთ, მიპასუხა მან.—რატომ სხვებსაც არ ყიდის? გაკვირვებით ვკითხე.—ის მხოლოდ ამ გაზეთის რედაქციის აგენტია, ნება არა აქვს სხვისი გაზეთებიც ჩამოატაროს, წინაალმდეგ შემთხვევაში ადგილს და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკარგავსო. ამას გარდა მას ჰქონდა გამოწერილი ერთი საკვირაო სამეურნეო გაზეთი „მწყემსი“ (Bèrger). ეს განსაკუთრებით საქონლის მომშენებელთათვის არის დანიშნული და ღირს 5 ფრ. წელიწადში. ამ გვარად ეს ჩვენი მწყემსი ამ მთაზე თვალყურს ადევნებს პოლიტიკასაც და თავის ხელობის ამბებსაც. კედელზე დავინახე ჩამოკიდული ახალი სისტემის თოფი და პატრონები. თოფი აქ ყველა გლეხს აქვს, ეს მისი განუყოელი საკმაულია; ამით ის კიდევაც ამაყობს. განა ის შვეიცარიელია, რომელმაც თოფის სროლა და იარაღის ხმარება არ იცის?—მედიდურად გეტყვის შვეიცარიელი. (ამის შესახებ უფრო ვრცლად შემდეგ მოვილაპარაკებთ).

იმ დღეს ბევრ მწყემსებს და ჯოგს შევხვდი და ერთი ძაღლიც არ მინახავს. ეს ადამიანის ერთგული ცხოველი აქ ძლიერ მოგენატრებათ, იშვიათად შეხვდებით. სოფელში შეიძლება ერთ-ორს ყავდეს. ამასთანავე გარეული მტაცებელი ცხოველიც იშვიათია. ბევრ გლეხს უთქვამს ჩემთვის, თავის დღეში მგელი არ მინახავსო. უშიშრად გამოიართ ტყეს და მთას, ნადირი არ შემოგხვდებათ. ამისთვის აღარც ძაღლია საჭირო, ვისაც ჰყავს ბაჟს ახდევინებენ. ფრინველები კი ერთობ ბევრია; მეტადრე ბელურათა გვარის. ფრინველებზე ნადირობა სასტიკად არის განსაზღვრული კანონით.

მიწა აქ კერძო საკუთრებას შეადგენს. მთელ შვეიცარიაში ვარგისი მიწა ითვლება ხუთ მილიონ ნახევარი აკრი და დანაწილებულია 258,639 მესა-

კუთრეთა შორის *). თანასწორათ რომ ჩამოურიგოთ, თითოეულს შეხვდება არა უმეტეს 22 აკრისა; ეს ციფრი, რასაკვირველია, სინამდვილიდან ძალიან დაშორებულია. ერთი ღარიბია, მეორე მდიდარი. ერთს ნაკლები მიწა-ადგილი აქვს, მეორეს ბევრი. მხოლოდ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ საზოგადოდ წვრილი მესაკუთრეებია, ადგილ-მამულის კონცეტრაცია, მცირე რიცხვთა ხელში მოგროვება, როგორც ინგლისში, საფრანგეთში და სხვაგან, აქ არ არსებობს. მაგრამ თანამედროვე ეკონომიური წყობილება და მისი ულმობელი კანონები ისეთი ძლევა-მოსილია, რომ მის წინაშე ყველა ერი ქედს იხრის. რაც მოწინავე სახელმწიფოებმა განვლო, ის მხოლოდ სარკეა დანარჩენებისათვის. შვეიცარიის ცხოვრებაც ამ ბოლოს დროს სხვა გვარ მიმართულებას ღებულობს. საკუთრება თან-და-თან იყოფა და წვრილმანდება, რის გამო ვიწროობა და სიღატაკე ფეხს იკიდებს. მეპატრონეს ასე დახურდავებული მიწა ვერ აკმაყოფილებს და იძულებულია ფულის პატრონს მიყიდოს; თვითონ კი ქალაქში, ან უცხოეთში ეძიოს ლუკმა პური. **) იშვიათი სანახავია ისეთი გლეხი, რომელიც ქალაქში დასახლებას არ ნატრობდეს. ამისათვის უძრავი ქონებაც შეძლებულთა ხელში გროვდება. ამას მია-

*) ამ წერილში მოხსენებული ციფრები გამოკრეფილია სხვა და-სხვა ოფიციალურ წყაროებიდან, უმეტესად „Journal d'Agriculture Suisse"

**) განსაკუთრებით ამერიკისაკენ მიისწრაფიან: მაგ. შარშან 6,000 გადასახლებულა.

ქცია ყურადღება მთავრობამ და ყოველსავე ღონეს ხმარობს მის შესაფერხებლად. ზოგ კანტონში დაკანონეს მიწის გაუყოფლობა 200—400 ოთხ-კუთხ საჟნამდე. აქედან ცხადია, რანაირად დაწვრილმანებულა მამული. მეორე მხრით, კანონმდებლობა ცდილობს ისეთი საშუალებები იხმაროს, რომ მიწა არ შეიქნეს პატრონის ტვირთად; მაგ. მიწა თავისუფალია ყოველივე გადასახადისაგან (სახელმწიფო) და ყიდვა-გაყიდვა ძალიან გაადვილებულია. უკანასკნელ შემთხვევაში ბაჟი 7% არ აღემატება. ამ ფულის მეტი ნაწილი იმავე კანტონის სასარგებლოდ მიდის (მოვაგონებ მკითხველს, რომ აქაური მთავრობა პირდაპირ ხალხის მიერ ირჩევა). თუმცა სხვა-და-სხვა კანტონს სხვა-და-სხვა დებულება აქვს მიწა-ადგილის შესახებ, მაგრამ ყველა ამათ ერთი აქვთ საერთო: შეზღუდოს დიდრონი მამულების მოგროვება კერძო პირთა ხელში. შვეიცარიაში ძლიერ ეჯავრებათ უზარმაზარი ფერმები; მათი აზრით ყველას საკუთარი საყოფი ნაჭერი მიწა უნდა ჰქონდეს, ეს მისი იდეალია. ამისათვის ძალიან უფრთხილდება თავის მარჩენელ დედა-მიწას, სულ შიგ ჩაკირკიტებს. ამ ნიადაგზე არის აშენებული შვეიცარიის თავისებური ცხოვრება და პოლიტიკური წყობილება. წვრილი მემამულე, წვრილი მექარხნე, წვრილი მოვაჭრე—აი, რით შესდგება შვეიცარია. მაგრამ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ცხოვრების მიმდინარეობა აქ არ ჩერდება. ის უკვე შედგა კაპიტალისტურ განვითარების გზაზე. ამ ჟამად ამ ორ პრინციპთა შორის საშინელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლაა, რომელიც საშინაო პოლიტიკაშიაც გადადის. ერთი მხრით მძლავრი ლტოლვილებაა ცენტრალიზაციისა, კანტონთა თვით-მართველობის შეზღუდვისაკენ; მეორე მხრით კანტონი იბრძვის თავის უფლებისათვის. ჯერ-ჯეროობით ძველი დედააზრი იმარჯვებს. ხალხმა ყოველთვის უარყო ცენტრალური მთავრობის ჩარევა კანტონთა საქმეში. მაგალითად, თითოეულ კანტონს თავის დებულება აქვს წვრილი ქარხნების და სახელოსნოების შესახებ. ფედერალურ „კავშირმა“ (Chambre fédèrale) გადასწყვიტა: ამ საქმეში საერთო წეს-რიგს დაემორჩილოს ყველა კანტონებიო. ეს სარჩიელი წარუდგინა ხალხს კენჭის საყრელად და წელს დიდი უმრავლესობით გაშავებულ იქმნა. ამ მხრით საყურადღებოა ისიც, რომ დასავლეთი შვეიცარია უფრო კონსერვატორულია, ვინემ აღმოსავლეთი. ამის მიზეზი ის არის, რომ უკანასკნელ ნაწილში წარმოება და აღებ-მიცემობა, მაშასადამე კაპიტალისტური წყობილება, უფრო განვითარებულია.

ამასთანავე აქ არის მამულის საერთო მფლობელობაც.. მთელ შვეიცარიაში ითვლება:

სახელმწიფო ტყე—81,945 აკრი

კერძო—573,040

საზოგადო, ანუ სასოფლო—1,299,075

ამ სახით ტყის საერთო მფლობელობას დასარგებლობას დიად დიდი ალაგი უჭირავს. ტყის მნიშვნელობა და რიგიანად მოხმარება დიდი ხანია შეგნებული აქვთ. მე-XIV საუკუნეში ციურიხის მთავრობამ აღკრძალა ტყის ჩეხა და ყიდვა. მე-XVII

ფაუკ. ბერნმა დააკანონა წეს-რიგი ტყის სარგებლობისა. ამ საუკუნის დასაწყისში ფედერალურ მთავრობამ („კავშირმა") პირველად მიაქცია ყურადღება ამ საქმეს და დაარსა სატყეო სასწავლებელი (1855). ამას კანტონებმა ცუდად შეხედეს, რას გვერევა ჩვენს საქმეშიო. მაგრამ რაკი ტყის ფასმა აიწია და ნიალვარი ანადგურებდა ხეებს, "კავშირმა" ისარგებლა ამ შემთხვევით და 1874 წ. ხელთ იგდო უფლება ზედამხედველობისა, ტყის გაშენებისა და სხ. მხოლოდ მაშინ განაწესეს ტყის განსაკუთრებითი ზედამხედველები და მათი თანაშემწეები. ახლა ტყის საქმეს განაგებს ცალკე დეპარტამენტი. ზოგ კანტონში (ური, აპენცელი და სხ.) ტყის გამგე კომიტეტი თვით ხალხის მიერ ირჩევა.

ზოგ ალაგას საერთო სამფლობელოს შეადგენს როგორც ტყე, აგრეთვე საბალახო, მაგ. ვოს კანტონში, სოფელ არსიერში. აქ არის ნაშთი ძველებური მიწათმფლობელობისა (ახლა დარჩენილა რუსეთში, ინდოეთში, და სხ.). ამ სოფელში საბალახოს აქირავებენ და შემოსავალს თანასწორად იყოფენ: ტყის შემოსავლით კი ისტუმრებენ გადასახადს, ერთ წელიწადს 80 ფრანკზე მეტი რგებოდა თითო კომლს. საზოგადოდ, სასოფლო ტყის სარგებლობა ისე კი არ არის მოწყობილი, რომ ვიხაც უნდა შევა და გამოზიდავს. ეს საქმე ჩაბარებული აქვს მხოლოდ განსაკუთრებულს კომიტეტს (ხალხის მიერ არჩეულს) ან სასოფლო საბჭოს (Conseil communal). შემოსავალი „კომუნის" დახლში მიდის: აქედან იხარჯება სასოფლო საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როებისათვის, როგორც მაგ. სკოლა, გზები (რკინის ან ელექტრონის) და სხ. რაც გადარჩება, ხალხს უჩიგებენ, ან მომავალ ხარჯ-აღრიცხვაში შედის.

ერთ სოფელში ამ ნაირად სარგებლობენ ტყეს. ის გაყოფილია რამდენიმე ნაჭრებად. პირველ წელიწადს პირველ ნაჭერს სრულიად კაფვენ, შემდეგ ხნავენ და თესვენ ზედ ტყეს. მეორე წელიწადს მეორე ნაჭერს მიდგებიან, მესამე წელიწადს მესამეს და ასე, სანამ გათავდება. ბოლოს ხელ-ახლა პირველიდან დაიწყებენ, რადგანაც ამ ნაჭერზე უკვე ამოსული და მოშენებული იქნება ტყე. როგორც გავიგე ამ გვარ წესს მხოლოდ აქა-იქ მიდევენ. საზოგადოდ ტყის ხელოვნურად გაშენებას დიდი ალაგი უჭირავს მთელ შვეიცარიაში.

საბალახო ადგილები შვეიცარიაში, უმრავლეს შემთხვევაში, კერძო საკუთრებას შეადგენენ. ხუთ მილიონ ნახევარ ვარგის მიწაში ორ-მილიონ აკრზე მეტი საბალახოს წარმოადგენს. აქედან ცხადია, რა ალაგი უნდა ეჭიროს საქონლის მოშენებას ერის მეურნეობაში. შვეიცარიელი ამ დარგს ისე უცქერის, როგორც უმთავრეს წყაროს ცხოვრებისას. ამ პატარა ქვეყანაში, ძროხა, ხარი, ცხენი, ღორი, თხა და ცხვარი ითვლებიან სამ მილიონ სულამდის. ამათი ღირებულება გამოანგარიშებულია ნახევარ მილიარდ ფრანკად. ამოდენა სიმდიდრეს წელიწადში შემოაქვს (ხარჯ-გამოურიცხველად) 275 მილიონი ფრანკი (გარდა ნაკელისა). ამ რიცხვში პირველი ალაგი უჭირავს რძის ფულს, რომელიც შეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენს 175 მილიონს. მეწველი საქონელი წელიწადში იწველის ერთ მილიარდ-ნახევარ ლიტრა (ვერმუდის ბოთლია) რძეს. ნახევარი მილიარდი რძეთ იხმარება. დანარჩენიდან აკეთებენ ყველს, ერბოს და სხ. 5,500 ყველის საკეთებელი შენობებია. 1886 წ. შვეიცარიიდან საზღვარ-გარეთ გაუტანიათ 178,020 ფუთი ყველი ღირებული 26 მილიონ 130 ათას ფრანკად. ყოველ წელიწადს გააქვთ 17,100 ფუთი ერბო. ამ სახით შვეიცარიის სოფლის მეურნეობას საპატიო ალაგი უჭირავს საქვეყნო აღებ-მიცემობაში. აქ დამზადებული ერბო და ყველი მთელ ხმელეთს ეფინება. შენობებში ერთი და იმავე რძიდან ღებულობენ, პირველად ნაღებს, მეორედ კარაქს, ამას შემდეგ ყველს, და ბოლოს ხაჭოს. ეს საქმე ისე აღორძინებული და განვითარებულია, რომ მკვიდრთა ეკონომიურ ბურჯად არის გადაქცეული. გამოაცალეთ ეს, და ხალხი შიმშილით გაწყდა.

აი, სწორედ აქედან წარმოდგება ის, რომ ბალახის მოყვანა-მოვლაზე ასეთი დიდი ყურადღებაა მიქცეული. როგორ შეიძლება სხვის პირუტყვს ერთი ღერო ბალახი მოაგლეჯინონ. არსად არავითარი პირუტყვი ღვთის ანაბარად არ არის გაშვებული, უთუოდ ან დამწყვდეულია, ან მწყემსი ახლავს. გარდა ვენახისა და ალაგ-ალაგ ბოსტნისა, არაფერი არ არის შემოკავებულ-შემოღობილი. ყველაფერი გაშლილ მიდამოზეა. ნუ გეშინია ვინმე რამე არ მოგპაროს! აქ ყველაფერი გარედ ყრია, მაგრამ ქურდობის შაგალითიც იშვიათია. ეს კი არა, ფული რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იპოვონ, მაშინვე გამოაცხადებენ. ხშირად შეხვდებით გაზეთში: ვიპოვე ფული (ამდენი), ან საათი და სხ. პატრონი მოვიდეს და მიიღოსო. ამ მხრით ხალხის ზნეობა ძლიერ მაღლა დგას. ადგილ-მამულების გამო ჩხუბი და საჩივრები აქ სრულიად გაუგებარია. ერთ სოფლელს ვკითხე: თქვენს სამსჯავროებში ხშირად შეაქვთ საჩივრები მამულების შესახებ? ის ჩემ კითხვას ვერ მიხვდა და მკითხა?—არ ვიცი ამ გვარი დავა რატომ უნდა მოხდესო?—აი, მაგ. თქვენ მიწა გაქვთ, მოდის მეორე და გეცილება, ეს ჩემია და არა შენიო—ავუხსენი მე. ჩემმა მოსაუბრემ რაღაცნაირად შემომხედა, მგონი გაიფიქრა, ეს ხომ არ გაგიჟებულაო და პასუხის მაგიერ მკითხა: თუ კაცი ხარ. მითხარი, რა ქვეყნიდან ხარო, მაშინ მივხვდი ამ გვარი საუბარი შვეიცარიელისათვის გაუგებარი იყო. რა უწესობა შეიძლება იქ, სადაც ყველაფერი წესრიგშია მოყვანილი. მიწა ერთ საუკუნეზე მეტია, რაც გაუმიჯნავთ და გაიუსაზღვრავთ, საშოვრად ალარაფერი დარჩენილა. ხერხი და გამოქნილობა ამაოა. წარმოიდგინეთ მოსე მწერალიც კი ველარას გააწყობს!..

ბალახის ალებ-მიცემობას რიგიანი ალაგი უჭირავს მეურნეობის საქმეში. იშვიათია საქონლის პატრონს საკუთარი საბალახო ჰქონდეს, ის უთუოდ ზაფხულობით ყიდულობს ბალახს და ინახავს საზამთროდ, ან და იჯარით ღებულობს საბალახო ადგილს მთებზე. ბალახი ძლიერ მსუქანი და დაბალია. თიბვის დროს დიდ-ძალი მუშა ხალხია საჭირო. ქალი, კაცი, ბავშვები მინდორზეა გასული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგს ცელი უჭირავს, ზოგს ფოცხი, ზოგს მოაქვს შესანახად და სხ. მუშაობა გაჩაღებულია. მუშაც მაშინ ძვირად ფასობს. ეუქთად არავინ მოგეხმარება, ამ ნაირი მეზობლობა არ იციან, ფულს მისცემ ნაღდად—გექირავება, არა და ვერც მუშას იშოვი. არც მუშაობის გაცვლა შეიძლება, მაგ. დღეს შენ მომეხმარე, ხვალ მე მოგეხმარებიო. შეიძლება ერთი ნაკლები მუშაა, მეორე კი უფრო მარჯვე და გულმოდგინე, ამ შემთხვევაში ხომ წაგო ერთმა და ერთმაო—გეტყვის აქაური გლეხი. ვისაც იმდენი ბალახი აქვს, რომ მის შესანახავად ოჯახის წევრი არ კმარა, ფულიც კი ექნება ქირის გამოსაღებად. ღარიბ ხალხს ან სულ არა აქვს და თუ აქვს ისე ცოტა, რომ ჩქარა მიალაგ-მოალაგებს და მერე სხვებს ექირავება. საქირაოდ მიდის არა მარტო მამაკაცი, არამედ დედაკაციც და მოზრდილი შვილებიც. 17—20 წლის ქალიშვილს ცელი უჭირავს ხელში და ცისმარა დღეს მინდორზე ტანტალებს, საღამოს მოიკიდებს ვეებერთელა გოდორს ბარგი-ბარხანით და მოდის ბინაზე. ამისათვის ქალები ჯანმრთელნი და ჯაფის ამტანი არიან. მთელ დღეს გარეთ მუშაობს, საღამოს ბრუნდება დაქანცული და ვახშამს აკეთებს, სახლს სწმენდს, ჭურჭელს რეცხს, შვილებს (თუ ჰყავს) უვლის, აწვენს, ხშირად ღამეც უნდა წამოხტეს მათთვის და სხ. მამაკაცს, ეს ოჯახის წვრილმანი საქმეები, რაც ასე ღალავს ადამიანს, არ ეკითხვის.

ქალს, რომელიც არ მუშაობს, ცუდად უცქერიან, შეიძლება გაუთხოვარიც დარჩეს. გლეხისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის საჭიროა მასავით მამაცი და შრომის მოყვარული ამხანაგი—მეუღლე. მართლაც აქაური ქალი ნამდვილ მეუღლეობას უწევს ქმარს, ჭირში და ლხინში ერთად არიან, ერთად ატარებენ ცხოვრების უღელს. ერთმანეთს ვერც ერთი ვერ დააყვედრის: მე გარჩენო. ორივე ერთმანეთს არჩენენ. ერთმანეთს ეხმარებიან. ერთ ქალიშვილს გვარიანად შეძლებული გლეხი თხოულობდა. მან უარი უთხრა და ულარიბესს გაყვა. რატომ ჰქენი ესაო—ჰკითხეს. რატომ და ეს ჩემსავით ღარიბია, ერთად ვიმუშავებთ და ოლად წავალთ, პირველი კი დამიწყებდა ყვედრებას; მე მდიდარი ვარ, მე გარჩენ, ჩემი მონა უნდა იყოვო,—მიუგო პატარძალმა. როცა ახალგაზდა ბიჭები დაინახვენ გასათხოვარ ქალს დიდ გოდორ ქვეშ ოთხად მოკეცილს, ერთმანეთს ეტყვიან: აი, ძმავ, თუ შეირთო ქალი, ამისთანა უნდა შეირთოვო. ასეთია გლეხის შეხედულობა დედა-კაცზე და ცოლ-ქმრობაზე.

ფუთი უბრალო ბალახი იყიდება 3—5 ფრანკად. ზამთრობით უფრო დაძვირდება.

ჩამოვიცვალოთ ახლა ქვემოდ, მთის კალთებისაკენ. აქ თანდათან კლებულობს საბალახო და ბოლოს მხოლოდ აქა-იქ შეხვდებით. მისი ადგილი ვენახს აქვს დაჭერილი. ყურძენი ძლიერ მალალზე არ ხეირობს სიცივის გამო. არც დაბალზე დგება რიგიანი, ნიადაგი ხელს არ უწყობს. ამისათვის ვენახს შუა ალაგი დაუჭერია: ფერდოები, მალლობები, კალთები. ვენახი უთუოდ ქვის კედლით არის შემოზღუდული. კედელი ალაგ-ალაგ მალალია, საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოთ კი დაბალი, ასე რომ გზიდან შეგიძლიათ ხელი გადაჭყოთ და მტევანი დაჭრიფოთ. პირველად ძალიან გამიკვირდა, არაფერი შემოლობილი არ არის და ვენახმა რაღა დააშავა-მეთქი. მაგრამ ცოტას თუ დააკვირდებით, ადვილად გაიგებთ მიზეზს. საქმე იმაშია, რომ წლის განმავლობაში ნიადაგი წვიმის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო დაბლა მიიწევს, ასე რომ გაზაფხულზე ვაზს ყველას გამოჩენილი აქვს პირი. რასაკვირველია კედელი რომ არ იყოს გავლებული საზღვარზე, ეს საჭირო მიწა სადღაც ხრამში გადიღუპებოდა და ვაზიც გახმებოდა. ზღუდე არ უშვებს და მის გაყოლებაზე გროვდება. გლეხ-კაცი გაზაფხულზე ჩავა ვენახში და ქვევით ჩამოტანილი მიწა ზევით მიაქვს და ვაზის ძირს აყრის. ყოველ წელიწადს ეს აქვს სამუშაო. ეს სწორედ სიზიფის შრომას მოგაგონებს. ერთ წელიწადს მაღლა აიტანს ნიადაგს, მეორე წელიწადს ისევ ქვევით ჩამოსულა, კიდევ მაღლა ეზიდება, კიდევ დაბლა ცვივა, ერთი სიტყვით დასასრული აღარა აქვს, რა ჰქნას, მეტი რა გზა არის, თავს ხომ ვერ დაანებებს. მეორე მხრით, მთიდან ხშირად ნიალვარი გადმოვარდება, კედელი რომ არ დახვდეს, სულ წალეკავს ვენახს; წყალი ერთ კალაპოტში გროვდება და გადადის ხევში. ნიადაგი ფხვიერი, მშრალი და ქვიანია. ვენახი დაბლარია, მაღლარი არ მინახავს, და როგორც მითხრეს არც მოიპოვება. ვაზის სიმაღლე საზოგადოდ, ერთ არშინზე ცოტა მეტია და ისხამს 5—7 მტევანს, იშვიათად ნახავთ შავი ყურძნის გვარს, ყველგან თეთრია. აღმოსავლეთ შვეიცარიაში კი თეთრი ყურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძენი ნაკლებია, აყენებენ წითელ ღვინოს. ყურძნის მარცვალი წვეტი და მაგარია, საჭმელად გემრიელია, შაქარი ბევრი ახლავს, ალკოჰოლი ცოტა, ამისთვის ღვინო რბილი, მჩატეა. წმინდა, ბუნებრივ ღვინოს ბევრს დალევთ, ძალა არა აქვს, ყავა-ხანებში ლუდზე უფრო ღვინოს სმენ გლეხები; მთვრალი კაცი აქ თუმცა იშვიათი სანახავია, მაგრამ ღვინით დამთვრალი კი არასოდეს არ მინახავს, უთუოთ არაყით, ერთი სიტყვით აქაური თეთრი ღვინო ადამიანს ადვილად ვერ ერევა. ჩვენებური ამ ღვინოს პირველად ახლოდაც ვერ მიეკარება, რალაცნაირი სუნი და გემო ახლავს, ასე გგონია დამწვარი ქერქი ჩაუყრიათ შიგო. გლეხი ხომ უღვინოთ ვერ დადგება,—ღვინის გემო კი ჰქონდეს და თუ გინდა ნახევარი წყალი იყოს—გეტყვის აქაური გლეხი. რასაკვირველია, ვენახი ყველას არა აქვს, მხოლოდ რთველის დროს ყიდულობენ ყურძენს და ღვინოს აყენებენ. ხელმოკლე გლეხს ესეც არ შეუძლია, რადგანაც ყურძენი ერთობ ძვირია, გირვანქა 15—20 სანტიმი. ქალაქშიაც ისევე იყიდება. პატარა ვენახის პატრონს ხელს არ აძლევს თავისი ნაშრომი ღვინოთ გაყიდოს, საწნახელი და მისი მოწყობილობა, ჭურჭელი, შრომა და სხ. ყველა ეს ფულია და, აბა, ღირს ამოდენი დავიდარაბის აკიდვა ცოტა ყურძნისათვის? ის ყოველთვის მოკრეფის დროს ადგილობრივ ასაღებს იმ მაზანდაზე, რაც საზოგადოდ არსებობს. სამაგიეროდ ყიდულობს „შუა-ღვინოს“, ან ერთხელ გამოწურულ ჭაჭას, და თავის გემოზე აკეთებს. ყურძნის მყიდველი უმთავრესად ღვინის ზავოდებია. ის კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ითქვას, რომ უმრავლესობას ვენახი არა აქვს, თუმცა ვაზის ხელობა ყველამ კარგად იცის, და სხვის ვენახში მუშაობს ქირაზე.

მთელ შვეიცარიაში 87,714 აკრი ვენახია; ზოგ კანტონში დიდი ალაგი უჭირავს, ზოგში ცოტა. არის იმისთანაც, სადაც სრულიად არ მოიპოვება ვაზი (მაგ. უნტერვალდენი და აპენცელი). მევენახის უმთავრესი მიზანია ცოტა მიწაზე ბევრი მოსავალი მიიღოს. ამისათვის არავითარ შრომას და ხარჯს არ ერიდება. ვაზი ახლო-მახლოა დარგული და არავითარი ბალახი არ ახლავს. მუშას მუდამ თოხი უჭირავს და როგორც კი სადმე ბალახი ამოჰყოფს თავს, მაშინვე უსპობს სიცოცხლეს. ამასთანავე თითოეულ ძირ ვაზს უტრიალებს „დანა-წალდით" და მაკრატლით, მეტ ფოთოლს ართმევს, წვერს სჭრის და ამოკლებს. ხე ან სხვა რაიმე მცენარე ვენახში არ შეიძლება. ერთ მუშა გლეხს ვკითხე, რატომ ერთი საჩრდილობელი ხეც არ არის თქვენს ვენახში-მეთქი. —ამის მიზეზი ცხადია, ერთი ძირი ხე რომ სინოყიერეს გამოწურავს დედა-მიწას, ის შვიდ-რვა ვაზს ეყოფაო, მიპასუხა მან. ის თავის მოქმედებაში იმ აზრით ხელმძღვანელობს, რომ ნიადაგის პოხიერება ტყუილ-უბრალოდ არ დაიკარგოს, მხოლოდ ვენახი კვებოს. ამ გვარი მეცადინეობა რიგიანად გვირგვინდება. ხშირად გამიგონია, თითო აკრ ვენახში ხანდახან 12 ათას ბოთლ წმინდა ღვინოს ვაყენებთო. მხოლოდ ოფიციალური წყაროები თითო აკრზე 2,000 ბოთლ წმინდა ღვინოს ანგარიშობენ. მაშასადამე შვეიცარიაში წელიწადში დგება 175 მილიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 428 ათასი ბოთლი ღვინო. ეს არ ჰყოფნის შვეიცარიას, რის გამო უცხოეთიდან ყოველ წელს მოაქვთ 62 მილიონი ბოთლი. ამ ღვინის მომხმარებელი განსაკუთრებით უცხოელია (300 ათასი), რომელიც ადგილობრივ ღვინოს ვერ ეწყობა.

ვენახში მომუშავე არასოდეს დედაკაცი არ მინახავს, მხოლოდ რთველზე ეხმარებიან მამა-კაცებს. არც ნასწავლი აგრონომი შემხვედრია. მევენახეები სოფლელებია, რომელთაც ისე აქვთ შესწავლილი ეს ხელობა გამოცდილებით, როგორც თიბვა, თუ პურის თესვა. ნასწავლი მეღვინეები ჰყავთ მარანში, სადაც ათი-ათას ბოთლობით კეთდება და იგზავნება გასასყიდათ. წვრილ მესაკუთრისათვის ამ გვარი ზავოდი წარმოადგენს საუკეთესო ბაზარს; აქ ასაღებენ არა თუ ყურძენს, არამედ ღვინოსაც, და შემდეგ გადაკეთებულ-გადახალისებული გადადის საზოგადოებაში. მარნები აქვს გამართული შეძლებულ მემამულეებს, ან ვაჭარ-კაპიტალისტებს; უკანასკნელს შეიძლება ერთი ძირი ვაზიც არ მოეპოვებოდეს. კარგად უნდა გვახსოვდეს ერთი გარემოება: გასაყიდი საქონლის ფასი ემორჩილება, როგორც ქალაქში, ისე შორეულ სოფელში, საზოგადო მაზანდის აწევ-დაწევას, და არას შემთხვევაში ჩარჩთა ოინებს და გაუმაძღრობას. აქ ჩარჩობა არ არსებობს, არიან მხოლოდ წვრილი და სხვილ-ფეხა ვაჭარნი. ესენი გლეხებისაგან პირდაპირ ყიდულობენ თანახმად მაზანდისა და შემდეგ ყიდიან. მოგება ისეთი რჩება, როგორც მაგალითად წიგნის მაღაზიას, ცალ წიგნში არას დააკლებენ, ასში კი ბევრს; მეურნე როცა ბლომად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასალებს, მაშინ მაზანდაზე ცოტას აკლებს. აი, ეს განსხვავება დაკლებულის და ნამდვილის ფასისა რჩება ვაჭარს. ერთი ბოთლი ღვინო ქალაქის უპირველეს სასტუმროში და სოფლის მარანში ერთ და იმავე ფასად ღირს. თუ ვაჭარმა ნაყიდი წმინდა ღვინო გადააკეთა, ფასიც იწევს თანახმად ამ ზედმეტი ხარჯისა. მეღვინეობის ყველა ნაწარმოები ყიდვა-გაყიდვაში ამ საერთო წესს ემორჩილება. კიდევ ვიმეორებ, ოინებით ფულის შეძენა და თავის რჩენა შეუძლებელია, ცხოვრების პირობები ნამეტანი განსაზღვრულია, რაც უნდა იტრიალო, ამას ფეხს ვერ გადააბიჯებ.

როცა ყურძენი ძალიან დამწიფდება, მოკრეფენ და ჩაალაგებენ საწნახელში, რომლის ფორმა ჩვენსას წააგავს, მხოლოდ ერთ მოხერხებულ ადგილას „კრანტი“ აქვს გაკეთებული. თავში იწნიხება და ბოლოში დაწმენდილი გამოდის. ამას პირველ ღვინოს უწოდებენ, შემდეგ ჭაჭას დაასხამენ წყალს და დახურულს ორ-სამ დღეს დატოვებენ დასადღებლად. მესამე დღეს ხელახლადვე დაწნეხენ, ჭაჭაზე ფიცარს დააფარებენ და ზევიდან დაუჭერენ მანჭანას („პრესი“), უკანასკნელი წვეთი წვენიც კი ეცლება და ბოლოს რჩება გამოფიტული ჭაჭა, რომლიდანაც არაყს ხდიან. რასაკვირველია, ყველა მევენახე არაყს არ ხდის, ჭაჭას ყიდულობს ამის განსაკუთრებითი საწარმოო დაწესებულება (არაყის ზავოდი). მეორეხელ გამოყვანილ ღვინოს ადვილად ვერ შეატყობთ წყალნარევობას; იყიდება უწყლოს სახელით, თუმცა გაცილებით უფრო იაფად. უმრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლეს შემთხვევაში ამ ღვინოს აკეთებენ, ალკოჰოლს უმატებენ და ისე ასალებენ. უწყლო იყიდება 50—70 სანტიმად ბოთლი, წყალ ნარევი 40—50 სანტიმად. საუკეთესო ღვინო დგება ვალისში და ძვირიც არის.

ყველა კანტონს ჰყავს დაქირავებული აგრონომი-ისპექტორები, რომელთა დანიშნულება ვენახის დათვალიერება დ ავადმყოფობის აღმოჩენა-წამლობაა. ისინი წელიწადში ორხელ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე მოგზაურობენ სოფლებში. აქაც ვაზის მტერი ფილოქსერა ყოფილა. უპირველესი საშუალება ფილოქსერის წინააღმდეგ დასენიანებული ადგილის განცალკევებაა ისე, რომ სალ ვენახს არ მოედოს; ამისათვის ყოველ ღონისძიებას ხმაროობენ. აქ საზოგადოთ იმ აზრისანი არიან, რომ ფილოქსერით დაავათმყოფებული ვაზის გამობრუნება შეუძლებელია, მხოლოდ მოსახერხებელია ისე მოვლა, რომ ეს სენი სხვას არ გაუჩნდეს (ჰიგიენა). ხშირად ვენახი ფილოქსერას გაუფუჭებია, მოსაზღვრე კი უვნებლად გადარჩენილა. ერთი სიტყვით ფილოქსერას აჭრობენ იქ, სადაც გაჩნდა და უსპობენ სახსარს გავრცელებისას. ამ რამდენიმე წლის წინად ფილქსერიანი ვენახი მთავრობის განკარგულებით იჩეხებოდა. ამან გამოიწვია უკმაყოფილება და ზოგან წინააღმდეგობაც. ახლა ასე ალარ იქცევიან, პატრონის ნებაყოფლობაზეა მიშვებული; თუ აუცილებლად საჭიროა რომელიმე ვენახის აჩეხა, პატრონს აძლევენ კარგ სასყიდელს და ურიგებენ ამერიკის ვაზს *).

---

*) შარშან იტალიის ერთს მაზრაში—Suna—დიდი არეულობა მოახდინეს გლეხებმა ფილოქსერის დასის წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა შვეიცარიაში ძლიერ ვრცელდება ამერიკის ვაზი. გასულ წელს ჟენევის სამეურნეო საზოგადოებაში დიდი ლაპარაკი იყო ამის შესახებ. წარმოდგენილ ცნობებმა ნათლად დაამტკიცეს ამ ვაზის საუცხოვო ღირსება. მაშინ აირჩიეს განსაკუთრებითი კომისია ადგილობრივ დასათვალიერებლად, რომელმაც იგივე აზრი დაასკვნა. სადაც კი გაუშენებიათ ამერიკის ვაზი, ყველგან უხვეირია და მოულონელი ნაყოფი მოუტანია—ამბობს კომისია თავის მოხსენებაში.

ვენახს ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს ტესენის კანტონში (7,488 ჰექტარი), შემდეგ მოსდევს ვო (5,850 ჰეკ.) და სხ. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ვენახის სივრცეს მთელი კანტონის სივრცესთან შედარებით, დავინახავთ, რომ პირველში ვენახი წარმოადგენს 2,61%, მეორეში—1,81%, ჟენევის კანტონში კი 8%, ე. ი. 24, 630 ჰექტიწაზე 1,928 ჰექტ. ვენახია გაშენებული. მაშასადამე ეს კანტონი მთელ შვეიცარიაში იჭერს ამ მხრით პირველ ალაგს. ეს მით უფრო საკვირველია, რომ გარეგანი შეხედულობით აქაური ნიადაგი და ადგილთა მდებარეობა ვენახს სრულიად არ უნდა უწყობდეს ხელს. მთელი კანტონი გაშლილ ველს შეიცავს, მხოლოდ აქა-იქ, იშვიათად, პატატოვა-

---

ალმდეგ, რომელსაც ვენახები უნდა აეჩეხა, ჯარის და თოფის წყალობით მთავრობის განკარგულება მაინც სისრულეში იქნა მოყვანილი! ასეთი ამბავი დატრიალდა მთელს იტალიაში. ყველგან საფილოქსერო დასს შეიარაღებული ჯარი ახლდა.

ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი გოლაკებიც არის. 1817 წ. ვენახს ეჭირა 1,139 ჰექტ. მაშასადამე მას შემდეგ 789 ჰექტ., ანუ 70% მოუმატია. ერთი და იგივე სივრცე მიწა სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა რიცხვ მოსავალს იძლევა. ხოლო ყველა ამ ცვლილებაში ერთ კანონს ვხედავთ: რაც წინ მიდის დრო, მით მეტი მოსავალი მოდის, თუმცა ხალხური თქმულებით ძველ დროში უფრო უხვი იყო მიწის მოსავალი, ვინემ ახლა. აი, ცნობები ვოს კანტონის შესახებ *). საშუალო რიცხვით ერთი ჰექტარი მიწა იძლეოდა 1700—1750 წ. —7,100 ჩარექ ღვინოს; 1750—1800 წ.—6,100 ჩარ. (ამ ხანაში მხოლოდ ოთხი წელიწადი ითვლება სამაგალითო მოსავლიანად, როცა თითო ჰექტარი 10 ათას ჩარ. იძლეოდა), 1880—1850 წ. 7,800 ჩარექს და 1850—1893 წ.—7,300 ჩარექს. ჟენევის კანტონში 1842—1843 წ. ერთ ჰექტარზე მოდიოდა 4,779 ჩარ. 1882 წ.—5,200. აქ უკანასკნელ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში მოსავალი მატულობს, მაგრამ 1875—1880 წ. კი ერთობ შესამჩნევად დავარდა, რადგანაც მაშინ ფილოქსერა აღმოჩნდა და მოედვა ვენახებს.

ამასთანავე მატულობს ღვინის ფასიც, თუმცა მოსალოდნელი იყო ფასის შემცირება: 1700—1750 წ. ჩარექი ღირს 18 და $^1/_5$ სანტიმი, 1750—1800 წ. —22 სანტ., 1800—1850 წ. 25 $^1/_2$ სანტ., 1851—1893 წ.—42 სანტიმი. ჟენევის კანტონში: 1851—1861 წ. თითო ჩარექი თეთრი ღვინო იყიდებო-

*) ციფრები, ამ წერილში მოყვანილი, გამოქვეყნებულია ვოს შესახებ ამ წელს. ხოლო ჟენევის—1884 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 34 სანტ., 1861—1871 წ.—33 $^1/_2$ სანტ., 1871—1881 წ.—41 სანტ., შემდეგ კი—45—55 სანტიმად. ამ გვარად ერთი მხრით მრავლდება მოსავალი, მეორე მხრით მაღლა იწევს ნაწარმოების ფასი. ცხადია თანახმად ამისა უნდა იცვლებოდეს ვენახის ღირებულება. ორთა შუა რიცხვით თითო ჰექტარი მიწა (ქენევის კანტ.) ღირდა 1867—1874 წ.—3,787 ფრანკი, 1874—1882 წ.—4,056 ფრანკი. იმ ნაწილში, სადაც გზები დაიმართა და მისვლა-მოსვლა გაადვილდა, ფასიც თითქმის გაორკეცდა. სამწუხაროდ ხელთ არა გვაქვს ცნობები ვენახის ღირებულებისა სხვა-დასხვა დროს, ამისთვის უნდა დავჯერდეთ შემდეგით: ერთი ჰექტარი ვენახი უპირველეს ხარისხის ღირს 13 ათას ფრანკ., შუათანა—10,400 ფრანკ., დაბალის—5,300, საშუალო რიცხვით თითო ჰექტარი ღირს 9,300—9,800 ფრანკი. მოიჯარადრე ერთ ჰექტარ ვენახზე პატრონს აძლევს 370—445 ფრ. წელიწადში. გამოვიანგარიშოთ, რა ჯდება ერთი ჰექტარი ვენახის შემუშავება და რა მოაქვს ხარჯი: ნიადაგის ხელ-ახლა ატანა და თავის ალაგას დაყრა, მიწის გაკეთება და ვაზის გაწმენდა—92 ფრ., კვლების და თხრილის ამოღება და გათოხვა 29 ფ., ვაზის გადაწვენ-გადმოწვენა, ფურცლების შერთმევა, დაბარვა და სხ. 148 ფრანკი. სულ 536 ფრანკი. ყურძნის მოკრეფა, დაწურვა და სხვა შემდეგი შრომა ზედმეტი. შემოსავალი: 5,200 ჩარექი ღვინო ღირებული 2.080 ფრ., ამას მიუმატეთ ჭაჭის ფასიც. მთელ კანტონში მოდის 10 მილიონი ჩარექი წმინდა ღვინო წელიწადში. აქვს ამას ბაზარი? ამოდენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინოს მარტო ყენევის ქალაქი ხარჯავს, მაგ. 1860 წ. ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ითვლებოდა 41,415 და დაიხარჯა 7,365,495 ჩარექი, თითოეულზე მოდის 177 ჩარექი 1870 წ. (47,500 მცხოვრებთ)—10,167,696 ჩარექი, ანუ თითოეულ სულზე—214; 1880 წ. (50,000 მცხოვ.)—9,262,062 ჩარ., თითოულზე 185 ჩარექი *). ამდენივე ღვინო რომ კანტონის დანარჩენ მცხოვრებლებმა დახარჯოს, უცხოეთიდან უნდა შემოიტანონ. რასაკვირველია ქალაქში დახარჯული ღვინო მარტო კანტონის ნაწარმოები არ არის, აქ მოდის სხვა კანტონებიდან და უცხოეთიდანაც, სამაგიეროდ აქედან იქით მიაქვთ. მეურნის აღებ-მიცემობა ერთი რომელიმე ტერიტორიით შემოფარგლული არ არის. ის ძლიერ ადევნებს თვალ-ყურს ბაზრის მდგომარეობას ევროპის სხვა-და-სხვა კუთხეში და ამის თანახმად მოქმედებს, ანაღდებს იქ, სადაც მოთხოვნილებაა. იმას თუ უცადა, აბა როდის გაჩნდება მუშტარი უახლოვეს ბაზარზეო, მეურნეობაზე ხელი უნდა აიღოს. მას ყოველ დღე ფული ესაჭიროება, თუ კი თავის საქონელი სახლში შეინახა, საიდან უნდა გაასწოროს სხვა-და-სხვა ანგარიში. მის წინ გადაშლილია მთელი ევროპა, თავის საუცხოო გზებით. მეურნე ანუ მეურნეთა გუნდი (სინდიკატი) გზავნის იქ, სადაც სარგებლობას ხედავს.

*) ამ დროს ფილოქსერის მიზეზით ღვინო ნაკლები მოვიდა და დაძვირდა, სამაგიეროთ ლუდის ხმარება გავრცელდა: მაგ. 1860 წ. თითოეული სვამდა 20 ჩარექა ლუდს, 1880 წ.—48 ჩარექს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ სამეურნეო „სინდიკატს“ აგენტები ჰყავს უმთავრეს ბაზრებზე, რომელნიც ცდილობენ არა თუ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ თვით მოთხოვნილების ანუ მუშტარის აღმოჩენას. ამისთვის მეურნემ შეიძლება ყველა თავისი ნაწარმოები ერთბაშად გაყიდოს, თავისთვის კი შემდეგ იყიდოს. ვენახის პატრონი ღვინოს ყიდულობს, ყანის პურს და სხვ. მათი ინტერესი მოითხოვს ყოველივე მიწის ნაყოფი ფულად აქციოს. მისი მიზანი ფულია, სხვა ყველა საშუალებაა.

შვეიცარიის ბუნება ხელს არ უწყობს პურის მოსავალს, ამისთვის უცხოეთიდან შემოაქვთ (ავსტრია, რუსეთი, გერმანიიდან) ოთხმოცდა-ათი მილიონი ფრანკის ხორბალი წელიწადში. საზოგადოდ შენიშნულია, რომ თან-და-თან მატულობს საბალახო ადგილები, სახნავ-სათესი, საბოსტნე და სხვა-კი კლებულობს, მაგ. ჟენევის კანტონში 1817 წ. ეჭირა 40,388 ჰექტ. მიწა, ხოლო 1882 წ. 76,466 ჰეკ., მომატებია 50%. მეორე-გვარ მიწებს 11,996 ჰეკ. 1882 წ.—10,326 (შემცირება 14%). ამის მიზეზები, რასაკვირველია, ის არის, რომ საქონლის მოშენება უფრო მეტ ხეირს აძლევს მეურნეს. განსაკუთრებით პურს გაცილებით მეტი სივრცე ეჭირა წინად ვინემ ახლა: 1820 წ.—6,851 ჰექტარი და თითო ჰექტარზე მოდიოდა, საშუალო რიცხვით, 1,129 კილო (ერთი კილო ორ გირვანქაზე ცოტა მეტია), 1832 წ. —5,994 ჰექტ. თითოზე მოდიოდა 1292 კილო; 1882—3995 კილო, თითო ჰეკ. 1377. ამ ნაირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვხედავთ, რომ პურის სათესი ადგილი მცირდება, მხოლოდ ნაყოფიერება მატულობს (ინტენსიური კულტურა). ამის დაგვარად პურის ფასიც კლებულობს: 100 კილო ღირდა 1851—1861 წ. $34^1/_2$ ფრან., 1861—1871 წ. $29^1/_3$ ფრან., 1871—1881 წ. 31 ფრან. ამის მიზეზი უცხოეთის პურის მოცილეობაა.

აქ გავრცელებულია წვრილი საკუთრება, რის გამო მამულის იჯარით გაცემა იშვიათია. მესაკუთრე, ან თავის ხელით მუშაობს, ან ნაქირავები კაცებით. ის თვითონ ადევნებს თვალ-ყურს თავის მიწა ადგილს. მისი აზრით იჯარით გაცემა ლატარიაა, შეიძლება წააგოს, შეიძლება მოიგოს, მაშინ როდესაც თვითონვე შეუძლია გაუძღვეს, გამოიანგარიშოს რა დაუჯდება შემუშავება, ერთი სიტყვით თავის სარგებლობისთვის პირდაპირ მან იზრუნოს. ავიღოთ მაგ. ჟენევის კანტონი, სადაც სახნავ-სათესი მიწები მთელ სივრცესთან შედარებით ყველა კანტონზე მეტია. საკუთრება 100—200 ჰექტარი მხოლოდ ორ-სამ სოფელშია, აქაური დიდი მამულები შედგება 50—80 ჰექტარით. ესეც თითით საჩვენებელია. ამ პატარა ქვეყანაში, სადაც მეურნეობისთვის გამოსადეგი მიწა ითვლება 21,928 ჰექტ., 16,653 მესაკუთრეა. იჯარით არის გაცემული 7,590 ჰექტ. (34 %). ძლიერ ხშირია მიწის შემუშავება ნაქირავები კაცით, ყოველ სოფელშია ბოგანო გლეხები, რომელნიც ქირით ირჩენენ თავს, ან მცირე მესაკუთრეა და იძულებულია დღიურად იმუშაოს სხვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულში. მუშის დღის ჭირა ამ უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში თანდათან მატულობს. მუშის ჭირა პატრონის სასმელ-საჭმელით და ბინით წარმოადგენს 1852—1861 წ. 93 სანტიმს, 1861—1871 წ. —123 სანტ., 1871—1881 წ.—153 სანტ., ძვირია ივლისის და ივნისის თვეებში, იაფი იანვარში. მუშის სასმელ-საჭმელს და ბინას ანგარიშობენ დღეში 1 ფრ. და 35 სან., მაშასადამე უკანასკნელ ათწელიწადში მუშა ღირებულა დღეში სამ ფრანკამდი. დედა-კაცის ჭირა ერთი მეოთხედით ნაკლებია მამაკაცისაზე. ციურიხის კანტონში საჭმლით ღირს ერთ ფრანკ-ნახევარი (უბინაოთ), ვოში—3 ფრ. (უსაჭმლოთ და უბინაოთ), სენეგალში—2 ფრ. ნახევარი. მუშა-მოხელე, მაგ. მევენახე, ზაფხულში ღებულობს ფრიბალის კანტონში 2 ფრ. და საჭმელს, ზამთარში 1 ფრ. და 20 სან., ჩვეულებრივი მუშა იქავე ზაფხულში 1 ფრ. და 60 სანტ., ზამთარში 1 ფრ. ციურიხში პირველი ღებულობს საჭმლით წლობით 600—800 ფრ., მორე—500—600 ფრ., მოსამსახურე ქალი ფერმაზე—250—300 ფრანკს. ორთა შუა რიცხვით მთელ შვეიცარიაში მუშა იღებს დღეში ფრანკიდან ფრანკ-ნახევრამდე პატრონის ხარჯით, თავის ხარჯით კი სამ ფრანკს, აღმოსავლეთ შვეიცარიაში ნაკლებს ღებულობს, ვინემ დასავლეთში. ხოლო საერთოდ შვეიცარიელ მეურნის დღის ჭირა 33—40 % ნაკლებია ვინემ ინგლისის, და 10—15 % ვინემ საფრანგეთის.

მუშათა ხელის სიძვირის გამო აქ დიდი ხანია ცდილობენ მაშინები შემოიღონ და იაფად დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯინონ მიწის შემუშავება. დააარსეს საზოგადოებები, რომელთა მიზანი იყო სამეურნეო მანქანების ყიდვა და შემდეგ ცოტა მოგებით გაყიდვა, ან გაქირავება. ამ საქმემ ნიადაგი ვერ მოიპოვა და ყოველთვის ჩაიფუშა. ამის უმთავრესი მიზეზი ადგილ-მამულის დაკნინება, წვრილი საკუთრებაა. ცხადია, ღარიბი ვერ შეიძენს ოთქლის მაშინას. ვთქვათ, პატარა მამულის პატრონი შეძლებულია და მაშინებიც გაიჩინა. განა ეს მისთვის სახეიროა? სრულიადაც არა, რადგანაც შესაფერი სამუშაო არ ექნება და მაშინებიც მუქთად იქნება გაჩერებული. ამ ბოლო დროს ამ გარემოებამ სხვანაირი მიმართულება მიიღო. მაშინები იყიდეს იმ პირებმა, რომელთაც არავითარი მამული არა აქვთ. მხოლოდ დადიან სოფელ-სოფელ და აქირავებენ. ერთ სოფელში მოიტანეს სალეწი მანქანა, მთელი სოფლის პური ერთ დღეს გალეწა, სალამოს მეორე სოფელში წაიღეს, სადაც უცდიდენ. ამით მოგებაშია მეურნეც და მაშინის პატრონიც. გუთანი კი ყველგან ახალი სისტემისაა. ხნავენ ორი-სამი ცხენით, ან ხარებით (ხარებით იშვიათად). გუთანს ღრმად ავლებენ და ნაკელს და ნიადაგს ძლიერ ურევენ ერთმანეთში. იშვიათად ყავს მეურნეს ხარი, ან ცხენი, თითქმის ყოველთვის და ყოველგან ქირაობენ. ერთ სოფელში შეიძლება ერთ-ორს ჰყავდეს სამუშაო პირუტყვი, რომლის დანიშნულება გაქირავებაა. მთელი სოფელი ამათგან ქირაობს, მეურნეგლეხმა რომ პირუტყვი გაიჩინოს დიდ ზარალს ნახავს. მისი შენახვა დიდი ფული დაუჯდება, მაშინ როდესაც ნაქირავებით უფრო იაფად გამოდის. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვით: გააქირავებსო. თუ კი ყველას ეყოლება, ვინლა იქნება მქირავებელი. ახლა კი ასეთი წესი სუფევს, რომ საქონელი უმრავლესობას არ ჰყავს და იძულებულია იქირაოს. აქაც შრომის განაწილებაა. როცა ქირაობენ საქონელს, ქირაობენ კაცით, რადგანაც პატრონი სხვას არ ანდობს, ამისათვის ურიგდებიან ამდენი მიწა დამიხანი და ამდენს მოგცემო. ერთი ჰექტარი მიწის შემუშავება ჯდება: დახვნა 59 ფრ., ეს რიცხვი ზოგან 66 ფრ. ადის, ზოგან 52 ფრ., დამოკიდებულია ნიადაგის სიმაგრე-სირბილეზე; დათესვა 15—29 ფრანკამდის, დაფარცხვა 4 ფრ., მოკრეფა 37 ფრ., გალეწვა—37 ფრ., სულ 153 ფრანკი; ქალაქში წაღება გასაყიდათ სხვა ხარჯია. შემოსავალი: 1,387 კილო, ანუ ფულად, 430 ფრანკი. გალეწვისთანავე, გადაურჩევლად, ხორბალი მოაქვთ ახლო-მახლო ქალაქებში მეწის ქვილეებთან და ყიდიან. ეს წისქვილები სწორედ სამაგალითოთ არის გაკეთებული. თითოეული წარმოადგენს ვეებერთელა შენობას ასი-ორასი საფქვავი ქვებით, რომელნიც ერთი და იმავე ძალით მოდიან მოძრაობაში. ეს ძალა წარმოდგება წყლიდან, რომელიც გამოყვანილია ტბიდან, ან მდინარიდან, და საშინელი სიძლიერით ვარდება ამისათვის განგებ გაკეთებულ ორმოში. ვერც წყალს და ვერც ამ ორმოს კაცი ვერ ხედავს, სადლაც უფსკრულშია, საიდანაც არავითარი ხმაურობა არ ამოდის. იქიდან გაჰყავთ ძალა და აძლევენ ამა თუ იმ მიმართულებას მაშინების საშუალებით. ეს ძალა უდრის 70—100 ცხენის ძალას. ყოველნაირი ხორბალი, პური, ქერი, ჭვავი და სხ. ერთმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთშია არეული, თან ახლავს ქვები, სილა და სხ. ერთ მუშას მოაქვს ტომრით და ყრის ვეებერთელა ჭურჭელში, მერე ამას აღარაფერი ეკითხვის, მხოლოდ სულ დაბლა პირველ სართულში გამოდის სხვა-და-სხვა ადგილიდან გაცრილი ფქვილი: პური, ქერი და სხ. როგორ ხდება ეს? გავყვეთ ჩვენ ერთ ტომარ ხორბალს წისქვილის მესამე სართულიდან. პირველად ის იწმინდება და ყოველისავე ტალახისა და სილისაგან თავისუფლდება. შემდეგ ნაწილდება, ცალ-ცალკე გადადის პური, ქერი, ჭვავი და სხ. მეორე სართულში იფქვება, პირველში იცრება და იყრება ტომრებში. აქ საჭიროა ერთი მუშა, რომ სავსე ტომარს თავი მოუკრას და ცალიერი ტომარი მიაკრას თავის ადგილას. იქვე მაშინაზე ადებს რამდენსამე ტომარ ფქვილს და თვალის დახამხამებაში მესამე სართულზეა გაჩენილი. იქ იწერება და იგზავნება ხაბაზებთან, სადაც გამომცხვარს ყიდულობს, როგორც გლეხი, ისე არა გლეხი. პატარა, ჩვენებური წისქვილები აქ აღარ არსებობენ. აქაური წისქვილი ჯდება არა ნაკლებ ნახევარი მილიონი ფრანკისა და აშენებს შეძლებულთა გუნდი, ანუ კომპანიები: სახლში პურს არავინ აცხობს. ხნიერი კაცები იტყვიან, მახსოვს ის დრო, როცა პურს სახლში ვაცხობდითო.

ახლა გამოვიანგარიშოთ მიწის გადასახადი ქენევის კანტონში. სამუშაო მიწა და საშუშე ითვლება 21,998 ჰექტარი, რომლიდანაც უნდა გამოირიცხოს ქალაქში მდებარე მამ-ულები—732 ჰექტ., დაგვრჩება 21,196 ჰექტ. სოფლის ღირებული 28 მილიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად. ამაზე მოდის წელიწადში ათი მილიონი ფრანკის ნაწარმოები. ამ ადგილებს აწევს შემდეგი გადასახადი.

კომუნის და კანტონის სასარგებლოთ.	154,259	ფრ.
ფილოქსერასთან საბრძოლველად .	16,022	ფრ.
სხვა-და-სხვა საჭიროებისთვის. . .	11,000	ფრ.
ვალის (17 მილიონი) სარგებელი .	850,000	ფრ.
სულ	1,130,281	ფრ.

მაშასადამე თითოეულ ჰექტარზე მოდის 53 ფრ. როგორც ვხედავთ გადასახადის ორი ნაწილი ფულის პატრონის ჯიბეში გადადის. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ვალები ბანკებიდან არის აღებული და არა კერძო მოვახშეებიდან, რომელნიც აქ სრულებით არ არსებობენ. აქ მეურნის მოვახშე ბანკია. ნუ გეშინია, დიდი დავიდარაბა არ უნდა სესხებას; წარადგინე მოწმობა, ესა და ეს მიწა დაუგირავებელია, ლირს ამდენი და შემოსავალს იძლევა ამდენს და გათავდა. მაშინვე ოქრო-ვერცხლს ჩაგიჩხრიალებენ ხელში, ან და ერთი თავდები, რომელსაც საკუთრება აქვს.

ამ ანგარიშში არ არის ჩამოთვლილი ის ვალი, რომელიც აწევს შენობებს და ქალაქის მამულებს. თუ ესეც მივიღეთ სახეში, გამოვა, რომ ჟენევის კანტონს ვალად აქვს აღებული 117 მილიონი და 874 ათასი ფრანკი. გამოანგარიშებულია, რომ ჟენევაში ყოველივე ქონება ყოველ ოც წელიწადს იცვლის პატრონს და სხვის ხელში გადადის.

ამით ვათავებთ შვეიცარიის მეურნეობაზე ლაპარაკს. მკითხველს წარმოუდგინეთ ციფრები მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენენევის კანტონის შესახებ, იმიტომ რომ ამ ნაწილს უფრო კარგად ვიცნობთ, ვინემ სხვებს, მხოლოდ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რასაც წარმოადგენს ეს კანტონი, იმასვე გვიჩვენებს მთელი შვეიცარია, საფრანგეთი და სხ. დასავლეთ ევროპაში, სადაც კაპიტალისტური წყობილება უმაღლეს ხარისხამდეა განვითარებული, ორი საშინელი სენი მძვინვარებს: ერთი მხრით გლეხი-მეურნე ბანკების ბრჭყალებში ჩავარდნილა და თავი ველარ დაუღწევია, მეორე მხრით მუშა-პროლეტარი მექარხნე-მწარმოებელს გაუხდია ყმად, ე. ი. მშრომელ ხალხს ფულის პატრონები გადაფარებიან, შრომა და ფული ერთმანეთს დასცილებიან, ვინც არ შრომობს, იმას ფული აქვს, შრომობს, იმას ფული არა აქვს. აი, რა წინააღმდეგობას მიადგა კაცობრიობა. ევროპა ამ ფარგალში ფართხალებს და აქედან გასასვლელი ჯერ ვერ უპოვნია. ამასთანავე საკვირველია ერთი გარემოება: რაც მაღლა მივიწევით ფინანსების საფეხურზე, მით თანდათან იკარგვის პიროვნება და სარბიელზე გამოდიან კომპანიები თავიანთი აქციებით, ბანკის ბილეთებით, ოქრო-ვერცხლით. აქციებზე შენდება ბანკები. მეურნე იძულებულია ყოველ წლივ სარგებელი იხადოს, მაგრამ ვის მოაქვს ამდენი ფული, არ იცის, პატრონს ვერ ხედავს; მუშა იძულებულია ნახევარი დღე იმუშაოს ვიღაცას სასარგებლოდ, მაგრამ ვინ არის ეს „ვიღაცა“ არ იცის, თავის დღეში არ უნახავს; აქ პიროვნება კაპიტალისტისა არ ჩანს, ჩანს მხოლოდ სისტემა, სისტემა კაპიტალისტური და თვით პიროვნება ამ სისტემის იარაღად გადაქცეულა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

ჩვენ აქამდი ვლაპარაკობდით გლეხი-მეურნის შესახებ მაგრამ არის აგრეთვე გლეხი არა მეურნე, ანუ ნახევრად მეურნე, ესენი სოფლად ცხოვრობენ, სოფელში დაბადებულან და აღზრდილან, მხოლოდ მათი ხელობა კი სოფლიური არ არის. მიწის მუშაობის არაფერი გაეგებათ. ამ-თი საცხოვრებელი პირობები დიდად განირჩევა მეურნის პირობებისაგან. განვიხილოთ ცოტა უფრო დაწვრილებით.

საქმე იმაშია, რომ შვეიცარიის სოფლებში ქარხნებს მოუკიდია ფეხი და ნამდვილი ქარხნული ცხოვრება აღორძინებულა, მცხოვრებლები დღიურ მუშებად გამხდარან. პირველად გაგიკვირდებათ, მაგრამ როცა გაიცნობთ, დარწმუნდებით, რომ ეს აუცილებელ მოთხოვნილებას გამოუწვევია. აი, არის იმისთანა ადგილები, განსაკუთრებით მაღალ მთებში (ჟიურა და სხ.), საცა ბალახის მეტი არაფერი მოდის, მაშინ როდესაც ზედ სოფლებია გამოჩალებული და ხალხი ტრიალებს. აშკარაა ამ ხალხმა ცხოვრების რაიმე წყარო უნდა გაიჩინოს. მოსალოდნელი იყო ამ გვარი წყარო პიროუტყვის მოშენება შეიქნებოდა. ნამდვილად კი ასე არ არის. ამის მრავალ მიზეზთა შორის ის უნდა დავასახელოთ, რომ ხელმოკლე გლეხს სრულებით არ ძალუძს პირუტყვის ყიდვა. ერთი ძროხა ღირს არა ნაკლებ 400—600 ფრანკისა. ამოდენა ფულის გამოღებას, ცხადია, ყველა ვერ შეიძლებს. ამას მოუმატეთ საბალახო, სადგომი, ხელსაწყო და დაინახავთ, რომ პირუტყვის მოშენებისათვის გვარიანი ბლომა თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაჲ საჭირო; ამისათვის დიდი უმრავლესობა ამას მოკლებულია. ესეც ვთქვათ რომ წინა დროს რიგიანი გზების უქონლობის გამო სამეურნეო ნაწარმოები თავისსავე სოფელს ვერ გასცილდებოდა, ქალაქი დაშორებული იყო. როცა ხალხი ცოტა იყო, იოლად გამოდიოდენ, არც მოთხოვნილება ჰქონდათ ბევრი. მაგრამ როცა გამრავლდნენ და ცხოვრებაც გართულდა საჭირო შეიქნა ახალი საშუალების გამოძებნა ახალი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აი, ამ დროს შემოიღეს საათის კეთება, ააგეს ქარხნები ქალაქებში და მუშებიც მიუცილებელი შეიქნა. გლეხობა დაიძრა სოფლიდან ქალაქისაკენ. მაშინ მთელი ქვეყანა შვეიცარიიდან ყიდულობდა საათს, რის გამო მუშათა ხელის მოთხოვნილება დიდი იყო და დაძვირდა. შორეულ სოფლებში მცხოვრებნი კონსერვატორული ელემენტის გამოდგა, თავიანთ მამა-პაპეულს მთებს და გაშლილ მიდამოებს ასე ადვილად არ მოეშვენ. მაშინ მექარხნეებმა განიზრახეს: თუ კი გლეხი ჩვენკენ არ მოდის, ჩვენ მივიდეთ იმისკენ. მთებში გაშენებულ მიყრუებულ სოფლებში ჩადგეს ვეებერთელა სახლები თავის ხელ-საწყო მაშინებით და ფულიც გოდრით მიიტანეს. ამ გარემოებამ ძირეულად შესცვალა სოფლის ცხოვრება. გლეხს, რომელიც ცისმარა დღეს მუქთად აღამებდა, ბედი კარზე მოუგორდა, ფულის შეძენის საშუალება მიეცა. მართალია, დღის ქირა ცოტა იყო, მაგრამ სულ არაობას, ესეც სჯობდა. სოფლელებმა მიატოვეს თავიანთი მცირე შემოსავლიანი მიწა-ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქარხნებში გადავიდენ. გლეხი მოშორდა ანა თუ მამულს, არამედ სახლ-კარსაც. მუშისათვის სამ-ძიმო შეიქნა ყოველ დღე საუზმე-სადილისთვის სვლა, რაიცა გვარიან შორს მდებარეობდა. ამისათვის იგი ყავა-ხანას მიადგა კარებზე. ამას მიუმატეთ ის, რომ ცოლი და მოზრდილი შვილები მას ამოუდგენ გვერდში და ოჯახიც შეირყა. აბა, რა ანგარიშია ლამის გასათევად უთუოდ მამაპაპეულს ქოხს მია-კითხონ; ამ გამოუსადეგ ქონებას ჰყიდიან და ქარ-ხნის ახლოს ქირაობენ ბინას. მექარხნეს გაუჩნდა მუდმივი რაზმი და გაჩაღდა წარმოება. შემდეგ თან-დათან იხსნება გზები და საქონლის გადატან-გად-მოტანა ადვილდება.

ამ ჟამად ბევრ სოფელშია ქარხნები. მრავალი მათგანი, როგორც კარებზე წარწერებისაგან სჩანს, ამ საუკუნის დამდეგს აუშენებიათ. ერთ ქარხანაში მითხრეს, ჩვენ მხოლოდ რუსეთის ბაზარზე ვასა-ღებთ ნაწარმოებს, მეორეში—ბრაზილიაში ვგზავ-ნითო და სხ. სოფელ სანტიეში არის სამართებელი დანის ქარხანა, რომლის სახელი მთელ ხმელეთზე განთქმულია. საზოგადოდ ყველა ამათ შორეულ ქვეყნებთან აქვთ ვაჭრობა გამართული, როგორც მაგალითათ ამერიკა, ავსტრალია და სხვ. სოფ. ბრა-სუსში (ეს სოფლები ჟურას მთებზეა) ერთ მექარ-ხნეს დიდი აღებ-მიცემობა აქვს გამართული სხვა-და-სხვა მხარეებთან, ფულს ატრიალებს, თვითონ კი თავის სოფელს არაოდეს არ გაშორებია, კან-ტონის დედაქალაქშიაც კი არ ყოფილა.—მაშ რა ნაირად უძღვება ამდენ საქმეებს-მეთქი, ვკითხე მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟს. აი, რა მიპასუხა: აი, მაგალითად მე მალალი სასწავლებელი დავასრულე, ბევრი ქვეყნებიც მინახავს, მამაჩემს სკოლის კარებიც არ უნახავს, მაგრამ ის კი ჩემზე უფრო განათლებული და გაგებულია ქვეყნის საქმეებში. ზედმიწევნით იცის ნივთიერი და პოლიტიკური მდგომარეობა სხვა-და-სხვა ქვეყნის. ამ ერთ წლის წინათ ბრაზილიაში პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლა ძლიერ გამწვავდა, მამაჩემმა მითხრა, აქ უთუოდ რევოლიუცია, ან რამე ატყდება და დროებით შევაჩეროთ ამ მხარესთან აღებ-მიცემობაო. მე კი აუხირდი, რევოლიუცია კი არა, წარლვნა არ გინდა მეთქი. მართლაც ცოტა ხანს შემდეგ გაზეთებში ამოვიკითხე ბრაზილიაში სამოქალაქო ომი ატყდაო, რის გამოც ოციათასი ფრანკი ვიზარალეთ. ეს ბერი კაცი დღე და ღამე წიგნს და გაზეთებს ჩასცქერისო. ამ გვარად, განათლების შეძენა, მწიგნობრობა, მასში ინტერესს გამოუწვევია, უამისოდ ვაჭრობა არ შეეძლო. თუ ამას დაუკვირდებით დავინახავთ, რომ ეს ჭეშმარიტია არა მარტო ამ ერთი კაცისთვის, არამედ მთელი ევროპისათვის. აქ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ არა გასართობად, დროს გასატარებლად, იწერენ არა ქველმოქმედების გამოსაჩენად, რედაქციას გაუსალოთო, არამედ იმიტომ რომ ამას მათი პირდაპირი ნივთიერი სარგებლობა მოითხოვს. ვაჭარი თვალყურს ადევნებს სამშობლოს და უცხოეთის ამბებს, გებულობს, სად რა მოთხოვნილება, რის ბაზარი არსებობს, რის განაღდება შეიძლება, მუშა კი მუდამ იმის ზრუნვაშია, სად ვიშოვო სამუშაო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი დღიური ქირა ავიღოვო. რადგანაც ბაზრის მდგომარეობა მჭიდროდ არის შეკავშირებული პოლიტიკურ მდგომარეობასთან, ცხადია, პოლიტიკაც ისე აინტერესებს მკითხველს, როგორც ეკონომია. კარნოს მოკვლის მეორე დღესვე საფრანგეთის აქციები ჟენევის ბირჟაზე ასიდან ოთხმოცდაათზე ჩამოვარდა, კაზიმირ პერიეს პრეზიდენტათ არჩევის შემდეგ აიწია და თავის კალაპოტში ჩადგა. აი, ამიტომ მიეგება ევროპის კონსერვატული მწერლობა დიდი სიხარულით პერიეს არჩევას, ვაჭრობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა არ შეირყევაო. მეორე მხრით, ერი დაყოფილია რამდენიმე დასად და თითოეული მათგანი ეტანება მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებას და თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ამ შემთხვევაშიაც პოლიტიკური ბოძოლა სრულიად დაფუძნებულია ნივთიერ ინტერესებზე. ახლა შეძლებულნი დგანან ქვეყნის სათავეში, მაგრამ ღარიბი ხალხი ემუქრება, დაიცადეთ, მანდ ჩვენ გავჩდებით და თქვენს ბატონობასაც ბოლო მოეღებაო. მართლაც ეს რომ ასე მოხდეს, მდიდრები თავიანთ ქონებას უნდა გამოემშვიდობონ. ამისთვის ამათი სარგებლობა მოითხოვს, თანახმად თავის მიმართულებისა, დაარსონ გაზეთები, გაავრცელონ წიგნები, იქადაგონ თავისი აზრები, ერთი სიტყვით იბრძოლონ მტერთა წინააღმდეგ. ასევე მოქმედებენ მოწინააღმდეგენი. აქ ერთი აზრით და იდეალით გამსჭვალული ინტელიგენცია არ არსებობს, ყველა დასს თავისი „ინტელიგენცია“ (ეს სიტყვა ხმარებაში არ არის) ანუ მეთაურები ჰყავს. უბრალო დღიური მუშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებების დროს ადის ტრიბუნაზე და ჭექა-ქუხილივით მჭერმეტყველობს მეტად რთულ პოლიტიკურ გინდ სოციალურ კითხვების შესახებ. ერთი სიტყვით, რა მხრითაც უნდა გასინჯოთ, ერთ დასკვნას მიადგებით; მწერლობის განვითარების და გონებრივი მოძრაობის მიზეზად ნივთიერი განვითარება გამხდარა.

აი, მთებშიაც მუშა ისეთი გაგებულია, როგორც ქალაქში. თავისუფალ დროს წიგნს და გაზეთს ჩასცქერის. ის ქარხნიდან გამოდის შუადღეზე, ერთი საათის განმავლობაში უნდა ისადილოს და უკანვე დაბრუნდეს. შედის ყავახანაში, ცალი ხელით საჭმელს ჭამს, მეორე ხელში კი გაზეთი უჭირავს, თითებს თეფშისაკენ აცოცებს, თვალები კი გაზეთს მისჩერებია. ერთ და იმავე დროს სჭამს და კითხულობს. მეტი დრო არა აქვს. ხშირად მუშათა შორის კაი გვარიანი ჩხუბი მინახავს გაზეთის გამო, არა მე წავიკითხამ პირველად არა მეო. მუშის ბინის მორთულ-მოკაზმულობა ისეთია, როგორც გლეხის, მხოლოდ უფრო მრავალგვარ წიგნებს ნახავთ მის ოთახში, ვინემ გლეხისას, რაიცა გახსენებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მუშა-პროლეტარი უფრო პროგრესიული ელემენტია, ვინემ გლეხი-მესაკუთრე. იმ მუშებს, რომელნიც თავიდანვე ამავე სოფლის მცხოვრები ყოფილა, ბინაც საკუთარი შერჩენია, დანარჩენი კი ქირაობენ. ამ უკანასკნელთ არავითარი საკუთრება არ მოეძევათ, პირველთ კი ხშირათ საბალჩე მიწა აქვთ, ან მეწველი ძროხა ყავთ. ამ შემთხვევაში ცოლი შინ რჩება და პირუტყვს უვლის, ქმარი კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხანაშია. არა იშვიათია ისიც, რომ მუშას სამუშაო არა აქვს. მაშინ ის იჯარით იღებს საბალახო მიწას და ბალახს ჰყიდის, ანდა ქალაქში მიდის ბედის საცდელად. დღის ქირა 2—3 ფრანკამდეა, წინათ კი მეტს ღებულობდენ თურმე. ახლა მექარხნე მუდამ ჩივის, გავლარიბდით, 'ვაჭრობა დაეცა, საათის კეთება ყველგან ისწავლეს და ჩვენგან ალარ მიაქვთო. ეს სანახევროდ მართალია. ამ ჟამად შვეიცარიაში დიდი კრიზისია, მრავალი ქარხნებია (საათის) გაჩერებული. სამუშაო არ აქვთ.*)

---

*) ჩვენ დაგვიგვიანდა პირველ წერილში მოგვეხსენებია შემდეგი: ყოველ კომუნას აქვს ერთი, ან ორი საჯარო წიგნთ-საცავი, აფთიაქი, და ჰყავს დაქირავებული ერთი ექიმი. აფთიაქი ყერძო პირს ეკუთვნის, ხოლო აქა იქ კომუნის საკუთრებაა. ექიმს ეძლევა ჯამაგირი და სადგომი. ამასთანავე ის იღებს ავადმყოფებისაგან სასყიდელს. მაგრამ ეს განსაზღვრულია დადებული ნიხრით, რომლის ძალით ერთი ფრანკიდან ერთ ფრანკ ნვახევრამდე შეუძლია აიღოს. ეს მაშინ, როცა სახლში მიიწვევენ ავათმყოფის გასასინჯად. როცა ავათმყოფი ექიმთან მიდის მაშინ იხდის არა უმეტეს ერთი ფრანკისა. ექიმს სამოგზაუროთ ცხენი, ან ეტლი თავისი ჰყავს. თუ კომუნის გარეშე გაიწვიეს (სხვა კომუნაში), გასინჯვისათვის იღებს რამდენიც სურს, აქ ნიხრს არა აქვს ძალა. ყოველ სოფელში არის საჯარო საათი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარიჟი

(წერილი საზღვარ-გარეთიდან)

(1895 წ.*)

I

პარიჟი! ვის არ გაუგონია ეს სახელი? ვინ არ იცის, რა არის ან სად არის პარიჟი? შეიძლება ვინმემ არ იცოდეს სამშობლოს რომელიმე ქალაქის არსებობა, მაგრამ პარიჟის სახელი კი უეჭველად გაუგონია, მისი სახელი შორს გავარდნილა ქვეყნის კუთხეებში და აშუქებენ იქაურობას. ამით ის ყველას თავისთავს ახსენებს და თავისკენ იტაცებს. მართლაც ვინ არ ნატრობს პარიჟის ნახვას, მისი აოე-მარის დათვალიერებას, მის ცხოვრებაში შეცურვას. პარიჟი გაგონილი და პარიჟი ნახული! რა განსხვავებაა! ერთი სიზმარია, მეორე ცხადი, ერთი ფანტაზიაა, მეორე სინამდვილე. ძნელია, მკითხველო, პარიჟის შესახებ შორიდან დაახლოებული წარმოდგენის შედგენა. ეს ქალაქი ჩვენთვის ერთიანად გამოცანაა, მაგრამ გამოცანაც არის და გამოცანაც. პარიჟს რამდენიც უნდა უტრიალოთ, თავს და ბოლოს ვერ გაუგებთ. იმასაც კი ვერ მიხვდებით, თუ რა არის

*) წერილი „პარიჟი“ დაბეჭდილი იყო პირველად— „კვალში“ 1895 წელს (№№ 2, 3, 7, 8, 9 და 15).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გამოსაცნობი, ასე გგონია, ყოველივე დღესავით ნათელია. ნამდვილად კი პარიჟის სიხარული და სიმწუხარე, მოძრაობა და შეჩერება, სულისთქმა და გულის ძგერა ჩვენთვის დაფარულია, გაუგებარია. იქ, სადაც ჩვენ ვიტირებთ, პარიჟელი გაიცინებს, ხოლო სადაც პარიჟელი გოდებას მოთავს, ჩვენ გაკვირვებული კისკისს გავმართავთ. ასეთია ჩვენ შორის განსხვავება. ეს უნდა ნახოთ, იგრძნოთ, ცოტა გაპარიჟელდეთ, რომ ოდნავ მაინც შეიგნოთ. პარიჟი პირველ ერთ კვირას სწორეთ უდაბნოა, დიალ, უდაბნო, არა იმიტომ რომ აქ უდაბური ერთგვარობა და მყუდროება სუფევს, არამედ იმიტომ რომ პარიჟი უდაბნოის მეორე უკიდურესობაა და რა გასაკვირველია ორმა უკიდურესობამ ხანდახან ერთნაირი შთაბეჭდილება მოახდინოს ადამიანზე. შეუჩერებელი მისვლა-მოსვლა, მოუსვენარი ფაცაფუცი, აბობოქრებული, აზღვავებული ცხოვრება, ჟრიამული, ორონტრიალი, ერთი სიტყვით პარიჟის ქუჩაზე ყურთა-სმენა ალარ არის. რა ამბავია, რა გაჭირვებაა? სად მიექანება მთელი ქალაქი? გაოცებული ეკითხებით თავის თავს და ის კი ალარ იცით ამ საერთო საქმიანობაში თქვენ რის მაქნისი ხართ, რა უნდა გააკეთოთ, საითკენ წახვიდეთ, რა ნახოთ. გსურსთ ვისმე გამოესაუბროთ, გამოკითხოთ რამე ცნობები, მაგრამ ამაოდ, ვის სცალია თქვენთვის, ვინ მოგხედავს, დრო ფულია, თქვენთვის არავინ არ არსებობს, მარტო ხართ, მეორე პლანეტზე სცხოვრობთ; მარტოობა, სულით მარტოობა! რა მძიმე ტვირთია! რა არის, რომ აქ სამი მილიონი ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიალებს, თუ კი თავის თავს განცალკევებულად გრძნობთ. ამ შემოხვევაში თქვენთვის ეს სამი მილიონი ერთსაც ალარ უდრის. ამას მიუმატეთ ისიც, რომ თქვენს ერთფეროვან სადა ცხოვრებას მიჩვეული ნერვები ამ ალიაქოთს ასე ადვილად ველარ უძლებს, იქანცებით და ეძებთ მოსასვენებელ ალაგს, სადმე შორს, შორს, პარიჟს იქით. საბრალო უცხოელი! პარიჟს გაურბის! რა იცის, თუ რა მიმზვიდველი ძალა აქვს პარიჟს? ჯერ მას არ უგრძნვია ეს. აი, გაიარა ერთმა კვირამ, მეორემაც და მერე კი მშვიდობით, ტალღებ შეუმჩნევლად მოუტაცნიხართ და ამ აქაფებულ შუაგულ მორევში გაუტყორცნიხართ; ახლა თუ გნებავთ, ძალიანაც მოინდომოთ პარიჟიდან გაქცევა, ველარას გააწყობთ, გვიანია. თქვენ უკვე პარიჟის ტყვე შეიქენით. ცხოვრებამ უკვე შემოგჭიდა თავისი ბასრი კლანჭები და თავისკენ მიგწიათ: მოდი, ჩემო ძვირფასო! რას მოინატრებ, რა არა მაქვს, მხოლოთ ნახე, იგემეო. ერთხელ გემოს გაღება საკმარისია, მერე პარიჟს ადვილად თავს ველარ დაალწევთ; საკვირველი ის არის, რომ არც კი გსურთ თავის დაღწევა, სიცოცხლე საშინლათ გატკბა, იქეიფეთ, იმხიარულეთ, იმეცადინეთ. ყოველივე ხელმისაწდომი და ადვილია. პარიჟი ყველას ერთნაირად ღებულობს, ყველას ერთნაირად ეპყრობა, მაგრამ ამას განა ყველა ერთნაირად გებულობს? ამით განა ყველა ერთნაირად სარგებლობს? პარიჟი ერთისათვის დიდი წიგნთ-საცავია, გონების სალარო, მეორისთვის ყავა-ხანაა, სამეჯლიშო ადგილია. ზოგი აქ ფულს იგებს, მდიდრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, ზოგიც ფლანგავს, ლარიბდება: ერთი ჭკუას იძენს, იზრდება, მეორე ჭკარგავს, თახსირდება; ზოგს ხასიათი უმაგრდება, გმირდება, ზოგსაც უსუსტდება, ლაჩრდება. ერთი სიტყვით პარიჟი ერთისათვის საწამლავია, მეორისთვის კი უკვდავების წყაროა. ეს ორი მხარე რანაირად არეულ ათქვეფილია ერთმანეთში! სად თავდება პირველი და სად იწყება მეორე —ძნელი გასაგებია. შეაზავეთ ეს ორი სხვა-და-სხვა ნაწილი და გამოვა პარიჟი, დაანაწილეთ, დააცილეთ ერთი მეორეს—რა გამოვა? ყველაფერი, რაც გინდათ, მხოლოთ პარიჟი კი არა...

II

რას წარმოადგენს პარიჟი.

ერთი მითხარით, რას არ წარმოადგენს? პარიჟი ყველაფერია. პირველად ხომ საფრანგეთის დედაქალაქია. მარტო ამ მხრით რომ გავშინჯოთ პარიჟი საკვირველ მოვლენას გვიჩვენებს. რა ვუყოთ, რომ დედა-ქალაქია? მაგრამ დედა-ქალაქი დედა-ქალაქისაგან განირჩევა. პარიჟი არის არა მარტო დედა-ქალაქი, ის ერის სულია, და, როგორც ამნაირი რასმე, მთელ ქვეყანაზე განცალკევებული ადგილი უჭირავს. აქ მოგროვილი და გამონასკულია ეროვნული ცხოვრების ყველა ძაფები. თუ რაიმე იძვრის საფრანგეთში, ეს უთუოთ პარიჟშია. ამითი პარიჟი საფრანგეთის ბარომეტრია. გაინძრევა პარიჟი, გაინძრევა მასთან მთელი ერი, სწუხს პარიჟი, სწუხს მასთან მთელი საფრანგეთი, და როცა კი მხიარულობს, ეს საფრანგეთის მხიარულობაა. არ იფიქროთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიჟს ვინმე წინამძღოლობდეს, ვისმე ბძანებით მოქმედობდეს. არა, პარიჟის ბატონი პარიჟივეა. ის არავის არ სცნობს არც წინამძღვრად, არც წინამორბედად, არც გამრჩეველად და ასე გასინჯეთ, სხვისი დახმარებაც კი არ უნდა მიიღოს. პარიჟი ვერავის ვერ ენდობა, სურს ყველაფერი თითონ იყოს და კიდეც არის. რით არის საფრანგეთი შესანიშნავი, რომ მკითხოთ, მოგიგებთ: იმით, რომ მან პარიჟი შექმნა. მაგრამ ეს ქმნილება ისეთი რამ გამოვიდა, რომ შემქმნელს აღარ შეუძლია უამისოდ ცხოვრება. მართლაც, წარმოიდგინეთ საფრანგეთი უპარიჟოთ, ე. ი. სხეული უსულოთ, ეს ორივე ერთია. ამ უკანასკნელი ერთი საუკუნის საფრანგეთის ისტორია საშინელი ტრაგედიაა, რომლის სცენა პარიჟია და უმთავრესი მომქმედის პირის როლს პარიჟივე ასრულებს. აქ არ არის არც ერთი ქუჩა, რომელიც პარიჟელის სისხლით არ იყოს შეღებილი, არც ერთი კედელი, რომელიც თოფ-ზარბაზნით არ იყოს გახვრეტილ-განგრეული, არც ერთი სახლი, რომელიც ცრემლით არ იყოს მორწყული. აქ იყო დაუსრულებელი ბრძოლა, სადაც შვილი მამას სჭრიდა ყელს, ძმა ძმას, ცოლი ქმარს, მეზობელი მეზობელს, და მაშინ დანთხეული სისხლი ჯერაც არ შეშრობია პარიჟს. ოჰ, წამებულო პარიჟო! ვისთვის ან რისთვის იტანჯე ამოდენა? ვისთვის? განა მარტო ჩვენთვის, მთელი საფრანგეთისთვის, არც მარტო საფრანგეთისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის—ამბობს პარიჟი. რისთვის? თავისუფლების, ძმობის, თანასწორობისათვის. აი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სამი სიტყვა აქ თითქმის ყველა შენობაზე არის გამოკვეთილი, ამით თითქო პარიჟი გეუბნება: შემომხედეთ, ერთი საუკუნის ბრძოლით, აი, რა შევიძინეთო. დიაღ, პარიჟს ამოძრავებს ყოველთვის კაცთ მოყვარეობა, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, მაგრამ დახე ბედის თამაშს, ამაების შესაძენად საჭირო ყოფილა იარაღის ხელში აღება, კაცის სისხლის დაღვრა. პარიჟის კვნესა, ეს დავრდომილთა და დაჩაგრულთა კვნესაა, ამათთვის ოხრავს, სწუხს პარიჟი. რა ქნას? რა მისი ბრალია, რომ ყველაზე ულმალ ის იგრძნობს სხვის ჭირსა და ვარამს. მისი აგებულობა ნაზია და ამასთანავე გულ-ჩჩვილი. უბრალო ფოთლის შრიალიც კი ზეზე წამოაგდებს, თორემ ადამიანის ხმაურობა, რასაკვირველია. ის ერთ ხელს აწოდებს თავის თანამემამულეთ, მეორეს დანარჩენ კაცობრიობას, მოდით, შეეერთდეთ, ძმურათ ვიცხოვროთო. ის იმ ნაირი არ არის, ჯერ შენ მოგცეს დარიგება და მერე თავის თავს, არა, პარიჟი პირველად საქმეს გააკეთებს და მერე დაიძახებს, საქმე გავაკეთეო. ჯერ თავის ქვეყანაში მოსპობს ბატონობას, უსამართლობას, ძალმომრეობას და მერე თქვენ შემოგძახებს: აბა, გამომყევით, სირცხვილი არ ჭამოთო. ასე გახლავს. პარიჟი ბაქია, მალლა მყვირალა როდია, მაშ გაუმარჯოს პარიჟს! —რაიც ნიშნავს ძმობას, ერთობას, თანასწორობას, და ამ გზაზე გაგვიმარჯოს ჩვენც!..

III

შეიძლება, მკითხველი თომა ურწმუნო იყოს. რაც მეორე წერილში ვთქვით პარიჟის რესახებ, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალითებათ არ მიიღოს და საბუთი მოიმთხოვოს. მაშ ცოტა გავისეირნოთ ისტორიის არქივისკენ.

რა არის პარიჟი? და რა იყო საფრანგეთი ამ ასი წლის წინად? არაფერი. დიდი-დიდი—ერთი კაცი; არც მეტი, არც ნაკლები. ლიუდოვიკოს მეთოთხმეტემ დაიძახა: საფრანგეთი მე ვარო. მოდით და ნუ გაშტერდებით! ერთი პირი ამბობს რამოდენიმე მილიონი ვარო? ვაი, ჩემო პარიჟო! შენ მაშინ რაღა იყავი? სრულიად აღარაფერი? აბა, პარიჟი არ იყო არაფერი, თვარა არაფრისაგან არაფერი გამოვიდოდა. იმ დროს, როცა საფრანგეთის სახელს ერთი კაცი ატარებდა, პარიჟი ღრმა, გმირულ ძილს მისცემოდა. აბა, ვინ მოიფიქრებდა. ეს ჯაჭვით შეკრული გმირი ერთ დღეს გაიღვიძებდა, ბორკილს დალეწდა და ღონივრათ გაექან-გამოექანებოდა. ამ გვარ ძილს მისცემოდა არა მარტო პარიჟი, არამედ მთელი ევროპა. ყველგან თითო პირის ხმა გაისმოდა: ხალხი მე ვარო, და მართალსაც ამბობდენ. როცა ბავშს ენა არა აქვს ამოდგმული, მის მაგიერ სხვა ვინმე ლაპარაკობს. მაგრამ როგორც კი წამოიზრდება, სხვას კი აღარ აცლის ლაპარაკს, სულ ის იძახის: მე, მეო. ასეთია ხალხიც. სანამ ის გაიზრდებოდეს, მანამ ვიღაც უჩნდება ადვოკატივით და მის მაგიერობას ჩემობს. ხოლო ყოველივე ნაბიჯი ხალხის მიერ წინ გადადგმული მოასწავებს ნაბიჯს მისი არა მკითხე მოამბის მიერ უკან გადადგმულს. ამ ნაირი სიარულის ბოლოს გამოჩნდება, რომ მოგზაურთ ერთმანეთ შორის ადგილი გაუცვლიათ და გუშინდელი უენო ბავშვი დღეს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინელი ხმაურობით ქვეყანას გადაძახის: მე, მე! ასეთია გზანი ისტორიისანი. ვინ აღმოაჩინა ეს ჭეშმარიტება? ვინ იქნება პარიჟს გარდა. იმან უცებ ქვეყნის ძილში, 4 აგვისტოს (1789 წ.) ღამით დაიძახა: მე,მე, და ძველი ქვეყანა ერთიანად შეინძრა. ამ დროს გერმანიის ერთმა გამოჩენილმა პოეტმა იწინასწარმეტყველა; აი, ახლა დაიწყო დიდებული ხანა ისტორიაშიო. რა ამბავია? რა მოხდა? რა და ხალხმა თქვა, საფრანგეთი მე ვარო. მერე? მერე და ეს არ ესიამოვნა იმათ, ვინც „ხალხობას“ ჩემობდა. ვინ ჩემობდა? ბატონები ძველი ქვეყნისა, რომლის თავს და ბოლოს თავად-აზნაურობა წარმოადგენდა. თავხედი პარიჟი! ვითომ როგორ გაბედა მთელი ქვეყნის წინააღმდეგობა. დავსაჯოთ პარიჟი ჩვენი შეურაცყოფისთვის, გავაქარწყლოთო, და გამოემართენ საომრათ. საფრანგეთის საზღვრებს შემოადგა მთელი ევროპა. ახლა შიგნითაც აუხირდენ პარიჟს, არ გვინდა ახალი წყობილებაო. რა ქნას პარიჟმა? შინ მტერი, გარეთ მტერი. ქედი მოიხაროს? სრულიადაც არა. მან განაცხადა დანტონის პირით: რომ ვძლიოთ საშობლოს მტერთ, უნდა გვქონდეს გაბედულება, კიდევ გაბედულება, ყოველთვის გაბედულება“,—და შეეჯახა მტერს. რისთვის იბრძოდა ან ერთი, ან მეორე? ევროპა იბრძოდა აზნაურობისთვის, პარიჟი ხალხისთვის. შემდეგი ხომ ვიცით. დამარცხდა ევროპა და პარიჟმა ამართა დროშა, რომლის ერთ გვერდზე დააწერა რესპუბლიკა, მეორეზე თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, ეს ახალი აზრი ისეთი დიადი შეიქმნა, რომ საფრან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთში ველარ დაეტია. მოდი ევროპაც გავანათლოთო და ნაპოლეონის წინამძღვრობით გადმოსქდა ევროპაში. მაგრამ ძალად განათლება აღარ ყოფილა შესაძლებელი. დიდი ნაპოლეონი პატარა ნაპოლეონათ გადიქცა. დასაჯეს პარიჟი. იდღესასწაულა ძველმა ქვეყანამ. პარიჟს ძველი ბატონის მემკვიდრე მოუყვანეს, დაუსვეს სამეფო ტახტზე და უბძანეს: შენ ხმა გაიკმინდე, აი, ეს კაცი გასწევს შენ მაგიერობასო. „მე,—მეო“, ჩუმათ მაინც იძახოდა დიდებული ქალაქი. ეს ხმა ისე გაძლიერდა, რომ 1848 წელს მეხივით გავარდა. წარმოიდგინეთ პარიჟის გაოცება, როცა მას ბანი მოსცა ბერლინმა, ჟენევამ, ვენამ, ბუდაპეშტმა, პრაგამ და სხვ. ხმა პარიჟისა შეიქმნა ხმად ევროპისა და თვითონ პარიჟი კაცობრიობის წინამორბედად. პარიჟმა ხელ-მეორეთ აღმართა თავისუფლების დროშა, აი, რა ყოფილა პარიჟი!..

IV

რა არის პარიჟი?

პარიჟი არის ფხიზელი დარაჯი საფრანგეთის სახელის, ეროვნობის, თავისუფლების, და ამ მოვალეობას სამაგალითოდ ასრულებს. პარიჟი ღალადებს ხალხის უფლებისათვის და როცა ხედავს, რომ სიტყვა აღარ სჭრის, ხმალს იშველიებს. მისთვის ხალხი, საფრანგეთი, წმინდათა-წმინდაა, რის გაქელვას არ დაუთმობს არც შინაურთ და არც გარეშეთ. უკანასკნელ ომის დროს პრუსიელებმა საშინლად დაამარცხეს ფრანგები. მტერი პარიჟს შემოადგა. ბისმარკმა აღამაღლა თავისი ხმა: ეს ქალაქია ბუდე ხალხთა არეულობისა, მაშ დავსცეთ, აღვგაოთ იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა-მიწიდანო. სირცხვილი პარიჟისთვის. რა ილონოს? რა წყალში ჩავარდეს. საფრანგეთის ერთი ნახევარი პრუსიელებს უჭირავთ, მეორე ნახევარი შიშით ხმა გაკმედილია, ნუ თუ პარიჟმა აიტანოს ასეთი დამცირება? მთავრობა? სადღაა შენი მთავრობა? ის ვერსალში გაქცეული და ბისმარკს შერიგებას სთხოვს. შერიგება? არას დროს, დაიძახა პარიჟმა და 4 სექტემბერს შექმნა ახალი მთავრობა, აღმართა ახალი დროშა და საფრანგეთს შეჰყვირა pro patria, vive la Rèpublique! აი, გაბედულება! პარიჟი მოკლებული გაწვრთნილ ჯარს, საკმაო იარაღს, სურსათს, ერთი სიტყვით ყველაფერს, ომის გაგრძელებას კი თხოულობს; სამაგიეროდ მას ახლავს ერთი რამე: მხნეობა, სულის ძლიერება: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. მაგრამ ვინ აცალა. ვერსალში გაქცეულ მთავრობას უკვე ზავი შეუკრავს. ორი დიდი პროვინცია და ხუთი მილიარდი ფული ბისმარკისთვის მიურთმევია და გახარებული ტიერი ჯარით პარიჟში შემოვიდა პარიჟელთა დასასჯელად. 35 ათასი მოქალაქე მტერთან საბრძოლველად გამზადებული, დახვრეტილ იქმნა თანამემამულეების მიერ. ამას პარიჟი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს. ტიერის სახელი პარიჟელისათვის წყევლაა.

პარიჟი განა მარტო საფრანგეთს იცავს? ის ასეთი ვიწრო გრძნობით არ არის გამსჭვალული. პარიჟი დამცველია ყველა დაჩაგრულის, ვინც უნდა იყვეს, სადაც უნდა იყვეს ეს. ატყდა ომი ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისის ბატონობის წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმდეგ. საბრალო ამერიკელები! ებრძვიან უზარმაზარ ინგლისს თავისუფლებისათვის. ვინ არის მშველელი! ვინ იქნება გარდა პარიჟისა. პარიჟელი თავისუფალი რაზმი საჩქაროდ აპობს ოკიანეს და მიდის მეორე ქვეყანაში. რისთვის? იმისთვის, რომ ამერიკელი დაჩაგრულია. მიხმარება უნდა, თავისუფლებას მოკლებულია, თავისუფლება უნდა. აეშალენ იტალიელნი თავის ბატონს, ავსტრიის წინააღმდეგ იბრძვიან, და კიდევ პარიჟელნი მიობიან, არიქა ვუშველოთ ტანჯულ იტალიასო. აი, პარიჟის დიდ სულოვნება! იტალია იგებს ომს და პარიჟში იმართება სამაგალითო დღესასწაული, რომლის მსგავსი ამ საუკუნეში არა ყოფილარა. რატომ? პარიჟს ახარებს ის, რომ შეწუხებულთ შვება მიეცა, ხელ-ფეხი გაეხსნა. აი, რა ამოძრავებს პარიჟს. მას სურს სუფევდეს, როგორც შინ, ისე გარეთ, თავისუფლება. სამართლიანობა. ის არ ცდილობს რომელიმე ერი დაიმონავოს, მაგრამ არც ის უნდა თვითონ დაემონოს სხვას. მისი დევიზია: ადამიანთა თავისუფლება. პარიჟელი ამით ამაყობს. არ მართებს თუ? როცა პარიჟელი ორატორი დაიძახებს ტრიბუნიდან გაუმარჯოს პარიჟსო, გული სიხარულით მევსება, მისი სიტყვა ელექტრონის ნაკადულივით დაიარს ტანში, და ეს იმიტომ რომ პარიჟის დღეგრძელობა, ჩვენ დაჩაგრულთა დღეგრძელობაა, პარიჟის სიცოცხლე ჩვენი სიცოცხლისათვის მოწოდებაა.

მაშ შეიყვარე, მკითხველო, პარიჟი! თაყვანიეცი ამ დიდებულ ქალაქს!

V

რამდენია პარიჟი?

ახირებული კითხვაა! მაგრამ პარიჟი რომ ერთი არ არის, ეს კი ცხადია. მაშ ვისლა ებრძოდა პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიჟი? ვის უწევდა მეტოქეობას? ნუ თუ თავის-თავს? აშკარაა პარიჟი ერთობას არ წარმოადგენს. ის დაყოფილია, დანაწილებულია, აი, ამ დანაწილებაშია მისი სიძლიერე, მისი საარაკო ბუმბერაზობა. პარიჟი ყოველ კრიტიკულ დროს გაორებულია. ერთი პარიჟი მეორის სისხლის მსმელია, მისთვის არ ზოგავს არც თოფს, არც წამალს, ერთი სიტყვით არაფერს, ოღონდ კი დაამარცხოს, ქვეყნიდან აღგავოს. უკანასკნელი ერთი საუკუნის ისტორია წარმოადგენს ბრძოლას ამ ორ ნაწილთა შორის და მეტს არაფერს. რატომ იბრძვის ერთი, რისთვის ღვრის სისხლს მეორე? ერთი იმიტომ, რომ უკვე შეძენილი ბატონობა შეირჩინოს, მეორე კი—მორჩილებისაგან გამოვიდეს, დაჩაგრული თავისუფალ მოქალაქედ გადაიქცეს. პირველად პარიჟმა გაილაშქრა თავადაზნაურობის წინააღმდეგ (1789 წ.), მას ჩამოართვა უფლება-უპირატესობა და მოქალაქობრივი თანასწორობა დაამყარა. აქ ვითომ გაერთდა პარიჟი, ერთ წუთს თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ ეს გაერთიანებული ხელახლავე გაიყო, ორად გახდა. შთამომავლობით არისტოკრატიის ადგილი ფულის არისტოკრატიამ დაიჭირა. აქ აღარ კითხულობენ: რა გვარის ხარ? არამედ: რამდენი ფული გაქვს? პარიჟი ფულიანი, პარიჟი უფულო, მდიდარი და ღარიბი, ასე გაიყო დიდებული ქალაქი. ამ ნაწილთა შორის არა ერთხელ ამტყდარა ომი. აქამდის ყოველთვის პირველს რჩებოდა გამარჯვება. ახლა დიდი მოფიქრებით და წინდახედულობით ემზადება დამარცხებული და დღევანდელი პარიჟის ცხოვრება ამ სამზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისს წარმოადგენს. აი, აქ მარხია თანამედროვე პარიჟის დედა-ძარღვი. თუ გსურთ საფრანგეთის ლიტერატურულ-გონებრივი მოძრაობა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა გაიცნოთ, აი, ეს მზადება უნდა გაიცნოთ, ამ ცხოვრების გულში უნდა ჩაძვრეთ. ორივე პარიჟი მომხრეებს ეძებს როგორც შინ, ისე გარეთ. პარიჟის ბატონს შინაურ და უცხოეთის ბატონებთან აქვს საქმე. პარიჟი-ყმა შინაურ და უცხოეთის ჩაგრულთ უწვდის ხელს: მოდით, ცხოვრება ჩვენ გემოვნებაზე მოვაწყოთო. პირველს ჰსურს დაიცვას ის, რაც აქვს და რაც ექნება—ეს კონსერვატორია; მეორეს—შეიძინოს ის, რაც დაეკარგა და რაც ყოველ დღე ეკარგვის,—ეს რევოლიუციონერია. ამ ასი წლის წინად პირველმა მოახთინა რევოლიუცია მეორის შემწეობით. ის დღეს კმაყოფილია, ის ამბობს: ჩვენ უკვე შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა, ხალხი დავიხსენით აზნაურთა და სამღვდელოების უღლისაგან, ახლა აღარაფერი საქმე გვაქვს, ყველაფერი ჩინებულათ მიდისო. მეორე უპასუხებს: ეგ მართალია, მხოლოდ ეს ცვლილება უფრო თქვენი, მდიდრების, სასარგებლო დარჩა, ვინემ ჩვენი ღარიბებისთვის. ახლა ჩვენ უნდა მოვახდინოთ რევოლიუცია ჩვენდა სასარგებლოთო. როგორც ხედავთ, პარიჟი ერთ და იმავე დროს ერთიც არის და ორიც. ერთია—მოქალაქობრივი თანასწორობის და პოლიტიკური თავისუფლების დასაცაველად; ორია—ეკონომიური სამართლიანობის დასამყარებლად; პარიჟის ყოველ დღიური ცხოვრება ამ ორ დედაზრს გარეშე ტრიალებს. პარიჟელი ვინც უნდა იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხელობასაც მისდევდეს, მწერალი, ვაჭარი, მუშა, არტისტი, მზარეული, მეცნიერი, მეეტლე და სხ., უთუოდ ერთს, ან მეორე დედა-აზრს ემხრობა. პოლიტიკური რწმენა—-მისი ცხოვრების საფუძველია, ამაზე შენდება ნაცნობ-მეგობრობა, მოყვრობა-ნათესაობა. პარიჟელებს აერთებს არა გვარი, სახლიკაცობა, ჩამომავლობა, მეზობელ-ნათესაობა, არამედ საერთო აზროვნება. ძმა ძმის მოპირდაპირეა, მამა შვილის, მეზობელი მეზობლის, თუ კი ესენი სხვადა-სხვა პოლიტიკური რწმენის არიან. ამ სახით, პარიჟი ორად არის გაყოფილი, რომელთა შორის ყოველ დღე, ყოველ საათში ბრძოლაა. ამ ჟამად ბრძოლის იარაღია მწერლობა, საზოგადო ყრილობა, საერო ტრიბუნა, არჩევნები, საბჭო, პარლამენტი და სხვ. მაგრამ ყველა ეს იარაღია, გზაა, მეტი არაფერი. აქ მოპირდაპირეთ ჯარი იწვრთნება, ხალისდება, მზადდება, რომ ერთ მოულოდნელ დღეს ერთმანეთს დაეჯახონ და ერთმანეთი გაანადგურონ. საკვირველი ის არის, რომ ამდენი დავიდარაბა პირველს არ მოსწყენია, უკან არ დგება. ის მუდამ გაბედულია, თავი მაღლა მოაქვს, აღფრთოვანებულია.

კიდევ ვიკითხოთ: რამდენია პარიჟი? ერთი? არასოდეს. პარიჟი ორად არის დანაწილებული, მაგრამ არ იფიქროთ პარიჟის დანაწილება მის დაწვრილმანებას, დახურდავებას ნიშნავდეს. პარიჟის ცხოველ-მყოფელობა, მისი სიდიადე, ამ დანიშნულებაშია. ერი მოწიფულობაში შესული ერთდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დროს ორდება, ხელახლა ერთდება, ორდება და ასე ბოლომდის. ეს მისი სიცოცხლის ნიშანია, ეს მისი მოძრაობის ჩარხია...

VI

რა არის პარიჟში შესანიშნავი?

საუცხოვო კითხვაა! რა არის შესანიშნავი მაგალითად თბილისში, ქუთაისში? ეს კიდევ მესმის, მაგრამ იგივე კითხვა პარიჟის შესახებ—გაგონილა, აქ უნდა იკითხოთ: რა არ არის შესანიშნავი? ესეც მოუხერხებელია, ამ კითხვის გადაჭრაც ისეთი საძნელოა, როგორც პირველის. როცა პარიჟში ჩამოდიხართ, მაშინვე შესანიშნავი რამე გსურთ ნახოთ, დადიხართ, ეძებთ, ამაოდ. ნუ თუ შესანიშნავი არ არის რა? საბრალო! შესანიშნავი არა არის რა იმიტომ, რომ ყველაფერი შესანიშნავია. მაშ არაფერია იმისთანა, რაც შესანიშნავი არ იყოს! რა არა არის შესანიშნავი? დადიხართ, ეძებთ, გინდათ ნახოთ ის, რაც არ არის შესანიშნავი, რომ მით შემდეგ შესანიშნავი მონახოთ. მაგრამ ამაოდ. თქვენ მეორე პლანეტიდან ხართ მოსული და რა ნაირათ უნდა გაარჩიოთ აქ არა შესანიშნავი შესანიშნავისაგან. თქვენ მხოლოდ ყველაფერს ერთნაირი ცნობის მოყვარეობით ათვალიერებთ და ბოლოს ამ დასკვნამდი მიდიხართ: პარიჟი ერთიანად შესანიშნავია. ამის შესახებ ჩვენ ზევით მოვილაპარაკეთ, მოკლეთ ვთქვით, თუ რას წარმოადგენს პარიჟი საერთოდ. ახლა კი ვიკითხავ: რა აინტერესებს ქართველ მკითხველს პარიჟში კერძოდ? ამაზე უეჭველია სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და-სხვა პასუხს მივიღებ: ქართველი პოლიტიკოსი მეტყვის—დეპუტატთა საკრებულო, პარლამენტი; ქალთველი ახალგაზდობა—პარიჟის ახალ-გაზდობაო, ქართველი მწერალი—პარიჟის მწერლობაო და სხვ. დავიწყოთ პირველით.

ერთმა პარიჟელმა მითხრა: ფრანგთა ხასიათი და ისტორიული განვითარება თუ გსურთ გაიცნოთ დეპუტატთა საკრებულოში უნდა წახვიდეთო. ეს რჩევა მაშინ ჩემთვის ცოტა გაუგებარი დარჩა, მაგრამ ახლა კი ამასვე ვურჩევ ყველა უცხოელს. მართლაც, წარმოიდგინეთ ერთი დიდი დარბაზი, სადაც თავმოყრილია მთელი ერის წარმომადგენელი. არ არის დარჩენილი საფრანგეთის არც ერთი კუთხე, რომელიც აქ წარმოდგენილი არ იყოს?. აქ შეხვდებით: პარიჟელს, ბრეტონელს, პროვანსალს, ნიციელს, პადეკალელს, კორსიკელს და სხვ. საშუალო საუკუნოებში ყველა ეს კუთხე ცალ-ცალკე სამთავროს წარმოადგენდა, თითოეული თავისთვის ცხოვრობდა, დღეს კი ერთმანეთს გადაჯაჭვია, ერთად მოკრებილა და ამ კავშირისაგან წარმოშობილა ის, რასაც საფრანგეთს, საფრანგეთის ერს ვეძახით. არ იფიქროთ, ვითომ ამ ერთობაში გამქრალიყოს პირადობა, საფრანგეთს ჩაეყლაპოს თავისი ნაწილნი, აბა დააკვირდით სამხრეთელს—ქცევაში, ლაპარაკში, მოქმედებაში. მას თავის კუთხის ბეჭედი აზის. ის განირჩევა ჩრდილოელისაგან. როცა მარსელელი ლაპარაკობს, პარიჟელი გაიცინებს! როცა პარიჟელი ლაპარაკობს მარსელელი გულმოდგინედ ყურს უგდებს, ეგების გავპარიჟელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეო. მისთვის გაპარიჟელება ნიშნავს არა თავისთავის უარყოფას, არამედ გაშალაშინებას, გაფრანგებას. მაშ შევიდეთ იმ დარბაზში, სადაც ხალხის სახელით საფრანგეთს განაგებენ. შიგნითა მოწყობილობა ამფიტეატრულია, პირდაპირ, კედელზე, გამოსახულია შვენიერი ქალი, რესპუბლიკის სიმბოლო, რომლის ზევით ოქროს ასოებით ამოჭრილია რესპუბლიკა, თანასწორობა, ძმობა, თავისუფლება. დარბაზი, როგორც ხედავთ, სადაა. კარებიდან რაღაც თოფების ჩხარა-ჩხური მოისმის, ჯარის კაცნი დამწკრივდენ და მეკარემ დაიძახა: ბატონი თავმჯდომარეო! შემოვიდა უბრალო სერთუკში გახვეული კაცი და მაღლა ტრიბუნაზე დადგმულ სავარძელში ჩაჯდა. აი, ეს არის სხდომის მიუდგომელი წინამძღვარი, ორატორთა თავისუფლების დამცველი, ბრძოლის მოწეს-რიგე, არჩეულთა-არჩეული, ეს დეპუტატთა თავმჯდომარეა. მის წინ დაბლა მეორე ტრიბუნაა. აი, ეს არის ორატორთა სარბიელი. აქედან იბრძვიან დასები, აქედან გაისმის დეპუტატთა სიტყვა პარლამენტში, გადადის გარეთ და ეფინება მთელ საფრანგეთს, მთელ ქვეყანას. აქ იბრძვიან არა შენჩემობისათვის, არამედ დედა-აზრის პრინციპისთვის. მართალია, ეს ბრძოლა მშვიდობიანია, მაგრამ ხშირათ აქ ატეხილი ბრძოლა ქუჩაში გაგრძელებულა და პარიჟელთ ერთმანეთის სისხლი დაუღვრიათ. ტრიბუნაზე ბრძოლა მხოლოთ დასაწყისია ქუჩის, სახალხო ბრძოლის, რაც იმას ამტკიცებს, რომ პარლამენტი ზეციდან ჩამოვარდნილი არ არის. ის ხალხის ტკივილების ნაშობია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სისხლი და ხორცია. მივუბრუნდეთ დარბაზს. დეპუტატები დიდი გრიალით შემოდიან, ზოგი რალაცაზე ხმაურობს, ზოგი ერთმანეთს ედავება, ზოგი ხუმრობს და იცინის, ყურთა სმენა აღარ არის, ზოგი ჯდება, ზოგი ფეხზეა; ამ კუთხეში ერთი ჯგუფია, იმ კუთხეში მეორე, საერთო არეულობაა. აქა-იქ ხედავთ თეთრი თმით შემოსილ თავებს, უფრო ხშირად ჭალარებს და კიდევ უფრო ხშირათ შავთმიანთ, ახალგაზდური გამოხედულებით. ეს უმრავლესობაა. გაგებით არაფერი არ გესმის, ყველა ლაპარაკობს. მოიხედავთ ტრიბუნისკენ და თურმე რამდენი ხანია ერთ ორატორს ლაპარაკი დაუწყია; მხოლოდ ორი სტენოგრაფი შეჩერებია პირში, არიქა, მისი სიტყვა ისტორიას არ დაეკარგოსო. ტყუილად რეკს თავმჯდომარე, ჩუმათ, ჩუმათო. ფრანგები ფრანგობენ, კიდევ უფრო ხმაურობენ; ორატორი კი, ვითომ ყველა სმენათ იყოს გადაქცეული, თავისებურათ მჭერმეტყველობს. უცებ ერთმა ნაწილმა ზრიალი ატეხა, მეორე ვაშა, ვაშას იძახის. რა მოხდა? ორატორმა თქვა რალაცა, რაც პირველს არ მოეწონა, მეორე კი თანაუგრძნობს. საცოდავი ორატორი! რანაირათ დააკმაყოფილოს ყველა! აქ მოლაპარაკეს დიდი გულ-გრილობა უნდა, ან არ გისმენენ, ან და თუ მოგისმინეს, ერთი ნაწილი ყოველ წუთში სიტყვას გაწყვეტინებს, არ მოსწონს. მეორე—ყოველთვის ტაშს გიკრავს, კმაყოფილია. როცა მინისტრი ლაპარაკობს, პირი უკიდურესი მემარცხენეებისაკენ აქვს მიქცეული, ვითომ სურს ესენი დაარწმუნოს სიმდიდრე-სილარიბე ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების კანონიაო, სწორეთ ისე, როგორც ნაპოლეონი მესამის მინისტრი რესპუბლიკანელებს არწმუნებდა ბუნების კანონი მონარქიაა და არა რესპუბლიკაო. დასთა ბრძოლა თანდათან მწვავდება და ხშირათ სხდომა საშინელი აურ-ზაურით თავდება. მოწინააღმდეგენი ერთმანეთში კი არ არიან არეულნი, რაზმა-რაზმათ სხედან თავიანთ მეთაურებით. შემოვავლოთ თვალი ამ წყებებს, ეს დიდად საგულისხმოა. სულ მარჯვნით, უკანასკნელ სკამზე დაინახავთ ერთ ლვდელს. საერო ყრილობაში მხოლოდ ერთი მღვდელი უნდა იყოს? საშუალო საუკუნოებში ქვეყნის საქმეებს სამღვდელოება განაგებდა, დღეს კი ისე დაქვეითებულა, რომ არავითარი უფლება აღარ შერჩენია და კანონ-მდებლობის ასპარეზიდანაც გაურეკიათ. როცა ერთ-მეფობა გაძლიერდა სამღვდელოებას ჩამოერთვა სამოქალაქო უფლებები და თავის მორჩილათ გაიხადა. ამ გვარათ მონარქიამ უარჰყო სამღვდელოების ბატონობა, მისი ადგილი თვითონ დაიჭირა. აი, ამის ნაშთსაც ვხედავთ პარლამენტში. იმ მღვდლის გვერდით ზის მონარქიელთა პატარა ჯგუფი. ერთ დროს ეს დასი იყო ქვეყნის ბატონი, ახლა კი ისე დახურდავებულა, რომ რამოდენიმე დარჩენილა. რა მოუვიდათ? რესპუბლიკამ უარჰყო მეფე და სამეფო წყობილება, შედგა რესპუბლიკელთა დიდი უმრავლესობა, რომელიც იწყება მონარქიელების გვერდით და მოდის მარცხნით. ამათ ხელშია დღეს მთავრობა. ამ გვარათ, მონარქიამ უარჰყო სამღვდელოება, რესპუბლიკამ მონარქია. პირველი ორი შეერთდა მესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის წინააღმდეგ. მაგრამ არც აქ გაჩერდა ცხოვრება. რესპუბლიკელების იქით ჩვენ ვხედავთ ახალ დასს, რომელსაც უკიდურეს მემარცხენეებს უწოდებენ. ამათ სურთ სოციალური რესპუბლიკის, ანუ საზოგადო საკუთრების დამყარება. ესენი ეკუთნიან უმრავლესობას. ხომ ხედავთ, როგორი უკიდურესობით მიდის ისტორია. თქვენ უარყავით მეფობა, ჩვენ თქვენი, ბურჟუების უარმყოფელი ვართ, მერმისი ჩვენიაო. ახლა ამათ წინააღმდეგ შეერთდენ ყველაზევით მოხსენებული დასები: კლერიკალური, მონარქიული, რესპუბლიკანური. აი, ისტორიის ფილოსოფია. წინ-გადადგმული მეორე ნაბიჯი პირველი ნაბიჯის უარყოფაა, მესამე—მეორის და ასე ბოლომდი. ეს ჰეგელის ტეზისის და ანტიტეზისის განხორციელებაა... კმარა, ბატონო პოლიტიკოსებო, ამაზე ლაპარაკი, ნულარ დაიჩემებთ, ცხოვრება ჩემი თავდება, მე ვთქვი მისი უკანასკნელი სიტყვაო...

VII

ახალგაზდობა.

პარიჟში ახალგაზდობას უწოდებენ სტუდენტობას. ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ყმაწვილი უკვე უნივერსიტეტის სკამზეა. მანამდი ის ბავშია, მოვლა-პატრონობა ესაჭიროება, ამისათვის არავითარ როლს არ თამაშობს საზოგადოებაში, ვითომც არც კი არსებობდეს. მაგრამ რაკი თავი დააღწია საშუალო სასწავლებელს, ის უკვე ახალგაზდაა, თავისუფალი ქცევაში, მოქმედებაში, ერთი სიტყვით ყველაფერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის სტუდენტია. რა არის აქ სტუდენტი? ეს არის ახალგაზდა მოქეიფე, მოთამაშე, ხუმარა, ლაზღანდარა, სუბუქი ყოფა-ქცევაში და აზროვნებაში. მას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. არაფერი არ აწუხებს ერთ საქმეს გარდა: რანაირათ გაერთოს, დრო გაატაროს, იმხიარულოს. სტუდენტი ნიშნავს თავაშვებულ კაცს, რომლისთვის არავითარი წეს-რიგი არ დაწერილა. ძლიერ იშვიათად ნახავთ სტუდენტებს, რომელნიც რიგიან პირის ოჯახს იცნობდეს, სამაგიეროდ მის მიერ უმოწყალოდ ითელება ქუჩები, ის შინა-კაცია ყავა-ხანებისა და სხვა გასართობი ადგილებისა. მას აქ უთენდება და აქ ულამდება. ოჯახში სტუდენტს ვინ შეუშვებს? პირიქით, თუ ის პარიჟშივე სახლობს, იძულებულია მშობლები დატოვოს და ბინა სხვაგან დაიჭიროს. შინ არავინ მოაცდევინებს, ოჯახს გაგვისვრისო. მისი ცხოვრება ასე მიმდინარეობს: დილას, ერთ-ორ საათს ლექციებზეა, შუადღეზე სადილობს და ყავა-ხანაში მოდის, სადაც საღამომდი რჩება. შემდეგ მიდის სავახშმოდ, ერთ-ორ საათს რამეს წაიკითხავს და ისევ ყავა-ხანაში ბრუნდება, აქ ატარებს დროს დილის სამ-ოთხ საათამდი. მართალია, უნივერსიტეტში დადის, მაგრამ ეს კითხვა მისთვის მეორე ხარისხოვანია, ფულს რომ არ იხდიდეს, შეიძლება სულაც არ წავიდეს. სამხიარულო ალაგების მუდმივი სტუმარია, უნივერსიტეტის კი შემთხვევით. ამასთანავე ის ანგარიშის კაცია: სწავლისათვის რამდენიმე წელიწადი აქვს გადადებული, ამის გადაცილება აღარ სურს. ამ შემთხვევაში ის ამ აზრით ხელმძღვანელობს: ნაკლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფული დახარჯე და ბევრი იმხიარულე, ნაკლები დრო (იგულისხმე ფულიც) გადადევი და ადრე დიპლომი აიღე, თუმცა ეს დრო ხანდახან უსაშველოდ გძელდება. სწავლისათვის დროს არასოდეს არ ჩამოაკლებს სამხიარულოდ გადადებულ დროს, ეს უკანასკნელი თანდათან იზრდება. როცა საეგზამენოდ ემზადება, მთელი ღამე არ სძინავს, მეცადინეობს, მეორე დღეს კი ხეტიალობს, ყავა-ხანაში აღამებს. რა უშავს, დღე იმაცადინოს და ღამე იძინოს? მაშინ ხომ გარითობა დაეკარგა, ამას კი ვერასოდეს ვერ დასთმობს. ერთმა სტუდენტმა მითხრა: სოფელში როცა მივდივარ, ყოველთვის ღამე ვმოგზაურობო: რატომ დღე არა-მეთქი—ვკითხე.—იმიტომ რომ ამით დროს ვიგებ, დღე დროს ვატარებ, ვერთობი, ღამე უნდა ვიძინო: ამ უკანასკნელს ვიკლებ პირველისათვისო, მომიგო მან. აი, რას უძახის ის დროს მოგებას! თუ სადმე ჩხუბი, აურ-ზაურია, იქ უთუოდ სტუდენტებია. თუ სადმე ქუჩის ქალია, იქ უთუოდ სტუდენტია; პარიჟსაც სცოდნია მისი ხასიათი და სცდილა როგორმე თავიდან მოეშორებია. ამისათვის ეს ახალგაზდები ერთ უბანში შემოურეკია. დეე, აქ რაც გსურთ ის ჩაიდინეთ, სხვა უბანში აღარ დაგინახოვო. ამ საცელქო უბანს ლათინური უბანი ქვია; თითონ სტუდენტები უწოდებენ ახალგაზდობის ქვეყანას. ეს არის მათი ასპარეზი, აქ სტუდენტი ბატონია და, როგორც ბატონი, ვინ რას გაუბედავს. ერთმა სტუდენტმა რომ მთელი უბანი შეაწუხოს, არაფერია, კანონიერია: მთელმა უბანმა რომ ერთი სტუდენტი შეაწუხოს, ყველაფერია, უკანონოა. ამ ქვეყანაში თავისებური წარმოდგენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ ფეს-ოიგის, ზრდილობის შესახებ. რაც აქ სასახელოა, სხვა უბანში სამარცხვინოა. რისთვისაც სხვა უბანი ფიქრობს და მოქმედობს, ის სტუდენტებისათვის სასაცილოა. თავის უბნის გარეშე სტუდენტი ერთ დღესაც ვერ გასძლებს, მოკვდი, დავიხჩვი, სულის-თქმა მიჭირსო. ეს იმიტომ, რომ აქ ის ხელ-ფეხ შეკრულია, ეს მისთვის ყაზარმაა, ნაობახია. როცა სხვა უბანში გავა, ის მოქალაქეა, ჩვეულებრივი მოსაქმე პარიჟელია, ეს კი მისთვის აუტანელი ტვირთია. როცა თავის ქვეყანაში დაბრუნდება, ის არის, რაც უნდა იყოს — ცელქი სტუდენტია. არ იფიქროთ პარიჟის დღევანდელი სტუდენტობა ცხოვრების უკანონო შვილი იყოს. არა. მისი არსებობის მიზეზი ცხოვრების განვითარებაა. მისი ისტორია შეკავშირებულია პარიჟის ისტორიასთან. შეიძლება ეს საისტორიო იყოს? მაშ გადავავლოთ თვალი.

რა არის დღეს პარიჟის სტუდენტობა? არაფერი. რა იყო ამ 50 წლის წინათ? ყველაფერი, როცა ის იტყოდა „მე"-ო, ამით მთელ ქვეყანას იგულისხმებდა. რასაკვირველია მთელი ქვეყანა სტუდენტობას არ წარმოადგენდა. მაგრამ სტუდენტობა მთელ ქვეყანას წარმოადგენდა; მისი სურვილი და მისწრაფება ხალხის სურვილს ან მისწრაფებას მოასწავებდა. მისი მოქმედება და მღელვარება ერის მოძრაობას წინ მიუძღოდა. ყველა დიდ არეულობის დროს სტუდენტობა სტოვებს უნივერსიტეტის კედლებს, ლექციებს, ლაბორატორიებს, წიგნთ-საცავებს და იარაღით ხელში ქუჩაში გამოდის, როგორც უკანასკნელი მებრძოლი, ის წინამძღოლობს ხალხს. ადის ბარიკადზე. ზურგს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშვერს თავის მომხრეებს და გულს გააფთრებულ მტერთ. სიძაბუნე, ლაჩრობა მისთვის არ სუფევს. ის მეთაურობს რევოლიუციებს: 1830 წ. ივლისში, 1848 წ. თებერვალში. ის გამოჰყავს იდეალურ ტიპებათ საუკეთესო მწერლებს: ჟორჟ ზანდს („Horace)" ვიქტორ ჰიუგოს („Miserables") და სხ. სტუდენტები დამღეროდენ ამ გვარ სიმღერებს:

Socialisme a deux ailles
Lètudent et l'onvrir *)

ან კიდევ:

Avec les ouvriers nos fréres
marchons bras dessus, bras dessous **) და სხ.

აი, ეს იყო სტუდენტების ოქროს ხანა. მერე რაღა მოუვიდათ? საქმე იმაშია, რომ სანამ ხალხი პოლიტიკური უფლებებისთვის იბრძოდა, ახალგაზდობაც მისი სისხლი და ხორცი შეიქმნა. მაგრამ როგორც კი ხალხმა ეკონომიური კითხვა წამოაყენა, მაშინ ამ „ჩვენ პოეტურ ელემენტმა" უარყო ის, ეს ნამეტანი პროზაიო. როცა ხალხი იძახოდა: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება", სტუდენტობაც მასთან იყო, მაგრამ როცა ხალხმა მოინდომა ამ სიტყვებისთვის შინაარსი მიეცა: იქ არ არის ძმობა, სადაც ერთს ლუკმა პური ენატრება და მეორე ნებივრობსო, მაშინ მთელი დანარჩენი ქვეყანა მის წინააღმდეგ შეერთდა. ეს მოხდა 1848 წ. ივნისის თვეში, პარი-

*) თარგმანი: სოციალიზმს აქვს ორი ფრთა, სტუდენტი და მუშა...

**) ჩვენ ძმებ მუშებთან ერთათ წავიდეთ ხელი-ხელ გადადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟის მუშა ხალხმა სოციალური რევოლიუცია მოახდინა. ახალგაზდობა არა თუ დაეხმარა, დაჭრილ-დასისხლიანებულიც კი უარყვეს სტუდენტ-ექიმებმა. აი, რას წერდა იმ დროს კარლ-მარქსი თავის გაზეთში: „რომ ხალხის უკანასკნელი ილლიუზია გამქრალიყო, რომ წარსულთან ყოველივე კავშირი გაწყვეტილიყო, უნდა მომხდარიყო ერთი გარემოება: პარიჟის არეულობების პოეტურ ელემენტებს, პოლიტექნიკურ სასწავლებლის სტუდენტებს მჩაგვრელთა მხარე დაეჭირათ და სტუდენტ-ექიმებს ეთქვათ: დაჭრილ პლებეებს ვერ მივაშველებთ ჩვენს მეცნიერებასო“. ხოლო როცა სამ წელს შემდეგ ნაპოლეონმა რესპუბლიკა გააუქმა და თავის თავი იმპერატორად გამოაცხადა, სტუდენტები ხელ-ახლათ აშფოთდნენ და მუშებს მიაშურეს: არიქა თოფი ხელშიო. ამაზე ერთმა მუშამ (რომლის სახელი აღარ იციან) ასე უპასუხა: „ახალგაზდა ბურჟუა! ის მამა თქვენი იყო, თუ ბიძა თქვენი, რომელიც ივნისში (1848 წ.) დაგვხვრიტა და დაგვკარგაო“. აი ეს სიტყვები შეიქნა ამ საუკუნის სტუდენტობის მოძრაობის დასკვნა. სტუდენტობა, ხალხისაგან დაცილებული, ცხოვრებისაგანაც დაცილებული შეიქმნა. მას დაეკარგა ყოველივე იდეალი და იმ ზომამდე მივიდა, როგორადაც დღეს ვხედავთ. დღევანდელი მოძრაობის და პროგრესის დედა-ძარღვი პროლეტარიატია. ეს ახლა ყველაფერია. იდეალი, ღიმაღლესი ლტოლვილება ბურჟუაზიიდან გაქცეული, მას შეეფარა. ის ლამობს დღეს ქვეყნის განახლებას და ამ მიზნისაკენ შეგნებულად მიექანება. სანამ სტუდენტობა არ დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვებს თავის განცალკევებას და არ მიუახლოვდება მუშა-ხალხს, მანამ მას არავითარი იდეალი არ ექნება. შეასრულებს კი სტუდენტობა ამ დიდ მოვალეობას? *).

VIII

იქ სადაც მწერლობას სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, მისი მიმართულება და მეტყველება არ არის ბორკილ-დადებული, მისს ლტოლვილებიდეალს არ აქვს ხაზ-გასმული საზღვარი, ზე წარწერით: აქეთ გადმოხედვა აკრძალულია. აი, ასეთი მწერლობა უტყუარი სარკეა ცხოვრების. ცხოვრების არც ერთი მოვლენა, არც ერთი მიმდინარეობა, რაც უნდა იყოს და ვისაც უნდა ეხებოდეს, არ რჩება მწერლობის გარეშე აღუნიშვნელი. წარმოიდგინეთ დარბაზი, რომლის კედლები და ჭერი სარკეებით არის დაფარული, აქ რამდენიც უნდა იტრიალოთ, რომელ კუთხეშიაც უნდა მიხვიდეთ ყველგან და ყოველთვის თავის სახეს ხედავთ სარკეში. ეს დარბაზი პარიჟია. ეს სარკე მწერლობაა. პარიჟში მომხდარი ამბავი, რაც უნდა საიდუმლოებით იყოს გარემოცული, კანონს, სამართალს, ყველაფერს რომ დაემალოს, მწერლობას მაინც ველარ დაემალება. აქაურ მწერლობას უჩინ-მაჩინის ქუდი ახურავს, დაძვრება ყველგან, შედის

*) ამ ჟამად ლათინურ უბანში საყურადღებო მოძრაობაა: მუშათა დასის მეთაურებმა: ჟორესმა, გედმა, შილერანმა და სხ. გამართეს საჯარო ლექციები სტუდენტებისათვის. ამან ძალიან მიიტაცა სტუდენტობა. ხოლო ბურჟუაზიული გაზეთები ურჩევენ, მაგათი ლექციების მოსმენას ყავა-ხანაში წასვლა ჯობსო!!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლეს სალონებში, არ სტოვებს უნახავად არც უკანასკნელ სარდაფს, ძვრება თვით ადამიანის სულსა და გულში, სურს იცოდეს არა თუ ის, რაც მოხდა და რა მოხდება, არამედ ისიც, რას ფიქრობ და რას მოიფიქრებ. მწერლობა დაეპატრონა ქვეყანას, აქ საიდუმლო არა არის რა. ამისათვის პარიჟი თუ რასმე აკეთებს, აკეთებს საჯაროდ, დაუმალავად, რადგანაც კარგათ იცის, რომ ამ უჩინ-მაჩინის ქუდს ვერსად გაექცევა. განსაკუთრებით მწერლობა კრიჭაში უდგას საზოგადო პირებს, ქვეყნის მართველებს. ვაი მისი ბრალი, თუ რომელსამე მათგანს შეცდომა მოუვიდა. მას იქ ალარ დაედგომება, ბარგი უნდა აიკიდოს. ყველამ რომ შეუნდოს, მწერლობა მაინც არ შეუნდობს. ან კი ვინ არის მწერლობაზე უფროსი? ვინ დგას მის მაღლა? არავინ. დაწყებული უკანასკნელი მოქალაქით და გათავებული რესპუბლიკის პრეზიდენტით—მწერლობის ზედამხედველობას ქვეშ იმყოფება. მწერლობა აყენებს პრეზიდენტს, მინისტრებს, მწერლობავე უარჰყოფს, ძირს აგდებს იმათ. მწერლობამ არ დასცა მაკ-მაგონი და გრევი? მინისტრებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს, ისინი მწერლობის ყურმოჭრილი მონები არიან. ვთქვათ, პარიჟელმა კაცი მოკლა, ან რამე მოიპარა, ის არასოდეს არ იტყვის, ეს მე არ მიქნიაო, იმიტომ რომ ის დარწმუნებულია, სანამ გამომძიებელი გამოიძიებდეს, მწერლობას უკვე გამოძიებულ-გამოქვეყნებული აქვს. რასაც ვერ ალმოაჩენს დახელოვნებული პოლიციელი, მწერლობას არ დაურჩება შეუტყობელი. პარიჟელის პირდაპირობა, გულწრფელობა, ნაყოფია მწერლობის ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების. ეს მისი ზნეობის გამწმენდელია, მისი მოქმედების ყარაულია. ავი საქმე, ტყუილი, ორპირობა, არ დარჩება შეუნიშვნელი, უსამართლობა, ძალ მომრეობა, უკანონობა არ დარჩება დაუსჯელი. მწერლობა არის ყოვლად ძლიერი, ყოვლის მცოდნე, ყველგან მყოფელი. მისი ხელი ყველგან წვდება, ყველაფერს თავისებურს ბეჭედს ასვამს. ეს არ მოწმობს იმას, რომ მხოლოდ მწერლობას ეკუთვნოდეს ყოველივე, პირიქით მწერლობაც ყოველსავე ეკუთვნის. მწერლობა—ეს საზოგადოებაა, მწერლობის აზრი—საზოგადო აზრია. მაშასადამე საზოგადოება მწერლობის საშვალებით თავის-თავის დარაჯია, ცუდი არაფერი შემოგვეპაროსო. მწერლობის იმას ეშინია, ვისაც სინათლის ეშინია, სიბნელეში ჩხირკედელაობს და დაფარულ, საძრახ ზომებით მოქმედობს. ეს თუ სხვაგან კანონია, აქ იშვიათი მოვლენაა. ერთი ცუდი საქმე რომ მოხდეს, ქვეყანას შეძრავენ, იმდენს იყვირებენ. თავისუფალი მწერლობა, უმაღლესი იარაღია გონებრივი სიმართლის, ზნეობრივი სიფაქიზის. აქ კაცი კაცად არის აღსარებული. თვალი აქვს იმიტომ, რომ დაინახოს, ყური—იმიტომ რომ გაიგონოს, გონება—იმიტომ რომ მოიაზროს, ენა—იმიტომ რომ იმეტყველოს. მას არავინ არ გეუბნება თვალი დაიბრმავე, ყურთ მოიყრუე, გონება დაიხშე, ენა დაიდუმე. აზრი ბორკილ-ახსნილია, სვინდისი განთავისუფლებულია. ამიტომ ფრანგი გულადია, გამჭრიახი, უშიშარი. მის აზრსა და მოქმედებას შუა უთანხმობა არ არის. აქ ადამიანი მთელია, ის ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირს არ წარმოადგენს, მისი სული განუყოფელია, ერთი სიტყვით ადამიანი გაადამიანებულია.

პარიჟს მწერლობაც თავისებური აქვს. აქ ყოველ-დღიურ მწერლობას ჩაუყლაპავს ყველა დანარჩენი. საკვირაოს და ყოველ-თვიურ გამოცემას არავითარი გასავალი არ აქვს. გაზეთი—აი, რა შეადგენს პარიჟის გონებრივ ბურჯს. მას არ აინტერესებს, რა დაიბეჭდება ერთი თვის შემდეგ. მანამდი ის ვერ მოიცდის, მას სურს ყველაფერი ერთად იცოდეს, ერთ დღეს გაიგოს. თუ რამე საინტერესო მოხდა მან მაშინვე უნდა წაიკითხოს, გასაჯოს აწონ-დაწონოს. ერთ დღეს, ერთ კვირას შემდეგ, ის მისთვის ინტერესს მოკლებულია, დაძველებულია. ერთ და იმავე აზრს ფრანგი გერმანელივით დიდ ხანს ვერ ატარებს. ვერც ინგლისელივით გამოიანგარიშებს თავის მოქმედების შორეულ შედეგებს, ვერც ქართველივით ცხრაჯერ გაზომავს და ერთხელ გადასჭრის. ფრანგი იმით განირჩევა დანარჩენებისაგან, რომ როგორც კი გაიგებს, შეიგნებს რამე აზრს, მაშინვე სარჩულად უდებს თავის მოქმედებას და ცხოვრებაში ახორციელებს. დაუსრულებლად ზომვა მან არ იცის. ის ამბობს, ცხრაჯელ გაზომვილი რომ სწორი მოვიდეს, რა გასაკვირალია, საქმე ის არის, ეროხელ გაზომო და კიდეც გადასჭრაო. ის მუდამ ასე იქცევა და წარმოიდგინეთ თითქმის არასოდეს არ სცდება. უსამართლობა თუ დაინახა, ნაშინვე იყვირებს, თუნდაც ამისთვის სიკვდილი მოელოდეს. თუ ცუდად მოიხსენიე, მაშინვე დუელში გამოგიწვევს, თუნდაც იარალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმარება არც კი იცოდეს. შეიძლება სთქვათ, ასეთი სწრაფი მოსაზრება და მოქმედება დიდი ნაკლულოვანებაა. კი, ბატონო, ეს ასეა ჩვენებურათ, ქართულად, მაგრამ ფრანგულად ეს ასე არ არის; რაც ჩვენ ნაკლულევანებად მიგვაჩნია, ის ფრანგებისთვის ღირსებაა, მისი ეროვნული თვისებები ამ „ნაკლულევანებაშია“ თავმოყრილი. ის ამით ამაყობს, მისი პირადობა ამაში იხატება, ერთი სიტყვით ფრანგი ფრანგობს ამ „ნაკლულევანებით“. რაკი ასეთია ფრანგი, ასეთი უნდა იყოს მისი სულიერი საუნჯე, მისი მწერლობა. მართლაც არსად არ არის ისე აჩქარებული მწერლობა, როგორც პარიჟში. ყოველ საათში სხვა-და-სხვა გაზეთები გამოდის ახალი ამბებით სავსე, რასაც პარიჟელი მოწყურებულივით ეწაფება. ქვეყნის რომელიმე კუთხეში თუ რამე საყურადღებო მოხდა, პარიჟელმა იმავე საათში უნდა გაიგოს. შეიძლება სადმე, ევროპაში, შემაძრწუნებელი საქმე დატრიალდა, როგორც მაგ. მამამ შვილი ისე გალახა, რომ ლოგინად ჩაწვა, ცოლმა ქმარი მოწამლა და სხვა ამისთანები,—ამაზე პარიჟის გაზეთები ვაი-უშველებელს ატეხენ. აქაური მწერლობა ალარ კმაროს პარიჟს, საფრანგეთს, ის ქვეყანას ეპატრონება.

რად მინდა ასეთი მწერლობა, მუდმივ მოუსვენრობა. არ სჯობია, წყნარათ, მშვიდობიანათ ვიცხოვროთ?—გაიფიქროთ, ეგების. ამის პასუხად ვიკტორ ჰიუგოს ავალაპარაკებ: „ბატონებო, შეჰყვირა მან პარლამენტში ამ ორმოცი წლის წინად, დღეს ევროპის საერთო კრიზისში ყველა მხრიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძახიან: ზნეობრივი დაცემა დიადია, სოციალური საფრთხე აუცილებელია! ეძებენ ამის მიზეზს და თავის-თავს ეკითხებიან: რა შვრება ამას? სად არის ამ მდგომარეობის საძირკველი? ვინ არის დამნაშავე? ვინ არის დასასჯელი? შიშის დასი ევროპაში ამბობს, დამნაშავე საფრანგეთია; საფრანგეთში ის ამბობს, დამნაშავე პარიჟია; პარიჟში ის ამბობს, დამნაშავე მწერლობაა. ხოლო კაცი, გულდასმით მეთვალყურე და მოფიქრებულათ მკვლეველი, ამბობს: დამნაშავე არ არის მწერლობა, არც პარიჟი, არც საფრანგეთი, დამნაშავე—ეს ადამიანის გონებაა. ეს ადამიანის გონებაა, რომელიც თავიდანვე იკვლევს, სჯის, ეჭვობს, ამტკიცებს, უარყოფს და შუდამ ეძიებს, გამოიცნოს ქვეყნის საიდუმლო პრობლემა!—ეს ადამიანის გონებაა, რომელიც ყოველთვის შებოჭვილია, დასჯილი, ფეხ-ქვეშ გათელილი, პატივ ახდილი, საუკუნოების განმავლობაში ქრებოდა ერთ ალაგას, რომ მეორე ალაგას გამოჩენილიყო სხვა ფორმით, სხვა აგიტატორის სახელით!—ეს ადამიანის გონებაა, რომელსაც ქვია ივანე გუსი და რომელიც არ მომკვდარა კონსტანის ცეცხლით, ლიუტერი. რომელმაც შეარყია კატოლიციზმი, ვოლტერი, რომელმაც შეანძრია სარწმუნოება, მირაბო, რომელმაც შეანძრია მეფობა!—ეს ადამიანის გონებაა, რომელმაც გადაჯსხვაფერა საზოგადოებები და მთავრობები, თანახმად უფრო და უფრო სამართლიანი, კანონისა, რის სახელი პირველად იყო თეოკრატია, შემდეგ არისოკრატია, მონარქია და დღეს დემოკრატია!—ადამიანის გონება იყო ბაბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონი, ტირი, იერუსალიმი, ათინა, რომი და ახლა პარიჟი, რომელნიც რიგ-რიგად და ერთ-და-იმავე დროს წარმოადგენენ შეცდომას, ილიუზიას, მწვალებლობას, განცალკევებას, წინააღმდეგობას და ჭეშმარიტებას!—ეს ადამიანის გონებაა, რომელიც შეუჩერებლად მიილტვის სიმართლის, შვენიერების და ჭეშმარიტებისაკენ, ხალხთ მიაქანებს თავისუფლებისაკენ!—დიახ, მე ვამბობ, შიშის დასმა ერთობ მძიმე საქმეს მოკიდა ხელი. ვთქვათ, მან გაანადგურა მწერლობა უკანასკნელ გაზეთამდე, პარიჟი უკანასკნელ სახლამდე, საფრანგეთი უკანასკნელ სოფლამდე. მაგრამ მან მაინც ვერა გააკეთა რა. მას კიდევ რჩება დასამტვრევათ ერთი რამ, რაც ყოველთვის თავაღებულია, საზოგადოების მაღლა დაფრინავს, რომელმაც დასწერა ყველა წიგნები, გამოიგონა ხელოვნება, აღმოაჩინა ყველა ქვეყნები, დააარსა ყველა ცივილიზაციები, ერთი რამ, რასაც თავი მოაქვს რევოლიუციის ფორმით, თუ კი აღარ ანებებენ პროგრესის ფორმით; ერთი რამ, რაც სინათლესავით შეუხებელია, მზესავათ მიუდგომელია და რის სახელი ადამიანის გონებაა!!!“

IX.

სულ პარიჟი, პარიჟი, სხვა სალაპარაკო ველარ იშოვე?—გაბრაზებით მეტყვის მკითხველი, როცა დაინახავს, რომ ამ ჩემ წერილებს დასასრული აღარ ეძლევა. ეგ შენიშვნა მართალია, მაგრამ რა ვქნათ, ბატონებო, ჩვენ ისე ცოტად ვიცნობთ დასავლეთს, და გასაცნობი კი ისე ბევრია! კიდევ კარგი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩვენი ცნობა ნამდვილი და ჭეშმარიტი იყოს. სამწუხაროდ ესეც ალარ არის. ევროპას ჩვენ ვიცნობთ ჩვენებურად, ქართულად, ე. ი. მას ჩვენი ალაბით ვზომავთ მაშინ, როდესაც გასაზომი საგანისულ სხვა ხასიათისაა. თუ გსურთ ევროპის ცხოვრების შეგნება, მისი დედა—ძარღვის გამოჩენა, უნდა დაივიწყოთ ყველა ის იდეები, რომელნიც დედის ძუძუსთან ერთათ გადმოდიან ჩვენს არსებაში და იჟღენთება ჩვენი გონების სიმებში. უნდა უარჰყოთ თქვენი წარმოდგენები ცხოვრების, ადამიანობის შესახებ, რასაც გარემოცული ატმოსფერიდან ჰაერთან ერთად დღე-მუდამ ითვისებთ. ჩამოვიღოთ ჩვენი სათვალეები, გონებით გადავხალისდეთ, გაევროპიელდეთ და ევროპა ჩვენთვის ალარ იქნება საიდუმლოება... დასავლეთ ევროპას დღემდის საფრანგეთი მიუძღვება წინ, საფრანგეთს—პარიჟი. პარიჟის ცხოვრება—ეს მთელი ევროპის ტიპიური ცხოვრებაა. პარიჟი—ეს ევროპის ათინაა, დიდებული რომია სხვა სახით, სხვა შინაარსით. პარიჟი ეს ევროპის უმალლესი წერტილია. კაცობრიობის მწვერვალია, სადაც ერთათ მოგროვილია დღევანდელი ცივილიზაციის კარგი და ავი მხარეები, ეს შენობის გვირგინია. ადი, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ამ მწვერვალზე და გადმოიხედე დაბლა. შენ ახლო ხედავ სხვა-დასხვა ქვეყანას, სხვა-და-სხვა ხალხს, რომელნიც საშინელი სისწრაფით მიეჩქარებიან ზევით, მწვერვალოსკენ. ამათ შორის ეძებ ვიღაცას, თვალებს აცეცებ, გსურს დაინახო ის, ვინც შენთვის ძვირფასია, ვისაც ეტრფიალები, მაგრამ ამაოდ. აქ ის არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიხედე ქვევით, სულ ქვევით, ძლიერ შორს, და გაარჩევ ერთ პატარა ერს, რომელიც ხელებ-აწვდილი ზევით იცქირება: მეც მინდა მანდ ავიდე, სხვებს გაუამხანაგდეო. ხელი მოჰკიდე მაგას, მაგ შენ სისხლ და ხორცს, და არ გაუშვა, სანამ ზევით არ ამოვიდეს. იცოდე, მისი კეთილ-დღეობა შენი კეთილ-დღეობაა, მისი ბედნიერება შენი ბედნიერებაა, შენ ის ხარ და ის შენ, იცანი თავი შენი მასში და ის იცნობს თავის-თავს შენში. ჩამოდი მაღლიდან ქვევით, რომ გაჰქრე მასში მისდა სასარგებლოდ და შენდა სასიამოვნოდ. გაბრუნდი, ადი მაღლა, რომ გაითვალისწინო გასავლელი გზა მისდა საცნობლად და შენდა სამოქმედოდ. სწავლა და მოქმედება—შენთვის, ცნობიერება და მოძრაობა—მისთვის et vice versa...

მაშ დავტოვოთ ამ სიტყვით მწვერვალი, გამოვემშვიდობოთ პარიჟს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორიენტალისტთა

„ძე-X საერთაშორისო კონგრესი ქ. ჟენევაში

(1894 წ. *)

ჟენევის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში, 23 აგვისტოს, შეიკრიბენ ოთხასი ორიენტალისტი. ქვეყანაზე არ დარჩენილა არც ერთი წინ-წაწეული ერი, ან სახელმწიფო, რომ აქ თავის წარმომადგენელი არ გამოეგზავნოს. მონაწილეობა მიიღეს 18 სახელმწიფომ, 97 უნივერსიტეტმა და სხვა-და-სხვა სწავლულთა საზოგადოებამ. აი, რა და რა ქვეყნიდან იყვნენ დელეგატები: შვეიცარია, გერმანია, ავსტრო-ვენგრია, ბელგია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანია და ირლანდია, იტალია, ჰოლანდია, რუსეთი, შვეცია-ნორვეგია, სათათრეთი, ეგვიპტე, ჩრდილო და სამხრეთი ამერიკა, (შეერთებული შტატები და ბრაზილია), პერუ, ინდოეთი, იაპონია, სპარსეთი და ჩინეთი. ამოდენი ხალხი, დანაწილებული შთამომავლობით, სარწმუნოებით, დედა-ენით, ზნე-ჩვეულებით, პოლიტიკური იდეებით, რასით, კლიმატიური (ჰავით) და გეოგრაფიული სხვა-და-სხვაობით, შეერთებულიყვნენ ერთ ნიადაგზე, ერთი მიზნის მისაღწევად. ეს საერთო მიზანი, რომელიც თავის

*) ეს წერილი დაბეჭდილი იყო პირველად „კვალში“ 1894 წ. (№ 42).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლევა მოხილობით აღემატება ყოველსავე ძალას ადამიანისას, მიდის შორეულ ქვეყნებში, აღოვევს საუკუნოებით არსებულს ერთა კარ-ჩაკეტილობას, ამსხვრევს ჩინეთის მიუვალ კედელსაც კი, გადადის ზღვა-ოკეანებს იქით, აპობს მთებს, უდაბნოებს, არსტოვებს უნახავად არც ერთ კუთხეს დედა-მიწისას ყველგან და ყველა ხალხს ერთ და იმავე კითხვა-პასუხს აძლევს: ან უნდა მიწამო, ან უნდა დაიღუპოვო. აი, ასეთი ყოვლად შემძლებელი არსება გახლავს მეცნიერება. მეცნიერებამ გადმოსტყორცნა ერთი ამერიკიდან, მეორე ეგვიპტიდან და ერთმანეთს დაუახლოვა. დაამეგობრა. თავისი წარმომადგენელი შემოკრიბა ხმელეთის ყველა კიდიდან და ამ პაწია ქალაქში თავი შეუყარა: მოდით, ძმურად იშრომეთ კაცობრიობისათვისო. როცა უცქერით ამგვარ ყრილობას, ანუ კონგრესს, გაკვირვებაში მოდიხართ და თავის თავს ეკითხებით: რამ აიძულა ეს პატივცემულნი, ამოდენა გზა გამოევლოთ და აქ მოსულიყვნენ? რატომ ასე გულმოდგინედ ეძებს ევროპიელი ბაბილონის ამ-და-ამ ქვაზე რა წარწერაა? ერთმა მეცნიერმა სხვათა შორის განაცხადა: ასიური წარწერის ერთი სიტყვის აღდგენას და წაკითხვას ორი წვლიწადი მოვანდომეო. მოდით და ნუ გაიკვირვებთ, ორი წლის განმავლობაში ერთ სიტყვას უტრიალებენ. ნუ თუ ეს უბრალო ცნობის მოყვარეობის შედეგია? ყველა ამაების პასუხს დავინახავთ იმ სიტყვებში, რომელნიც წარმოთქმულ იქმნენ კონგრესის გახსნის დროს.

კონგრესი გახსნილ იქმნა შვეიცარიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ფრეის მიერ. მას გვერდში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსხდენ ქენევის კანტონის პრეზიდენტი რიშარდი და თვით კონგრესის თავმჯდომარე პროფესორი ედუარდ ნავილი. სამივემ წარმოსთქვა სიტყვები შესახებ ორიენტალიზმისა, რასაც ჩვენ აქვე მოვიყვანთ ცოტა შემოკლებით.

სიტყვა პრეზიდენტის ფრეისა:

„ბატონებო! თქვენი კონგრესის გამგე კომიტეტმა კეთილ ინება ჩემი დანიშვნა საპატიო თავმჯდომარედ და ამასთანავე დამავალა სხდომის გახსნა. დიდი სიამოვნებით მივიღე ეს მოწოდება და, საფედერალო საბჭოს თანხმობით, აქეთ გამოვემგზავრე, რომ თქვენ გისურვოთ კეთილად მობრძანება შვეიცარიაში. პირველი შეხედულობით, ის სპეციალური მეცნიერება, რომლის წარმომადგენელი თქვენ ბრძანდებით, ცოტა არ იყოს, საზოგადო ინტერესის გარეშე დგას. მაგრამ თვით უვიცებმა, რომელნიც ოდნავ მაინც თვალ-ყურს ადევნებენ მეცნიერების განვითარებას, იციან, რომ სხვა-და-სხვა შტო ფილოლოგიისა დღეს ცალ-ცალკე, ერთმანეთის დაუკავშირებლად, არ იკვლევა. ყველა ამ შტოს, თანამედროვე ენებითუთრ, შედარებითი ფილოლოგია რაცხს ნაწილებად ერთი-და-იმავე არსებისა. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამით, რომ საფუძვლიანათ შევისწავლოთ ახალი ენები. მეცნიერება აღმოსავლეთის ენების შესახებ არის მხოლოდ ერთი მხარე იმ მოძღვრებისა, რომლის შეხედულებით სხვა-და სხვა ერი და ენები მჭიდროდ არიან გადაკავშირებულ-გადმოკავშირებული ერთმანეთთან. მეორე მხრით მეცნიერთ კარგადა აქვთ შეგნებული, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი გავლენა აქვს ამ გვარ კვლევას ხალხთა გონებრივ განვითარებაზე. ჩვენს სკოლებში არ ვასწავლით მარტო იმ საგნებს, რომელნიც პირდაპირ პრაქტიკულ ცხოვრებისათვის არის გამოსადეგი: კარგად გვესმის, რომ არც ერთი სწავლა, მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული, არ არის დაკარგული ხალხის გონებრივი და მწარმოებელი ძალ-ღონის განვითარებისათვის.

მაშ, ალსავსე კმაყოფილებით და სიამოვნებით თაყვანს ვსცემ ორიენტალურ ფილოლოგიის წარმომადგენელთ, ვუსურვებთ მეცნიერებაში ახალი გზების გაკვალვას და ამით ვიწყებ მე-X საერთაშორისო-კონგრესს ორიენტალისტებისას".

სიტყვა რიშარდისა:

„ჟენევის კანტონის უმთავრესი საბჭოს მონდობილობით მოგილოცავთ კეთილად მობრძანებას. რამდენად უნდა ვამაყობდეთ იმ გარემოებით, რომ ამ პატარა ქვეყანაში ვხედავთ კრებას მთელი ქვეყნის სწავლულთა და მეცნიერთა!.. ჩვენი მასპინძლობა, რასაკვირველია, ვერ შეედრება თავის სიდიადით და სიმდიდრით იმ მასპინძლობას, რასაც თქვენ ჩვეულნი ხართ სხვა ქვეყანაში. მაგრამ დაგარწმუნებთ, რომ გულ-გაშლილობით და სტუმართ-მოყვარეობით არც ერთს უკან არ ჩამოვრჩებით. ამას გვაიძულებს უბრალო ინსტიქტი თვით-არსებობისა, თუ სხვა უმაღლესი გრძნობები აღარა. მიზანი და უპირატესობა პატარა ქვეყნისა განა ის არ არის, რომ უზრუნველ ჰყოს ბჭობის და დასკვნის სრული თავისუფლება? უმთავრესი პირობა მისი არსებობის განა არ მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვს მეცნიერების საშუალებით ჩანერგოს ხალხთა შორის ძმობა და კავშირი? ამ მხრით ჩვენც ხელს ვუწყობთ წინ-სვლას, პროგრესს.

სარბიელი თქვენი კვლევა-ძიებისა ფართო არის და შეიცავს დიდათ საინტერესო კითხვებს. თქვენ ჰფენთ სინათლეს წარსულს, რაც წყვდიადით მოცულია და რასაც ჩვენი აღფრთოვანებული ფანტაზია კიდევ უფრო აბნელებს და მისტიურათ ჰქმნის. აქ არ იმალება სათავე ჩვენი არსებობისა? აქ არ მარხია პირველი გვერდი ეტნოგრაფიული არხივისა? აი, ეს არის ,ხანა ჩვენი ხასიათის შემუშავებისა და დასაწყისი ევროპიულ აზრთა მიმდინარეობისა. თქვენმა ნაყოფიერმა გამოკვლევამ აღმოაჩინა რგოლები იმ ულეველ ჯაჭვისა, რომელმაც შეაერთა აზრის დღევანდელი განვითარება თავის აკვანთან. თქვენ აღებთ ტაძრის კარებს, სადაც უკუნიდან ჩაკეტილია საიდუმლოება და რის გაგებასაც მუდამ ვისწრაფვით. თქვენ გვიჩვენებთ იმ უკვდავ იდეას, რომელიც დაიბადა წმინდა მდინარეთა ნაპირას, იქიდან გადმოვიდა და გავრცელდა ყველა ხალხში, გადასხვაფერდა თანახმად ერის რასიული თვისებისა და დაედვა საფუძვლად სხვა-და-სხვა სარწმუნოებას.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ იმ შარა-გზას, რომელიც იწყება მარტივი, სადა ჩვეულებებით ველურ ხალხისა, და თავდება უმაღლესი ფილოსოფიური განათლებით და რთული საზოგადოებრივი ურთიერთობით, ადვილათ შევამჩნევთ ცივილიზაციის შეუჩერებლივ წინსვლას, კაცობრიობის მუდმივ პროგრესს და განვითარებას. ამის გამოძიება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გათვალისწინება, ცხადია, უბრალო ცნობის-მოყვარეობას არ მოასწავებს. თქვენ იკვლევთ ადამიანის დედა-აზრს (l' ésprit), ანუ მის იდეას, თვითონ ადამიანს, ანუ მის სულის ვითარებას; და ეს ხომ დაუშრეტელი წყაროა ყოველივე ცვლილებისა და სწავლა-ცოდნისა. დიალ, თქვენი მეცნიერება ჩვენ გვიზიდავს არა მარტო გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აწერილობით აზიისა და აფრიკის მდიდარი ბუნებისა; არამედ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის თვალწინ გვიყენებს წინაპაროთა გრძნობა-ჩვეულებებს, რაიცა ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ, იმ გადაუჭრელ კითხვებს, რაც ჩვენ გადმოგვეცა გადასაჭრელათ, იმ იდეა-ლტოლვილებას, რომელიც ჩვენ ყველას, განურჩევლად გვარ-ტომობისა, წინ მიგვაქანებს. ერთი სიტყვით ჩვენ ვსწავლობთ თავის თავს. ვიგებთ თანამედროვე ხანას. საზოგადოებამ თავის მედგარ წინსვლის დროს ხშირად უკან უნდა მოიხედოს, გავლილი გზა გადაათვალიეროს, რომ მით ძირი მოუმაგროს მერმისს. თქვენ დაუღალავი შრომით ნათელს ჰფენთ წარსულს, თვალ-საჩინოდ ქმნით დანგრეულ სამეფოებს, აღვიძებთ აკლდამებში დამიწულთ, რომელთა მოძრაობა და ხმაურობა ერთხელ აცხოველებდა ქვეყანას, ალაპარაკებთ ქვებს და წარწერებს, აგროვებთ ნაშთს ძველი პოზიციისა და სარწმუნოებისა. ამგვარად თქვენ მკვდრეთით ალადგენთ გამქრალ კაცობრიობას, რომელიც სცხოვრობდა შესანიშნავ ქალაქებში, სადაც განათლება დუღდა და გადმოდიოდა, მაშინაც კი როცა მას ორმო ეთხრებოდა და შიგ გ ახრწნილი ეშვებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ წარმოიდგინეთ ეს დიადი სურათი და ამით ვგრძნობთ, რომ კაცობრიობის ერთი ნაწილი შემოგვიერთეთ».

ჩვენ ვითხოვთ თქვენგან კიდევ ბევრს რასმე, არა ასოს, ტექსტს, არამედ დედა-აზრს, იდეას, რაც ანათებს და აცხოველებს ცხოვრებას. თანამედროვე ხალხმა დაამსხვრია და ფარ-ჰყო თავიანთი კერპები და თხოულობს ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტების მიცემა კი შეუძლია მხოლოდ მეცნიერებას, თქვენც ეხმარებით ამ მიმართულებას...“

სიტყვა ედუარდ ნავილისა (თავმჯდომარესი).

„მდელვარებით აღსავსე ვდგევარ, ბატონებო, თქვენს წინაშე. ვიგონებ იმ დროს, როცა რვა ჩვენთაგანი პირველად შეიკრიბა და გადაწყვიტა ჟენევაში მოწვევა მთელი ქვეყნის ორიენტალისტებისა. მართალია, ჩვენ ვიყავით წარმოდგენილნი ორიენტალიზმის ყველა შტოსი; მართალია აგრეთვე ისიც, რომ უცხოეთის ბევრმა მეცნიერმა გაგვამხნევეს და გვთხოვეს გადაგვედგა ეს დიდი ნაბიჯი, მაგრამ იმასაც ვფიქრობდით, რას იტყვიან, როცა გაიგებენ, რომ ჩვენც უნდა წავბაძოთ ევროპის დიდ ქალაქებს, ჩვენც უნდა ფეხი გამოვყოთ და ვცადოთ სიარული პარიჟ, ლონდონ, პეტერბურგ, ბერლინ, ვენა და სტოკჰოლმთან ერთად. შეეძლოთ ჩვენთვის სამართლიანად ესაყვედურებიათ: რას შვრებით, ნუ დაივიწყებთ ამას, რომ თქვენი ქვეყანა ძლიერ პატარა არისო. დიალ, ჩვენ დავივიწყეთ ჩვენი სიპატარავე, გამბედავობა ვიხმარეთ. განა ყველა ხალხის ანდაზა არ გვასწავლის, გაბედულება არის გამარჯვების საი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმლოებაო? მაინც ჩვენ ამით ავასრულეთ ის, რასაც ყოველ დღე ვშვრებით და რაც ჩვენი არსებობის ერთი მიზეზთაგანია. ჩვენ ვცხოვრობთ ოთხ უზარმაზარ სახელმწიფოებს შორის: მარტო მათი დედაქალაქის მცხოვრებთა რიცხვი მთელი ჩვენი ქვეყნის მცხოვრებლებს აღემატება; მიუხედავათ ამისა ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში ვიბრძვით თვითარსებობისათვის, ჩვენს უფლებას არავის ვაქელვინებთ, ჩვენც გვსურს გვქონდეს საკუთარი მიწა-წყალი ამ ტურფა ქვეყანაზე. ჩვენ პატარა არ ვართ დამოუკიდებლობისათვის, არც თავისუფლების და ადამიანურ ცხოვრება-მოქმედებისათვის, თუმცა ყოველ მხრიდან შემოწოლილი გვყავს მძლავრი მეზობლები და ჩვენი სამშობლოს სივრცეც შევიწროებულია; სამაგიეროთ რალა გვიშლის გავფართოვდეთ და გავიწროთ გონებრივს სივრცეზე, აქ ხომ აღარ არის ბუნებრივი, თუ ხელოვნური საზღვრები, არც იარაღი გზის გადასალობავად და ასპარეზის შემოსაფარგლავად.

მეორე მხრით, ჩვენც გვაქვს ისეთი უპირატესი თვისებანი, რომელნიც ხელს-უწყობენ აქ კონგრესის გამართვას. ჩვენ გვიჭირავს ნეიტრალიტეტი. არ ვერევით პოლიტიკურ ჯიბრს და შურის-ძიებაში, არ ვიცნობთ კავშირს არც ორთ, არც სამთა, არც ოთხთა. ამ კითხვას არ შევეხები დაწვრილებით, მხოლოდ გვსურს გიჩვენოთ, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტობასთან ერთად რა ნაირათ გვესმის ნეიტრალიტეტი მეცნიერნბაში. აქ არ არის განცხადება „გავლა აკრძალულიაო“, წინააღმდეგ ამისა ჩვენ გეუბნებით: მოდით დიდი სიმრავლით, მოგვიტანეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი მეცნიერება, რამდენიც კი შეგეძლოთ. აქ არ დაგიხვდება ტამოჟნის კარები, შესვლა-გამოსვლა თავისუფალია, მაშ მობძანდით და იგემეთ უბრალო, სადა სტუმართ-მოყვარეობა პატარა ხალხისა. თქვენ აქ ყოფნის დროს ნუ გაიხსენებთ, თუ რა დიდ როლს თამაშობს ქვეყანაზე თქვენი სამშობლო; ნუ იკითხავთ, არის თუ არა აქ ძლიერი არმია, საომარი ხომალდები. დაივიწყეთ ის იდეები, რომელნიც ხატავენ ცხოვრების სხვანაირ მოწყობილებას და რაც ჩვენში არ არსებობს. გასცვალეთ ერთმანეთშორის და ჩვენც გაგვიცვალეთ გონების ნაწარმოები, რომელიც შეძენილია ხანგრძლივი შრომით და ატარებს ბეჭედს იმ ერის ნიჭიერებისა, რომელსაც თქვენ ეკუთვნით. აი, აქიმალება მეცნიერთა კონგრესის მნიშვნელობა. ამბობენ, ასეთ კონგრესმა რაიმე დიდი ცვლილება უნდა შემოიტანოს მეცნიერებაში, შესამჩნევი ალმოჩენა უნდა მოახდინოსო. სრულიადაც არა, კონგრესი მხოლოდ სწავლულთა ერთმანეთის ნახულობაა, ეს—მათი ბაასია რომელიმე მეცნიერულ კითხვის შესახებ. ხანგრძლივ კარჩაკეტილ შრომას შემდეგ ამ გვარ აზრთა გაცვლა გამოცვლას ცხოველ-მყოფელი ზედგავლენა აქვს ადამიანზე. ვინ იცის ამით რამდენი ცრუ შეხედულება გაქარწყლდება, რამდენი ახალი კითხვები დაიბადება და სწავლული დგება ამა თუ იმ გზაზე.

ახლა ენის შესახებ. როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ხალხი სამ ენაზე ლაპარაკობს, ამას ერთიც მივუმატეთ და კონგრესის ოფიციალურ ენად ოთხი ენა გავხადეთ. თქვენ აქ მოისმინეთ შვეიცარიის პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენტი გერმანულ ენაზე, რომელიც ჩვენ თანამემამულეთა ორი ნაწილის დედა-ენას შეადგენს. ეს ენა დიდად განირჩევა ნამდვილ გერმანულ ენიდან, როგორსაც საუბრობენ ჰანოვერში, საქსონიაში და სხვაგან. მაგრამ ნუ მოუყრუებთ ყურს შვეიცარიელთ გერმანულს. ნუ გასჯით მსუბუქად, იცოდეთ, რომ ეს ჩვენ წინაპართაგან მივიღეთ და დიდი მოწიწებით ვინახავთ, ეს ენერგიული, მაგარი და მოუთელავი ენა არის ღვიძლი შვილი ამ უზარმაზარი მთებისა და სასტიკი ბუნების. ის შედეგია მკვიდრთა თავისებური ცხოვრებისა. ჟენევაში ფრანგულად ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენ ფრანგულს დღესაც ეჭვის თვალით უყურებენ. ჩენ მეზობელ საფრანგეთის მწერლობაშიაც კი შეხვდებით საყვედურს: წმინდა ფრანგული გააჟენეველეთო. მხოლოთ ჩვენ, ჟენეველები, არ დავივიწყებთ, რომ რუსსო და ქ-ბატონი სტაელი, რომელთ ფრანგული ენის უვიცობას ვერვინ დასწამებს, საფრანგეთს ჩვენ მივეცით. იტალიურათ ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის ერთი უმცირესი ნაწილი, მაგრამ ვინ არ მოისმენს დიდი სიამოვნებით ამ მუსიკალურ და ტკბილ ენას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბრობს თვითონ იტალიელი. დასასრულ ოფიციალურ ენად მივიღეთ ინგლისური, რომელიც ასე გავრცელებულა აღმოსავლეთში და ამერიკაში. ჟენევაში ადვილად სწავლობენ ამ ენას, ცნობილია, რომ ნაპოლეონს არ უყვარდა ჟენეველი იმიტომ, რომ კარგად ლაპარაკობს ინგლისურსო.

ამგვარათ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და ენის სიმრავლე—აი, რამ გაგვაბედვია ჟენევაში კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნგრესის მოწვევა. ამას მიუმატეთ, თუ გნებავთ, შვეიცარიის გეოგრაფიული მდებარეობაც.

დასავლეთის სრული განცალკევება აღმოსავლეთთან ახლა აღარ არსებობს; საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დასავლეთის ცივილიზაციის დასაწყისი აღმოსავლეთში უნდა მოინახოს. ახლად აღმოჩენილი წყაროები ნათლად გვიმტკიცებენ, თუ რა ხშირი მიმოსვლა და კავშირი ყოფილა ძველ ხალხთა შორის. მოგეხსენებათ შესანიშნავი ნაშთნი ტელ-ელ-ამარნის (Tel-el-amarna), აღმოჩენილი ამ უკანასკნელ ხანს, დაფები ლურსმული წარწერით მე-XVIII დინასტიის უკანასკნელი მეფის დროს. ესენი შეიცავენ კორესპონდენციებს, მოხსენებებს, კერძო დოკუმენტებს, რომელნიც არ იყვნენ ოფიციალური. ეს წერილები გვიჩვენებენ, რომ სირიის და პალესტინის ქალაქებში, ებრაელთა მოსვლამდის, გავრცელებული ყოფილა ბაბილონის ენა და წერა. ფარაონთა ქვეშევრდომი ქალაქების მმართველები ამ ენას ხმარობდენ. მაშასადამე, როცა ეგვიპტელებმა (XVIII დინასტიის ხანს) ეს ქალაქები დაიპყრეს, მმართველად დაუყენებიათ არა ეგვიპტელი, არამედ მკვიდრი, მცოდნე ადგილობრივი ენისა და ზნე-ჩვეულებისა. ეს მოხელენი ეგვიპტის მეფეს მისწერდენ ბაბილონურ ენაზე, რის გასაგებად საჭირო იყო მთარგმნელი (ეს სიტყვა იხმარება მაშინდელ ნაწერებში). ცხადია ბაბილონის გავლენა ამ უხსოვარ დროს სირიაზე და პალესტინაზე. მესოპოტამიის მეფეები სთხოვენ წერილში ეგვიპტელთ ოქროს გამოგზავნას, უთუოდ დასამუშავებლად, რადგანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარაონები მშვენიერ ჭურჭლებს, ტაძრის კედლებზე და სასაფლაოზე გამოხატულებს, აზიიდან იღებდენ. ამ ოქროს, რომელსაც მესოპოტომიის მეფეები თხოულობენ, სად შოულობდა ეგვიპტე? შუაგულ აფრიკაში და წითელ-ზღვის ნაპირას. მაშასადამე აფრიკა აგზავნიდა აზიაში დასამუშავებელ მასალას. ჩვენ ვიცით, რომ იმავე დინასტიის ერთმა დედოფალმა წითელ-ზღვის ნაპირას პუნტთა (Punt) ქვეყანაში, ზღვით გაგზავნა ექსპედიცია მცხოვრებლებთან სავაჭრო კავშირის დასაჭერად. ამასთანავე სთხოვა წამოელოთ გუნდრუკი, ოქრო, სპილოს ძვალი და შავი ხე. აი, ეს ოქრო მიდის მესოპოტომიაში, იქ აკეთებენ შვენიერ ჭურჭლებს და გზავნიან ისევ ეგვიპტეში. ამნაირათ შეგვიძლია აღვადგინოთ ძველი გზა აფრიკასა და აზია-საბერძნეთს შორის. უარი უნდა ეყოს იმ აზრს, ვითომ ძველი ხალხი კარჩაკეტილ ცხოვრებას ატარებდა და არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა თანამედროვე ხალხებთან, ესენი ვითარდებოდენ თავისთავად, ერთმანეთის დაუხმარებლად. ამ შემცდარ შეხედულებამ თავისი დრო მოსჭამა. ძველ ხალხთა შორის ისეთი განწყობილება სუფევდა, როგორსაც გვიჩვენებენ სხვა-და-სხვა ნაშთნი და ცხადია ერთმანეთზედაც გავლენა უნდა ქონოდათ; ხელოვნებაში მაგალითად ერთ ერს შეეძლო მეორისაგან გადმოელო იდეა და შემდეგ განევითარებია თანახმად თავის განსაკუთრებითი ნიჭის და თვისებისა.

მას შემდეგ, რაც რუგემ (1867 წ.) წარმოადგინა მოხსენება ეგვიპტის წარწერების შესახებ და ამ ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს გავიცანით ტროიასი, მიქენის დ ტარენტის ნანგრევები, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ საბერძნეთის ცივილიზაცია აღმოსავლეთიდან მომდინარეობს. ბოდიშს ვიხდი ჰოტფრიდ მიულერის სკოლის ჰელენისტების წინაშე, რომელნიც იცავდენ საბერძნეთის კულტურის თავისებურობას და სხვისგან დამოუკიდებლად განვითარებას. ეს აზრი საშინლად დამარცხდა. ყოვლად შეუძლებელია დღეს საბერძნეთი დავაკილოთ აღმოსავლეთს, კითხვა მხოლოდ იმაშია, რა ეკუთვნის თვითონ საბერძნეთს და რა აღმოსავლეთს. ნუ ვიქნებით თვითონ ჰელინებზე უფრო ეჭვიანი, იმ ჰელინებზე, რომელნიც მეტათ ამაყობდენ თავიანთი არტისტიული და ლიტერატურული განათლებით და ყველა სხვა ხალხს ბარბაროსს უწოდებდენ. ამ ჰელინებმა განაცხადეს, რომ სოლონმა, პითაგორმა და პლატონმა ვერც კი დასძლიეს უცხო ხალხთა სიბრძნე, და როცა საისის ღვდლები სოლონს ეუბნებიან: თქვენ ბერძნები ჯერ კიდევ ბავშები ხართ, ის მას შეურაცყოფად არ ღებულობს. საბერძნეთის ცივილიზაცია, ეს თვითონ ჩვენ ვართ, ეს ჩვენი ცხოვრების სათავეა. თუ ბერძნები ეგვპტის და ბაბილონის მოხარკენი იყვნენ, გამოვტყდეთ, რომ ჩვენი ნათესაობა აღმოსავლეთთან ძლიერი არის. აღმოსავლეთიდან მივიღეთ რელიგიური რწმენანი, რასაც ბევრი ჩვენგანი დიდათ აფასებს, აღმოსავლეთშივე უნდა ვეძიოთ დასაწყისი ჩვენი არტისტიული, ლიტერატურული, თუ მატერიალური ცხოვრებისა, რომელიც შეცვლილ-შეზავებული ჩვენ ბერძნებმა გადმოგვცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მცირე მიმოხილვა, ბატონებო, დაგვანახვებდა, რანაირათ მესმის ორიენტალიზმის დღევანდელი მიმართულება. გამოძიება იმის, თუ რა აკავშირებს ხალხთ ერთმანეთთან და რა აქვთ საერთო თავიანთ ცვილიზაციაში, აი, რას მოასწავებს ეს მიმართულება. არ ვტოვებთ გამოუკვლეველად არც ერთს ხალხს, მივდივართ ჩინეთის კედლამდის, და ვეკითხებით, ხომ არ გაქვთ რაიმე ნათესაობა ძველ ქალდეასთან. ამ მიდრეკილებას ერთი ფრიად სასარგებლო შედეგი მოჰყვა: იძულებული შევიქენით ერთმანეთისათვის ხელი მიგვეცა და ერთად გვემუშავა. ინდოეთის მკვლევარი ვერ გაუდგება განზე ებრაიზმის მკვლევარს და ასირიოლოგი ჩინეთ-იაპონიისას. საჭიროა, ერთმანეთს დაუახლოვდეთ, თორემ ისე ვერას გავაწყობთ. აი, რისთვის მიყვარს ორიენტალისტების კონგრესი. ეს ცოცხალი საბუთია ჩვენი ერთობის, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია ჩვენ მიერ გაკვლეულ გზაზე სიარული და ჭეშმარიტების ძიება"...

ამით გათავდა საპრეზიდენტო სიტყვები. შემდეგ კონგრესი დაიყო რამდენიმე სექციებათ და თითოეულ სექციას ცალკე ოთახი ჰქონდა მიჩენილი სამუშაოთ, სადაც გარეშე პირთ, ჟურნალისტებს გარდა, აუკრძალეს შესვლა. ჩვეულებრივ, ორიენტალისტების კონგრესი ექვსი სექციიდან შესდგებოდა, მაგრამ წელს ორი ახალი სექცია მიუმატეს: ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული,—თავმჯდომარე ცნობილი მოგზაური პროფ. ბუდა-პესტში ვამბერი; 2) საბერძნეთი და აღმოსავლეთი, თავმჯდომარე ნიუორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის პროფესორი ბერრიამი; ძველი სექციები: 1) ინდოეთი, თავმჯდომარე ლორდ რეი, დიდ-ბრიტანიის სამეფო აზიური საზოგადოების თავმჯდომარე; 2) ინდოეთის ლიგვინსტიკა და არიელთა ენები, თავმ. ასკოლი, იტალიის სენატორი; 3) სემიტიური ენები, თავმჯ. პროფესორი ჰალის უნივერსიტეტისა კაუტჩი; 4) მუსულმანთა ენები, თავმ. შეფერი, პარიჟის ინსიტუტის წევრი, 5) ეგვიპტე და აფრიკის ენები თავმ. მასპერო, წევრი ინსტიტუტისა; 6) შორეული აღმოსავლეთი, თავმ. ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორი შლეგელი. ასე დაანაწილეს აღმოსავლეთის შესწავლა და ქართული ენა კი არც ერთ ნაწილში არ მოხვდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ენა არც ერთ ამ კრებულს არ ეკუთვნის, მხოლოდ ის კი არ არის გამოკვლეული, რომელი ჯგუფის ნაწილს შეადგენს. რადგანაც სექციების სხდომა თითქმის ერთსა და იმავე დროს იწყებოდა, ცხადია ყველას ვერ დავესწრებოდი და რომ დავსწრებოდი ანგარიშის შედგენა მე არა, სპეციალისტსაც გაუჭირდებოდა. ამისათვის ჩვენ გამოვარჩიეთ საეთნოგრაფიო სექცია, სადაც იყვენ მიწერილნი: მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების წარმომადგენელი ა. ხახანაშვილი, ბოსნე-ჰერცოგოვინის გუბერნატორი ჰოროვიჩი, აზიაში მოგზაური ჰანრი მოზერი, სულთანის წარმომადგენელი ქიამილ ბეი, რუსეთის საერო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ეზოვი, თ. კოსტანტინე ვიაზემსკი (ეს პირდაპირ ჩინეთიდან ჩამოვიდა), რუმინიის მეფის წარმომადგენელი ჰოლბანი, ლუი ბენლევი (ფრანგია), სომეხი მეგავარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მრავალი სხვა. სექციებში შრომა მიდიოდა ამ ნაირათ: სხვა-და-სხვა პირებს დამზადებული ჰქონდათ მოხსენებები ამა თუ იმ კითხვის შესახებ, რომელთა რიცხვი 112-დის ავიდა. მოხსენებას რომ წაიკითხავდენ, შემდეგ გაიმართებოდა ბჭობა და ირკვეოდა მოხსენებაში აღძრული კითხვა. ჩვენ აქ წარმოგიდგენთ ეთნოგრაფიულ სექციის მოკლე ანგარიშს.

———

პირველად წაიკითხა ფრანგულ ენაზე ხახანაშვილმა ამ სათაურით: უცხოელთა გავლენა საქართველოს ცივილიზაციაზე (les influences étrangères sur la civilisation géorgienne). აი, შინაარსი ამ მოხსენებისა:

ამიერ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთის მხრით შვიდი საუკუნის წინ ქრისტეს მოსვლამდე დასახლდა ქართველი ხალხი, რომელიც ქრისტიანულ ერას შემდეგ დანაწილდა რამდენიმე სამეფო-სამ-თავროებათ: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია-სამეგრელო და სვანეთი, მუდმივი ბრძოლა და შუღლი ამ ნაწილთა შორის ხელს უწყობდა გარეშე მტერთა შემოსევას და მისი ძლიერების შესუსტებას. ამისათვის ეს პატარა ქვეყანა ჰხდება სარბიელად, სადაც შეუწყვეტლივ თარეშობენ ასირიელები, სპარსეთი, ბიზანტია, სათათრეთი და კავკასიის ველური თემები. მაშინ, როდესაც კავკასიის მიუდგომელ ხეობებში თავისუფლად ცხოვრობდენ ბევრი უცნობი ჯგუფი, სამხრეთით ძველი ივერია 14 საუკუნის განმავლობაში სისხლის ღვრით იცავდა ქრისტიანობას და კულტურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მშვენიერი და მდიდარი ბუნება თავიდანვე იტაცებდა ყურადღებას სპარსეთის, ეგვიპტის, ფინიკიის, საბერძნეთის, იტალიის და სხვა ქვეყნებისას. აქ მოდიოდენ, აარსებდენ ახალშენებს, მართავდენ ალებ-მიცემობას, ავრცელებდენ თავიანთ ენას, ზნე-ჩვეულებას და კულტურას. საქართველო, მდებარე შავსა და კასპიის ზღვებს შუა, შეიქნა აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელ ხიდად. რიონის და მტკვრის ნაპირებზე გაშენდენ ქალაქები და გაჩაღდა ვაჭრობა. ერთი მხრით ფოთი, (ფაზისი) დიოსკურია, ეა, და სხ., მეორე მხრით, მცხეთა, უფლისციხე, კასპი, სურამი, ურბნისი და სხვა გახდენ მისვლა-მოსვლის ცენტრებად. არქეოლოგიური ნაშთნი სამთავროს სასაფლაოსი (მცხეთას) გვიჩვენებენ, რომ საქართველოს ინდოეთთანაც ჰქონებია მიმოსვლა. ჰეროდოტის თქმით კოლხიდაზე ძლიერი გავლენა ჰქონდა ეგვიპეტს და თვით კოლხიდელნი ეგვიპტელთა ჩამომავალიაო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი ფაქტები: ორივე ხალხი ერთნაირად ამზადებენ ტილოს, ერთნაირად სცხოვრობენ და წინადაცვეთის ერთ და იმავე წესს მისდევენ. ამ წესს ასრულებენ ამათ გარდა მხოლოდ ეთიოპიელებიო. კოლხიდელნი ეგვიპტელების თუ ქართველების ჩამომავალნი არიან—ეს ჯერ კიდევ სადავო კითხვაა. ხოლო ის კი ალარ არის საეჭვო, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას მცხოვრებ ხალხს ვაჭრობა ჰქონდა გამართული ეგვიპტესთან. ბარონ უსლარის აზრით კოლხიდელნი აირიენ ქართველებში და ამ შერევამ იქონია გავლენა მეგრულ-ლაზურ ენების ლექსიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგენილობაზე. ქართველი მემატიანენი ეგვიპტელთ აწერენ საქართველოში მნათობთა თაყვანისცემის გავრცელებას. ამას გარდა ქართველები ვაჭრობდენ ასირიელებთან და ბაბილონიელებთან. ესენი მე-VI საუკუნეში (ქრისტეს წინ) საქართველოში ყიდულობდენ მონებს, სპილენძის ჭურჭელს და სხ., წონის სისტემაც ერთნაირი ჰქონდათ. ამავე დროს ფინიკიელნი შემოვიდენ და შემოიტანეს კულტი ასტარტისა. ამ ღმერთების შესახებ ნაშთები აღმოაჩინა ყაზბეგზე საფრანგეთის სწავლულმა მონტრომ. მტკვრის და არაქსის ხეობებში ნაპოვნი იარაღები ქალდეო-ასურეთის ყალიბისაა. შვილდის ტარები ნაპოვნი სამთავროს აკლდამებში უტყუარი საბუთია ასურეთთა ზედ-გავლენისა *).

მაგრამ საქართველოზე არც ერთ ქვეყანას არ ჰქონებია ისეთი გავლენა, როგორც სპარსეთს და ბიზანტიას. საქართველოს ცხოვრება, ქრისტიანობის მიღებამდე, მჭიდროდ იყო შეკავშირებული სპარსეთის კულტურასთან. სპარსეთის მეფეთა წინამძღოლობით ქართველები ებრძოდენ ბერძნებს, სკვითებს და სხ. მემატიანეს თქმით სპარსეთიდან საქართველოში შემოდის ზოროასტრის სარწმუნოება, ხუროთ-მოძღვრება, მოთხრობები და ზეპირ-გადმოცემები მათი გმირების შესახებ (რუსტემი და ზურაბი) და სხ. ზოროასტრის სარწმუნოებამ ისეთი ღრმა კვალი გაავლო ქართველთ ცხოვრებაში, რომ ახლაც ვპოულობთ მის ნაშთს. მაგ. ქართველების წარმო-

*) Morgan. Misstion scientifique au Caucase II. Ghentre. Recherches antropol. dans le Caucase.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენა ეშმაკის, საიქიოს და ჯოჯოხეთის შესახებ პირდაპირი ნაყოფია ზოროასტრის სისტემისა. მე-XVI—XVII საუკ. საქართველოს სისუსტით სარგებლობდენ სპარსელები, მეფეებად ნიშნავდენ თავიანთ კაცებს, და გავლენაც ძლიერდება. მოგზაური შარდენის აწერილობით საქართველოს და სპარსეთის სასახლეების მორთულობა, და ხალხის ჩვეულება არაფრათ განირჩეოდა ერთმანეთისაგან.

მე-IV ს. საქართველო ქრისტიანდება და სპარსეთის გავლენასაც თანდათან ძირი ეთხრება. მის ალაგს იჭერს ბიზანტია. ბიზანტიიდან გადმოდის საღვთო წერილი, აპოკრიფები, წმინდათა ცხოვრება და სხვა სალიტერატურო ნაწარმოებნი. მე X საუკუნიდან ქართველები იძენენ განათლებას ბიზანტიაში, შემდეგ ბრუნდებიან და ხსნიან სკოლებს, სადაც ასწავლიან ღვთის მეტყველებას, მათემათიკას, გრამატიკას, ბერძნულ და სირიულ ენებს და სხ. მე-XII საუკ. კახეთში გაიმართა არსენი იყალთოელის შესანიშნავი სკოლა. აქ სწავლობდა პოეტი შოთა რუსთველი. ათონის მონასტერი შეიქნა შემაერთებელ ხიდად საქართველოს და ბიზანტიას შორის. შოთა რუსთველი ამ მონასტერში ამთავრებს სწავლას. ერთი სიტყვით საქართველოს სწავლა განათლება და სასულიერო მწერლობა სრულიად დამოკიდებული შეიქნა ბიზანტიისაგან.

მე-VIII საუკუნიდან ბიზანტიის ზე-გავლენას დაერთო არაბთა გავლენა, რომლის წყალობით საქართველოში ვრცელდება მათემათიკა, ასტრონომია, ხუროთ-მოძღვრება და მხატვრობა. თბილისში არსდება იმ დროს ასტრონომიული ობსერვატორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სამი ერის გავლენას ქვეშ ვითარდება საქართველოს კულტურა, მდიდრდება მწერლობა, უმჯობესდება ენა. ასეთი პროგრესიული მიმდინარეობა უმაღლეს წერტილს მიაღწევს მე-XII საუკ., როცა თამარ-მეფის წინამძღოლობით საქართველოს ხელთ-ქვეშ იკრიბება მთელი კავკასია. პოლიტიკურ სიძლიერეს თან მოყვა გონებრივი სიძლიერეც. პოეტები რუსთველი, შავთელი, ჩახრუხაძე, თმოგველი და სხ. არიან ღვიძლი შვილნი ამ ხანისა. თამარს შემდეგ ქვეყანა ეცემა და სუსტდება. საქართველოს თავს დაატყდა არეულობა შიგნით და ომი გარეთ. მე-XIII ს. შემოესიენ მონგოლები, მე-XIV ს.— ტამერლანი, მე-XVII ს,—შაჰ-აბას I. საქართველო ვარდება ხან თათრების, ხან სპარსელების ხელში და ხან ქართველები აღწევენ თავს უცხოელების ბატონობას. 1795 წ. ირაკლი II მეფობის დროს აღა-მაჰმად-ხანი შემოვიდა დიდი ჯარით და ქვეყანა სრულიად აოხრა. ამან დაასრულა საქართველოს თვითარსებობა, ის უერთდება რუსეთს ამ საუკუნის დასაწყისში.

ასე სამწუხაროდ დაბოლოვდა საქართველოს ბედი. ქართველი ერთი ხელით იცავდა სამშობლოს, მეორეთი აშენებდა ტაძრებს არა მარტო საქართველოში, არამედ პალესტინაში, სირიაში, სინაიაში და ათონში. მუსულმანთა წინააღმდეგ ის პოულობდა იარაღს და თავშესაფარს ეკლესიაში. აქედან ცხადია, რა დიდი გავლენა ექნებოდა ეკლესიას ხალხის გონებაზე. დაუსრულებელ ბრძოლამ სარწმუნოებისათვის საქართველო აიძულა მიემართა ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორწმუნე რუსეთისათვის. ამ ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკური მიმოსვლა იწყება მე-XVI საუკუნიდან. ამის შედეგი იყო რელიგიურ-კულტურული გავლენა, რაიცა გამოიხატა საეკლესიო მხატვრობაში და ღვთის მსახურების წესებში; შემდეგ კი მწერლობაში, რუსეთის შუამდგომლობით, შემოდის ევროპის ცივილიზაცია. მეორე მხრით, მას შემდეგ რაც ოსმალებმა ახალციხის მაზრა დაიპყრეს, აქ კათოლიკე მისიონერები გამოვიდენ, აქედან კი შუაგულ საქართველოში, სადაც იმათ დახვდა სტუმართ-მოყვარეობა და თანაგრძნობა. ამათ ისე გაიდგეს ძირი, რომ მე-XVIII ს. კათალიკოზი ანტონი I აცხადებს მიდრეკილებას კათოლიკობისაკენ, რის გამო ის განძევებული იქმნა რუსეთს. აქ მან თავი გაიმართლა სინოდის წინაშე და მიიღო ეპისკოპოსობა ვლადიმირში. როცა საქართველოში დაბრუნდა, მოიტანა ნათარგმნი, თუ ორიგინალური სახელმძღვანელოები ღვთის-მეტყველების, ლოგიკის, ფილოსოფიის და სხვა საგნებისა. ამ სახელმძღვანელოებით ასწავლიდენ თბილისის და თელავის სასულიერო სემინარიაში.

ამგვარად, ქართველი ხალხი დღეს სამად არის დანაწილებული: მართლ-მადიდებელი, კათოლიკე და მაჰმადიანი.

ეს მოხსენება დიდ ყურადღებით მოისმინეს და გადასცეს კომისიას დასაბეჭდად.

——

ბატონ ხახანაშვილის მოხსენების შემდეგ ფრიად საყურადღებო მოხსენება წაიკითხა ბოსნია-ჰერცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოვინის გუბერნატორმა ჰოროვიჩმა ამ სათაურით: „ისლამის გავლენა ბოსნიის ქრისტიან ხალხებზე“ (L'influence de l'islam sur les populations chre tiennes en Bosnie). ბ-ნ ჰოროვიჩი შეეხო ერთ მეტად საჭირ-ბოროტო კითხვას: რა ნიადაგზე შეიძლება ერთობის დამყარება ერთ და იმავე ერის ქრისტიანთა და მაჰმადიან ნაწილთა შორის? ამით ეს მოხსენება შეიძლება ჩაითვალოს ბ-ნ ხახანაშვილის მოხსენების გაგრძელებად. აი, შინაარსი:

საშუალო საუკუნოებში ბოსნიაში ფეხი მოიკიდა და გაძლიერდა „ბოგომილთა“ (ღვთის მოყვარეთ“) სექტა. პაპის და მეფეთა მიერ ყოველივე ღონისძიება იქმნა მიღებული ამის გასანადგურებლად. ბრძოლაში მან გავლო დიდი დრო და ბოლოს ისე მინელდა, რომ ეგონათ მოისპო. მე-XV საუკ. ოსმალები გადმოვიდენ მცირე აზიიდან და დაიჭირეს ბიზანტიის დედა-ქალაქი კონსტანტინოპოლი. ახლა ჯერი მიდგა მოსაზღვრე სლავიანთა ხალხებზე. ცოტა ხნის განმავლობაში ესენიც ჩავარდენ ოსმალთა ფლობელობის ქვეშ. ამათ შორის ბოსნიაც. როგორც ახალი წყაროებით მტკიცდება, ოსმალები ბოსნიაში „ბოგომილებს“ შეუყვანიათ და მათ ბატონობას ხელს უწყობდენ იმ იმედით, რომ პაპის და კათოლიკე მეფეთ დევნას თავს დავალწევთ და ჩვენს სარწმუნოებას თავისუფლათ აღვიარებთო. როგორც ვიცით, ოსმალებს ფეოდალური წყობილება და ბატონ-ყმობა არ ჰქონებიათ. ყორანის ბძანებით ყველა მართლ-მორწმუნეს (მამაკაცს) ერთი და იგივე უფლება-უპირატესობა აქვს, ალახის ქვეყნიერ წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომადგენელის სულთანის წინაშე თანასწორნი არიან. აი, ეს დედა-აზრი შემოიტანეს ოსმალებმა სლავიანთა ქვეყნებში. ამისათვის აქ აზნაურობა სრულიად მოისპო და დღეს მაგ. ბოსნიაში ამ წოდების კვალიც არა სჩანს. ოსმალთა შემოსვლამდე ბოსნიაში, როგორც სხვაგან, ფეოდალური წყობილება მეფობდა. ბევრი ისტორიკოსი ამბობს, ვითომ ბატონ-ყმობა ბოსნიაში ოსმალთა შემოსევის შემდეგ დამყარებულიყოს. მაგრამ ეს მოკლებულია ყოველსავე სიმართლეს. წინააღმდეგ ამისა, როცა ოსმალები შემოვიდენ, ფეოდალთა და მათი ყმების ძლიერი ორგანიზაცია დაუხვდა. ხალხი ისე ჰყავდათ ჩაჭერილი ამ თავ-გასულ აზნაურებს, რომ ნამდვილ მონურ მდგომარეობას წარმოადგენდა. მებატონეები არავის სცნობდენ უფროსად, მათი მოქმედება ძალადობაზე იყო დაფუძნებული, და მეფეთა გავლენას მუდამ ებრძოდენ. ოსმალეთის მთავრობამ კი მოითხოვა მათი სრული მორჩილება, ამისათვის სხვა-და-სხვა რეფორმები შეიტანა ბოსნიაში. სულთანმა გამოაცხადა: გლეხი, რომელიც ისლამს იწამებს, განთავისუფლებულია ბატონ-ყმობისაგან და სულთანის საფარველ ქვეშ იმყოფებაო. ამას წინააღუდგა აზნაურობა და გაიმართა დაუსრულებელი ბრძოლა. აზნაურებს ებრძოდენ ერთი მხით ოსმალები, მეორე მხრით მათი გამაჰმადიანებული ყმები, ბოლოს ისინი დამარცხდენ და ახალი წყობილება ძალაში შევიდა. ბევრი აზნაური ჰერცოგოვინაში გაიქცა, იქ, სადაც დღემდის შერჩენიათ უპირატესობა.

ამ ჟამად ბოსნიაში 700,000 გამაჰმადიანებული სლავიანები ცხოვრებენ. თუმცა ავსტრიასთან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოერთების შემდეგ ოსმალეთში გადასახლება დაიწყეს, მაგრამ ამათი რიცხვი ძლიერ ცოტაა, სათქმელადაც არ ღირს (სულ 40,000). ახლა კი გადასახლებაზე აღარავინ ფიქრობს. ჩვენი ყოველივე ძალა მიმართულია იმისკენ, რომ ისინი არ დაგვშორდენ და სამუდამოდ არ გაშორდენ სამშობლოს. იმათ ზნე-ჩვეულებას ძალას არ ვატანთ, ზიზღით არ ვუყურებთ. პირ-იქით ჩვენ მხოლოდ ვეხმარებით მათ და ვუკეთებთ, რაც მათ ჰსურთ. მთავრობა უმართავს მათებურ სკოლებს, უყენებს მათსავე მსაჯულებს და სხ. იმათთვის დაარსებულია უმაღლესი სასწავლებელი, საიდანაც გამოდიან მსაჯული-ყადები. ამათ შესწავლილი აქვთ იურისპრუდენცია და სხვა საჭირო საგნები. იშვიათად ნახავთ მრავალ ცოლიანს. ბოსნიელი მაჰმადიანის აზრით გაყიდვა არ შეიძლება თავის სულის, ცოლის და საკუთარი მიწის. ასე მოუგიათ ჩემთვის, როცა მიწა-ადგილების გამო მქონდა მათთან საქმეები. ეს სლავიანთა ძველი შეხედულებაა, რაიცა ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ისლამს მათზე ღრმა გავლენა არ ჰქონებია, ახალ სარწმუნოებას მათში არ ჩაუქრია სლავიანური ტრადიცია და დედაზრი (lésprit national). ჩვენ გვსურს ეს საძირკველი არ დაინგრეს და ამაზე აშენდეს ჩვენი მათთან შეერთება. არ იფიქროთ, რომ ეს შეუძლებელი იყოს მანამდის, სანამ ისინი არ გაქრისტიანდებიან. ეს ღრმა შეცდომაა. ახლანდელ დროში ხალხს აერთებს არა სარწმუნოება, არამედ ცივილიზაცია. წარმატების, პროგრესის საქმეში სარწმუნოებას დღეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. როცა ჩვენ ვამბობთ ცივილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციას, სახეში გვაქვს მხოლოთ ქრისტიანი ხალხი. რათა? განა სხვა სარწმუნოების ხალხს არ შეუძლია ცივილიზაციის შეთვისება და წინსვლა? დამტკიცება იმის, რომ მაჰმადიანებიც ისეთი ნიჭიერნი არიან, როგორც ქრისტიანები, და იმათაც შეუძლიათ თანამედროვე ცივილიზაციის შეთვისება—აი, ახლანდელი დროის პრობლემა. ამას ბოსნიის მაჰმადიანები გვიმტკიცებენო, დაასრულა ბ-ნ ჰოროვიჩმა.

ჰანირ მოზერი. მე თვითონ მიმოგზავრია ბოსნიაში და ჩემი თვალით მინახავს, რასაც ბ-ნი ჰოროვიჩი მოგვითხრობს. დიდათ გამაკვირვა ბოსნიის მაჰმადიანების განვითარებამ, ისინი უკვე დამდგარან ცივილიზაციის გზაზე და ამ საქმეში დიდი სამსახური მიუძღვის ავსტრიის მთავრობას.

ქიამილ ბეი. ორივე მოხსენება, წაკითხული ბბ. ხახანაშვილის და ჰოროვიჩის მიერ, ეხება ისლამს და მის მნიშვნელობას ისტორიაში. ერთ და იმავე კითხვის შესახებ ორივეს სხვა-და-სხვა აზრი გამოუთქვამთ, ბ-ნ ხახანაშვილი ისლამში ხედავს სხვა სარწმუნოების და ხალხოსნობის მტერს, საქართველოს და ოსმალეთს შორის ამტყდარ ბრძოლის მიზეზს სარწმუნოებაში ეძებს. ბ-ნ ჰოროვიჩი ისლამში თუმცა ხედავს სხვა სარწმუნოების სიძულვილს, მაგრამ ბრძოლის მიზეზს ეძებს არა აქ, არამედ სოციალურ პირობებში. სამწუხაროდ როცა ევროპიელები სჯიან ჩვენი რჯულის შესახებ, ისინი სრულიად არ იცნობენ ისლამს. ბ-ნმა ჰოროვიჩმა თქვა, ისლამი აზიურიაო, მაგრამ რა ვუყოთ? ქრისტიანობაც აზიური არ არის? ქრისტე აზიელი არ იყო? რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ისლამი? მაჰმადს არაფერი არ გამოუგონია, მან მხოლოდ გამოკრიბა მოძღვრება ღმერთზე ებრაელთა სარწმუნოებისაგან, ზნეობაზე კი ქრისტიანობიდან და შექმნა ერთი—ისლამი, რომლის თვისება არ არის მტრობა და სიძულვილი სხვა სარწმუნოებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში განა შესაძლებელი იყო ისლამის გავრცელება? და თუ გავრცელდა, იმიტომ რომ ეს აკმაყოფილებს სულიერ მოთხოვნილებას ამა თუ იმ ხალხისას. ისლამს ამასთანავე ის უპირატესობა აქვს, რომ მისი შეხედულებით ყველა მართლ-მორწმუნე თანასწორია, არ იცნობს ბატონს და ყმას, აზნაურს და გლეხს, ბ-ნ ჰოროვიჩმა მოიხსენია ისიც, რომ ქრისტიანებს მაჰმადიან სამსჯავროში მოწმედ არ ღებულობდენ მაჰმადიან საქმეებშიო...

ჰოროვიჩი. ახლა კი არ არის ასე, მე ისტორიულ წარსულზე მოგახსენებდი...

ქიამილ ბეი. მართალია ეს, მაგრამ თვითონ მაჰმადიანებს კი ღებულობენ მოწმათ ყოველთვის? მაგ. ერთმა კაცი მოჰკლა. მკვლელის პირადობას ამტკიცებენ ორი ქალი და ერთი კაცი. კანონი არ ღებულობს ამათ ჩვენებას. ხოლო თუ ორმა მამაკაცმა კი განაცხადა: ეს არის კაცის მკვლელიო, საკმარისია, დამნაშავე სიკვდილით ისჯება. ამას თხოულობს კანონი და ხვანთქარსაც არ შეუძლია განაჩენის დარღვევა. ამ ნაირად, როგორც ხედავთ, სამი სული მაჰმადიანის ჩვენებას არაფრად სთვლიან, ორისას კი. ეს იმისთვის რომ სამში ორი დედაკაცია, კანონი კი თხოულობს ორ მამაკაცის მოწმო-

ბას. დედა-კაცის ამგვარი დამცირება, რასაკვირველია, ნაკლულევანებაა. მაგრამ საქმე ამაში არ არის. ისლამი არ სცნობს თვით მაჰმადიანის მოწმობას (მაგ. სამი სულია), მაშ რა გასაკვირელია, რომ იმავე ისლამს არ ეცნო მოწმედ სხვა სარწმუნოების კაცი ე. ი. ქრისტიანი.

აქ ბევრმა ერთად დაიწყო ლაპარაკი, ზოგი იძახდა, ყორანში სწერია ცეცხლით და ხმლით უნდა იქნას გავრცელებული ისლამიო და სხ. ამ დროს თავმჯდომარემ გამოაცხადა: აქ ორიენტალისტების კრებაა და არა ღვთის-მეტყველებისო და სხდომაც დახურა.

შემდეგ სხდომებზე მოხსენებები წაიკითხეს ლუიბენლევმა, თ. ვიაზემსკიმ და მეგავარიანმა.

ბენლევმა ილაპარაკა ალბანელთა გვარ-ტომობის შესახებ და ის აზრი გამოსთქვა, რომ ალბანელთ კოლხიდელებთან აქვთ კავშირი და ორივე ხალხი ერთსა და იმავე ტომს უნდა ეკუთვნოდენო. ეს მოსაზრება დაფუძნებული იყო ენის ეტიმოლოგიურ გარჩევაზე და განსაკუთრებით იმ ალბანულ სიტყვებზე, რომელნიც ბოლოვდებიან „ანდა"-თი. ამას თანავე ისიც გამოსთქვა, რომ არ არის ისეთი საინტერესო ქვეყანა, როგორც კავკასია, და უცნობი და შეუსწავლელია ჯერო. კავკასიის შუაგულ ნაწილში დასახლდენ ალბანელები, იმერლები და კოლხიდელები. პირველ ხალხმა დასტოვა თავისი სამშობლო და ჩვენამდი ვერ მოაღწია. იმერლები არიან დღევანდელი ქართველები. ამათი ისტორია უფრო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკვეულია, მხოლოდ კოლხიდელებზე კი ბევრი არა ვიცით-რა. ჰეროდოტის სიტყვით კოლხიდელები ეგვიპტელების ჩამომავლობა არის. კოლხიდა პირველად რომის პროვინცია იყო, შემდეგ შედგა თავისუფალ სამეფოდ—ლაზიკა—ქალაქ ქუთაისით. ამ ქვეყანაში ლაპარაკობდენ (დღესაც ლაპარაკობენ) ქართული ენის დიალექტით, მაგრამ ამ ორ ენათა შორის დიდი განსხვავებაა. იმერლები პომპეის დროს მეურნენი იყვნენ და არა მეომარნი.

ვამბერი (თავმჯდომარე). ენა, ანტროპოლოგიური წყობილება და იდეა ანუ დედა-აზრი—აი, უპირველესი ნიშნები ხალხის ჩამომავლობის გასაგებათ. კავკასიაში კი არც ერთი ეს მხარე არ არის გამორკვეული.

——

თ. ვიაზემსკიმ წაიკითხა ჩაის შესახებ. ჩაის სამშობლო, როგორც ვიცით, ჩინეთია და განსაკუთრებით ჩრდილოეთის ნაწილი. ბევრ ალაგას შინჯეს ჩაის მოყვანა, მაგალითად, კავკასიაშიაც, მაგრამ ამ შრომამ უნაყოფოდ ჩაიარა. ნამდვილი ჩინური ჩაი არსად არ მოვიდა. ჩინელის უპირველესი სასმელი ჩაი არის. ის ჩაის ხმარობს საუზმემდი, საუზმეზე, სადილობამდი, სადილზე, ნასადილევს, სალამოს დავახშმად. კარგს თვითონ ხარჯავს, ცუდს ჩვენ გვიგზავნის; კარგი ჩაი ადრე ხდება, სამ თვეზე მეტს არ ინახება. ჩინეთში სვამენ ჩაის უშაქროდ და ურძეოდ. ჩინელის აზრით როგორ შეიძლება ამაებით ჩაის გაფუჭება. ერთმა მანდარინმა მითხრა: აი, თქვენ კაცურად სვამთ ჩაის, მე ვნახე შანხაიში ერთი ზღვის

გალმელი (ევროპიელს ზღვის.გალმელს უწოდებენ), რომელიც მხეცურად სვამდა, შაქრით და რძით ათხუ-ბნეს შვენიერი სასმელია.

ჩაის ბუჩქს ინახავენ დაბლად, როგორც კი წამოიზრდება, მაშინვე გასხლავენ და დაადაბლებენ. ხშირათ ხუთი გრადუსი (5%) სიცივეა, მაგრამ ჩაის არ წყენს. ევროპაში ჩაი შემოდის ორი გზით: მონგოლიით და რუსეთით. მონგოლიაში ჩაის უმატებენ რძეს და ცხვრის ქონს და ისე სმენ. ჩაი აქ ფულადაც იხმარება; მაგ. იკითხეთ, რა ღირს ეს და ეს საქონელი, ისინი მოგიგებენ ამდენი და ამდენი ჯამი ჩაია. ძლიერ ძვირფას საქონლისათვის რუსის მანეთს ღებულობენ, დანარჩენისათვის კი ჯამ ჩაის ანგარიშობენ. როგორ გაჩნდა ჩაი? ჩინეთის სამღვდელოება ამბობს, რომ ჩაის სმა თვით ღმერთმა ასწავლა ხალხსო. ერთხელ ხელმწიფეს მოესმა ხმა ესდა ეს მცენარე მოხარშე და დალიეო, იმანაც მაშინვე გააკეთა და ნახა, რომ კარგი იყო. მას შემდეგ გავრცელდა ჩაის ხმარებაო.

კამბერი (თავმჯ.) ჩაის გავრცელების შესახებ ჩვენ უფრო სარწმუნო წყარო გვაქვს, ისტორია ამ ნაირად მოგვითხრობს: მეორე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ორი ჩიელი გაემგზავრენ დასავლეთ ჩინეთისაკენ. ისინი ავიდენ ჰიმალაის მთაზე და იქ წააწყდენ ჩაის მცენარეს და გამოიტანეს ჩინეთში. 1830 წელს ინგლისის მთავრობამ ინდოეთიდან გაგზავნა კაცები ჩინეთში ჩაის ხელობის შესასწავლად და ინდოეთში შესამუშავებლად. ეს საქმე რიგიანად წავიდა, მაგ. გასულ წელს ინგლისელებმა ინდოეთიდან

ორი მილიონი გირვანქა ჩაი გამოიტანეს და ამით დიდ მოცილეობას უწევდენ ჩინეთს, აქ ჩაის მოყვანა გაცილებით ძვირად ჯდება, ვინემ ინდოეთში, სადაც ინგლისელებმა სხვა-და-სხვა მანქანა შეიტანეს და ერთობ ჩაის მოყვანის საქმე წინ წასწიეს. ოთხი თვის განმავლობაში მე ინდოეთში ჩაით და ცხვრის ქონით ვიკვებებოდი და ეს ჩინებულად ვპოვე.

თ. ვიაზემსკი. ეს ისტორიული ცნობა დასაჯერებელი არ არის, იმიტომ რომ რატომ ჰიმალაიდან უნდა წამოელოთ ჩაის მცენარე, მაშინ როდესაც ჩინეთშიაც ბევრი იყო.

ერთმა დაუმატა, რომ იაპონიაში ისეა გავრცელებული ჩაი, როგორც ჩინეთში და უფრო სუნნელოვანიც არისო.

———

ბ. მეგავარიანმა წაიკითხა თავისი თხზულება ამ სათაურით: „ნაშთნი ყიდვით და მოტაცებით ცოლის შერთვისა ძველ სომეხთა შორის (Yestiges du mariage par achat et pat rapt chez les anciens Armèniens). ეს გახლავს დისერტაცია, რისთვისაც ლოზანის უნივერსტეტმა ავტორს იურისპრუდენციის დოქტორობა მიანიჭა წელს. ბ-ნ მეგავარიანმა კრებას გადაცა მხოლოთ თავის ორას გვერდიანი წიგნის „რეზიუმე“, რასაც ჩვენ აქ მოკლეთ ალვნიშნავთ:

სომხური კლასიკური მწერლობა ჩვენი აზრის გამოსარკვევად არავითარ მასალას არ გვაძლევს, ამისათვის უნდა მიუბრუნდეთ თანამედროვე ეთნოგრაფებს, რომელთა რიცხვი სამოცამდეა. პირველად

პოლანდიანცმა (მოსკოვის ინსტიტუტის პროფე-სორმა) დაიწყო ამ კითხვის გამოძიება, მაგრამ კითხვა კითხვათ დარჩა, გადაჭრით არა უთქვამს რა. ევრო-პიულ მწერლობაში ამის შესახებ ვერას შეხვდებით და არც გასაკვირველია. ევროპიელები ჩამოდიან ჩვენში ცხოვრების შესასწავლად, მაგრამ ხალხის ენის, ისტორიის და ზნე-ჩვეულების არაფელი გაე-გებათ. ამიტომ თუ დასწერენ რასმეს, ისიც სანა-ხევროდ მათი ფანტაზიის ნაყოფია. მე მხოლოდ მოვიხსენიებ კოვალევსკის და ხახანაშვილის გამოკ-ვლევებს.

თუმცა ახლა სომხეთში არ არსებობს ცოლის შერთვა ყიდვით ან მოტაცებით, მაგრამ იმდენი ჩვე-ულებები დარჩენილა ამის შესახებ, რომ შეუძლე-ბელია უყურადღებოდ დაიტოვოს. სიძე აძლევს სხვა-და-სხვა საჩუქრებს ქალის მშობლებს და ამით ვითომ ყიდულობს თავის საცოლეს. ეს საჩუ-ქრები უბრუნდება სიძეს მზითვის ფორმით. ერი-ვანის გუბერნიაში ასე მიულოცავენ ხოლმე სასიძოს: შენი ვაჭრობა ბედნიერი იყოსო. ეს იმ დროინდე-ლი ნაშთია, როცა ქალი გასაყიდ საქონლად იყო ალსარებული. ამ აზრს ხატვენ სომხური ანდაზები და სახალხო სიმღერები: მაგ. როცა ნეფე-დედოფალი ერთად არიან, ასე მღერიან: დედა მოატყვილეს ერთი ნახევი დაბასის ჩითით, დები მოატყუილეს ერთი მუჭა ყვავილებით, ძმა მოატყუილეს მაუდის ტანი-სამოსით, მამაც მოატყუილეს და დედა ატირეს. მეორე სიმღერა: ქისას სრულიად დააცარიელებენ და ქალიშვილს დიდ-დედას დააცილებენ. ვანის ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს ქალის სახელით დამღერიან: მე ძვირფასი ვარ ჩემი მშობლებისათვის და ვიგინდარას არ მიმ-ყიდიან. ქალის მოტაცების შესახებ შემდეგ ნაშ-თებს ვპოულობთ: მოსე ქორონელის თქმით ერთ მეფეს საცოლე მოეტაცა. ახალ სასიძოს უთუოდ ხანჯალი უნდა ეკიდოს ქამარზე და ულოცვენ ამ ნაირად: შენი ხანჯალი ღმერთმა მახვილი ქნასო. ეს ამტკიცებს, რომ ხშირად იარაღის ხმარებაც საჭირო ყოფილა. როცა პატარძალი საქმროს მეგობრებს მოყავთ ამ დროს ქალის მეგობარ-ნაცნობები უხვდებიან გზაზე და არ უშვებენ. ვანის ახლოს სასიძო ამ მოწინააღმდეგეებს აძლევს ღვინოს, არაყს და სხვა სასმელებს, მაშინ ისინიც თავს ანებებენ და ქეიფს მართავენ.

ინდო-ევროპიელი ოჯახი, რომ რიგიანად იყოს შესწავლილი, საჭიროა შესწავლილ იქმნას სომხეთის, ქართველების და აზიის სხვა ხალხთა ოჯახის წყობილებაო, დაასრულა ბ ნ მეგავარიანმა.

ვამბერი. აზიის ყველა ხალხს არ ჰქონდა ჩვეულებად ქალის მოტაცება, მაგ. თათრებს და ავღანელებს.

ქიამალ ბეი. ოტომანის და სხვა მაჰმადიანთა სახელმწიფოში ქალს არას დროს მზითევს არ აძლევენ, პირ-იქით სიძეს მოაქვს ქალის მშობლებთან საჩუქრები. არაბეთში, ისლამის მიღებამდე, როცა ქალი დაიბადებოდა, ხოცავდენ, ან ტიროდენ. ეს ჩვენი აღარ არის, გაიზრდება და სხვა წაიყვანსო.

ამით დასრულდა ეთნოგრაფიულ სექციის შრომა. სხვა სექციიდან ჩვენ აქ მოვიხსენიებთ, ლეიდე-

ნის პროფესორის შლეგელის მოხსენებას ჩინეთის დედაკაცის შესახებ. ავტორს საფუძვლიანათ აქვს შესწავლილი ჩინეთი და თავის მოხსენებაში სრულებით ახალი ცნობები შეუტანია. შლეგელის აზრით ზნეობრივი და სოციალური მდგომარეობით ჩინელი დედა-კაცი გაცილებით მაღლა დგას, ვინემ ევროპიელი. ისტორიის წინა დროშიაც დედა-კაცი მონა არ ყოფილა. ძველის-ძველი ისტორიული საბუთი, ოდების წიგნი (le iivre des odes) გვიხატავს ქალს თავისუფალ მიმოხვრაში, სიყვარულში და მოქმედებაში. ერთ მაშინდელ სიმღერაში ქალი ეუბნება კაცს: „მე შემიძლია მიყვარდე, ბ-ნო თუმ, მაგრამ ხალხის ჭორებს ვერიდები". ჩინეთის იმპერიაში პირველ სამი ათასი წლის განმავლობაში დედა-კაცის გავლენა უფრო ძლიერი იყო, ვინემ მამა-კაცისა. თავადის ქალები ისე თავ-აშვებულნი იყვნენ, რომ მათი შერთვა ეძნელებოდათ. ჩინელი უფრო სიამოვნებით დაიწვავდა თავის ორ ფეხს, ვინემ თავადის ქალის ქმრად გახდებოდა. მართლაც ეს მანდილოსნები მთელ თავის დროს ყბედობაში და აქეთ-იქით სიარულში ატარებდენ. ჩქარა ამათ დაბალ წოდების ქალებმაც წაბაძეს. ამ უთავ-ბოლო „ვიზიტების" წინააღმდეგ მეათე საუკუნეში შემოიღეს ბარბაროსული ჩვეულება--ქალების დაბორკვა, 1664 წელს იმპერატორმა მოსპო ეს ჩვეულება. მაგრამ საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია და იძულებული შეიქმნა ოთხ წელს შემდეგ ისევ შემოეღო. მიუხედავად ამისა დედაკაცი იქ თავისუფალია, ცოლქმარს შორის ჩხუბი და უკმაყოფილება, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ხშირია ევროპაში, ჩინეთში იშვიათია. ხშირად ქმარია ცოლის მონა და არა ცოლი ქმრის. ერთი ჩინეთის ისტორიკოსი ამბობს: „დედაკაცის უნდა გეშინოდეს სამხელ: პირველად, როცა ის ახალგაზდა ქალი-შვილია, მეორედ, როცა ოჯახის დედაა და მესამედ, როცა მოხუცი ოხერია". სწავლა-განათლების მხრით ჩინელი დედაკაცი უფრო თავისუფალია, ვინემ ევროპიელი. მას შეუძლია დაუბრკოლებლივ შეისწავლოს ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება. ამისათვის იქ სწავლული შესანიშნავი ქალები ურიცხვია.

ჩინელი დედაკაცი თავის ბედით კმაყოფილია, თავის თავს ბედნიერად სთვლის. ქვრივი ქალის გათხოვება იშვიათია. ერთი სიტყვით პროფესორ შლეგელს მაღალი აზრი შეუდგენია ჩინელ დედაკაცის შესახებ.

რაც შეეხება მასპინძლობას ევროპელებმა არა ჩვეულებრივი გულ-უხვობა გამოიჩინეს. ამოდენა ხალხი ოთხჯელ კერძო პირებმა დაპატიჟეს ვახშმად და სამხელ კანტონმა.

კონგრესი დაიხურა 31 აგვისტოს. შემდეგი კონგრესი შეიყრება პარიჟში, 1897 წელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მესამოცე წლების მოღვაწენი
და
დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო*)

(1896 წ.)

ოქტომბრის 22-ს ქართველობამ იდღესასწაულა თ. რ. ერისთავის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. ეს დღესასწაული ისე სამაგალითო და დიდებულათ იქნა გადახდილი, რომ მიიპყრო მთელი ჩვენი ყურადღება. ერი, საუკუნეთა განმავლობაში დანაწილებულ-დაქსაქსული, ვიწრო ადგილობრივი ინტერესებით გარემოცულ-კარჩაკეტილი, დღეს საერთო აზრით და მისწრაფებით, საერთო ჭირით და ლხინით ასულდგმულებულა, აღფრთოვანებულა! ერი რომელიც ვერ გააერთა სახელ-განთქმულმა მეფეებმა, ძლევა-მოსილმა მხედრებმა, დღეს ერთი საქმისათვის ერთ ალაგას ხელი-ხელ გაყრილი გამოსულა! ერს, რომლის წარსულ დროშაზე შეღლი და უთანხმოება ეწერა, დღეს ერთობის, ძმობის

*) ეს წერილი—„მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“ თავისი შინაარსით ეკუთვნის პირველი ტომის ციკლს: „ახალი გზით“. მაგრამ რადგან იგი უადგილობისა გამო ვერ მოთავსდა პირველ ტომში, ამიტომ მოგვყავს მეორე ტომის დამატებაში.

ეს წერილი პირველად დაიბეჭდა—„კვალში“ 1896 წ. (№№ 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17 და 18).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშა აუფრიალებია! გურული და ხევსური, მეგრელი და თუში, ქართველი და ქობულეთელი, იმერელი და კახელი ერთ ქალაქში ჩამოსულან, ერთ დარბაზში შეკრებილან, ერთი გრძნობით გამსჭვალულან! და ისიც რატომ? 50 წლის იუბილე მიელოცა ერთი კაცისათვის, და მერე რა კაცისათვის? მწერლისათვის, პოეტისათვის! წამოაყენეთ ერაკლი მეფე საფლავიდან და შეახედეთ,—ის გაშტერებული წამოიძახებს: გურული და მეგრელი მე ვერ ჩამოვიყვანე თფილისში, რომ კრწანისის ბრძოლაში დამხმარებოდა, დღეს კი ვილაც პოეტისთვის თავის ნებით ჩამოსულან! ეს მე ალარ მესმის, აქ რალაც სხვა ძალა ამუშავებულაო. დიახ, ახალი ძალა ამუშავდა და მას თანდათან ემორჩილება მთელი საქართველო. რა ძალაა ეს? რა ჰქვია მას? რას შეიცავს იგი? საიდან მოდის, სად მიდის? ეს არის ასახსნელი და გასაგები.

22 ოქტომბერმა დაგვიმტკიცა, რომ ქართველობა გამოფხიზლებულაო, გვეუბნებიან ყოველი მხრიდან. მარა საკმარისია კი ეს? რას ნიშნავს ეს გამოფხიზლება? რატომ უთუოთ დღეს გამოვფხიზლდით და არა 10—15 წლის წინეთ, როცა იუბილიარის და მისი ამხანაგების მოღვაწეობა დულდა და გადმოდიოდა? რა მოხდა მას შემდეგ? განა საკმარისია ვიცოდეთ „გამოვფხიზლდით“! რით და რა ნაირათ გამოვფხიზლდით? მოვხსნათ ფრაზას სამოსელი, დავწყვიტოთ სიტყვებისაგან მოქსოვილი ქსელი, გადავიხედოთ იქით, მის ზევით, ქვევით, გადავუშინჯოთ ძირი, გამოუჩხრიკოთ ფოსო-

ლოები, ნახული სინათლისაკენ გამოვიტანოთ და მასთან ერთათ ჩვენც გამოვიდეთ. გავარკვიოთ სინამდვილე, გავანათოთ ცხოვრების კალაპოტი, რომ მღელვარებამ რიყეზე არ მიგვახეთქოს. ვუთხრათ თავის თავს სიმართლე, რანაირი მწარეც უნდა იყოს იგი. დეე, ვიცოდეთ ის შეგნებულად, რასაც ყოველ დღე შეუგნებლად ვაკეთებთ.

რ. ერისთავი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. აღფრთოვანებული დღესასწაული დაიმსახურა არა პირადად რაფიელმა, არამედ იმ აზრებმა, რასაც ის სთესავდა ცხოვრებაში. მარა ეს აზრები, მეტ-ნაკლებობით, შეადგენენ კუთვნილებას მთელი გუნდისას; მისი წევრნი სხვა და სხვა ფორმით, სხვა-და-სხვა სახით, ემსახურებოდენ ერთსა და იმავე იდეას, ადგენ ერთ და იმავე მიმართულებას. რ. ერისთავის იუბილე იყო იმავე დროს იუბილე ამ მიმართულების, ამ აზრების, ამ გუნდის. დღეს ჩვენ ამას ვაფასებთ, პატივს ვცემთ. ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რატომ ვაფასებთ, რა შეგვძინეს, რა გვიქადაგეს. ესეც არ კმარა. დღევანდელი ცხოვრება იგივეა, რაც მესამოცე წლებში იყო? თუ იგივეა, მაშინ აუხსნელი რჩება, ჩვენ ისე რა ნაირათ განვვითარდით, რომ მოღვაწეობას დღეს ვაფასებთ. განვითარება მოითხოვს ცვლილებას, ცხადია ჩვენ შევცვლილვართ და, მაშასადამე, ცხოვრებაც გადასხვაფერებულა. ახალი ცხოვრება წარმოშობს ახალ კითხვებს. რა კავშირი აქვს მესამოცე წლებში აღმოცენებულ კითხვებს დღევანდელ კითხვებთან? რა დამოკიდებულება აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინდელ მოღვაწეობას დღევანდელ მოღვაწეობასთან, მაშინდელ მიმართულებას დღევანდელ მიმართულებასთან?

ზევით ვთქვით განვითარებულვართ, მარა განვითარებულ, წინ-წაწეულ ქვეყნებში სხვანაირ იუბილეებს ვხედავთ. როცა ვიქტორ ჰიუგოს იუბილე იდღესასწაულეს, პარიჟის არც ერთ მუშათა საზოგადოებას, გარდა ასოთ-ამწყობებისა,—მონაწილეობა არ მიუღია. რატომ? ბურჟუაზია.—აი, ახლა, ნოემბერში გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი ალექსანდრე დიუმა-შვილი. პარიჟის საბჭოში წინადადება შეიტანეს, გასვენებაზე დელეგატი გავგზავნოთ და ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დავარქვათო. საბჭომ ხმის უმეტესობით ორივე წინადადება უარყო. რატომ? 1871 წ. განსვენებულმა წიგნაკი დაბეჭდა, რომელშიაც შეურაცხყო კომუნა და კომუნარებიო. 1893 წ. გერმანიაში მოხდა რეიხსტაგის დეპუტატთა არჩევანი. ბერლინის ერთ უბანში თავისუფალ-მოაზრეებმა შესანიშნავი მეცნიერი ვირხოვი გამოიყვანეს კანდიდატად. მის წინააღმდეგ მუშათა დასმა უბრალო მეწაღე იანიშევსკი წამოაყენა და თანაც გამოაცხადა: ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ვირხოვს—მეცნიერს, მაგრამ ვირხოვს—საზოგადო მოღვაწეს აოასოდეს არ მივცემთ თეთრ კენჭს, ის ჩვენი ინტერესების დამცველი არ არისო. რა გამოვიდა აქედან? რა და გააშავეს მეცნიერი ვირხოვი და გაათეთრეს მეწაღე იანიშევსკი.—ციურიხში გარდაიცვალა გერმანიაში ცნობილი პოეტი და ფილოსოფოსი ლეოპოლდ იაკობი. კონსერვატიულ გაზეთებს ეს სრულებით არ აღუნიშნავს, ლიბერალურ გაზეთებმა გაკვრით მოიხსენიეს, ხოლო მუშა-ხალხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგლოვა, გასვენებაზე მხოლოთ მისი წარმომადგენელნი დაესწრენ, მხოლოდ მათი ცრემლი დაიღვარა. რატომ ასე დაიყო საზოგადოება? საქმე ის არის, რომ პოეტი მუშათა და დაჩაგრულთა მოსარჩლე იყო, მისი ლექსები ბეჩავთა სვე-ბედს დატირის.— ერთი სიტყვით, ევროპაში, ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის დღესასწაული ან გლოვა, წარმოადგენს გლოვა-დღესასწაულს ამა თუ იმ დასისას, ამა თუ იმ წრისას, ამა თუ იმ კლასისას. მთელ ერს ის იშვიათად გაანძრევს. ჩვენში ეს სხვანაირათ სწარმოებს. რაფიელის სახელმა შეაერთა არა მარტო ქართველობის სხვა და სხვა შორეული ნაწილი, არამედ ამასთანავე სხვა და სხვა წრის, შეძლების და წოდების ხალხი: აზნაური და გლეხი, ვაჭარი და ხელოსანი, კაპიტალისტი და მუშა, ყველა დაძმობილებულა, დაახლოვებულა, რომ პოეტის იუბილე ერთათ ედღესასწაულა. საიდან წარმოსდგება ასეთი განსხვავება ჩვენსა და ევროპას შორის? ნუ თუ ჩვენ ევროპას გავასწარით? სრულიადაც არა. ევროპამ კაი ხანია განვლო ის პერიოდი, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით. რამდენად იქ გაძლიერდა ეროვნული თვით-ცნობიერება, იმდენად გაძლიერდა თვითონ ერში სოციალური განხეთქილება. ჩვენ მხოლოდ ამის თავში ვართ. ევროპიული განვითარების დაბალ საფეხურზე ვდგევართ. ამ ნაირათ, გამოდის, რომ განვითარებულვართ, და იმავე დროს ვერ განვითარებულვართ. რას ნიშნავს ეს? რას და, შედარებით ჩვენ გავლილ ხანასთან, წინ ვართ, ხოლო ევროპასთან შედარებით, უკან. წინ წასვლა და უკან ჩამორჩენა — აი, აქ არის მოგროვილი მთელი აწინდელი ცხოვრების ძაფები. სიხარული თუ მგლოვიარება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაღლება თუ დამდაბლება, სისუსტე თუ სიძლიერე, შეგნება თუ შეუგნებლობა—არის ეს ეკონომიური, იურიდიული, პოლიტიკური, თუ ლიტერატურული, —მომდინარეობს ამ საერთო სათავიდან: ჩვენ განვითარდით და საკმაოთ ვერ განვითარდით, ერთ კიდეს მოვცილდით, მარა მეორეს ჯერ ვერ მივადექით.

რაში მდგომარეობს ეს განვითარება თუ განუვითარებლობა? სად არის მისი დედა-ძარღვი? რას მივყევართ წინ? რა გვიჭერს უკან?

აი, ამ კითხვების გარკვევას შევუდგებით და მკითხველს ვთხოვთ ცოტაოდენი ყურადღება მოგვაპყრას. აგრეთვე ვთხოვთ სახეში მიიღოს შემდეგი: ჩვენი მსჯელობა შეეხება არა თითოეულ პიროვნებას, არა პეტრეს თუ ივანეს, არამედ მთელ სისტემას, მთელ მოძრაობას, რომლის წინაშე პეტრე და ივანე მხოლოთ იარაღებია. ამათ იმდენი მნიშვნელობა აქვთ, რამდენად ისინი ამ სისტემის განხორციელებული გამომხატველნი არიან...

I

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩვენ ცხოვრებაში ძირითადი ცვლილება მოხდა. საქართველომ*) უარყო თვით-არსებობა, ჩვენ თავს ჩვენ ვერ მოვუვლითო და რუსეთს დაექვემდებარა. ასეთი ცვლილება, უეჭველად პოლიტიკური ცვლილებაა: ერის მართვა-გამგეობა შეიცვალა, ეროვნული მთავრობის

*) უნდა ვიგულისხმოთ მაღალი თავად-აზნაურობა, რასაკვირველია, ვინაიდან ქვეყნის გამგე-ბატონი ის იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი უცხო ტომმა დაიჭირა. რა ნაირათ უნდა ვმოქმედა ამას ხალხზე? გაანძრია მისი გული? დაინახა, შეიგნო ის, რაც მოხდა? ამაზე ისტორია გადაჭრით გვეუბნება: არა, არ შეუგნიათ. მართალია, აქა-იქ წინააღმდეგობა და არეულობაც მოხდა, მაგრამ ეს გამოიწვია ახალ მოხელეთა უგვანო საქციელმა და არა რაიმე ფართო პოლიტიკურ მოსაზრებამ. (იხ. „მოამბეში“ ბ-ნ ფრონელის წერილები მთიულეთის შესახებ). ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ არეულობა ატყდა ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ნაწილში—მთიულეთში. რა არის ამის მიზეზი? დღეს რაც უნდა ცვლილება მოხდეს პოლიტიკაში, ის მაშინვე ერის გულს მისწვდება. ჩვენ კი დავკარგეთ ის ძალა, რომელიც თავიდანვე გარს შემორტყმული გვქონდა და რის მეოხებით ისტორიულ გრიგალში თავი გადავირჩინეთ. ამან ისე ჩაიარა, ვითომ არაფერი მომხდარიყოს! ნუ თუ ამის ახსნა შეუძლებელია? ეს ხომ ისტორიის წინააღმდეგ არ მომხდარა, მაშასადამე, ისტორიაში უნდა ჰქონდეს საფუძველი. ჩვენი აზრით აი ასეთი საფუძველია: პოლიტიკური ცვლილებით იოტის ოდენათ არ შეცვლილა ხალხის შინაგანი, ეკონომიური, იურიდიული და გონებრივი მდგომარეობა. ერი დარჩა ისევ დანაწილებული, ერთი მეორისაგან დაშორებული და კარ-ჩაკეტილი, მოყვრულ-ნათესაობაზე აშენებული ურთიერთობით და ვიწრო ადგილობრივი ინტერესებით ასულდგმულებული, მიმოსვლით, ალებ-მიცემობით, მოქალაქობრიობით დაუძლურებული. ასეთ ერს არ შეეძლო თავის თავი ეგრძნო ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკურ მრთელად, ჭირში და ლხინში განუყრელდა. ახალი, უცხო წყობილება აშენდა ძველებურ, თავისებურ ცხოვრებაზე. ხალხისთვის რა საინტერესო იყო, თუ ვინ იქნებოდა ქვეყნის მმართველი, თუ კი მას არ შეაწუხებდენ, ცოლშვილს არ დაუწიოკებდენ, წყნარ ჩვეულებრივ ცხოვრებას აცლიდენ. ამიტომ პოლიტიკა და ცხოვრება ერთმანეთს ვერ მოხვდა, უკანასკნელს პირველი მეტხოლცად არ უგრძვნია. რადგანაც მასთან მჭიდრო კავშირი არ ქონდა. ის ეროვნული აზრები, რომლის ქადაგება შემდეგ საჭირო შეიქნა, მაგ. სამშობლო ენა გიყვარდესო, მაშინ სრულიათ უცნობი იყო. ამაში არ იყო მოთხოვნილება. ხალხი ქართულ ენითაც იოლად მიდიოდა, ამ მხრით მას არ აწუხებდენ.*) ამიტომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ პოეტებმა ეროვნულ ნიადაგზე ფეხი ვერ მოიმაგრეს. აქ შინაარსი ვერ იშოვეს. თუ ვინმე სამშობლოს სვე-ბედს ეხება, ეხება მხოლოდ საზოგადო ფრაზებით, წარსული უნდა გვიყვარდესო, მარა რაში უნდა გამოიხატოს ეს, რა პრაქ-

*) ბ-ნი ფრონელი მოგვითხრობს ზემოთ დასახელებულ წერილებში, რომ რუსულ ენაზე აწარმოებდენ სამართალს და მომჩივან-მოპასუხეს გზა-კვალი აებნაო; მარა ეს რასაკვირველია, თითოეული, იშვიათი, მოვლენა იქნებოდა: საჩივრები მაშინ ხომ ხშირი არ იყო. ყმას ბატონი ასამართლებდა. თბილისში აბა ვინ წავიდოდა სამართლის საძიებლად, ეს დღესაც არ არის ადვილი. ამიტომ ახალი სამართალი ხალხის ცხოვრებას ვერ შეანძრევდა, როგორც ეს შემდეგ მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკული, დაუყოვნებლივი ფორმა უნდა მიიღოს, ამას ვერ გვეუბნებიან და თქმაც შეუძლებელი არის. ცხოვრება თითქმის ერთ დონეზე იდგა, ახალი კითხვების დაბადება მაშინდელ ვიწრო კალაპოტში შეუძლებელი შეიქნა.

ამ ნაირად, ქვეყნის ეკონომიურად განუვითარებლობა საფუძვლად დაედვა პოლიტიკურ დაცემას და გონებრივ მისუსტებას.

ასე ნელ-ნელა სიარულით მოვედით მესამოცე წლებამდე. ამ დროს რეფორმების ხანა დადგა: ბატონ-ყმობის გაუქმება ერთი მხრით, და ახალი სკოლების და სასამართლოების დახსნა მეორე მხრით. ცხოვრებამ ორი უდიდესი კითხვა წამოაყენა: რა ნაირად უნდა მივეგებოთ გლეხთა თავისუფლებას? რანაირად უნდა ვისარგებლოთ ახალი სისტემის სკოლებით და სასამართლოებით? პირველ კითხვამ განხეთქილება ჩამოაგდო, საზოგადო აზრი დაიყო ორად: ბატონ-ყმობის მომხრე და ბატონ-ყმობის მოწინააღმდეგე,—მიმართულება თავად-აზნაურული და გლეხ-კაცური. ამ ორ ელემენტთა შორის ასტყდა სასტიკი ბრძოლა. პირველს მწერლობაში არ დაურჩა გავლენა, მას რად უნდოდა მწერლობა, როცა მთელი სინამდვილე მისკენ იყო, ის იქ, სიბნელეში, მუშაობდა. მეორე კი სინათლეში გამოვიდა, ახალი ცხოვრებისთვის ახალი იარაღით აღიჭურვა, მწერლობა შეიქნა მის სატრფიალო საგნად. ამან მისცა დასაბამი დროს შესაფერ, პროგრესიულ მიმართულებას. მგარამ ეს მარტო ამით არ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმაყოფილებულა. რუსეთში სასკოლო და სასამართლო წესები გამოიცა მთელი იმპერიისათვის. რა საშუალებით შეიძლება ის საქართველოში შემოვიდეს, როგორ უნდა გამოიყენოს იგი განთავისუფფლებულმა ხალხმა? პასუხი ცხადია: სამშობლო ნიადაგზე, სამშობლო ენის საშუალებით. **სამშობლო ენის დაცვა** მოითხოვა ცხოვრებამ.

ამგვარად, სიყვარული გლეხ-კაცობის და სიყვარული სამშობლო ენის შეიქმნა იმ ღერძად, რასაც უნდა გადაეტრიალებია ჩვენი ცხოვრება. ეს სავსებით შეიგნეს მესამოცე წლების მოღვაწეებმა და ამ მხრით მიმართეს თავიანთი ძალ-ღონე. მათ მოქმედებაში არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა. ვისაც ხალხისთვის გული შესტკიოდა, მას უნდა ეზრუნა მის მოქალაქობრიობაზედაც. ეს კი შესაძლებელი შეიქნებოდა ბატონ-ყმობის ბორკილის დამსხვრევით და სწავლა-განათლების გავრცელებით. რა ენაზე შესაძლებელია სწავლის მიღება, თუ არ სამშობლო ენაზე? ორივე მხარე მჭიდროთ დაუკავშირდა ერთმანეთს. ხალხის უფლების დაცვა ნიშნავდა იმავე დროს მისი ენის დაცვას, მისი ენის დაცვა ხალხის უფლების დაცვას. სამშობლოს სიყვარულმა მიიღო განსაზღვრული, პრაკტიკული ფორმა, ის ჰაერიდან დედა-მიწაზე ჩამოვიდა, გრძნობამ ხორცი შეისხა, ტრაბახობა მოქმედებად იქცა. სამშობლო ენა გიყვარდესო! აბა, უთხარით ეს მაგ. ფრანგს, თუ მან მაშინვე სიცილი არ ასტეხოს, განა ამასაც ლაპარაკი უნდაო. მაგრამ თუ იმავე კითხვით ელზასელ ფრანგს მიმართავთ, ის გულდასმით მოისმენს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალს ამბობ, ამის ქადაგება ჩვენში საჭიროაო. რატომ ასე გამსხვავდებიან ეს ორი მოძმენი ერთმანეთისაგან? იმიტომ, რომ პირველს არავინ ძალას არ ატანს ფრანგული ენა დაივიწყეო, მაშინ როდესაც მეორის გასაგერმანელებლად გერმანიის მთავრობა ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს. ისტორიულ წარსულში ენის მხრით ჩვენ დიდი გასაჭირი არ გვადგა. აჭარ-ქობულეთელთ დღემდე მოიტანეს ქართული ენა. ამ საუკუნეში კი სხვანაირ გარემოებაში ჩავდექით. მართალია, ომს აღარავინ გვიშვრება, მაგრამ მაგიერში უომრად, უიარაღოდ, ტკბილი სიტყვებით გვიძვრებიან ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში, გვიჩხრეკენ გულს, სულს, ყველაფერს, და რად იხარჯება ამდენი შრომა? ეგების ქართველობა უარყოსო! ეს მიდრეკილება თავიდანვე იყო, მხოლოთ თავიდანვე არ ყოფილა მისი ცხოვრებაში გასატარებელი პირობები. ეს გაჩნდა მესამოცე წლების შემდეგ, როცა ხალხი განთავისუფლდა და განვითარების გზას დაადგა.

აი, ამ მოძრაობის ნაყოფია ის მწერლობა, რომელიც ჩვენს გონებრივ ზრდას საფუძვლად დაედვა და რითაც დღესაც ვიკვებებით. მწერლობა ეხება ორივე კითხვას: პოლიტიკურ-სოციალურს და ეროვნულს. ქართველის გაევროპიელება და ქართველის გაქართველება—აი დედა-ბოძი ამ მიმართულებისა. ამ საძირკველზე შენდება კიდელი; პირველი წყება ამოშენდა მესამოცე წლებში, ხოლო მთლად აშენება ჩვენი წარმატებისაგან არის დამოკიდებული. მესამოცე წლების მოღვაწეები მარტო ლიტერატურით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაკმაყოფილდენ. ისინი აარსებენ სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებებს, როგორც იარაღით საქართველოს წინ-წაწევისათვის, ადგენენ სახელმძღვანელოებს, როგორც ერთად ერთ სახსარს დედა-ენაზე ბავშვების აღზრდისა და სხ. ერთი სიტყვით, როგორც ცხოვრებით, ისე გონებით, ევროპის ფერხულში ჩავებით. ხალხმა იწყო თავისი კარჩაკეტილ მდგომარეობიდან გამოსვლა. ცხოვრება დაინძრა და აი აქ ხდება ის, რაც ნახევარი საუკუნის წინ ვერ მოხდა: ცხოვრება და პოლიტიკა, ხალხი და მართვა-გამგეობა ერთმანეთს შეხვდენ და ამით შესაძლებელი გახდა საქართველოს სვე-ბედის შეგნება. ეს მხოლოთ დასაწყისია. მთელი ჩვენი განვითარება იმავე დროს მოასწავებს ამ შეგნების განვითარებას და გავრცელებას. მაშასადამე, შეგნება—ისტორიული განვითარების ნაყოფია, გონებრივი ცვლილება--ეკონომიური ცვლილების შედეგია. ესენი მუდამ ერთათ მოდიან. ამ ახალი ცხოვრების დაწყება და მეთაურობა-წილათ ხვდა მესამოცე წლების მოღვაწეთ. ის გარემოება, რომ მათ ნამოქმედარს დღეს ვაფასებთ, ამტკიცებს იმას, რომ მაშინ არ იყო დაფასებული, მაშინდელ შეცდომას დღეს ვასწორებთ, და იმის მაგიერ რომ წინ ფეხი გადავდგათ, თანამედროვე ცხოვრების შესაფერი იდეები შევიმუშაოთ, ვდგევართ ერთ ალაგას, ვცხოვრობთ მხოლოთ წარსულის მოგონებით, ვკმაყოფილდებით წარსული მწერლობით.

ვიმეორებ: როგორც კი ხალხი ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლდა და დაადგა მოქალაქობრივ გზას, შესაძლებელი გახდა პოლიტიკური და ეროვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული კითხვების წამოყენება, მათი გავრცელება და შეგნება. მესამოცე წლების მოღვაწენი გამოვიდნენ ოთივე მიმდინარეობის მომხრედ და მებაირაღედ.

II

რა პრინციპები წამოაყენა ახალმა ცხოვრებამ? ბატონ-ყმობის გაუქმება ნიშნავდა საკუთრების და კონკურენციის თავისუფლებას. უფლება მოძრაობის, შრომის და ნაშრომის თავისთვის გამოყენების მიეცა თითოეულ პირს, აზნაურია ის თუ გლეხი, ხელოსანია თუ ვაჭარი, ნასწავლია თუ უსწავლელი. ამით მოქმედების ასპარეზი გაფართოვდა, მაგრამ თითოეული აქ თანასწორ ადგილს დაიჭერდა? რაკი ცხოვრება თავისუფალ ბრძოლის დედა-ბოძზე დამყარდა, ცხადია, აქედან ერთი გამარჯვებული და მეორე დამარცხებული უნდა გამოსულიყო. ბრძოლის ველზე ყველა წოდება გამოვიდა, შეეჯახენ ერთმანეთს და აირიენ ერთმანეთში. გუშინდელი ბატონი ახალმა მორევმა საუკუნოდ დაძირა, გუშინდელი ყმა ზევით ამოყურყუმელავდა. ასეთი არევ-დარევა, გადარჩევ-გადმორჩევა, ახალ ჯგუფთა (კლასთა) შედგენა ჯერაც არ დასრულებულა, ჩვენ ამ პროცესში ვცხოვრობთ და ცხარე მონაწილეობას ვიღებთ.

ასეთ მიმდინარეობამ პირველად სოფელი დაანძრია. თავად-აზნაურობის მდგომარეობა, როგორც წოდების, შეირყა. მეურნეობას მიუჩვეველ წოდებას ფული დასჭირდა და აი, ამ დროიდან იწყება მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალიანება და ეკონომიურ გზაზე უკან-უკან წასვლა. ან კი შესაძლებელი იყო სხვაფერ? ყმების განთავისუფლება—ეს წოდებრივი ზღუდეების დანგრევა იყო. ამას მოითხოვდა ერის იმ ნაწილის ინტერესი, რომელიც ამ ზღუდეებში იყო მომწყვდეული. მაშასადამე, პირველი რეფორმა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ შეიქმნა მიმართული. ეს შემთხვევითი, თითო-ოროლას სურვილით არ დაბადებულა, ახალმა მოძრაობამ, ისტორიულ განვითარებამ აუცილებლად გახადა. ცხადია, არა რეფორმების, არამედ მისი მომავლინებელის, ეკონომიური განვითარების, მოქალაქობრიობის, მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპიელობის მსხვერპლი შეიქმნა მოწინავე წოდება. ამ გრიგალში მხოლოდ თითოეულ პირს შეუძლია თავის გადარჩენა, მთელ წოდებას კი არასოდეს. მთელი ახალი ხანა წოდებების უარის-ყოფაა, ის პირადი ღირსებაზე და შეძლებაზე არის დამყარებული. ასეთ პირობებში წოდებების დაცვისათვის ბრძოლა ნიშნავს ნავში მჯდომის ნავთან ბრძოლას. ეორე მხრით, ამ გარემოებით ისარგებლა გლეხ-კაცობამ. ის ბატონ-ყმობის წინ ნიშნავდა არაფერს, შემდეგ კი გახდა რაღედ. აქ სარგებლობა აშკარაა. მარა აქ ის არ გაჩერდა, ის მედგრათ ჩაერია ატეხილ ბრძოლაში იმ იმედით, რომ თუ რამეს არ შეეიძენ, დაკარგვით მაინც არას დავკარგავო, ვინაიდან დასაკარგავი არაფერი გააჩნდა. აი იმ დღიდან გაისმა ჩვენ საზოგადოებაში გოდება: რამდენად აზნაურობა უკან მიდის, იმდენათ გლეხობა წინ მიდისო. გამოჩნდა, რომ აქ საერთო ბრძოლაში ბრწყინვალე წოდება თანდათან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხდება, მაშ საჭიროა მიშველებაო. ამ ნაირად მიეცა დასაბამი ეგრეთ წოდებულ თავად-აზნაურულ მიმართულებას მწერლობაში. საოცარი ის არის, რომ რამდენად უფრო მწერლობამ, საზოგადოებამ და მთავრობამ ხმა აღამაღლა თავად-აზნაურობის სასარგებლოთ, იმდენად უფრო ის დანაწილდა, დაქვეითდა და ცხოვრების მეტ-ხორცად გადაიქცა. განა ეს საკვირველი არ არის? ცხადია, აქ რაღაც მანქანაა დასალეწი, ბურუსია გასაფანტავი, ამოცანაა გამოსაცნობი...

რანაირად შეიძლება თავად-აზნაურობის მდგომარეობის გაუმჯობესება? ამ კითხვის გარშემო დატრიალდა ჩვენი მწერლობა. მოწინავე წოდების ხელშია თითქმის მთელი, კერძო საკუთრებაში მყოფი, საქართველოს მიწა-ადგილი. მიუხედავად ამისა, იგი ეკონომიურ გზაზე ვერ გამაგრდა. რატომ? იმიტომ, რომ მეურნეობა არ გვივარგა, ძველი იარაღებით ვმუშაობთ, სამეურნეო ცოდნა არ გვაქვსო. მეურნეობის განკარგება ერთად ერთი წამალია აზნაურობის წამოსაყენებლათო. მაშასადამე, სამეურნეო კითხვა თავად-აზნაურობის კითხვაა par excellence. წვრილ მემამულეს, ან სრულიად უმამულოს, რასაკვირველია, ახალი სამეურნეო იარაღების შეძენის და კულტურის შეცვლისათვის ლონე არ შესწევს. ასეთ წვრილ მემამულეს ეკუთვნის, გლეხ-კაცობას რომ თავი დავანებოთ, თავად-აზნაურობის ნახევარზე ცოტა მეტი.*) აშკარაა, სამეურნეო კითხვა ეს საშუალო და

*) ჩვენი მიზანი აქ არ არის ეს კითხვა ვრცლათ გავარჩიოთ, ამიტომ აღარც ციფრები მოგვყავს. ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდრონ მემამულეთა კითხვაა, ისე როგორც ეს დღეს ევროპაშია (განსაკუთრებით გერმანიაში). მეორის მხრით, აზნაურობას აქვს ბანკი; ბანკის კარგად წაყვანა დამფუძნებელთა საქმის კარგად წაყვანას ნიშნავს. ბანკის კითხვა აზნაურობის კითხვაა.

ამნაირად, აზნაურობის შეცვლილ მდგომარეობამ წამოაყენა ორი კითხვა: სამეურნეო და საბანკო. მწერლობა და საზოგადოება ამაების სჯა-ბაასმა შეიპყრო. მარა პროგრესიული ელფერი რომ შეერჩინათ, ორივე კითხვა ეროვნულ კითხვად გამოაცხადეს, საქართველოს დღეს სხვა საქმე არა აქვსო. ეს კიდევ ცოტაა, სამეურნეო კითხვა,-ეს სოფლის კითხვაა, მაშასადამე სოფელია ის დედაბოძი, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი კეთილ-დღეობაო. აქ თავად-აზნაურობის კითხვა სოფლის კითხვად გადაიქცა. ასე ერთი კითხვა მეორეში გადადიოდა, მეორე მესამეში, ხოლო ყველა კი ერთში: თავად-აზნაურობას რა უშველისო. **)

ასე ნელ-ნელა მესამოცე წლების მწერლობა მეოთხმოცდაათე წლების მწერლობათ გადაკეთდა. პირველი ერთიანათ დაფუძნებულია წოდებრივ ზღუდეების დანგრევაზე, მეორე კი ამ ზღუდეების ამარ-

---

ვინც საბუთს მოგვთხოვს, მზად ვართ ციფრებით დავუმტკიცოთ. ეს ციფრები მოთავსებულია: „Сводъ статистическихъ данныхъ о землевладѣніи въ Тиф. и Кут. губерніяхъ, 1893 г.“

**) პოეზია და ბელეტრისტიკა ამ გზას ვერ გაჰყვა, რაიცა ამტკიცებს იმას, რომ გზა იყო ყალბი, ხოლო მათმა ნაყოფიერებამ (ახალი ნაწარმოებნი, მესამოცე წლებთან შედარებით) იკლო, რის მიზეზი პუბლიცისტიკის აბნეულობა და მიმართულების შეუმუშაებლობაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვა და გამტკიცებაზე. პირველი ასულდგმულებულია მოქალაქობრივი აზრებით, მეორე კი სოფლის მოტრფიალობით. პირველში ეროვნული ლტოლვილება აშენებულია ხალხის ეკონომიურ და იურიდიულ განვითარებაზე, მეორეში კი თავად-აზნაურობის შეცვლილ მდგომარეობაზე. ამისათვის აქ ეროვნულ კითხვებს თავისი მიმზიდველობა ეკარგვის. ის უშინაარსოა, ფრაზებია, ტრაბახობაა და ეს ასეც უნდა იყოს იქ, სადაც კულტურულ, სახალხო, კითხვას თავად-აზნაურულ კითხვად აქცევენ, სადაც ერის ალორძინებას უპირატესი წოდების ალორძინებას დაუქვემდებარებენ, საერთო წინმსვლელობას აზნაურული მხედველობით გასჯიან. ეს ისევ თათქარიძობაა, თათქარიძობა ახალ მოდის, ახალი ქერქით. ნამდვილ თათქარიძეს სურდა ყველაფერი ძველ, ბატონ-ყმურ წესზე დარჩენილიყო, ეწინააღმდეგებოდა ყველაფერ ახალ ელემენტს, რასაც კი მყუდრო ურთიერთობის დარღვევა შეეძლო. აქ ის სრულ ლოლიკაშია, მასში არავითარი წინააღმდეგობა არ არის, თქვენ შეგიძლიათ დედა-აზრებს არ დაეთანხმოთ, მარა ლოლიკურ ნახტომს ვერ მოუნახავთ. ის ცხოვრების წყობილებას უყურებს როგორც ერთ მთელ ორგანიზმს, რომლის ერთი სახსრის გადასხვაფერება, მთელი ორგანიზმის გადასხვაფერებას აწარმოებს, ამიტომ ის იცავს მთელ ორგანიზმს საერთოდ. მისი აჩრდილი, დღევანდელი თათქარიძე— სხვა სახისაა, მას სურს ყველაფერი ახალი: სწავლა, ეკონომია, კულტურული მეურნეობა, საშინაო და საგარეო ბაზარი, ფულის შეძენა და სხ. და სხ.,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგარამ ისე კი რომ სოციალური ურთიერთობა არ შეიცვალოს. ქვევით გლეხობა, ზევით აზნაურობა, აგერ მილმა სოფელი და პატრიარქალური განწყობილება, იქ · მისი მოშორებით, ქალაქი და მოქალაქობრიობა. და აწ გაწყობილ-გალამაზებულ ცხოვრებაში თათქარიძეთა ბატონობა. აქ, როგორც ხედავთ, არავითარი ლოლიკა, სისტემატიური შეხედულება არ არსებობს. ყველაფერი წუთიერი ანგარიშის მსხვერპლია. თავისუფალი ბრძოლა არსებობისათვის ძირითადი კანონია, მარა ამ ბრძოლაში რომ თათქარიძენი დამარცხდენ, ეს კი უკანონობაა—აი როგორ აზროვნობს დღევანდელი თათქარიძე. ნამდვილ თათქარიძეს არ სწამდა არც პირველი და არც მეორე წინადადება და მით ლოლიკაში რჩებოდა. მის დღევანდელ აჩრდილს სწამს ორი, მაგრამ არ სწამს ეს რომ ოთხია. ეს კომედიანტია.

რეფორმების შემდეგ ჩვენ ერთ და იმავე გზაზე მივდივართ, არც ერთი წუთიც ამას არ გადავცდენივართ, და თუ მწერლობა გადაცდა, ეს მწერალთა სისუსტეა და არა ცხოვრების სიძაბუნე. დროშა, მესამოცე წლებში აფრიალებული, ისევ აფრიალებულია. მგარამ მისი მატარებელი ის ალარ არის, ვინც მაშინ იყო, ის ერთიანად ხალხს გადაეცა და მან თავის გულში დამალა, ცხოვრების სიღრმეში გადაიტანა. საჭიროა მისი ისევ ზევით ამოტანა და ის, რაც ზედ დღევანდელმა ვითარებამ მოჰქარგა, საქვეყნოდ გამოჩვენება. აი ეს „მენე-ტეკელი“ უნდა ამოვიდეს სიბნელიდან სინათლეში, შეუგნებლობისაგან შეგნებაში და გადაიქცეს მოწინავე რაზმის დრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შად...ამ რაზმს ჩვენ დღევანდელი მწერლობა ველარ მოგვცემს, იმიტომ რომ ის ერთიანად გადასცდა ცხოვრების კალაპოტს, ისტორიულ ნიადაგს და მოგეხსენებათ ბურთი წინ გასროლილი უკან ველარ დაბრუნდება. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, შეეძლო კი მწერლობას სხვაფერ მოქცეულიყო? ჩვენ ვიტყვით, რომ არ შეეძლო. ეს აუცილებელი იყო, რაიცა პირველი საბუთია ცხოვრების ზრდის და წარმატებისა. მწერლობა იმიტომ დაიბნა, რომ ცხოვრება შეიცვალა, ეს ცვლილება მან ვერ ახსნა, ვერ შეიგნო და ფანტაზიას, უტოპიას მიეცა *). ასეთ მდგომარეობიდან მას გამოიყვანდა მხოლოთ დასავლეთი ევროპის განვითარების გაცნობა, რომელმაც ის ხანა, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, კაი ხანია განვლო და საკუთარი გზა გაიკვლია. შესწავლა ამ გზის, გამორკვევა მისი მიდრეკილების, ნიშნავს ჩვენი ცხოვრების გარკვევას და მერმისის გათვალისწინებას. სამწუხაროდ ჩვენი მწერლობა ამ მიმართულებას არ ადგია, ეს ერთიანად რუსული მწერლობის გავლენის ქვეშ არის, იმ ქვეყნის, რომელიც მოქალაქობრივათ ჩვენსავით უკან ჩამორჩენილია და მაშასადამე გზას მერმისას ვერ გვიჩვენებს...

---

*) ერთად ერთი სოფლის კითხვა, რის განხორციელება შესაძლებელია გვერდზე დასტოვეს. სახელდობ, უმამულობით შევიწროებულ მცხოვრებთა გადასახლება იქ, სადაც მეტი თავისუფალი მიწებია (აჭარა-ქობულეთი, სამურზაყანო—აფხაზეთი და სხ.); დაბრკოლებები არისო.. ეს მუდამ იქნება, მაშ მუდამ გულ-ხელ დაკრეფილი ვიყოთ? დაბრკოლებები შემორებული, დაძლეული უნდა იქმნან. რასაკვირველია თავად-აზნაურობის შესახებ გადება უფრო ადვილია ვინემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარად, მოლვაწეთა ის გუნდი. რომელიც მესამოცე წლებმა გამოიწვია, შეაერთა და ერთ გზაზე დააყენა, მეოთხმოცდაათე წლებმა დამალა, დაარღვია და ცხოვრების კალაპოტის აქეთ-იქით გადასტყორცნა.

რა კალაპოტია ეს? რას შეიცავს იგი? რა ატრიალებს მას და რას ატრიალებს ის? ამის პასუხს ჩვენ გვეტყვის დღევანდელი ცხოვრების გარკვევა.

III

ჩვენ ისტორიას ჩვენვე ვაკეთებთ, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას შეგნებული გვქონდეს რას ვაკეთებთ. უეჭველია, ამა თუ იმ პირმა კარგად იცის რას აკეთებს, როგორ მოქმედებს თავის მიზნის მისაღწევად. აქ ის შეგნებულია. საზოგადოება რომ ამ ერთი პირისაგან შესდგებოდეს, ყოველივე ცხადი და აშკარა იქნება. ნამდვილად კი ასე არ არის, ასეთი მომქმედი პირები მრავალია. აი ამათი ინტერესების ერთმანეთთან შეჯახება, მათი სხვა-დასხვანაირი მოქმედება და აზროვნება წარმოშობს ისტორიას. ამიტომაუცილებელია იმ საზოგადო პირობების შესწავლა, რომელშიაც თითოეული იმყოფება. ამას ადამიანისთვის ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც მეომრისთვის მტერთა ბანაკის დათვალიერებას. თითოეული პირი ცალ-ცალკე იშვიათად მოქმედობს, ის ვისთანმე შეკავშირებულია, მათი ინტერესი ერთია და ერთად მიდიან. ამით წარმოსდგება სხვა და სხვა მოწინააღმდეგე

ჯგუფი (კლასი), რომელთა ბრძოლა წვრთნის მებრძოლთ, ძალას ატანს ახალ იარაღებით აღიჭურვოს, შრომა, ენერგია განავითაროს და კულტურულად წინ წავიდეს. ისტორიის ჩარხი აქ ტრიალებს. ამ მიმდინარეობას ეძლევა ორი ფორმა: შინაგანი,—კლასიური და გარეგანი,—ეროვნული, ბრძოლა კლასთა და ერთა შორის. პირველი, რაც უნდა ძლიერი იყოს, აქვს ისეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთად დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ ველში ებმიან. ეს ქმნის იმას, რასაც ეწოდება ერი, ეროვნული ძალა. აქ არის საერთო ფარგალი, ამას გარეთ სხვა ერია, ამას შიგნით კლასებია, ირგვლივ კი ეროვნული ძალა, ეროვნული კულტურა, ეროვნული შენობაა.

მაშასადამე, ხალხის განვითარება შეიძლება განიხილოს ორი მხრით. განვითარება მთელი ერის საერთოდ, და განვითარება თითოეული კლასის, კერძოდ. ამათი გამოკვლევა უერთმანეთოდ მოუხერხებელია. ისტორიის ჩარხს კლასთა განხეთქილება ამოძრავებს, თუ ეს უყურადღებოთ დავტოვეთ, მთელი კითხვა წყვდიადში რჩება და ხალხის ისტორია გადაიქცევა მეფეთა და გმირთა ისტორიად. ამ თვალსაზრისით გადავხედოთ ჩვენ დღევანდელ მოქალაქობრივ ცხოვრებას. პოლიტიკურ მხარეს გვერდს ვუხვევთ, ვინაიდან „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობსო“.

პირველად განვიხილოთ ჩვენი ცხოვრების ეროვნული მხარე.

ეკონომიურ ასპარეზზე დღეს მარტონი აღარ ვართ; ჩვენთან ერთად მოქმედებს სხვა-და-სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომის ხალხი. ესენი ერთსა და იმავე ალაგას ერთმანეთს ეცილებიან, თითოეული მიილტვის საკუთარ ინტერესებისაკენ, ხოლო ყველანი ქართველობის ზურგზე გადადიან. მათ შორის ბრძოლაა, თუ რომელი უფრო გაბატონდება ადგილობრივ ხალხზედ. ერი, ეკონომიურათ განვითარებული, განვითარებულია კულტურულადაც. ცხადია, ქართველობის კულტურული კითხვა ეს მისი ეკონომიური კითხვაა. ამ გზაზე ის გამოვიდა, მაგრამ წინ დაუხვდენ უკვე ამ გზაზე გამოსულნი და უკეთ შეიარაღებულნი. აი აქ ბრძოლა ატყდა, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, და საჭიროა ამის გაგება.

ჩვენში მოქმედებენ სამი ხალხოსნობის წარმომადგენელნი: სომხები, ევროპიელები და რუსები. გავარჩიოთ თითოეული ცალკ-ცალკე.

სომხები. მას შემდეგ, რაც სომხეთის სამეფო დაეცა, მტერთა მიერ დევნილი სომხები გაიბნენ სხვა-დასხვა ქვეყნებში. მათ სიახლოვეს ერთად-ერთი საქრისტიანო სახელმწიფო იყო ფეხზე,—საქართველო, და რასაკვირველია, აქ თავ-შესაფარი უნდა მოეძებნათ. ისინი თავიდანვე საქართველოს ეტანებიან, სადაც დახმარებას, პატივს და მფარველობას პოულობენ. სომხების პირდაპირ ინტერესს შეადგენდა საქართველო ძლიერი და მტერთა თავ-ზარ დამცემი ყოფილიყო, რადგანაც ორივეს ერთი და იგივე მტერი ჰყავდა. გამძლავრებულ საქართველოს შეეძლო თავის საზღვრებში გადმოსახლებულ სომხებისათვის უკეთ ეზრუნა და სამშობლოში დარჩენილთა ჭირვარამი შეემსუბუქებინა. ამისათვის სომხები სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებ-დენ. ისინი იყვნენ სარდლები, კარის-კაცები, მელიქები, ელჩები და სხვ. მეფენი საიდუმლო საქმეების გაწყობას მათ ანდობდენ. აქედან ცხადია, სომხებს ნდობა და პატივი დაუმსახურებიათ და მაშასადამე სახელმწიფოში გავლენაც ჰქონებიათ. ამის მიზეზი ერთი ის არის, რაც ზევით ვთქვით, ძლიერი საქართველო სომხების სარგებლობას მოასწავებდა, ხოლო მეორე მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სომხები, როგორც ვაჭარნი და ფულიანნი, საჭირონი იყვენ მთავრობისათვის. მეფე და სხვა დიდებულთ გაჭირვების დროს შეეძლოთ მათგან ფულის სესხება. სამაგიეროდ, ისინიც მფარველობას უწევდენ. ყველა ჩვენი მეფე ვაჭრობის ინტერესს იცავს, ვაჭრობას კი ქართველი არ მისდევს. საიდან წარმოსდგება ეს? უეჭველია ვაჭრობა არ იყო საპატიო ხელობად მიჩნეული, და თუ ვაჭრობის წარმატებისათვის მაინც მეცადინეობენ, ამას ხაზინის სარგებლობა მოითხოვდა. ამ მხრივაც სომხების ინტერესი იყო საქართველოს ინტერესი, ძლიერი მთავრობა უფრო კარგათ დაიცავდა აღებ-მიცემობას შინაგან და გარეშე მტრებისაგან, ვინემ უძლური.

ვიმეორებ, სომხების ეროვნული და აღებ-მიცემობითი სარგებლობა მოითხოვდა საქართველოს გაფართოებას და გაღონიერებას. მაგრამ, როცა დაუძლურება და სიძაბუნე შეეპარებოდა, მაშინ კი სხვაგან უნდა ეძიათ მფარველობა. სომხებს მხოლოდ ორი გზა ჰქონდათ; ან თვით-არსებობა აღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგინათ და ან უცხო ხალხს შეჰფარებოდენ. პირველისთვის ღონე არ შესწევდათ, ხოლო მეორეული ასეთ არეულ დროს ძლიერი უნდა გყავდეს. სანამ საქართველო ამ როლს ასრულებდა, მანამდე სომხებსაც მისი მხარე უნდა დაეჭირათ, ხოლო როგორც კი ამ როლის ასრულებას ველარ შეიძლებდა, სომხებიც უნდა გადადგომოდენ, რადგანაც სუსტი მფარველი მათ ანგარიშში არ შედიოდა. მეორე მხრით, ქართველ მთავრობას ყოველთვის შეეძლო თავის საზღვრებში უცხო ტომთა მოქმედება აელაგმა, როცა ეს საჭირო იქნებოდა. ასეთ ღონეს დღეს დიდრონი სახელმწიფონიც მიმართვენ ხოლმე. დღეს რომ ქართველობას საკუთარი პოლიტიკური ძალა ჰქონდეს, უეჭველია ასეთ ზომებს იხმარდა სომხების წინააღმდეგ, რომ მით თვითონ გამაგრებულიყო ეკონომიურ ნიადაგზე. ცხადია, სომხობის ინტერესი იყო ასეთი დაბრკოლება არ გადალობებოდა საქართველოში. ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნეში ვხედავთ სომხებსა და ქართველ მთავრობას შორის შეტაკებას. მაგ. შექი-შირვანის მმართველმა იბრაიჰმ-ხანმა ორ სომეხს ფული შეესესხა, ამათ კი არ ასესხეს, სამაგიეროდ ხანმა ძალად წაართვა ქონება. სომხები მეფე ერეკლესთან წამოვიდენ საჩივლელათ. მეფე მოკავშირე ხანს უფრო პატივს სცემდა, ვინემ ვიღაც ვაჭრებს. „ირაკლიმ არამც თუ უპატრონა მათ, არც კი ინახულა ისინი. ამას დიდი გავლენა ჰქონდა სომხეთის ხალხზე და მის კათოლიკოს ლუკაზე. ამას შემდეგ იმათ სულ სხვა გზებს მიმართეს, რომ თვისი ხალხი უზრუნველ-ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილი გაეხადათ.“ (ბუტკოვის წერილებიდან, „კვალი“ № 39, 1895 წ.) ასეთი მაგალითი უეჭველია ხშირი იქნებოდა, და შეუძლებელიც იყო არ ყოფილიყო მაშინდელ მდგომარეობაში. თუ კი მეომარ ქართველს ყოველ დღე სარჩო-საბადებელს ართმევდენ, რა გასაკვირია, ვაჭარ სომხისათვის ხანდახან წაერთმიათ.

ამ სახით, სომხობის ინტერესი მოითხოვდა, ასეთ დამდაბლებულ მდგომარეობიდან პირველ შემთხვევისთანავე გამოსულიყვენ. ასეთმა შემთხვევამაც არ დაიგვიანა. ჩვენს გვერდზე ამოიჭიმა ძველი სახელმწიფო—რუსეთი. სანამ მისი საზღვრები ჩვენგან შორს იყო, მანამ სომხებიც ძალა-უნებურად საქართველოთი უნდა დაკმაყოფილებულიყვენ. მაგრამ, როგორც კი საზღვრები მოიწია, მოგვიახლოვდა, მისვლა-მოსვლა ცოტაოდნათ გაადვილდა, მაშინ სომხებს საშუალება მიეცა თავის-თავისათვის უფრო რიგიანად ეზრუნათ. და აი, საქართველოს დაცემის ისტორიაში ისინი შესამჩნევ როლს თამაშობენ.*) „ამიერიდან, განაგრძობს ზემოთ მოყვანილი წერილის ავტორი—ასტრახანის არქიეპისკოპოზმა

*) მკითხველი იტყვის, ქართველებიც ასეთ როლს თამაშობდენო; სრული ჭეშმარიტებაა, მარა აქ ჩვენ სომხებზე გვაქვს ბაასი. მეორედ, ჩვენი აზრი სრულიად არ მოითხოვს იმას, რომ უეჭველად თითოეულ სომეხს ქართველობის წინააღმდეგ ემოქმედნა. ჩვენ ვამბობთ: ასეთი იყო მათი საერთო ინტერესი, ხოლო რამდენად თითოეულმა სომეხმა ეს შეიგნო, ეს კიდევ სხვა კითხვაა. კერძო და საზოგადო ინტერესი ხშირად ერთი და იგივე არ არის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ არღუთაშვილმა ითავა თავის უბედური ხალხის შემწეობა. იმან განიზრახა იმპერატრიცა ეკატერინეს მფარველობა მოეპოვებინა დაჩაგრულ სომხის ერზე, მეორე მხრით, ეჩმიაძინის კათოლიკოსმა ლუკამ ასი ათასი მანეთი მიართვა აღა-მაჰმად-ხანს სამხედრო ხარჯად, როცა იგი საქართველოში შემოსევას ემზადებოდა იმ განზრახვით, რომ იბრაჰიმ ხანი და მეფე ერეკლე აეკლო. თვით სომხების მელიქები—მეჯნუნი და აპო—შეიქნენ აღა-მაჰმად-ხანის მოწინავე ჯარის წინამძღოლნი. აღა-მაჰმად-ხანი დიდი სიამოვნებით დაჰპირდა ყარაბაღის მელიქებს იბრაჰიმ ხანის მიერ დამორიჩლებულ ადგილ-მამულების დაბრუნებას და თვით საქართველოში სომხების გაბატონებას, აი, ამის გამო სომხების მელიქებმა საიდუმლო კავშირი დაიჭირეს მეფე ერეკლეს მდივანთან—თ. სულხან თუმანიშვილთან და იმის შვილ შოსთან, აგრეთვე იოსებ ყორღანიშვილთან, რომელიც იყო ირაკლი მეფის მემკვიდრის, გიორგის, შინა ოჯახის გამგე: „ამათ მეოხებით მეფეს განუყენეს გავლენიანი კაცები. (id)“ საქართველოში სამი დაფარული დასი იყო, მოგვითხრობს თ. ალ. ჯამბაკურიან-ორბელიანი,—წინააღმდეგი მეფის ირაკლისა: პირველი დასი—სომხებისა, რომლებთანაც სომხების არაჩნურთს (მასუკან ორქივატერი, ეჩმიაძინის პატრიარქი) იოსებ არღუთიანს შეერთება ქონდა რუსეთიდან. ამ სომხების დასმა ყოველი ამბავი საქართველოსი და სამეფოს სახლისა კარგად იცოდა, რომელთაც ყველგან ჩუმი აგენტები ჰყავდათ; თვითონ ხომ თავისით საქმობდენ და იმ მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის ირაკლის უკმაყოფილო დასსაც ძალიან ხელს უმართავდენ მეფე ირაკლის დალუპვაში... როდესაც მეფე ვახტანგი და ბატონიშვილი ბაქარ (მეფე ვახტანგის შვილი) რუსეთში გადაიცვალენ, მას უკან იმათ მოადგილედ არაჩნურთი იოსებ არღუთიანი იყო საქართველოს დასალუპად და დალუპა იმან იმ ზოგიერთი სომხებითა საფუძვლამდინ და სხვ. (იხ. წიგნაკი: „ალა-მამად ხანის შემოსევა თბილისში“). აი ასე მოქმედებდენ სომხები, ამას მოითხოვდა მათი წარმატება, მათი მერმისი. ეს მათ კარგად შეიგნეს და თვითონ ქართველობის დახმარებით ჩინებულადაც შეასრულეს. სომხებმა, ქართველი მთავრობის შემწეობით, საქართველოში ქონება შეიძინეს, და ბოლოს ამავე მთავრობის დასაცემად კაცებს იქრთამავდენ. სანამ საქართველოს თვით-არსებობა მათთვის სასარგებლო იყო, ისინიც მხარს უჭერდენ, როცა ეს მათთვის სასარგებლო აღარ იყო, ორმო გამოუთხარეს: ასეთია გზანი ისტორიისა! ყველა ერი მხოლოდ თავის ინტერესს იცავს და ვაი იმ ერს, რომელსაც თავისი ინტერესები ვერ შეუგნია!..

ასე თუ ისე საქართველომ შესწყვიტა თვით-არსებობა, მოიშალა პოლიტიკური ქარტიდან. დადგა მეცხრამეტე საუკუნე.

IV

ამ საუკუნეში შესწყდა მუდმივი ომიანობა და მხედრული მდგომარეობა.. ცხოვრებამ მშვიდი, წყნარი მიმდინარეობა მიიღო. ეს კი საუკეთესო სარბიელია ვაჭრობის და აღებ-მიცემობისათვის. სომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებს, ამ ნიადაგზე, უკვე გავარჯიშებულთ, სანატრელი დრო დაუდგა. ხალხი, ვაჭრობას, ანგარიშს შეუჩვეველი, წარმოადგენდა სასურველ ასპარეზს მათი მოქმედებისას. სხვისი ოფლით გამდიდრება ადვილი ხდება. მაგრამ ასეთ გარემოებამ რომ ნაყოფი გამოიღოს, აუცილებელია ერთი პირობა: ქვეყანაში ფულის მოთხოვნილება უნდა იყოს. რაც უნდა მოხერხებული ვაჭარი იყო, თუ კი შენ ხელობას ფართო ასპარეზი არა აქვს, სიმდიდრეს ვერ შეიძენ. გექნება ბლომათ პური, ღვინო, ხორცი, ყველი და სხ., ხოლო ფული კი არა. ეს ლითონი არ ტრიალებს იქ, სადაც მოქმედება არ არის და ციდან ხომ არ ჩამოგივარდება. სომხებს —განსაკუთრებით დიდ სოვდაგრებს—გასულ საუკუნეში მეტი ქონების შეძენა შეეძლოთ, ვინემ ამ საუკუნის პირველ ნახევარში. რატომ? იმიტომ რომ მათ საქმე ქონდათ მეფეებთან, სასახლეებთან, დიდებულებთან. აქ, რაც უნდა იყოს, ყოველთვის ფული ტრიალებდა, ესენი ფულს საჭიროებდენ. მოიგებდენ ომს და მტერთ ფულის ბეგარას დაადებდენ *), წააგებდენ და უნდა გადეხადათ. ამას გარდა, ისინი ყიდულობდენ უცხოეთიდან მოტანილ ძვირფას საქონელს და სხ. ამ საუკუნეში ყველა ეს მოისპო. ხალხი კი ფულს არ საჭიროებდა. ეს კრიზისია სომხობისათვის. ეს ხანა დიდად არ გაგრძელებულა. შრომის განვითარება, მისვლა-მოსვლა, სახელმწიფო მო-

*) შუშის ხანი ყოველ წლივ მეფე ერეკლეს აძლევდა 120 ათას მანეთს, ერევნის 200 ათასს მ., განჯის 50 ათას მ. (ჯანაშვილის „საქართველოს მოკლე ისტორია“ 470 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნილება, — ნელ-ნელა წინ წავიდა და გამრავლდა. მასთან ერთათ გზა გაიკვლია ფულმა. ამას თან მოყვა შესაფერი პოლიტიკური ცვლილება. ამას, ასე გაშინჯეთ, ლუარსაბ თათქირიძეც კი მიხვდა. ის ბატონ-ყმობის გაუქმებას მის--ძმას, დავითს, აბრალებს. ქირაზე დაჰყავს ურემი და მით წოდება დაამცირაო. ცხადია, ეს ქირა ფულს ნიშნავს, რისთვისაც პატივცემულ თავადს თავისი ხარ-ურმის გაგზავნა უკადრებია. მოისპო ბატონ-ყმობა, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფი, გაიმართა გზა-ტკეცილები, რკინის გზები, ევროპიულ პირობებში ჩავდექით, ახალ ეკონომიურ გზაზე ფეხი მოვიმაგრეთ.

მარა ნამდვილი თანამედროვე ევროპიული პირობები სასარგებლოა სომხებისათვის? პირველად გავიგოთ, რას ნიშნავს ვაჭრობაში ევროპიელობა. და მერე როგორ ვაჭრობს სომხობა.

ევროპიული ვაჭრობა ნიშნავს წესიერ, კანონიერ ვაჭრობას. მოტყუება, გაიძვერაობა აქ არ არსებობს. საქონელი ღირს ამდენი, გსურთ მიირთვით, გსურთ დასტოვეთ, გრძელი ლაპარაკი საჭირო არ არის. ვაჭარმა წინდაწინ იცის მთელი წლის განმავლობაში, დაახლოვებით, რამდენს გაჰყიდის, რამდენს მოიგებს. ცხოვრება განსაზღვრულ პირობებშია, აქედან ამოხტომა გასაჭირია. ყველას გარკვეული საცხოვრებელი წყარო აქვს. ფული ერთი ხელიდან მეორეში გადადის, მეორიდან მესამეში და ასე მუდამ. საიდან წარმოსდგა ასეთი წყობილება? სათავე ერთად ერთია: ცხოვრების დედა-ძარღვი მრეწველობაა. ეს კი შრომის განაწილებაზე არის აშენებული. არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს ისე, რომ მეორისაგან რამე არ იყიდოს. აქ ყველა მყიდველი და გამყიდველია. თვითონ ის, ვისაც არავითარი საკუთრება არ გააჩნია—პროლეტარი—რამეს მაინც ჰყიდის, ეს მისი ძალ-ღონეა, ამით ვაჭრობს. ასეთ პირობებში ფულის ტრიალი და, მაშასადამე, მოგებაც სწრაფია. ევროპის საშუალო ვაჭარი ერთ წელიწადს იმდენს გაჰყიდის, რამდენსაც ჩვენებური სოვდაგარი სამ-ოთხ წელიწადსაც ვერ გაასაღებს. ასეთი გარჩევაა ჩვენებურ და ევროპიულ ვაჭრობას შორის. ხოლო მოგების მადა კი ყოველგან ერთი და იგივეა. ეს ყოველგან ძლიერია. ამიტომ ჩვენებური ვაჭარი უკანონო მოქმედებით, ჩარჩობით ისრულებს იმას, რასაც კანონიერი ნიადაგი აკლებს. ამის გამო აქაური ვაჭრობა ჩარჩობა, მოტყუება, სიყალბეა. მთელი ერთი საათი სიცრუეს გეფიცება, ოღონდ კი ერთი გროში გამოგტყუოს.

თუ კი ასეა დღეს, რაღა უნდა ყოფილიყო წარსულში, როცა ხალხი სრულიად გულ-ალალი და უვიცი იყო. მართალია, აქ ვაჭრობის საბიელი ძლიერ ვიწროა, მაგრამ რაც არის, ის ერთიანად ჩარჩობაა. ასეთ არა სანატრელ სავაჭრო პირობებში ორი ხალხი გაიწრთვნა: ურიები და სომხები. ესენი იძულებული შეიქმნენ ვაჭრობით ეცხოვრათ; ხოლო რადგანაც წესიერი ვაჭრობით თავის რჩენა შეუძლებელი იყო, უწესო, უკანონო გზაზე უნდა დამდგარიყვენ. ამ გარემოებამ მათში აღზარდა განსაკუთრებითი თვისებები. როცა ევროპა აღებ-მიცემობის მოედანზე გამოვიდა, მას ურიები წინ გადაელობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესენი ძლიერი მეტოქენი შეიქმნენ. აი, ამ დროიდან იწყება ურიების დევნა და ათას-ნაირი ცილის წამება. ევროპიელ ქრისტიანებმა ისე გადააჭარბეს ევროპიელ ურიებს, რომ დღეს ეკონომიურად წინწაწეულ ქვეყნებში (ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი) არავითარი ურიათა წინააღმდეგ მოძრაობა აღარ არის. ურიათა სიძულვილი, ანტისემიტიზმი, ძლიერია უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში, და ისიც ისეთ პროვინციებში, სადაც სამეურნეო წარმოებაა (პრუსია, რუსეთი და სხვ.). ეკონომიურ განვითარებას ურიები ვერ უძლებენ, პირველობას ვერ ირჩენენ, რადგანაც ძველებური ხერხები გამოსადეგი აღარ არის. მათში ისტორიულათ აღორძინებული ჩარჩული თვისებები ისეთი ძლიერია, რომ მათ ბირჟაზე მოერეკება, უშრომოდ, შემთხვევით გავმდიდრდებიო. ევროპის ბირჟები ურიების ხელშია. მრეწველობიდან გამორეკილნი აქ აფარებენ თავს, ხოლო დიდი უმრავლესობა, წინათ წვრილნი ვაჭარნი, დღეს გაპროლეტარებულია.

სომხები?

სომხები ჩვენში გაძლიერებულია იმ ბაზრებში, სადაც ხალხი ეკონომიურად დაქვეითებულია და, მაშასადამე, ადვილი მოსატყუებელიც. მათი ბუდე აღმოსავლეთი საქართველოა. როცა სომეხს ფულის შეძენა სურს, ის მაშინ სოფელში მიდის, გლეხ-კაცს ოჯახში უჯდება და ნებით თუ უნებლიეთ სარჩოს ხელიდან აცლის. ის ფულს სოფელში შოულობს. მართალია აქაური ლითონი მას ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ სამაგიეროთ პური და ღვინო ბევრია, რის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიდვა შორეულ ბაზარზე შესაძლებელიაო. მეურნე, დაშორებული ბაზრიდან, დაშორებულია ფულიდანაც.. ის ჩარჩების ბრჭყალებში ვარდება. ამათი სახელი ლეგიონია. პატარა ქალაქების ვაჭრობა ერთიანათ სომხების ხელშია. თბილისშიაც ისინი ბატონობენ, რაც ინტელიგენტ სომხებს საბუთს აძლევს ევროპაში იდავონ, თფილისი სომხეთის დედაქალაქიაო. განავითარეთ ქართლ-კახეთი მისვლა-მოსვლით, მრეწველობით, აღებ-მიცემობით, განათლებით, და მაშინვე დაიკარგვის საჩარჩო ნიადაგი და მასთან ერთად ჩარჩი სომხობა. ცხადია, ჩვენი ეკონომიური განვითარება, სრული გაევროპიელება, სომხებისთვის მავნებელია, წესიერება მისი მტერია. ის მხოლოდ მღვრიე წყალში იჭერს თევზს და მით საზრდოობს. მისი ინტერესია,—ხალხი შუა გზაზე იყოს გაყინული, განვითარებული იმდენად, რომ ფული ეჭირვებოდეს, მაგრამ ისე, რომ თვითონ არ გაქალაქდეს, არ გაანგარიშიანდეს, არ განათლდეს და მით ჩარჩებითავიდან არ მოიშოროს. ერთი სიტყვით ვაჭარი სომხების ცხოვრების წყაროა mediocrité en tout.

მეტყვიან: როცა ვაჭრობა ევროპიულ ხასიათს მიიღებს, სომხებიც წესიერად ივაჭრებენ და ეს მათთვისაც სასარგებლო იქნებაო. ამის გადაჭრა დამოკიდებულია შემდეგი კითხვის გარჩევისაგან: ევროპიულ პირობებში სომხობა შეირჩენს კი პირველობას? ევროპიელების დედა-ძარღვი მრეწველობა, შრომის განვითარებაა. აბა, რა მრეწველობა ააღორძინეს ჩვენში სომხებმა? განა განავითარეს ან ავითარებენ ერის შრომას? ეს ხომ პირდაპირ მათ მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებდა ბოლოს: მოისპობოდა საჩარჩო ნიადაგი ერთი მხრით, და დღევანდელი წვრილი ვაჭრები მუშათა რაზმში გადავიდოდა—მეორე მხრით. ეს კი მათთვის სასარგებლოა? სომხები რომ მარტო მოქმედებდენ. მაშინ, რასაკვირველია, ბურთი და მოედანიც მათ დარჩებოდა. მაგრამ მათ გვერდში ამოუდგენ ქართველები და ძლიერ მეტოქეობას უწევენ. დასავლეთი საქართველო უფრო წინ წაწეულია ეკონომიურად, ვინემ აღმოსავლეთი, იქ მეტი რკინის-გზებია, მეტი წარმოებაა, ნავთ-სადგურები ზედ აკრავს, ევროპა ახლოა და სხვ. ამისათვის ხალხიც უფრო გაქალაქებული, გაწვრთნილი, გაანგარიშიანებულია. სომხებს, როგორც დიდი-ხნის ვაჭრებს, აქ ფეხი უნდა მოედგათ: აქ ხომ უფრო ვრცელი სამოქმედო სარბიელია, ვინემ ტეტიათა შორის. მაგრამ სწორედ იქ, სადაც მეტი ევროპიელობაა, ნაკლები სომხობაა. ბათომში თუმცა პირველად ჩავიდენ, მიუხედავად ამისა, დღეს ქართველობა სჭარბობს. სინათლეში ქართველებს ველარ უძლებენ.

ამ ჟამად ჩვენში სომხობას და ქართველობას შორის სასტიკი ბრძოლაა. ამაზე ლაპარაკი არ უყვართ, ორ „მეზობელ ხალხს ერთმანეთს ნუ გადავკიდებთო“. ძველებურ წესზე დგანან! რომ ეს „გადაკიდება“ ჩემგან იყოს დამოკიდებული, ამ სტრიქონებს სრულებით არ დავწერდი. სამწუხაროდ, ეს „გადაკიდება“ შემთხვევითი და წარმავალი არ არის. მისი ფესვები ღრმად ჩაჭედილია ცხოვრებაში. ცხოვრების წინწაწევამ წარმოშობა ეს ბრძოლა, ეკონომიური წინააღმდეგობა, და ვინც ამბობს: ამას ნუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავამხელთ, ნუ ვიტყვითო, გამოდის მხოლოთ უვიცობის და შეუგნებლობის მოციქულად. ჩვენ კი მუდამ იმ აზრის ვართ, რომ თავის თავს სიმართლე ვუთხრათ. გვეყოფა ისიც, რასაც სხვები გვატყუებენ, თავის თავს მაინც ნულარ მოვატყუებთ.

საიდან მოდის ეს ბრძოლა?

ქართველობა ევროპის გზაზე გამოვიდა, მან ხელი მოჰკიდა ყველა იმ საქმეს, რასაც კი ევროპიელნი მისდევენ. აქ პირველი ალაგი უჭირავს აღებ-მიცემობას, წარმოებას. მაგრამ მას ამ გზაზე უკვე გამოსული სომხობა წინ გადაეღობა და, აი, აქ ისინი მოხვდენ ერთმანეთს. ყოველი ნაბიჯი ქართველობის მიერ წინ გადადგმული, ნიშნავს ნაბიჯს მის მეტოქეთა მიერ უკან გადადგმულს. ასეთ ბრძოლაში და გამარჯვებაშია ჩვენი კულტურული ზრდა, ჩვენი ეროვნული განვითარება. როგორც ზევით ვთქვით, სომხობა მარცხდება იქ, სადაც ქართველობა ევროპიელდება: ცხადია, ჩქარი წარმატება, გაევროპიელება პირდაპირ ჩვენ ინტერესს შეადგენს. ყოველივე ის, რაც ავითარებს შრომას, აადვილებს მისვლა-მოსვლას, აქალაქებს და ანათლებს ხალხს,-წარმოადგენს ბასრ იარაღს, რითაც უნდა ბოლო მოეღოს ხალხის კისერზე მჯდომთ, მისი სისხლის მწოვთ...

რატომ ქართველს ასე ეხერხება ევროპიული წესით ბრძოლა? იმიტომ, რომ ის სწორეთ მაშინ გამოვიდა საბრძოლველათ, როცა სხვა წესები ალაპ მოიპოვებიან. სომხები ისტორიულად ალიზარდენ სხვა პირობებში, შეისისხლხორცეს სხვა წესები, ამისათვის დღეს ეძნელებათ ძველის დატოვება და ახალის შეთვისება. ეს მით უფრო უჭირთ, რომ მეტოქენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოუჩდენ, და დროს არ აძლევენ ასეთ გარდაქმნისათვის. ქართველობას კი აღარ შეუძლია სხვანაირად აღჭურვა, თუ არა ევროპიულად. თუ ამ გზას ხანდახან სცილდება, ეს იმიტომ რომ ახალი გამოსულია და ფეხი გამაგრებული არ აქვს.

აი, როცა პირობები შესრულებულ იქმნებიან, მაშინ სომხობა ქართველობისათვის აღარავითარ ტვირთს არ წარმოადგენს და მათ შორის ბრძოლაც მოისპობა. სომხობის დიდი ნაწილი გაპროლეტარდება და ძალა-უნებურად გვერდში ამოუდგება ქართველ მუშას, და თუ დღეს სომხობა იბრძვის კაპიტალისათვის წინააღმდეგ შრომისა, მაშინ ეს პირს იბრუნებს და გაღარიბებული ნაწილი ომს გამოუცხადებს მის პირვანდელ ღმერთს—კაპიტალს. როცა ეს ასე მოხდება, მაშინ ძირიანათ შეიცვლება ჩვენი ეკონომიური და მოქალაქობრივი წყობილება და მასთან ერთად ჩვენი სომხებთან დამოკიდებულება*).

V

ევროპიელები. თუ საქართველოს სრული გაევროპიელება სომხობის ინტერესი არ არის, თვითონ ევროპიელთათვის კი ძალიან სასურველია. ესე-

*) აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: როცა ჩვენ აქ სომხობაზე ბაასი გვაქვს, სრულიად სახეში არ გვყავს მისი ინტელიგენცია და მით უფრო ოსმალეთის სომხობა, რომლის განმათავისუფლებელ მოძრაობას მთელი ჩვენი სიმპატია ეკუთვნის. მეორედ, როცა ვამბობთ, ქართველს გაევროპიელება ეხერხება-თქო, ეს არ ნიშნავს, რომ ის უკვე გაევროპიელდა; ჩვენ ვუჩვენებთ მხოლოდ ტენდენციას, მიდრეკილებას, და არა დასრულებულ პროცესს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ჩვენ პირდაპირ ევროპასთან გვაახლოვებენ. ეს თვალსაჩინოა არა თუ დღეს, არამედ ისტორიულ წარსულშიაც. გასულ საუკუნოებში ევროპიელნი ჩამოდიან ქვეყნის გასაცნობად, ასაწერად, აზრების გასავრცელებლად (პატრები) და სხვ. იმ დროის უგზო-უკვლოობაში ასეთ მიმოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეფეები და კარის-კაცები თუ რამეს ტყობილობდენ ევროპის შესახებ, ამისი მიზეზი ევროპიელი მოგზაურები იყვნენ. ესენი უამბობდენ ევროპის ამბებს. ასეთი ცნობა, პირადი გადაცემა, ერთად-ერთი საუკეთესო საშვალება იყო. გაზეთები, ფოსტა, ტელეგრაფი, რკინის-გზები, მაშინ ხომ არ ყოფილა, რომ ყოველივე დაუყოვნებლივ გაეგოთ. ირაკლი მეორემ „ევროპისა არა იცოდა-რა, მხოლოდ იმის მეტი, რომ ხანდახან პატრები იახლებოდენ და ისინი უამბობდენ ევროპის ამბებს, ან ოდესმე ევროპის მოგზაური მოვიდოდა," (იხ. ზემოდ დასახელებული წიგნაკი). თუ ასე იყო მეთვრამეტე საუკუნის გასულს, რაღა უნდა ყოფილიყო წინა ხანებში! ევროპიელთა ზე-გავლენას უნდა მიეწეროს, რომ მეფენი ევროპისაკენ ილტვოდენ, დახმარებას და მფარველობას აქ ეძებდენ. ამის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს საბა სულხან ორბელიანის ევროპაში გამგზავრება და იქ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ რომის პაპთან და ზოგ გვირგვინოსანთან მოლაპარაკება. ამ გვარი მიმდინარეობის შედეგია ისიც, რომ ევროპიელნი ცდილობდენ ქართული ენის, ზნე-ჩვეულების შესწავლას. ერთი სიტყვით, ქართული მწიგნობრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთვის საინტერესო გახდა. ქართულ წიგნებს იძენენ და ინახავენ სხვა და სხვა წიგნთ-საცავებში (რომში, პარიჟში და სხვ.). ვინ შეადგინა პირველათ საქართველოს ისტორია? იმავე ევროპიელმა (ბროსემ), რომლის მეოხებით ევროპის მწიგნობარ ხალხს საქართველოს ისტორიის გაცნობის საშუალება მიეცა.

ევროპიელთ ჩვენში მოგზაურობისათვის ძალას ატანდა მხოლოდ ცნობის-მოყვარეობა, ახალის ნახვა და გაგება, სარწმუნოებითი გატაცება, და არა ანგარება, სიმდიდრის შეძენა და ხალხის გაყვლეფა. ფულის საშოვარი პირობები არ ყოფილა და მოგზაურნი ხომ ვერ გადაქმნიდენ ჩვენ ცხოვრებას. საჭირო ნიადაგი მომზადდა მაშინ, როცა ხალხში ფულის მოთხოვნილება გაძლიერდა და ძველი კარჩაკეტილი ურთიერთობა დაილეწა. ამ პროცესში ჩვენ დღეს ვცხოვრობთ. მართალია, ევროპის გზას დავადექით, მაგრამ სრული გაევროპიელებისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ, ერთ კიდეს კი მოვცილდით, მაგრამ მეორეს ჯერ კიდევ ვერ მივადექით. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ განვვითარდით, მაგრამ საკმაოდ ვერ განვვითარდით. ასე შუა გზაზე გაჩერება სასარგებლოა, როგორც ზევით ვთქვით, სომხობისათვის, საზოგადოდ ჩარჩულ ვაჭრობისათვის, ხოლო ევროპიელთა ანგარიშში კი არ შედის. ევროპიელი ფულს იგებს წესიერად, თანახმად ყოველივე ეკონომიური კანონებისა. ის ამნაირ გარემოებაშია აღზრდილი, ასეთი იდეები აქვს შეთვისებული. ის ჩვენში არ წამოვა იმიტომ, რომ აქ სოფელში სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილმანო დუქანი გახსნას, გოგიას და პეტრიელას ნაცარში ჩაუჯდეს და ორი გროშის გამოტყუებისათვის ლირლიტი დაუწყოს. ის თუ მოდის, მოდის დიდი ფულით, სურს გააპოს მთა-გორი, არ დატოვოს გაუშინჯავი ქვესკნელი, უნახავი ტყე-ველი, რომ რაც კი რამე სიმდიდრეა ადამიანთა ხელში გაატაროს და მით ფულს ფული მოაგებიოს. ის ისე ვერ დადგება, თუ დიდი საქმე არ აწარმოვა, ბევრი ფული არ დააბანდა, მუშა-ხალხი არ დაიქირავა, სოფელი, ქალაქი. ქვეყანა არ შეძრა. ევროპიელი ძველებურ წყობილებაში ვერ გაძლებს, ვერ დაეტევა. აქ მას არ ყოფნის ჰაერი სასუნთქავად, სივრცე გასანძრევად, დრო საცხოვრებლად. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ხალხს ის უწოდებს ზარმაცს *), სიცოცხლე მოკლებულს. ადამიანი, რომელიც თავის სოროდან არ გამოდის, კერიას არ სცილდება, მისთვის მკვდარია; ის ელტვის ყველაფერი გააქანოს, ყველაფერს ხელი შეახოს, მთა მთას შეატაკოს, ხალხი ხალხში ათქვიფოს, დრო, გზა შეამოკლოს; ერთი სიტყვით, ქვეყანა თავის სახისამებრ გადაქმნას. სადაც კი

*) „კელნის გაზეთის" („Kolnische Zeitun) დეკემბრის ნომერში საქართველოდან ერთი მოგზაურის კორესპონდენციები დაიბეჭდა. ერთ ალაგას სხვათა შორის ამბობს: ქართველები ისე ზარმაცებია, რომ სომხების ბატონობისაგან თავი ველარ დაულწევიათო, მხოლოთ ქალებს გვიქებს: პატარებია, მარა გასაგიჟებელი ლამაზებიაო. En passant ევროპაში თუ ვინმე გვიცნობს, მხოლოთ იმით, რომ საქართველოში ლამაზი ქალებიაო. ცხადია, ჩვენმა დედაკაცებმა ევროპის წინაშე ეუფრო მეტი სამსახური გაგვიწიეს, ვინემ მამაკაცებმა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპიელი ფეხს ჩააბიჯებს, იქ ყოველი ძველი ინ-
გრევა, მანამდი წმინდათ მიჩნეული ისპობა, ველა-
რაფერი ზეზე ვერ დგება. ვაი იმ ხალხს, რომელიც
უმოწყალო დაქცევაში თვითონ არ იღებს მონაწი-
ლეობას, თავისი ხელითვე არ არღვევს ძველ პი-
რობებს და მათ მაგიერ ახალს არ აშენებს! მას
უთუოდ გადაშენება მოელის. ასეთი ბედი ხვდა
ყველა უკულტურო ხალხს, რომელიც ევროპიელ-
თა მიახლოვებისთანავე ქვეყნიდან აღიგავა. რატომ?
იმიტომ რომ თავის ცხოვრების გადასხვაფერებისათ-
ვის, გაევროპიელებისათვის, თვითონ ვერ დარჩა
მომზადებული და დამნგრევ-ამშენებლის როლი ევ-
როპიელმა იტვირთა. სადაც კი ასე ხდება, იქ ად-
გილობრივი მკვიდრი დედამიწიდან ქრება.

ჩვენ, ქართველებს, რომლებმაც ერთი ევრო-
პიული ხანა—ფეოდალური, უკვე გავიარეთ, ევრო-
პა ვერას დაგვაკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის,
პირიქით, ის არის სისხლი—სისხლთაგანი ჩვენი და
ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენითვე ვევრო-
პიელდებით და მაშასადამე, მის გვერდით, მასთან
შეკავშირებით ჩვენითვე უნდა ვიცხოვროთ. ქარ-
თველობამ თვითონვე უნდა განვითაროს ძალა,
აღიძრას ენერგია, გაანაყოფიეროს შრომა. თვით-
მოქმედება, თვით-მოძრაობა, თვით-ასზოვნება—აი,
რა უნდა ეწეროს მის დროშაზე. ყველა ის, რაც
ამ გზაზე გვაბრკოლებს, ძიძაობას გვიწევს, ასპა-
რეზს გვივიწროებს, გვაძინებს, გვაზარმაცებს—აი,
ეს ჩვენი პირდაპირი მტერია, მომავლის ორმოს
ამომთხრელია. მას სურს ამ ორმოში ჩვენი ჩაყრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შემდეგ თავისუფლათ იპარპაშოს. აი, აქ სიფრთხილე, prenes garde!

ევროპიელები ჩვენში ასეთ როლს არ თამაშობენ. ისინი სცვლიან ეკონომიურ წყობილებას, ავითარებენ ეროვნულ შრომას, გააქვთ ნაწარმოები მსოფლიო ბაზარზე და მით გვაკავშირებენ მსოფლიოსთან. მათი ინტერესია საქართველო ერთიანად დასერილი იყოს გზა-ტკეცილებით, რკინის-გზებით, ტელეგრაფის მავთულებით; იყოს ხალხი გაქალაქებული, გაზრდილი, განათლებული, მწერლობა აყვავებული, ახალი იურიდიული ურთიერთობა განმტკიცებული და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, მათ ენატრებათ ევროპა საქართველოში. მხოლოთ ასეთ ნიადაგზე ეადვილებათ შრომა და თავის მიზნის განხორციელება.

რუსები. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსებს შეუერთდა, ცხადია, ჩვენში რუსის ელემენტი უნდა გაძლიერებულიყო. რუსული მართვა-გამგეობის, კანონის და წესების დასამყარებლად საჭირო იყვნენ ახალი კაცები, ახალი მმართველები. საიდან უნდა მოსულიყვნენ ისინი? რასაკვირველია იქიდან, საიდანაც ახალი წესები მოდიოდა. ამაების ადგილობრივ მცხოვრებთათვის ჩაბარება ნიშნავს ადგილობრივი ელემენტის გაღონიერებას, ადგილობრივი ენის, ზნე-ჩვეულების და ხასიათის გაგანიერება-განმტკიცებას. როგორც ხედავთ, ეს ორი სხვა და სხვა ერთი-მეორის წინააღმდეგი მოძღინარეობაა... მაგრამ სანამ საქართველო-რუსეთს შორის მისვლა-მოსვლა შეფერხებული იყო, მანამდი ძალა-უნებურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებით უნდა დაკმაყოფილებულიყვენ. ეს მით უფრო, რომ მაღალი თავად-აზნაურობა, რომელმაც საქართველო რუსეთს ჩააბარა და დაუმორჩილა, ძლიერ სანდო და ერთგული უნდა ყოფილიყო. ამიტომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში ის შეიქმნა მიწვეული ახალი წყობილების ცხოვრებაში გასატარებლად. ასე გასინჯეთ მთავარ-მართებელს თ. ციციანოვსაც გაჭირების დროს თავი ქართველად მოაქვს, რომ მოწინააღმდეგენი დაარწმუნოს, ვითომც ის საქართველოს ინტერესს იცავს (იხ. ბ. ფრონელის ზემოდ დასახელებულ წერილებში). მდივან-ბეგები, ბოქაულები, ნაცვალ-მამასახლისები, მაიორები, ღენერლები და სხვა საპატიო მოხელენი ქართველი თავად-აზნაურია. ესენი ამშვიდებენ აჯანყებულთ, იჭერენ მეფის ჩამომავალთ, მიჰყავთ რუსის ჯარი მიუვალ ადგილას, უმაღლეს მთავრობას ატყობინებენ საიდუმლო ამბებს, დაფარულ სიმაგრეებს და სხვ. სამაგიეროდ ჩინს, ჯამაგირს და წარჩინებას ღებულობენ. მოხელე, ჩინოვნიკი, რაც წინად ჩვენში სრულებით უცნობი იყო, სანატრელ თანამდებობად გახდა. ერთი სიტყვით, თავად-აზნაურობა მოკლე დროში კინაღამ გადაიქცა იმათ, რათაც საუკუნოებმა რუსეთის აზნაურობა გადააქცია—Служилое сословіе (მოსამსახურე წოდებად). ასეთი სანეტარო დრო დიდხანს არ გაგრძელებულა. მესამოცე წლების შემდეგ მოხელეობისათვის საჭირო შეიქნა სწავლაც. თავად-აზნაურობა სკოლებს მიაწყდა, მაგრამ კარები დახურული დახვდა, შენზე უფრო მომზადებულები სხედან შიგნ. ქართველს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჭირს ეგზამენის დაჭერა, იმიტომ კი არა, რომ უნიჭოა, არამედ იმიტომ რომ რუსული ენა ზედმიწევნით არ იცის, ე. ი. რუსი არ არის. აქედან იწყება რუსის მოხელეთა გამრავლება და ქართველების შემცირება. რაც წინ წავალთ, ეს უფრო და უფრო გაძლიერდება, და ქართველს თან და თან აგრძნობიებს—მისი ასპარეზი მოქალაქობრივი ნიადაგია და არა მუდამ სხვის კარზე მათხოვრობაო.

ეკონომიურ ასპარეზზე ჩვენში რუსები სუსტია. ისინი მეტოქეობას ვერ უწევენ ვერც სომხებს, ვერც ევროპიელთ და ვერც ქართველთ. ეს ასეც უნდა იყოს. რუსეთი ამ მხრივ ჩვენსავით ჩამორჩენილია. იქ არ ტრიალებს იმდენი კაპიტალი, რომ ადგილობრივად დაბანდება შეუძლებელი იყოს და საქართველოში წამოვიდეს. ევროპიელი ჩვენში მოდის იმიტომ, რომ ევროპაში დიდი ფული ტრიალებს, საქმე კი იმდენი არ არის; ამისათვის ის გადააქვთ ქვეყნის ყოველ კუთხეში და ყოველ ერში. რუსეთს კი ეს არ შეუძლია. როცა ის ისე გაღონიერდება, რომ საქართველოს თავის კაპიტალს მოაწვდის, მაშინ ქართველობაც იმავე ფეხზე იქნება დამდგარი და რუსეთის კაპიტალს თავის კაპიტალს დაუპირდაპირებს. ჩვენში თუ რასმე აკეთებს ეკონომიურ ნიადაგზე, რუსეთის კერძო თანასნობა კი არა, არამედ თვითონ მთავრობა. ის სტრატეგიული მიზნით რკინის გზებს ხსნის, რის მეოხებით ვითარდება ხალხის მეურნეობა, ირღვევა ძველი ურთიერთობა და იქნება ახალი ქართველობა, ახალი მოთხოვნილობით, ახალი მოქმედებით და იდეებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსები ეტანებიან უფრო მიწა-ადგილის შეძენას. ამის მიზეზი ორია: ერთი ის, რომ სურთ თავიანთი ელემენტი მკვიდრ ნიადაგზე დააყენონ, ხოლო მეორე წმინდა ეკონომიური ხასიათისაა. ეკონომიურად უკან-ჩამორჩენა, სხვათა შორის, იმასაც ნიშნავს, რომ კერძო თაოსნობა, გამბედაობა, „რისკი“ მიმჭრალი, მილეულია. ფულის პატრონს შიშით ხელი უჭაგძაგებს, დღე და ღამე არ სძინავს, ფული არ დამეკარგოსო. ის უფრთხის წარმოებაში, აღებ-მიცემობაში მონაწილეობის მიღებას, ეს საქმე მას საეჭვოდ მიაჩნია. თუნდ დარწმუნებულიც იყოს მოვიგებო, მაინც შორს გაურბის, ბევრი ფიქრი და დავიდარაბა დაჰჭირდებაო. ევროპიელი ასში მხოლოდ ათს ანგარიშობს მოსაგებად, ოთხმოცდა ათს „რისკზე“ გადადის, ან მოვიგებ, ან წავაგებო. ის ამაშია აღზრდილი, ასეთი ენერგიით სულდგმულობს. რუსი (აგრედვე ქართველი) ყოველ ფეხის გადადგმაზე კანკალობს, ვაი თუ ვერ ჩავდივარ კარგადო. ამიტომ ის ეძებს თავის ფულისათვის სანდო, მაგარ ბინას. რა წარმოადგენს ასეთ ბინას, თუ არა მიწა-ადგილი. მიწის გაქრობა, ან დაფუშვა ხომ არ შეიძლება და მაშასადამე იქ შეტანილი ფული იქნება და იქნება უკუნისამდე. ევროპიელი ფულის პატრონი მიწის შეძენას არ ეტანება, ეს მას ხელსაყრელად არ მიაჩნია, რაიცა აშკარაა იქიდან, რომ ყველა მემამულე ყელამდი ვალშია. ჩვენებური კი, პირიქით მრეწველობას არ ეტანება, სასარგებლოდ არ მიაჩნია, თუმცა ვალის გემო მიწის პატრონსაც კაი ხანია გაგებული აქვს. უკან ჩამორჩენილ ქვეყანაში შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა, ენერგია განუვითარებელია და, მაშასადამე, კაპიტალი, გამბედაობა, საწარმოვო მიდრეკილება სუსტია. ასეთ პირობებშია რუსეთიც. აქედან ჩვენ საწარმოვო თანხა ვერ მოგვივა, ხოლო ის რუსები, რომელნიც ჩვენში ჯამაგირით თუ „მოსე მწერლობით“ ფულს შოულობენ, წარმოების ეშინიათ და ისევ უძრავ ქონებას ეტანებიან... ამ კითხვის შესახებ მეტს ველარას ვიტყვით...

ამ ნაირად, ჩვენ გავარჩიეთ სამი უცხო ტომის ეკონომიური მოღვაწეობა და აღმოჩნდა შემდეგი: სომხები წარმოადგენენ მოვაჭრეს, საჩარჩო კაპიტალს. ფული ფულს იგებს არა წარმოებით, საქმეში დაბანდებით, არამედ ვექსილის ქალალდით, „ნეუსტოიკით“, მოტყუებით, კანონიერი უკანონობით; ამისთვის მათი მოქმედება კონსერვატიულია. ევროპიელნი მრეწველობას მისდევენ, ვაჭრობაში პატიოსნება შეაქვთ, ქვეყანა ევროპიულ გზაზე გამოყავთ და მით პროგრესიულ როლს თამაშობენ. რუსები კი ორივეს შუაშია. ის არც ჩარჩია, არც მრეწველი, არც მდიდარია, არც ღარიბი, მიილტვის უფრო უძრავ ქონების შეძენისაკენ, საზოგადოდ, მოხელე, ჩინოვნიკია.

VI

როგორც ზევით დავინახეთ, დღეს ქართველობა კარჩაკეტილ განთვითებულ მდგომარეობაში ალარ იმყოფება. მის გვერდით, მასთან ერთად მოქმედობს სხვა-და-სხვა ტომის ხალხი, ის შეერთებულია მისვლა-მოსვლით, ფოსტა-ტელეგრაფით დანარჩენ ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანასთან. ეს მიდრეკილება თან-და-თან ვითარდება და ძლიერდება. მას აერთებენ რკინის გზით სამხრეთთან, ჩრდილოეთთან, აღმოსავლეთთან და სხვ. ერთი სიტყვით, საქართველო გადაიქცევა ისეთ კუნძულათ, რომლის ყველა ნაპირები ადვილი მისადგომია. თუ კი ერთხელ კავკასია ხალხთა სავალი გზა ყოფილა, დღეს ის ხალხთა სამოქმედო სარბიელად ხდება, რუსეთიდან, სპარსეთიდან, სათათრეთიდან ჩვენს ქვეყანას მოაწყდება აუარებელი მუშა ხალხი, ხოლო ევროპიდან კაპიტალისტები. ამნაირი მიმდინარეობა დღესვე არის, ხოლო მისი გამძლავრება დამოკიდებულია მისვლა—მოსვლის გაადვილების და წარმოების გაფართოვებისაგან. ჩვენ ამ ორივე გზაზე შევდექით. ცხოვრების ორივე მხარე ერთად წინ მიდის. განვითარება შიგნით და გარეთ წარმოების და აღებ-მიცემობის, განვითარება შიგნით და გარეთ მიმოსვლის და ერთმანეთთან დაახლოების—ასეთია ჩვენი გზა, ასეთია ის პირობები, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით და ვმოძრაობთ. განა ამგვარ მდგომარეობაში ვიყავით ამ 20—25 წლის წინათ? მართალია, ამის საძირკველი მაშინ ჩაიყარა, მაგრამ მისი განმტკიცების და ზედ კედლების აშენების პირობები დაიბადენ შემდეგ, უკანასკნელ 10—15 წელში. მესამოცე წლებში შესაძლებელი იყო ეროვნული მოძრაობა ქართული ენის დაცვაში გამოსულიყო, მაგრამ დღესაც აქ გაჩერება, ამ ერთ წერტილზე გაყინვა განა არ ნიშნავს უკან ჩამორჩენას, უაზრობას, უშინაარსობას? მეტყვით: ეგ დღესაც საჭიროა. სრული ჭეშმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტებაა, ეს საჭირო იქნება მანამდის, სანამ მისი მომავლინებელი არ მოგვშორდება. მაშ, იმ დრომდი მხოლოდ ერთი-და იგივე ვიმეოროთ, ერთი-და იგივე ვიძახოთ? სად არის წინ-სვლა, აზროვნების შემუშავება, ცხოვრების გარკვევა? განა-აზრი, მწერლობა, აო უნდა იყოს თანამედროვე სინამდვილის გამომხატველი? აქ და მხოლოდ აქ არ უნდა ეძებდეს წყაროს სიცოცხლისას და ძლიერებისას? ის, რასაც ყველა ჩვენგანი გულში გრძნობს და პირადად ამბობს, ნახევარი საუკუნის წინ მოხდა, ამ დროს შემოიხაზა ის საერთო ფარგალი, რომელშიაც ვტრიალებთ. ეს ფარგალი იმდენად საგრძნობია შიგნით მყოფთათვის, რამდენად ესენი ერთმანეთს მოხვდებიან. მათი ინტერესი ერთმანეთს შეეჯახება. ხოლო ეს დამოკიდებულია ცხოვრების წარმატებაზე. მაშასადამე, აქ არის ორი საგანი: ერთი უძრავი, ერთ ალაგას გაჩერებული, მეორე მოძრავი და წინ მიმავალი. თუ დღეს პირველი საგრძნობელია—ეს იმიტომ, რომ მეორე (ე. ი. ჩვენვე) გაიზარდა, გადიდდა და გუშინდელ აკვანში ველარ ეტევა. ამ ზრდის ერთი ხანა მესამოცე წლებია, მეორე კი დღევანდელი ცხოვრებაა. ეს ორი ხანა ისე განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც შვიდი წლის ბავშვი თოთხმეტისაგან. მართალია, ბავშვი თოთხმეტის ვერ გახდებოდა ისე, რომ ჯერ შვიდის არ გამხდარიყო, მაგრამ ვინ იტყვის ორივე ერთი-და იგივეაო? 95 წელიწადი ვერ იქნებოდა ისე, რომ ჯერ 60 წელიწადი არ ყოფილიყო, მარა ვინ იტყვის ორივე ერთნაირიაო?

იმდენად, რამდენად ზევით გავარკვიეთ და ქვევითაც გავარკვევთ, დღევანდელი ხანა პირდაპირი უარის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფაა გავლილი ხანის. დღეს ქართველობას გაცილებით უფრო რთული და სრულიად ახალი საისტორიო კითხვა აქვს გადასაჭრელი. ერი უკან ჩამორჩენილი გადაეშვა ახალ მორევში, შესტოპა ახალ ტალღებში, მარტო კი არა, სხვა უფრო მომზადებულ ერებთან ერთად. მათი ნავი მუდამ ერთმანეთს ეჯახება. რანაირად შეიძლება, სუსტი მენავის ამ ბრძოლაში გადარჩენა? საიდან უნდა მოიკრიფოს იმდენი ძალა, რომ მან აღელვებული ზვირთები გადალახოს და მეორე ნაპირს მშვიდობით მიადგეს? აი აქ არის მთელი კითხვა. ჩვენი კულტურული წარმატება ამის ახსნას მოითხოვს.

როგორც არა ერთხელ მოვიხსენეთ, ის რამაც ჩვენ წინ წაგვწია, ახალი მოქმედებისაკენ გაგვაქანა, ყოფნის თუ არ ყოფნის კითხვა დაგვისვა,—არის ეკონომიური ურთი-ერთობა. ამასთან მჭიდროდ შეკავშირებულია ყველა დანარჩენი მხარეები: ლიტერატურული, იურიდიული, პოლიტიკური, ეროვნული და სხვ. მაგრამ არის განვითარება და განვითარებაც. განვითარება იქნება ისიც, რომ მთელი ქართველობის ქონებას და გონებას ვილაც გადამთიელი დაეპატრონოს, და ისიც, როცა ქართველობა საქართველოში ყოველ სარბიელზე ბატონობდეს. სად არის ის ძალა, რომელიც ჩვენ ამ მეორე გზისაკენ ხელს წაგვკრავს? საიდან მოგროვდება ის შეუდრეკელი მხნეობა, რომელიც დაამარცხებს უცხოტომთა მეტოქეობას და უმაღლეს საფეხურზე აგვიყვანს? უცხოეთიდან მოგვევლინება? სხვისი მიწის შვილი იქნება? არა, ელექტრონის ძალა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გარს შემოგვხვევია და უბრალო შეჩებისთანავე დამწველ ნაპერწკალს გასცემს, ჩვენშივე უნდა მოგროვდეს, ჩვენვე უნდა შევიმუშავოთ და თავი მოვუყაროთ იმ საერთო აუზში, რომელსაც ეწოდება ქართველობა, და რომლის თითოეული მართული თითოეული ქართველია. ამ მართულების შემაერთებელი ძირი ცხოვრებაა, ხოლო მათი ბოლო ეროვნობა, ეროვნული ძალაა. შეახეთ ხელი უკანასკნელს და მაშინვე გადაეცემა პირველს, შეახეთ ხელი პირველს და ერთნაირად აბობოქრდება უკანასკნელი. პირველი დაუშრეტელი შადრევანია, საიდანაც ჰაერში სცემს ანკარა წყალი. დააჭირეთ ხელი შადრევანს მაღლიდან და უეჭველათ შეჩერდება წყლის მსვლელობა. მაგრამ რამდენსამე ხნის შემდეგ შენით თუ არ მოშორდი, ის ახალ მოკრეფილი ძალ-ღონით ჰაერში გისვრის. მოშალეთ თვითონ შადრევანი და ყოველივე გათავდა, აღარ არის წყლის სროლა, აღარც მისი ძლიერება. და, აი, სწორეთ ამნაირი შადრევანია ცოხოვრება, სამოქმედო ასპარეზი, და მისი განმტკიცება, გაგანიერება უმაღლესი ისტორიული დანიშნულებაა. მხოლოდ აქ არის ის ნიადაგი, რომელზედაც მაგრდება თითოეული ერი და შედის საკაცობრიო ცხოვრებაში.

კიდევ ვიკითხოთ: რანაირად უნდა მოგროვდეს ჩვენ ერში ასეთი ძალა? რა დულილს ემორჩილება იგი? როგორ სწარმოებს ეს პროცესი?

VII

ერთი უდიდესი კანონი, რომელიც კი ოდესმე აღმოუჩენიათ არის შემდეგი: საზოგადოების წინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკლა, ცხოვრების განვითარება დამოკიდებულია საზოგადოების განხეთქილების აღორძინების და განვითარებისაგან (მარქსი). მას აქეთ რაც ხალხის ნაწილთა შორის შრომა დაიყო, ერთმა იკისრა მიწის შემუშავება, მეორემ მტერთან ბრძოლა, მესამემ ხელოსნობა და ვაჭრობა და სხ., მუდმივი შინაგანი ბრძოლის, ინტერესთა შეტაკების და ერთი მეორის დამარცხების საძირკველი ჩაიყარა. თითოეულ ამ ნაწილს, ანუ კლასს, სურს ყველა დანარჩენი დაიქვემდებაროს და თვითონ გაბატონდეს. ეს მისი ლტოლვილების დედა-ბოძია, ეს მისი მოქმედების ჩარხია *) ბრძოლა ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათისაა. ის კლასი, რომელიც ამ ორ ნიადაგზე გამაგრებულია, გამაგრებულია ყველა დანარჩენ ნიადაგზე. ის დგას ერის ცხოვრების სათავეში, ის არის ოფიციალური წარმომადგენელი

*) განხეთქილება სწარმოებს არა მარტო კლასთა შორის, არამედ თითონ კლასშიაც. აზნაური აზნაურს ებრძვის, გლეხი გლეხს, კაპიტალისტი კაპიტალისტს, მუშა მუშას. ეს წარმოსდგება იქიდან, რომ აოსებობენ საზოგადოდ კლასები, ე. ი. ისეთი პიროობები, რომლთაც დაჩაგრულის და დამჩაგვრელის წარმოშობა შეუძლიათ. პირველი არავითარ ლონეს არ ზოგავს, ოღონდ კი გამოვიდეს თავის მდგომარეობისაგან, ხოლო მეორე თავის მხრით ყოველ ლონეს ხმარობს არ გამოუშვას ის იქიდან და მისი რიცხვი რაც შეიძლება გაამრავლოს თავის სასარგებლოდ. მაგრამ როცა დაჩაგრულნი იგნებენ, რომ ცალ-ცალკე ბრძოლით არაფერი გამოდის, ერთდებიან და იერიში მიაქვთ საერთო მტერზე. მაშინ უკანასკნელიც ამ გზას ადგება და ბრძოლა კლასთა შორის აშკარა, საქვეყნოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ხალხის, აწყობს ყველაფერს თანახმად თავის ინტერესებისა, ქმნის ახალ ზნე-ჩვეულებას, მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას და სხ. მეორე მხრით, დაქვეითებული, უკან საფეხურზე მდგომი, თავის მხრით, მიილტვის ზევით, რომ იქ მდგომნი გადარეკოს და მათი ალაგი თვითონ დაიჭიროს. მისი ასეთი მიდრეკილება ავითარებს მასში ენერგიას, აუკეთესებს საბრძოლველ იარაღებს, წვრთნიან გონებრივად, ამაღლებს ზნეობრივად; ერთის სიტყვით, ის ქმნის მეორე ქვეყანას. ამ სახით მოპირდაპირედ დგება ორი ძალა: ერთი იცავს არსებულ მის სასარგებლო წყობილებას, მეორე ანგრევს მას და აშენებს ახალს. პირველი კონსერვატორია, ცხოვრების უკან დამჭერი, მეორე პროგრესისტია, ცხოვრების წინ გამქანებელი. მაგრამ მისი პროგრესისტობა თავდება მაშინვე, როგორც კი მიზანს მიახწევს. ახლა ის მეცადინეობს არსებული მდგომარეობა დაიცვას და მისი მოწინააღმდეგენი ქვეყნის მოღალატეებად დასახოს. ასე მიმდინარეობს კულტურულ ხალხთა ისტორია და უეჭველად ამას უნდ ვემორჩილებოდეთ ჩვენც.

საქართველოს მუდმივი შეიარაღება, მტერთან ბრძოლა, გამარჯვება თუ დამარცხება, აღორძინება თუ დაკლება, მჭიდროდ შეკავშირებულია შინაგან, თავად-აზნაურთა შორის, ბრძოლასთან. თითოეულ სოფელს, ხეობასა და მაზრას საკუთარი ბატონი ყავს. ის უფრო შეძლებული და გავლენიანია, ვისაც მეტი მიწა-მამული და ყმები ხელთ უპყრია. აქედან წარმოსდგება განხეთქილება ბატონთა შორის. ესენი

დაუცხრომლად ერთმანეთს ებრძვიან. გამარჯვებული კიდევ უფრო მძლავრება და თავისუფლად პარპაშობს, დამარცხებული, თუ შიგნით ვერაფერი გააწყო, გარბის უცხოეთში, შემოჰყავს უცხო ჯარი და ომს უცხადებს ქვეყანას. გლეხ-კაცობა აქ არაფერ შუაშია, არავითარი ხმა არა აქვს. მას მხოლოდ უბრძანებენ, ომში გაიყოლიებენ, სამუშაოდ გაგზავნიან, ერთმანეთს აბრძოლებენ, სისხლს დაალვრევინებენ. გლეხ-კაცი, მართალია, შემთხვევისათანავე ეწინააღმდეგება, ებრძვის თავის ბატონს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე ბატონი მონახოს. საზოგადოდ, ბატონების წინააღმდეგ ის ხმას არ იღებს, ეს აუცილებელ წყობილებად მიაჩნია. ამნაირი ბრძოლის დაბადება ნიშნავდა, რომ ხალხს უთავად-აზნაურად შეუძლია ცხოვრებაო. ეს კი ხანგრძლივი განვითარების შედეგია. გასულ საუკუნეებში გლეხთა არეულობა ხშირია ევროპაში, ჩვენში კი იშვიათია. რატომ? იმიტომ რომ ევროპა ადრე დაადგა მოქალაქობრივ გზას და უსარგებლოდ გადაქცეული წოდება ტვირთი შეიქმნა. საქართველოში მძლავრი ბატონი ისე საჭირო იყო გლეხისათვის, როგორც სმა-ჭამა. სუსტი ბატონის ყმას გარეშენი ადვილათ დაარბევენ, გალახავენ, მოკვლენ და სხ. ამისათვის გლეხი მუდამ „დიდ“ ბატონს ეძებს, რომ საუკუნოდ ეყმოს. ცხადია, გლეხობა აზნაურობაში ხედავდა სასარგებლო წოდებას, რაიცა იყო მიზეზი ფეოდალთა თავ-აშვებულობის და ჩვენი-ჩამორჩენის. ეს ხანა საშინლათ გაგრძელდა და ბოლოს პოლიტიკურადაც დაგვცა.

საიდან უნდა გამოჩენილიყო ისეთი ძალა, რომელიც ფეოდალურ წყობილებას შეებრძოლებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძველს ახლით შესცვლიდა? გლეხ-კაცობა დიდ-ხანია რაც არსებობს, მაგრამ ასეთი ძალა ვერ წარ-მოადგინა. გლეხსა და ბატონს შორის განხეთქილე-ბის განუვითარებლობა პირველი საბუთია ცხოვრების განუვითარებლობისა. მაგრამ შეეძლო კი გლეხობას შეგნებულად რაიმე სამერმისოთ გამოსადეგი ბრძოლა გამოეცხადებინა? არასოდეს ევროპაში თავისი თაო-სნობით მას რევოლიუციონური როლი არ უთამაშია. მე-XVI საუკუნის გლეხთა ომი გერმანიაში მიმარ-თული იყო უფრო ძველის აღდგენის, ვინემ ახალის შემოღებისაკენ. მათ სურდათ მიწის საერთო მფლო-ბელობის (Markgenossenschaft) ხელ-ახლა აღდგენა, რაიცა ახალ ვითარებამ, ფეოდალის ტრიალმა, დაარ-ღვია (ესენიც „ნაროდნიკები“ ყოფილან!). საფრან-გეთის დიდ რევოლიუციამ გლეხობაც თან ჩაითრია Cruerre aux chataux, paix aux chaumiéres. ბრძო-ლა სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს—იძახოდა საფრან-გეთის გლეხ-კაცობა. მაგრამ განა რევოლიუცია მისი თაოსნობით დაიწყო! რევოლიუცია პირველად პა-რიჟმა ასტეხა, მას მიემხრენ პროვინციის ქალაქები და ბოლოს სოფლებიც. აშკარაა, ეს ქალაქის და არა სოფლის საქმეა. სწორედ ამიტომ შეიქნა ის შესა-ნიშნავ ისტორიულ მოვლენად.

ევროპის ფეოდალური ხანა დასცა ვაჭრობა-ალებმიცემის ხალხმა ე. ი. ფეოდალის პატრონებმა, ბურ-ჟუაზიამ. ეს კლასი უეჭველად გლეხობისაგან წარ-მოიშვა, მაგრამ ის სარბიელზე გამოვიდა არა რო-გორც გლეხი-სოფლელი, არამედ როგორც ბურჟუა-მოქალაქე. ჩვენ ისტორიულ წარსულში ასეთ მიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულებამ ფეხი ვერ მოიკიდა. ვაჭრობა-მოქალაქეობა ნაციონალურ ნიადაგზე ვერ დადგა, ქართველს ეს ხელობა ეთაკილებოდა და სომხები ხომ ვერ გამოვიდოდნენ საქართველოს ცხოვრების განმაახლებლათ (იხ. ზევით).

ამ საუკუნეში ხალხში ფულის ტრიალი ბატონყმობის მოსპობამდინაც გავრცელდა. ეს არ იყო ცხოვრების დედაბოძი, მაგრამ ვინც შეიძენდა, კიდევაც გამოიყენებდა. ხშირია ისეთი მაგალითი, რომ გლეხ-კაცს ფულის საშუალებით ბატონისაგან თავი დაეხსნას, ე. ი. სანამ მას კანონ-მდებელი მოეშველებოდა, ფული მიეშველა. ცხადია, ფული მისთვის თავისთავის დასაცავ იარაღად გახდა. ეს ლითონი თავიდანვე გლეხს გამოესარჩლა. ფული შეიქმნა მის ქვეყნიურ ღმერთად, მას ეტრფის და თაყვანს სცემს. ამისათვის ყველას ფულის შოვნის სურვილი ძვალ-რბილში უნდა გასჯდომოდა. ასეთი მიდრეკილება ფრთას შლის მესამოცე წლების შემდეგ. განთავისუფლებული გლეხი ჩაერია იმ ხელ-ჩართულ ომში, რომელსაც ბრძოლა არსებობისათვის ეწოდება. მრავალ მათგანს ბედმა გაუღიმა და წავიდა წინ. ხელი მოკიდა ვაჭრობას, შეიძინა ქონება და ეს ოდესმე უკანასკნელი პირი საპატიო პირად გადაიქცა. ასე თან-და-თან შესდგა ქართველი ვაჭარი და მრეწველი ხალხი, რომლის ძალა ფულზე არის დამყარებული... აზნაურობა ჯერ კიდევ ტკბილ ოცნებაში იმყოფება, ძველ ისტორიულ გადმონაცემს იცავს, ვაჭრობა კეთილშობილთ არ ეკადრებაო. ის მთელ თავის ძალლონეს შთამომავლობითი უპირატესობაზე და მიწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილებზე ამყარებს. ვისაც უკანასკნელი აკლია, პირველით ტრაბახობს, საზოგადოებისაგან პატივს თხოულობს იმ საბუთით, რომ პაპაჩემმა აზნაურობა იშოვა. მაგრამ, როგორც ვიცით, დღევანდელი დრო ფულის დროა, აზნაურს, მიუხედავათ მისი კეთილშობილებისა, ფული ესაჭიროება, ფული კი ვაჭრების ხელში ტრიალებს. ამნაირად, ისკვნება ახალი ურთიერთობა კეთილშობილთა და არა კეთილშობილთა შორის. პირველი თან-და-თან ვალიანდება, ქონება ეკარგვის. მეორე თან-და-თან მდიდრდება, ქონებას იძენს.

თავად-აზნაურობა თავის მდგომარეობას მეურნეობის დაქვეითებით ხსნის. რატომ დაქვეითდა მეურნეობა, რომ ჰკითხოთ, ის მზეს, მთვარეს, წვიმას, გვალვას, სეტყვას, ერთი სიტყვით, ბუნების ყველა მოვლენას ჩამოსთვლის და ზედ დაატანს: აი, ესენია მიზეზი. ამ ნაირად, გამოდის, რომ ეს მისი დამღუპველი ბუნება ამ საუკუნეში და ისიც ამ უკანასკნელ წლებში აღმოჩენილა! ეს, რასაკვირველია, თავის მოტყუება, გულის გაკეთებაა. ერთი, რომ თვით პირველი წინადადება ყალბია. დღევანდელი ჩვენი მეურნეობა დაქვეითებული კი არა, გაცილებით წინ არის, ვინემ ამ 20—30 წლის წინათ იყო. ხოლო საქმე იმაშია, რომ დღეს არ ჰყოფნით, ბევრი სურთ და ამიტომ გაიძახიან: მოგვეხმარეთ, დაცემული მეურნეობა ფეხზე დაგვაყენებიეთო. ქვეყანა ეხმარება, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა, ის მაინც „დაცემულია“. რა ჯადო მუშაობს აქ? ჩვენებურ მემამულეს ფული ისე სჭირია, როგორც ევროპიელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ როდესაც მამულის წარმოება ქართული აქვს. რას ნიშნავს ევროპიული მეურნეობა? აი რას: ნაკლებ სივრცეს მეტი ნაყოფი გამოაღებინო. ეს ხდება დიდი კაპიტალის დაბანდებით. ამას უწოდებენ ინტენსიურ კულტურას. როგორც ჰხედავთ, ეს ერთიანათ აშენებულია ფულზე, მეტი ფული და ნაკლები მიწა. ჩვენში ეს ერთიანად შებრუნებულია, აქ არის: მეტი მიწა და ნაკლები ფული. ეს ფორმულა რომ შებრუნდეს, ამისთვის აუცილებელია: ფეოდალური მიწათ-მფლობელობა დაირღვეს, საკუთრება დაკნინდეს, მოგროვდეს ფულიან კაცის ხელში და სხ. ჩვენ დღეს ამ გზაზე ვართ. იქ, სადაც საკუთრება ნაწილდება, პატარავდება, ეკონომიური წარმატება ჩქარი ნაბიჯით მიდის, როგორც ამას დასავლეთი საქართველო მოწმობს. ეს არის როგორც შედეგი, ისე მიზეზი ბურჟუაზიული წყობილების აღორძინების. ბურჟუაზიული მიწათ-მფლობელობა და წარმოება ძირიანად ეწინააღმდეგება ფეოდალურ მიწათ-მფლობელობას და წარმოებას, რასაც ხატავს ზემოდ მოყვანილი ორი ფორმულა. დღეს ესენი ებრძვიან ერთმანეთს; ამ ბრძოლაში მარცხდება ის, ვინც უკანასკნელი მიდრეკილების წარმომადგენელია, —თავად-აზნაურობა; იმარჯვებს ფულის პატრონი —ბურჟუაზია.

ამით კიდევ არ აიხსნება შემდეგი საკითხი: რატომ დღევანდელ მემამულეთ არ შეუძლიათ პირდაპირ კაპიტალისტურ წარმოებისაკენ გადავიდენ? აი ამის პასუხი: ფული რომ წარმოებაში დაბანდო, საჭიროა ის გქონდეს; მეურნეს ფულის შეძენა შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლია სამეურნეო ნაწარმოების გაყიდვით. გაყიდვა მოასწავებს იმავე დროს ყიდვას, გამყიდველი მყიდველს, ვაჭარი მუშტარს. ყიდულობენ იმ ნაწარმოებს, რომელიც მყიდველს არ შეუმუშავებია და, მაშასადამე, არა აქვს. ეს მოითხოვს შრომის განაწილებას. ჩვენში დღეს შრომის განაწილება სუსტია, ერთი აწარმოებს იმას, რასაც მეორე აწარმოებს. ისინი ერთმანეთისაგან ალარას იყიდიან. შრომის განაწილება შედეგია შრომის განვითარების, ეს კიდევ შედეგია მრეწველობის და ალებ-მიცემობის. ყველა ეს ჩვენში ახალ დაწყებულია და მისი გაძლიერება დროს თხოულობს, ხოლო ფულის საჭიროება დროს კი არ თხოულობს, ფული ყოველ დღე, ყოველ საათში გვჭირია. გავყვეთ ქვევით. რადგანაც ჩვენში შრომა საკმარისად განვითარებული*) არ არის, მეურნე მსოფლიო ბაზარზე ველარ უძლებს უცხოეთის მეტოქეთ, რომელნიც უმაღლეს ეკონომიურ საფეხურზე დგანან და, მაშასადამე, ნაწარმოების შემუშავებაც იაფად უჯდებათ. ამნაირად, ჩვენ მეურნეთათვის ვიწროთ შემოიხაზა, ცოგორც შინაური, ისე უცხოეთის ბაზარი. აი, რატომ დღევანდელ მემამულეთ არ შეუძლიათ პირდაპირ კაპიტა-

*) შრომის განვითარება ნიშნავს შრომის განაყოფიერებას, ე. ი. როცა ერთ და იმავე დროს განმავლობაში კეთდება მეტი საქმე, მეტი ნივთი, ვინემ წინეთ; ამ შემთხვევაში თითოეული დამუშავებული საქონლის ფასიც ნაკლებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტურ კულტურაზე გადავიდენ*). ჯერ ისინი უნდა დამარცხდენ, დავალიანდენ, გაკოტრდენ, რომ მათი საკუთრება დაიყოს, გადავიდეს ფულიანთა ხელში და ინტესიური კულტურა გამეფდეს. აი რა ნაირ მსხვერპლს თხოულობს ჩვენი გაევროპიელება! ამ შემთხვევაში ევროპიელების წარმომადგენელი ბურჟუაზიაა, მსხვერპლი კი მემამულე თავად-აზნაურობა.

VIII

როგორ არის ეს ეკონომიური სინამდვილე ადამიანთა გონებაში გადატანილი? რანაირად არის შეგნებული მებრძოლთა მიერ?

თავად-აზნაურობა მიილტვის მეუფნეობით იცხოვროს, აქ სოფელი თამაშობს უპირველეს როლს. ბურჟუაზია (ვაჭარ-მრეწველნი) კი ალებ-მიცემობით და მრეწველობით. აქ ქალაქს უკავია პირველი ადგილი. ახლანდელი ცხოვრება სოფლის დაქვეითებაზე და ქალაქის აღორძინებაზეა აშენებული. ამიტომ თავად-აზნაურობას თანდათან ნივთიერი საფუძველი ეცლება, მაგრამ საზოგადოებაში პირველობა მაინც სურს რომ დაიკავოს. მეორე მხრით, ბურჟუაზია თანდათან ნიადაგს იკეთებს და მკვიდრდება.

---

*) გასულ საუკუნეში პრუსიის მეფემ ფრიდრიხ დიდმა მოინდომა ინგლისის მიხედულობით ინტესიური კულტურის შემოღება. ყველა მემამულე, რომელიც კი ამ გზას დაადგა, გაკოტრდა. დანახარჯის ნახევარიც ვერ აიღეს, იმიტომ რომ ფართო ბაზარი არ ჰქონდათ. ჩვენი მემამულენი ამ ჟამათ, რასაკვირველია, უფრო კარგ პირობებში იმყოფებიან, ვინემ გასული საუკუნის პრუსიის მემამულენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას არავითარი განკერძოებული უფლებები არა აქვს, აქვს მხოლოდ ფული და საზოგადოებაში ამ იარაღით გამოდის. ესეც პირველ ალაგს ეძებს. ეს ორი მაძიებელი, ცხადია, ერთმანეთს უნდა შეეტაკონ, სხვა გზა არა აქვთ. ამით ბრძოლა, ეკონომიურ სარბიელზე ამტყდარი, გადადის გონებაში და იწვევს შესაფერ მოქმედებას. ეს **კლასთა ბრძოლაა** par excellence. ორი კლასი—ძველი და ახალი—ერთმანეთს ეომებიან, რის გამო ვითარდება შრომა, მატულობს ენერგია, წინ მიდის ცხოვრება. ჩვენ თავს ნებას მივსცემთ აზრის გასარკვევათ მოვიშველიოთ ერთი მოთხრობა, რომელიც დაიბეჭდა „მოამბეში“ № 4 და 5-ში 1895 წელს და ეწოდება „ფიოალი დავლაძე“. მთელი მოთხრობა აშენებულია კლასთა ბრძოლის დედა-აზრზე. ერთ კლასს წარმოადგენს აზნაური ივანე დავლაძე, მეორეს ვაჭარი ნიკო კალაძე. ჩვენ აქ არ შეუდგებით ამის ვრცლად გარჩევას, გვსურს მხოლოდ ამოვიღოთ ორი მომენტი, როცა ეს სხვა-და-სხვა კლასის წევრნი ერთმანეთს შეხვდებიან. ორივე შეხვედრა ტრაიკულად თავდება. მოთხრობა ამოღებულია იმ მაზრის ცხოვრებიდან, სადაც ინდივიდუალური ბურჟუაზიული მიდრეკილება ყველაზე უფრო განვითარებულია. ეს მაზრაა გურია.

ერთი გლეხ-კაცი ეძებს „ფულიან კაცს“, რომ შვილი მოანათვლიოს და ასეთი დამოყვრებით ხელი მოითბოს. ასეთ სასარგებლო კაცად მან იცნო თავისი სოფლის გლეხის შვილი, იმ ჟამად ბათომში მოვაჭრე, ნიკო კალაძე. დაინიშნა ნათლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე, მოიპატიჟეს სტუმრები, რომელთა შორის არის იმავე სოფლის ახალგაზდა აზნაური ივანე დავლაძე. დიდი ლოდინის შემდეგ გამოცხადდა „ფულიანი კაციც“.

— „რა ამბავია, კაცო, ამდენ ხანს რომ გვაცთიე! პაწაი ადრე არ გეკადრებოდა მოსვლა, სადაური დიდი კაცი ხარ შენ?—ძალდატანებული ხუმრობის კილოთი უთხრა ნიკოს ივანემ.

— „შენთან კი ვარ უკაცრავად! მიუგო მას ნიკომ ისეთი მედიდური ღიმილით, რომელსაც ზოგიერთები ხმარობენ, როცა უნდათ ვისიმე დამცირება...

— „უკაცრავათ კი ხარ, ყაზახო, მეტი თუ არაფერი!—წარმოსთქვა ივანემ გაბრაზებით.

ამნაირათ, შეხვედრისთანავე მათ შორის უსიამოვნება ჩამოვარდა. რატომ? საქმე იმაშია, რომ ივანე, როგორც კეთილშობილი, პირველობას თხოულობს, მაშინ როდესაც უბრალო ნაყმევის შვილს ნიკოს, ყველა მოწიწებით ეპყრობა. ამას გარდა, აქ არის ერთი გასათხოვარი ლამაზი ქალიშვილი (ესეც აზნაური), რომლისაკენ ორივეს თვალი უჭირავს, ორივეს სურთ თავი მოაწონონ.

— „მაგინი (ქალაქში მოვაჭრენი) რეიზა არ იქნებიან კარგათ, თუ ღმერთი გწამს, ფული მაგენს არ აკლია, თეთრი და საქონელი, რა ენატრებიან ღვთის გაჩენილი,—დაიწყო სამსონმა.

— ახლანდელ დროში ფული ვისაც აქ, კაციც იგია,—დაემოწმა მასპინძელს მეორე სტუმარი.

— „ოჯო, ცარიელი ფულიც არაფერი არაა, თუ კაცი თითონ არ ვარგა და პაწაი განათლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ახლავს!—შენიშნა მესამემ.

— „ნეუჟელი“ შენ უფულოთ გააკეთებ რაშეს, კაი განათლებულიც რომ იყო?—თავმომწონეთ დაიწყო ნიკომ—შეძლება თუ გაქ, განათლებულიც მაშინ ხარ. რავა, რას უძახი შენ განათლებას? იგი კაცი კას ჭამს, კას სვამს, კარგათ აცვია და ახურავს, მტერს რიგიანათ დაუხვდება და მოყვარეს. ერთი სიტყვით, განათლებული ცხოვრება აქვს. ფული რომ არ ქონდეს, ხომ ვერც ერთს ვერ იზამს? ბევრი ვიცი იმისთანა კაცი, რომ განათლებულათ მოაქ თავი და მჭადი კი ენატრება!

— „აბა მე გეტყვი შენ,—დაიწყო ივანემ ათრთოლებული ხმით:—კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია, კმას ვერც ფული მოარჯულებს და ვერც ვერაფერი. კისრამდინ ოქროში რომ ჩასვა იმისთანაი კაცი, მაინც თავის ზნეს არ მოიშლის!

— „კი მარა ამ ცარიელმა, გაფხეკილმა აზნაურიშვილობამ რა მოუტანა ვისმეს? ვინ უყურებს ახლა ჩამომავლობას? რამდენია იმისთანა აზნაური, რომ მჭადს არ წაუტეხს კაცი, ორი კაპეიკიზა ცოლშვილს დააწინდრებს. კაი ხანია წევიდა უწინდელი დრო! ახლა კაცი იგია, ვინც თითონ ვარგა, ვისაც რამე გააჩნია; მარტუაი აზნაურიშვილობა სულ აფერი არაა. იგი ტყუილაი არ თქვას ვინმემ!.. ცხარობდა ნიკო“.

ეს შეტაკება ჩხუბით დასრულდა. ივანეს შემდეგ ფული დაჭირდა, შინ ვერ იშოვა და ვილაც გაცარცვა. დაიჭირეს და მერე გაფირალდა. ამ დროს ის სადაო ქალიშვილი მამამ ძალდატანებით ნიკოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერთო. ერთ სალამოს ნიკო ოთახში ფულს ანგარიშობს და უცებ თავზე წამოადგა ფირალი ივანე დავლაძე.

— „უკაცრავათ! მგონი საქმე შეგიშალეთ,— დაიწყო ივანემ,—მგონი კი უნდა მიცნობდე. კაი ხანია შენი ნახვა მინდოდა, მარა აქამდე ვერ მოვახერხე.

— „დაბრძანდით!.. ძლივსლა წაილუღლუღა ნიკომ და სკამის მოსატანათ წამოიწია.

— „არ გაეჭანო მაქიდან, თვარა ამ წუთში გაგათავე!—დასჭყივლა ივანემ.

„ზარ-დაცემული ნიკო ხელებ-გაწვდილი გაშეშდა.

— „ვინ ხარ შენ, მამაშენი ვინ იყო, ხომ კი გახსოვს?—მკაცრათ კითხა ივანემ.

— „მე... კი... უნდა მიცნობდე თქვენ... ძლივს წარმოსთქვა ნიკომ.

— „შენ კიმოთაი კალაძის შვილი ხარ, გლახა კიმოთაი რომ იყო; სამოწყალო, იმის! შენ გაურეცხელი ყაბახი ხარ, მოჯალაბე, ხომ კი?

— „ბატ...

— „ახლა მიძახი ბატონს, შენ წუნკერო შენ? გააწყვეტინა სიტყვა გამძვინვარებულმა ივანემ.— შენი ბატონი ყოველთვის ვიყავი მე, მარა ორი კაპეიკი რომ იშოვნე, მერე კაცი ალარ გიჩთა თვალში, ქვეყანა შენი იყო გეგონა!" ივანემ ჩასცა ხანჯალი და იქვე უსულოთ გააგორა.

ამ გვარად, აქ წარმოდგენილია ცხოვრების ორი მხარე, ორი ღრმა მიმდინარეობა: ერთი მხრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას ვაჭარი, მეორე მხრით—აზნაური. პირველი ქადაგებს სრულებით ახალ აზრებს—თუ ფული გაქვს კაცი მაშინ ხარო. ეს საფრანგეთის რევოლიუციონურ ბურჟუაზიამ ასე გამოხატა: l'argentu n'a pas be maitre—ფულს ბატონი არ ყავს, ე. ი. ვისაც ფული აქვს, ბატონიც ის უნდა იყოსო. ამ დროში დასცა მან ძველი ფეოდალურ—აზნაურული წყობილება. ამ პრინციპზეა აშენებული დღეს მთელი ევროპის ურთი-ერთობა. და როცა მუშა-ხალხი ბურჟუაზიას ებრძვის, ამ პრინციპს კი არ სცვლის, არამედ აფართოებს: ფული ე. ი. ცხოვრების სახსარი ყველას საკმარისი უნდა ჰქონდესო. ნიკოს აზრი: ფულიანი განათლებულიც არისო,—მართალია ევროპაში, ყალბია ჩვენში. იქ განათლებას ბურჟუაზია იძენს, საშუალო და მაღალ სასწავლებლებში ვერ ნახავ მუშა-პროლეტარის და გლეხ-მესაკუთრის შვილს. ჩვენში ბურჟუაზია ისე გამაგრებული არ არის, რომ ერთ და იმავე დროს ფულიც შეეძინა და სწავლაც მიეღო, ეს პირველი თაობაა. მეორე, მესამე და შემდეგი (ბურჟუაზიის) თაობა ევროპის გზაზე დადგება. აქ ვაჭარი საპატიო პირია. ვაჭრების ხელშია მთელი მართვა-გამგეობა. საფრანგეთის პრეზიდენტი ვაჭრობდა, დეპუტატები, მწერლები უმთავრესად ვაჭრები და მექარხნეებია. ერთი სიტყვით, ევროპის სახელმწიფოს მართველობა კაპიტალისტთა კომიტეტია, რომელიც განაგებს თავის საქმეებს, როგორც წარსულში აზნაურები განაგებდენ.

რას ჰქადაგებს ივანე? მისი აზრები ძველებუ-
ლია, მთელი წარსული მის გემოზე იყო მომართუ-
ლი. ის წარსულის წარმომადგენელია, სურს ისტო-
რიის ჩარხი უკან დაატრიალოს და ძველი კაი დრო
სიგრძე-სიგანით აღადგინოს. ის გავლილ ხანის გმი-
რია, გამოსადეგი თოფ-ხმალში: მამაცი ბრძოლაში,
გულადი, ყოჩაღი, მხნე, მარდი და სხვ. ასეთ პირს
საჭიროებდა წინანდელი ცხოვრება და პიროველობაც მას
ეჭირა. აბა ვინმეს წარმოეთქვა მაშინ ნიკოს შეხედულე-
ბა, ყველა სულელად მიიღებდა, დღეს კი გარემოება ისე
გადატრიალებულა, რომ ხალხი ნიკოს მიემხრო.
აი ასეთ შეცვლილ პირობებში მოქმედებენ ივანე
დავლაძე, ტარიელ მკლავაძე და სხვა მისებურნი.
ნივთიერი ნიადაგი შეიცვალა, ყოველივე სხვაფერ-
დება, მაგრამ კეთილშობილნი ძველებურად, შეუც-
ვლელად რჩებიან. აი, აქ არის მთელი დრამა. გა-
ნა ამაში ისინი დამნაშავენი არიან? სრულებითაც არა;
მართლაც, როგორ შეურიგდენ იმ აზრს, რომ გუ-
შინდელ მის ნაყმევს, აქაო-და ფული აქვსო, პირვე-
ლობა ეკუთნოდესო. ამ გადასხვაფერებას დიდი ის-
ტორია არა აქვს. ეს გუშინდელი საქმეა, ყველას
ახსოვს, ხედავს, ადარებს და ამისათვის ძნელი შე-
სამჩნევია. ივანეს და ნიკოს შეჯახება—ეს წარსუ-
ლის და მომავლის აწმყოში შეჯახებაა.. ხოლო
როცა მომავალი აწმყოდ გადაიქცევა, მაშინ ეს შე-
ჯახებაც მოისპობა და ჩვენი სრული გაევროპიელე-
ბა შესრულებული იქნება. ეს პროცესი იწვევს
მწვავე ტკივილებს, სამუდამოდ გვამშვიდობებს საუ-
კუნოებით გადმოცემულ იდეებისაგან, ხელს გვაღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინებენ დედის ძუძუსთან ერთად შეთვისებულ შეხედულებაზე, გვინგრევს მამა-პაპურ მეურნეობას, პატრიარქალურ გულ-ალალ დამოკიდებულებას, გვირღვევს ოჯახს, სპობს ძველებურ მამა-შვილურ, ცოლ-ქმრულ, და-ძმურ უანგარო, იდილიურ ერთი-ერთობას და ყველა ამაების მაგიერ რას გვაძლევს? ხელში ჩოთქს, გულში მხოლოდ ანგარიშიანობას ,,და ერთს ჯიბეში ფულს და მეორეში უფულობას! აი, რა არის ბურჟუაზიული ცივილიზაცია! აქ არის ბედნიერება? არა, მაგრამ ეს აუცილებლობაა, ამას მოითხოვს ჩვენი განვითარება, ჩვენი მერმისი. მხოლოდ აქ ჩნდება ის ძალა, რომელმაც უნდა დაამარცხოს უცხო ერთა მეტოქეობა, მხოლოდ აქ ვითარდება ის ნიადაგი, რომელზედაც ქართველობამ თავისი ნაციონალური მოქალაქეობა უნდა აღგაოს. განა აქ არის კმაყოფილება? აქ არის მშვიდი, წყნარი ცხოვრება? არა და არა! პირ-იქით აქ არის უკმაყოფილება, მოუსვენრობა და ბრძოლა. ბრძოლა წალმა-უკულმა, წინ, უკან, შიგნით, გარეთ—ყველგან. აი, ამ ბრძოლაში უნდა აღორძინდეს ის ძალაც, რომელიც გაილაშქრებს თვითონ ბურჟუაზიის წინააღმდეგ და გადაგვიყვანს უმაღლეს საფეხურზე—იქ, სადაც დატანჯულ, დასუსტებულ, ნერვებ-აშლილ კაცობრიობამ უნდა პოვოს ნავთსაყუდარი, სიმშვიდე, მოსვენება და განცხრომა!..

ვინ არის ამ მიმდინარეობის მეთაური? ვის მივუყვართ ამ ალთმულ ქვეყანაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX

უკანასკნელ თავში ჩვენ გავარკვიეთ თავადაზნაურთ და ბურჟუაზიას შორის არსებული წინააღმდეგობა. ბურჟუაზია, დღეს ქვედა საფეხურზე მდგომი, მიილტვის ზევით, რომ იქ მდგომი კეთილშობილნი ძირს ჩამორეკოს და თვითონ გამაგრდეს *). ეს მას არ შეუძლია ისე, თუ მთელი ჩვენი ცხოვრება არ გადაატრიალა და, აი, ის პირდაპირ ამ გზისკენ მიექანება. მიზნის მისახწევად იძულებულია განავითაროს ერის შრომა, გააჩაღოს მოქალაქობა, შეეცილოს უცხო ტომის მეტოქეთ და მთელ წარმოებას თვითონ დაეპატრონოს, მოსპოს ძველებური იარაღებით მუშაობა, გააუქმოს ფეოდალური მიწათ-მფლობელობა, დააკნინოს საკუთრება, რომ მერე თავის ხელში მოიგროვოს, გამოიყვანოს სოფელი, ხელობა, კარჩაკეტილობიდან, გააცნოს ფულის გემო, დაურღვიოს მამა-პაპური საფუძველი და გაუკეთოს ახალი, ევროპიული. ერთი სიტყვით, მან უნდა შექმნას ისეთი კალაპოტი, სადაც თავისუფლად იმოძრავებს და ცხოვრების თავი და ბოლო თვითონ შეიქმნება.

---

*) რა სახით მოხდება ეს? თავად-აზნაურობა, რასაკვირველია, მემამულე და შეძლებული, ნელ-ნელა გაბურჟუავდება ისე, როგორც საფრანგეთში? ამის გადაჭრა შეუძლებელია, ჩვენ საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება არა გვაქვს... აუკილებელია ის, რომ ბურჟუაზია გამარჯვებული გამოვიდეს, ხოლო რაგვარი ფორმით—ამას მომავალი გვიჩვენებს. ამისთვის ცხოვრების გარკვევაა საჭირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენად ის ამ დანიშნულებას ასრულებს, იმდენად ის პროგრესიულია, იმდენად ეროვნულ და სოციალურ წარმატებას ემსახურება.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ: ვის ზურგზე უნდა გაკეთდეს ყველა ეს? ვისი ჯაფაა საჭირო? ვისი ოფლია ჩასალვრელი? ვისი ხელებია გასანძრევი, ვისი ძარღვებია ასამუშავებელი? საკუთარი ბურჟუაზიის? საიდან შოულობს ის ფულს? როგორ მდიდრდება? ფული რომ ზეციდან ცვივოდეს, ყველა ფულიანი იქნებოდა; მხოლოდ საკუთარი შრომით გამდიდრება რომ შეიძლებოდეს, დღიური მუშა ყველაზე უფრო გამდიდრდებოდა. ცხადია, თუ ბურჟუაზია მდიდრდება, საიდანმე სხვის შრომას აძვრენს, სხვის ქონებას იჩემებს, სხვის სარჩოს ისაკუთრებს. ერთი სიტყვით, ის უარყოფს სხვის საკუთრებას, რომ თავისი განამტკიცოს. ავხსნათ.

დღეს ჩვენში ეკონომიური ნიადაგი ძლიერ მოძრავია, ის მუდამ დულილში და რყევაშია. ნივთიერი პირობები ჯერ ვერ ჩავარდნილან განსაზღვრულ კალაპოტში; ამისთვის შეძლების შეძენა თუ დაკარგვა საშინელ ადვილად ხდება. ეს, ასე ვთქვათ, შოვნის ხანაა. გლეხი ფიქრობს მემამულედ გახდეს, მუშა კი სოვდაგრად. ერთიდან მეორეში გადასვლა ხშირია. ეს დრო კლასთა ფორმაციის (შედგენის) დროა. მთელი ერი ერთმანეთში ითქვიფება, რომ ბოლოს ისევ დანაწილდეს. ევროპაში ეს გასულ საუკუნეებში ხდებოდა. საფრანგეთის დიდი რევოლიუცია მოახდინა ეგრეთ-წოდებულ tiers état—მესამე წოდებამ. ვინ იყო ეს? განა მარტო ბურჟუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზია? არა, ეს იყო ყველა, გარდა მალალი ფენა-ვადოვა აზნაურობისა, ე. ი. მთელი ხალხი. ამ ერთ სახელ-წოდებაში მოთავსდა მექარხნე, მოვაჭრე, მუშა, ხელოსანი, გლეხი, წვრილი (სოფლის) სამღვდელოება და სხ. აშკარაა, კლასიური წინააღმდეგობა თვითონ მესამე წოდებაში არ იყო განვითარებული. თვითეული დარწმუნებული იყო, თუ ფეოდალური შევიწროება მოგვშორდება, ჩინებულად ვიცხოვრებთო. ამის მიზეზი ის არის, რომ ეკონომიური წარმატება მალალ საფეხურზე არ იდგა. მაშინ არ არსებობდა რკინის-გზა, ტელეგრაფ-ტელეფონი, ორთქლის და ელექტრონის სამუშაო მანქანები, არც ერთი ის იარალი, რომელიც შემდეგ ცხოვრებას საფუძვლათ დაედვა. ამიტომ შრომა საკმარისად ვერ განვითარდა, მუშასა და კაპიტალისტს შორის განხეთქილება ვერ გამოაშკარავდა. (შემთხვევითი მოვლენა, რასაკვირველია, სახეში მისალები არ არის). რა ნაირად არის ეს ჩვენში?

ჩვენ, როგორც უკან-ჩამორჩენილი, კომიკურ მდგომარეობაში ვართ. ცალი ფეხი დღევანდელ ევროპაში ჩავდგით, ცალი კი წარსულში გვიდგია. ვსარგებლობთ ყველა იმ იარალებით, რომელნიც კი დღეს ევროპაშია, ხოლო ცხოვრების პროცესი ისეთია, როგორც გასულ საუკუნის ევროპაში იყო. აი, ეს დიდად საყურადღებო საგანია, მხოლოდ ეს გარემოება აძლევს განსაკუთრებით ელფერს მთელ ჩვენ აწმყოს და მომავალს. აქ ჩვენ ერთი უპირატესობა გვაქვს. ის, რაც ევროპაში დიდი ხნის განმავლობაში იცვლებოდა, ჩვენში ახალი იარალების წყალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით მოკლე დროში იცვლება; ამისათვის, წინააღმდეგობა აზნაურს და ბურჟუას შორის ჩქარა განვითარდა, ამავე მიზეზით ჩქარა ვითარდება წინააღმდეგობა ბურჟუასა და მუშას შორის. მართალია, ჩვენში ჯერ არ შემდგარა იმ სახის მუშა-ხალხი, როგორც ეს ევროპაშია, მაგრამ ეს განა ამტკიცებს ექსპლოატაციის, მუშის შრომით გამდიდრების, არ არსებობას? გლეხი-მესაკუთრე რომ საქირაოდ წავიდეს, განა მისი და დამქირავებლის ინტერესი ერთი იქნება? პირიქით, მესაკუთრე-მუშა უფრო ადვილათ იყ�fება, ვინემ მუშა-პროლეტარი. პირველი სჯერდება ცოტა ქირასაც, იმ იმედით, რომ ოჯახში კიდევ მაქვს რაღაცაო, მეორეს კი შინ არაფერი მიეგზავნება და მეტ ქირას თხოულობს და კაპიტალისტი იძულებულია მისცეს. იქ, სადაც ორივე ტიპის მუშა ერთმანეთს ეცილება, ყოველთვის უკანასკნელია დამარცხებული. ევროპაში დღეს ეს ალარ არის. იქაურ მუშა-ხალხს საკუთრება არა აქვს და მეტოქეობაც მათ შორის ისპობა. მის ალაგას ერთ-პირიანობა, ერთ-აზროვნება და ერთ-სულობა დგება. პატრონი ერთ მუშას რომ უწესოდ მოეპყრას, ყველა მუშაობაზე ხელს იღებს. ესენი ერთად იბრძვიან. თანხმობითი მოქმედება განსაცვიფრებელ ხარისხამდია მიყვანილი. ჩვენში არც ერთი ეს არ არის. ჩვენებურ მუშას როგორც სურთ, ისე ამუშავებენ, ქირის მიცემა, სამუშაო დღის გაგრძელება, გაგდება, სამუშაოს არ მიცემა და სხვა ამნაირი, პატრონის თვით-ნებობისაგან არის დამოკიდებული. ევროპაში ერთი რომელიმე ამათგანი რომ მოხდეს, არა თუ მუშა-ხალხს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობასაც კი შეძრავენ, პარლამენტშიაც კი ილაპარაკებენ, ყრილობებსაც მოახდენენ, მწერლობა ხომ ერთ ალიაქოთს ასტესხ. ცხადია, ქართველი მუშა გაცილებით უფრო იყვლიფება, ვინემ მისი მოძმე ევროპიელი. მაშასადამე, მყვლეფავთა და გაყვლეფილთა შორის წინააღმდეგობა არსებობს, და თუ ეს შეგნებული არ არის, ამის მიზეზი სხვაა...

ქართველ ბურჟუას ფულის წყარო ქართველი მუშაა *). რამდენად ეს თავის ძალლონისაგან იცლება, იმდენად ის მდიდრდება და სქელდება. მართალია, ის სცვლის ცხოვრებას, მაგრამ ეს ხდება მუშის შემწეობით, მუშის ნაშრომით და მონაგარით, მუშის ოფლით და ძალ-ლონით. მთელი დღევანდელი ცივილიზაცია მუშათა მეოხებით შეიქმნა, ხოლო სარგებლობა ბურჟუაზიას ერგო. საქართველოს წარმატება, გაერთიანება, უცხო ტომთა დამარცხება, კულტურული ზრდა წარმოებს ქართველი მუშის ზურგით, ხოლო სახრავი და სახელი მის ბატონ ბურჟუაზიას რჩება.

დღეს ჩვენ ყველა ის ეკონომიური არეულობა ვიცით, რომელიც ევროპაში მხოლოდ ამ საუკუნეში გაჩნდა. ამის უპირველესი ნიშანი კრიზისია, თუ ერთ

*) ქართველი მუშა დღეს უფრო უცხო ტომის ბურჟუასაგან იყვლიფება, ვინემ თვითონ ქართველისაგან. ვინაიდან ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ვერ არის მოლონიერებული, მისი გამძლავრება ნიშნავს ქართველი მუშის პირველისაგან განთავისუფლებას და მეორის ხელში ჩავარდნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადს უფრო მეტი საქონელი იქნა ბაზარზე გატანილი, ვინემ იქ მოთხოვნილებაა, ცხადია, ყველა ვერ გაიყიდება და რამდენიმე ნაწილი სამერმისოთ გადაიდება. ამიტომ მეორე წელიწადს კაპიტალისტი ამცირებს წარმოებას, რომ ჯერ დამუშავებული მოიშოროს. თუ ბაზარზედაც კრიზისია, მაშინ მთელ წარმოებას დროებით აჩერებს. აი, ამას უწოდებენ წარმოებაში კრიზისს. პირველი კრიზისი ევროპაში მოხდა 1825 წ. (ინგლისში), მაშასადამე მაშინ, როცა კაპიტალისტური წარმოება აღორძინებული და აყვავებული იყო. ჩვენ კაპიტალიზმთან ერთად კრიზისის ხანაშიაც ჩავდექით. კრიზისი ხშირია არა თუ ნავთის, ქვა-გუნდის და სხვა ამ გვარ წარმოებაში, არამედ მეურნეობაშიაც, განსაკუთრებით იმ დარგში, რომელიც მსოფლიო ბაზარზე მიდის (მაგ. სიმინდი). ვინ არის მსხვერპლი ასეთი ცვლილებისა? პირველად თვითონ პატრონი, მაგრამ ის, როგორც შეძლებული, ადვილად იტანს, ვინემ ის, ვისი ხელითაც ეს შეძლება შეიქნა. აქ პირველი მსხვერპლი მუშა-ხალხია. წარმოების შეჩერების დროს სამუშაოსაც ველარ შოულობს. (მეურნე კი მოვახშის ბრჭყალებში ვარდება). ამით ის ევროპიულ პიროებებში იქცევა, რომელმაც მისი გონებაც უნდა გააევროპიელოს. მას შემთხვევა უჩნდება შეიგნოს, რომ ასეთი არეულობა ღვიძლი შვილია კაპიტალისტური წარმოების, რომლის წინაშე კაპიტალისტიც ულონოა. შეცვლა მთელი წყობილების ერთად ერთი საშუალებაა წესიერების დაცვისათვის და სხ. ჩვენ ამ გზაზე მივდივართ. უამისოდ არ არის განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება, არ არის ეკონომიური წარმატება, არ არის ბურჟუაზიის ძველ ურთიერთობაზე გამარჯვება და, მაშასადამე, არ არის კულტურული ზრდაც. ყველა ეს ერთი-მეორისაგან მომდინარეობს, ერთი მეორის შვილია. ეს მთელი სისტემა, ორგანიზმია. თუ ერთი მისი შემადგენელი ნაწილი აღორძინდა, უნდა აღორძინდეს ყველა, თუ ერთი დაიშალა, უნდა დაიშალოს ყველა. ეს გადაუვალი კანონია, სხვა გზა არ არის.

ამ ნაირად, საქართველოში ერთ და იმავე დროს ვითარდება ორგვარი კლასიური განხეთქილება: წინააღმდეგობა ბურჟუას და თავად-აზნაურობას შორის და წინააღმდეგობა თვითონ ბურჟუას და მუშა-ხალხს შორის. პირველ შემთხვევაში რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენს ბურჟუაზია*), მეორე შემთხვევაში მუშა-ხალხი. პირველი მიზნის მისაღწევათ ბურჟუაზიას ეხმარება მთელი ხალხი, ვინაიდან მთელი ერის ინტერესია განთავისუფლდეს მობერებულ წყობილებიდან. აქ ბურჟუაზიის ლტოლვილება ხალხის ლტოლვილებაა. მეორე შემთხვევაში მოკავშირენი, —ხალხი და ბურჟუაზია—ნაწილდებიან ორად, რომელთა შორის სტყდება სასტიკი და უკანასკნელი ბრძოლა. აქ ბურჟუაზიის ლტოლვილება აღარ არის ხალხის ლტოლვილება. მათ შორის ღრმა ორმოა. თუ პირველი ძლიერდება ფულით, შეძლებით, და მით ბურჟუაზიული განათლებით, მეორე უნდა გაძლიერდეს ერთობით, თანხმობით და მუშური შეგ-

*) მკითხველს ხელ-მეორეთ მოვაგონებ, რომ მე აქ ეკონომიური სარბიელი მაქვს სახეში; პოლიტიკაში მან შეიძლება შესაფერი როლი ვერ ითამაშოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიბით. აქ საძირკვველი შრომაა. იქ კაპიტალი. ამ ორ ელემენტის შერიგება ვერ მოხდება, სანამ ისინი სხვა-და-სხვა პირს ეკუთვნიან. მათი შეკავშირება, ერთ და იმავე პირში თავის მოყრა, არის ერთად ერთი საშუალება მათი შერიგების და ყოველივე განხეთქილების მოსპობის. აი, ამ ისტორიული დანიშნულებისათვის მოწოდებულია დღევანდელი მუშა-ხალხი, მან უნდა მოუღოს ბოლო ბრძოლას, რომელიც ატეხილია კაპიტალსა და შრომას შუა, მდიდარსა და ღარიბს შორის, და უდაბნოში მოტანტალე კაცობრიობა აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანოს. მის დროშაზე წერია: tout pour le peupe, tout par le peurle—ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი ხალხითვე. ვინც ამ დროშის ქვეშ იბრძვის, ის იბრძვის ხალხისათვის, ვინც ამ დროშას ებრძვის, ის იბრძვის თავისთვის, ხალხის წინააღმდეგ. დეე, მუშა-ხალხმა შეიგნოს, რაც არის და რაც არ უნდა იყოს. დეე, გამედიდურდეს, გაამპარტავანდეს, რომ მხოლოდ მას ასეთი უდიდესი მოვალეობა ისტორიამ არგუნა!..

—

დასკვნა. მესამოცე წლების ცხოვრებამ წამოაყენა ორი კითხვა: ბატონ-ყმობის გაუქმება და სამშობლო ენის დაცვა. ეს ორი დედა-აზრი შეიქმნა მაშინდელ მოღვაწეთა სახელმძღვანელოდ. პირველი კითხვა დღეს აღარ არსებობს, ბატონ-ყმობის მოსპობას ყველა შეურიგდა, მეორე კითხვას გაცილებით ფართო ნიადაგი მიეცა. ეს ნიადაგი შეიცავს შემდეგ ორ კითხვას, რომელიც წამოაყენა დღევან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელმა ცხოვრებამ: ეკონომიური განვითარება მთელი ერის საერთოდ*) და ეკონომიური განვითარება თითოეული კლასის კერძოდ. პირველი ჩვენი ეროვნული, კულტურული კითხვაა, მეორე კი კლასიური, სოციალური; უკანასკნელი პირველის ერთად ერთი შინაარსია. ეროვნული ზრდა არ არის კლასთა ბრძოლის გარეშე. წინ-სვლის დედა ძალვი აქ არის დამარხული. ბურჟუაზია უარ-ყოფს პატრიარქალურ ფეოდალურ ურთიერთობას და ამყარებს ბურჟუაზიულს; მუშა-ხალხი უარ-ყოფს ბურჟუაზიულს და ამყარებს კოლექტიურს. ეს პროცესი მოძრაობაა და არა რეცეპტი და პროგრამა. აშკარაა დღევანდელ მოღვაწეთათვის ეს ორი კითხვა უნდა შეიქნეს სახელმძღვანელოდ და მით გაგრძელებულ იქმნას მესამოცე წლების გონებრივი მოღვაწეობა ისე, როგორც დღევანდელი ცხოვრება მაშინდელი ცხოვრების ნივთიერი გაგრძელებაა.

როცა ეს ისტორიული მოწოდება ცხოვრებიდან გონებაში გადავა, შეგნებით გაშუქებული შეიქმნება კუთვნილებად თითოეული ქართველის, მისწვდება უკანასკნელ სოფელს, შევა უკანასკნელ ქოხში, მაშინ ხეზე შემომჯდარი მერცხალი გადმოგვძახებს:

„გაზაფხული, გაზაფხულია“.

---

*) ჩვენ აქ არ შევეხებით, იმ კითხვებს, რომელნიც შეკავშირებულია ამ მხარესთან. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: ხალხის გამრავლება მჭიდროდ შეკავშირებულია საწარმოვო ძალის განვითარებასთან. რამდენად ეს საყურადღებოა პატარა ერისათვის, თავისთავად აშკარაა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა